

დიტენატუნა და სეროვნება

N6
6/2009

1522
2009



სწავლა

ვაჟა
ჩოქეძე

სწავლა

ტარიელ
ხარაძე

საგარეო ურთიერთობების

სულიძე
კორტაშვილი

საგარეო ურთიერთობების

ზაქარია
ხარაძე

საგარეო ურთიერთობების

ეზირ
ბურჯანაძე

საგარეო ურთიერთობების

თენგიზ
უთმალია

საგარეო ურთიერთობების

თეატრალური
კვარტეტი

საგარეო ურთიერთობების

რობერტ
სტურუა



ემირ ბურჯანაძე



ლიტერატურა და ხელოვნება

N6(42)



6/2009

ყოველთვიური ჟურნალი

Author and publisher of project:
vaja otarashvili
Literature And Art

ISSN 1512-3189

დამფუძნებელი, პროექტის
ავტორი და გამომცემელი:

ვაჟა ოთარაშვილი

მთ. რედაქტორი

ტარიელ ხარხელაური

პასუხისმგებელი
მდივანი

დავით კახაბერი

რედაქტორი

ვერიკო ზამთარაძე

გარეკანის მხატვრობა

ემირ ბურჯანაძე

რედაქციის მისამართი:

ნუცუბიძის III მკრ. შესახვევი
მხატვრის ქ. №4

ტელ.: (+995 32) 32 73 62;
(+995 32) 31 70 47;
(+995 99) 25 60 14.

E-mail: litandart@yahoo.com

vaja.otarashvili@yahoo.com

Web: www.litandart.com.ge

ვისთვისაც ძვირფასია
ჟურნალი

„ლიტერატურა და ხელოვნება“,
გთხოვთ, შეგვეწიოთ!

ს ა რ ჩ ე ვ ი

ქართული ლიტერატურა

- | | | |
|------------------------|---|----------------------|
| 3. ტახიდ ხახედაუი | - | ლექები |
| 7. ვაჟა ჩოხელი | - | მოთხრობა |
| 15. ჯემალ ინჯია | - | სონეტები |
| 19. ხვიჩა ყადაბეაშვილი | - | მოთხრობა |
| 24. დალია ბედიანიძე | - | ლექები |
| 27. ზვიად ჯვახცხელია | - | იმედის თავგადასავალი |

თარგმანი

- | | | |
|--------------------|---|---|
| 30. ხელიო ჟოტასახი | - | დაქვეყნებული სახლი
(ესპანეხიდან თარგმნა
იხაი ფალავამ) |
|--------------------|---|---|

ქართული ლიტერატურა

- | | | |
|----------------------|---|---------------------------|
| 33. ზაჩია ახენიშვილი | - | ქეჭები |
| 40. სოსო სიგუა | - | თავისუფლებისათვის სწრაფვა |
| 45. ხათუნა ჩაჩანიძე | - | ქეთილი მუზლაძე... |

საზოგადოებრივი ლიტერატურა

- | | | |
|--------------------|---|--------------------|
| 49. გუბაზ მეხელიძე | - | ზვახაჯად შენიხუნდი |
|--------------------|---|--------------------|

ქორეოგრაფია

- | | | |
|---------------------|---|--------------------|
| 54. თენგიზ უთმელიძე | - | ტიუმფი "და სკადში" |
|---------------------|---|--------------------|

თარგმანი

- | | | |
|--------------------|---|--------------|
| 61. მანანა თევზაძე | - | იმბეხე სტუჯა |
|--------------------|---|--------------|

მუსიკა

- | | | |
|------------------|---|-----------------------|
| 70. ბაია ვუენაძე | - | "თეატრალური ჯვახტები" |
|------------------|---|-----------------------|

მხატვრობა

- | | | |
|--------------------|---|-------------------------------------|
| 73. ნათელა ახვლედი | - | ქართვლები
ფეხმეტყველები ვახით... |
|--------------------|---|-------------------------------------|

- | | | |
|-------------------|---|--|
| 84. ფოტოაქტივიზმი | - | |
|-------------------|---|--|

„როგორც ყოვლი, სამშობლო, ერთი ქვეყანაზედა!“

რადიელ ერისთავი

საქონსუფიქსიო სპეცია:
ქაზუს ამირჯიანი, ზახანა ზრუვაძე,
პრას ზედაქნიშვილი, მაყადას ვანაშვილი,
ნათელა ურუშაძე, გულის ქაფიანიძე, ქახსუდა ჩაჩუაძე,
თედიკო ძეგლავა, თამარ ჩხეიძე, ვაჟა ერისთავი.

ლოცვა რუსთაველზე

ვიცი ღამე ცუდად გძინავს, შფოთავ,
ხან საკუთარ თავს უწყრები ბრაზით...
რუსთაველზე ვნახე წუხელ შოთა,
გვერდით ედგა მეფე ფარნავაზი...
ილიას და წერეთელის ძეგლთან
თერგდალეულ ერის მამებს შევხვდი...
„ვაჟა არ ჩანს“ — დავაპირე მეთქვა
და შეირხა მთაკაცივით ვერხვი...
გურამიშვილს გვერდში ედგნენ ლეკნი,
უფიცავდნენ ერთგულებას ყონალს...
სჭექდნენ სამას არაგველთა ლეკვნი:
„არ ვიქნებით არავისი მონა!“
აქ სრულიად საქართველო იდგა,
წმინდანები ირგვლივ ჰფენდნენ ნათელს...
დავით მეფე დიდგორულად, მედგრად,
კვლავ ბრძოლისკენ მოუხმობდა ქართველს...
გაბწყინებულ ივერიას ვხედავ!
თეთრ გიორგის ქაშუეთის კართან —
ქრისტეს ლაშქრის სწორუპოვარ მხედარს,
კვლავ იფარავს ღვთისმშობლის კალთა!
ვიცი ღამე ცუდად გძინავს, შფოთავ,
ხან საკუთარ თავს უწყრები ბრაზით...
სვეტიცხოველს ჯანლი გადაშორდა,
საქართველოს ღვთის ბეჭედი აზის!

ვაჟა ოთარაშვილი



ქართული
 ხარისხი

ვაჟას

შენს წმინდა აჩრდილთან დგომა
 დიდი მადლია ჩემთვისა,
 ცით ჩამოსული ნათელი
 და საჩუქარი ღმერთისა.
 მადლს ვწირავ დამბადებელსა
 მე როგორც მოკვდავს მელირსა —
 შენს ნატერფალზე მელოკა
 ცვარი ბალახზე გდებისას.
 მეცადა, ნუთისოფელი
 ეს გრძელი ღამე მეთია,
 შენლა მინათებ, სამყარო
 ჩემთვის სულ უკუნეთია.
 ჩამქრალა ყველა ვარსკვლავი
 შენილა იწვის ერთია,
 სულ მუდამ ყვავილებთან ვარ,
 სული ყვავილთა მეტრფეა.
 სულ აქ არიან შენს თვალებს,
 რაც ცრემლი ჩამოჰღვენეთია,
 იმ ბაგის ბოლოს ვაბივარ,
 სადაც ჩემფერი ბევრია.
 საზრდოდ მეძლევა და მყოფნის
 შენი ტანსაცმლის მტვერია,

მადლობელი ვარ, შენი ცის
 მცირეც თუ მხურავს ჭერია.
 ჩალად ღირს ჩემს დაბლაგვებულს,
 რაც კალამს დაუნერია,
 სახედ ჩემს ხატად დაგსახე —
 ახლა ლოცვისთვის ვყუდივარ
 და როგორც ხმელი ფოთოლი
 ქარს გზიდან გადავუგდივარ.
 ხანდახან წამოვიწევი,
 ცას გავუღიმებ უნდილად,
 არაფრის რიდი არა მაქვს —
 შენს ფრთებს ქვეშ ჩემი ბუდეა.

გოდერძი ჩოხელს

მესაიდუმლევ სიტყვისა,
 სისველევ ქვეყნის წყლისა,
 სიცოცხლითავე ატარე
 გვირგვინი წამებულისა.
 ვერ მოგინახეთ წამალი
 სევდით ჩაშლილი გულისა,
 გვმოძღვრავდი, როგორ გვეკითხა
 ანბანი სიყვარულისა.
 მადლად დაგვადგი შუბლებზე,
 ნათელი შენი სულისა.
 შენს მაღალ აჩრდილთან ვდგავარ,
 კვნესა მიფხიზლებს სმენასა,
 ხმის ამოლებას ვაპირებ,
 ცრემლებით ვალბობ ენასა,
 რომ ვერა ვლონობ ვერაფერს —
 ვინყებ ბაგეთა კბენასა.
 შენს ნათელ შუბლზე ვაციებ
 ჩემს აღმოდებულ მზეურასა,
 გულს ვაახლოვებ გულთანა
 ვგრძნობ ჩემთვის ნაცნობ ძვერასა,
 აქედან ველი ბნელ ცაზე
 ხვალე მზის ამოჩენასა.
 მეც ვცდილობ, მთათა კალთებზე
 ნისლივით ვანყობ ბგერასა,
 ყეფას ჰგავს ჩემი სტრიქონი,
 ნაცემი ძაღლის ღრენასა.
 ქართაგან ჩამონაბერტყის
 ხმელის ფოთლების ცვენასა.
 რომ გკადრო შენი საკადრი
 ღირსმყავი უფლის ნებისა,
 მოძღვარო, სულის ჩამდგმელო
 ადამიანთა სევდისა.
 როგორ ღამაში გაჰხადე
 შიში სიკვდილის ცნებისა...
 სხვა რა ვთქვა ან რა გამგე ვარ,
 ცათა საუფლო ნებისა.

ამალამ მძლავრი იქროლებს ქარი —
ცა ისე შფოთავს, ისე წრიალებს,
ქართან პირისპირ დარჩება მთვარე
და მთვარის ირგვლივ ცა იტრიალებს.
პირქუშად დამდგარ დათოვლილ მთებზე,
ნისლები მსუბუქს დასდგამენ გვირგვინს...
მე კი,
ჰო, მე კი, რამდენსაც შევძლებ
ვიქნები მშვიდი,
რადგან ვარსკვლავებს სწყურიათ ასე,
ცათა უფალი ასე მკარნახობს,
რომ ეს სხეული ტკივილით სავსე
სულს ჩამოვხსნა და ქარში დავმარხო.

იყო გაზაფხულის პირი,
იდგა სვილისფერი დილა,
თმები ჩაეშალა ტირიფს,
წვიმა ეღვრებოდა წვრილად.
მარტო მოვდიოდი სველი,
ტკივილს მახსენებდა მაჯა,
შემჭკნარ გვირილათა ფერი,
დღეთა ამძაფრებდა ტანჯვას.
ატმის კანკალებდა კვირტი
ცივი ამინდების გამო...
ვიყავ საბრალო და კენტი,
როგორც უვარსკვლავო ღამე.
მესმის მდინარეთა ბორგვა,
შენ რა გენადვლება, ცაო,
როგორც მარტოსული ორღანს
ისე გავეურბივარ ხმაურს...

ამ ადგილს შარშან ყაყაჩოს
მსუბუქი ჩრდილი ეფინა,
ახლა ნიავი თამაშობს
ძირს ჩამოყრილი ფოთლებით.
გადმოდიოდა ღრუბელი,
ღრუბელზე მთვარეს ეძინა,
არ მინახია არასდროს
ცა ასე შენაშფოთები...
არ ხმაურობდა მდინარე,
ალარსად ქორი კიოდა,
დაცლილი იყო მიდამო
ყველანაირი ყაყანიტ,
მხოლოდ მე დავბუბუნებდი,
ალარაფერი მტკიოდა
და მოშუშებულ იარებს
ცრემლით მიბანდნენ ვარსკვლავნი.

ითოვლოს,
ფიქრებს შევეხიზნები...
ითოვლოს
და წვრილ ფიფქებს ქარი სცრის...
არ ვიცი, რად მესიზმრები,
რად მენატრები, არ ვიცი.
სალამო როგორ ჩუმია,
თოვლი ამძიმებს ლელიანს,
მთვარე თეთრი და სრულია,
მთვარე ფიქრივით ვრცელია.
გზაზეც არავინ არ მიდის
ავყვე, ვინმესთან ვიმგზავრო —
მომბეზრდა, ძილი არ მინდა
და შენც ამჯავრდი, სიზმარო.
თოვლს,
ღრუბლებს შევეხიზნები,
ცივა და ფიფქებს ქარი სცრის,
არ ვიცი, რად მესიზმრები,
რად მენატრები — არ ვიცი.

დავით კახაბერს

და... იფერფლება ბგერათა ფერი,
ცრემლის კვალს სანთლის
ამშრალებს ალი —
იქნებ ოდესღაც მჯეროდა შენი,
იქნებ ოდესღაც მიყვარდა ქალი.
ახლა ვმასპინძლობ აჩრდილებს ღამის,
თვლებში მთვარის ლანდი წევს ისევ,
ნუთუ ამ სხეულს ოდესღაც მამრის
მდედრის სურვილით ჰლოკავდა სისხლი...
ანდა რა უნდათ ამ ფერმკრთალ ლანდებს,
მაფლეთენ სამოსს გადაკრულს ძვლებზე,
გავდივარ ქარში, ქარის ხმას დავდე
და საკუთარ ხმას ამ ხმაში ვექებ.

ტაძრის სიღრმეში დამუხვლილ ხევსურს
ზურგიდან მთვარის ნათელი ადგას,
არც არასა ჰგოდნობს, არც არა ესმის,
სანთლის და უფლის ჩურჩულის გარდა.
ჟამ და ჟამ მაინც იხსნება ბაგე,
შინაგან ფშვინვას გამოაქვს გმინვა
და შავ კედლებზე დაფენილ ლანდებს
შეაქუჩებს და მიუძღვის წინა.
გზას აღარ ირჩევს,
გზა სულ ერთია,
აღმა თუ დაღმა, იქით თუ აქეთ —
სამყარო, რაშიც ვერ დაეცია,
უმძიმეს ტვირთად დაჰკიდა სანთელს.

აქ ბევრად მეტი სიმშვიდე სუფევს,
სინათლე მეტი, მეტია სითბო,
სივრცეა სუფთა, იმდენად სუფთა,
რომ საკუთარ სულს ვუყურებ თითქოს.
თითქოს არარა უნდა მინდოდეს.
მაღლა ვარ მაღლა, მაღლა ნისლეზზე,
გული მთავაზობს ყოფნას მინდორზე,
რომ ყვავილების შრიალს ვისმენდე.
მზეო, არ მესმის შენი სურვილი
მიმწუხრის მერე ჩემთან სტუმრობის,
შენი ხიბლი და შენი ნყურვილი,
ქაოსი მღვრიე უსასრულობის,
აქ მეტად ბევრი სიმშვიდე სუფევს,
სინათლე მეტი, მეტია სითბო,
სივრცე კი სუფთა, იმდენად სუფთა,
რომ საკუთარ სულს ვუყურებ თითქოს.

შენს ტანჯვად ვიქცე, მზექალო,
ცრემლად აგესხა თვალებსა,
ხშირ-ხშირად გადაგეფარო,
როგორც ღრუბელი მთვარესა.
ხან ნისლი ვიყო, მხედავდნენ,
შენს მკერდზე მწოლიარესა,
ფიქრით უნდა დაგვალო,
ჩემთანა ჰლევდე ღამესა.
მეც ისევ დავრჩე მტირალი,
ვერც რა ჰქნას შენმა ალერსმა.
შენს ტანჯვად ვიქცე, მზექალო,
ცრემლად აგესხა თვალებსა,
ხშირ-ხშირად გადაგეფარო,
როგორც ღრუბელი მთვარესა.

მოდინ, დაღლილნი მოდინ,
წყლისპირას ლოდებზე სხდებიან.
იმათგან ცოცხალი ზოგია
და უმრავლესობა მკვდრებია —
არ ჰგვანან კრწანისის მეომართ,
კრწანისის ლომები სხვებია.
ჰკვნესიან, ნისლები ჰფარავენ,
ბორგავენ, ნისლიდან ჩნდებიან,
ადიან, ცად იკრიფებიან,
ცად ვარსკვლავებივით სხდებიან.
ღიაა სულეთის კარები,
მიდიან, მოდიან, ჰქრებიან.
არ ჰგვანან კრწანისის მეომართ,
კრწანისის ლომები სხვებია...
რას დამდევთ, აჩრდილნო ღამისა,
ამ მწუხრში დახვალთ და წანწალებთ,

რად ბორგავთ, ვის რატომ ემდურით,
ან ჩემზე რადა ხართ გამწყრალნი —
ხომ გხატეთ, ვის როგორ შეგფერით,
ვის როგორ თავ-თავის სახელით,
რას შევებით, რამდენიც ავინთეთ,
იმდენი ჩამიქრეთ სანთელი.
სხვა ღონე, სხვა ძალა არა მაქვს
თქვენს სახეს მოვფინო ნათელი.
ღიაა სულეთის კარები,
მიდიან, მოდიან, ჰქრებიან...
არ ჰგვანან კრწანისის მეომართ,
კრწანისის ლომები სხვებია.

ივახშმეს...
ქალი აგრძელებს წუნუნს...
ვერ გათბა,
ცეცხლმა დაკარგა ძალა.
ბებერი კატა მუხლებზე უწევს
და კატას ხვრინვა ვერ აუკრძალა.
მარტოა, მარტო,
ფიქრებთან ბრძოლა
ძნელია, მაგრამ მაინც აგრძელებს.
ჩამოიყოლა სიცივე თოვლმა,
ჩამოეჭირხლა თეთრად ფანჯრები
და ღმერთმა უწყის
გული რას უგრძობს...
მოისხა შალი, შექმული ჩრჩილით
და მკერდზე ცერად გაფენილ ძუძუს,
გადაეფარა ღრუბლების ჩრდილი.

მადლობა, დამბადებელო,
ნაკლულს რომ მავსებ შენითა,
ხორცს სინანულით მიმოსავ,
სულს მილამაზებ რწმენითა,
შენის საუფლო ყვავილებს,
მეც ხშირად ვკვებავ ცრემლითა.
მადლობა, ყოველთმპყრობელო,
სამყაროების მამაო,
რომ იმათ ბაგაზე მამამ,
ვისაც მადლითა ჰწამავო.
ბევრჯერ გამიფრთხო სიზმარი,
ცით ჩამომდგარმა ხმამაო,
სანთლების შუქთან მიმდგარი,
სანთლის მათრთოლა აღმაო,
არც ჭირის, არც სინარულის
აღარ მჭირდება მალვაო...
მადლობა, დამბადებელო,
ნაკლულს რომ მავსებ შენითა.




ვიგლოვე, ჯანლით კალთები
არ დაიმძიმა ზეცამა.
ვერ ჩამოშალა კლდეები
მეტად ვერც ჩემმა კვნესამა,
ვერც რა ჰქნა მთვარის სტუმრობამ,
ვერც სიარულმა მზესთანა,
ჩამომდნარ სანთელსა ვგავარ,
ლანდს მიყუდებულს კლდესთანა.
ჩამშალა ცრემლის მდინარემ,
დამადნო, დამაბეჩავა,
ახლა ბუბუნი მნადია —
მხრებს ვბერტყავ, ვინევ განზედა,
ავვარდე, როგორც გრიგალი,
ნიადაგ ვიდგე შარზედა.
სულ მუდამ ვიდგე სურვილზე,
ნისლივით ამომლაზედა,
არც არეინ უკან მომდევდეს,
არც არვის გავყვე კვალზედა,
სადაც მსურს ჩამოვიძინო,
როგორც ნიბლიამ ნარზედა
სხეულსაც ვიცვლი გველივით,
უარს ვაცხადებ ჭარზედა.
არაფრის შიში აღარ მაქვს,
ფიქრს — გადაფენილს ცაზედა.

ცოტა მაქვს, ცოტას ვჯერდები,
ბევრის არა ვარ მდომელი,
არა ვარ მგელი, ყორანი,
ხარბი და გაუძლომელი.
საბალახოდაც ფიქრი მაქვს,
ფიქრისავე ვარ მძოვნელი,
თვალი სულ გზებზე მიჭირავს,
მუდამ ვილაცას მოველი,
არც სიყვარული მაკლია,
დარდი მაქვს აუწონელი.
სუყველა მიყვარს, რაც სუნთქავს,
გველიც — მინაში მძრომელი.
სიცოცხლეს მიყვარს, სიკვდილიც,
სამზეო განუზომელი.
ცაზე ვარსკვლავნი, ძირს მინა
მადლით მკვებავენ რომელნიც,
მზე, მთვარე, ქარი, ნისლები,
ჩემი ცრემლების მწოვნელნი.
ცვარი ასხმული ბალახზე
მალაღებს, ვტკბები ცქერითა,
როგორც მინაზე ვარსკვლავნი
გასხმულნი უფლის ხელითა,
ხან ყინვა მაზრობს,
ვინვები
ხან ამინდებით ცხელითა,
ხან ვინროდ მიჩანს სანუთრო,
სამყაროებით ვრცელითა.

ხან ნათელი ვარ მზესავით,
ხან დაფარული ბნელითა,
ხან თითქოს მთელი სამყარო
მე მიკავია ხელითა...
არვის ვვნებ ჩემი ცად ასვლით,
არც ვინმეს ჩამოქცევითა,
თუ რამე მტკივა, სხვას არ ვთხოვ,
მე თვითონ ვკურნავ ცრემლითა.

ავიკვიატე ერთი სიტყვა —
აღარ მომწონხარ...
რადგან ამ სიტყვის შინაარსი
სრულად გადმოსცემს მოძრაობას
ჩემი შინაგანი სამყაროსი.
აღარ მომწონხარ,
განზე ვდგები და შორიდან ვათვალიერებ,
ნუთუ ამ ფერით შეიძლება სურათის
ნერა?!
ამ ღარიბ ფერით გამოვხატო გრძნობა,
გულის კედლებიდან რომ ჟონავს
და გონების საზრდოდ მოედინება
ჩემი დაფლეთილი ძარღვებიდან.
მე სიზმარში ვარ და როგორ მინდა —
ყოველ შემთხვევაში ვცდილობ
ამ განწყობით არ გამეღვიძოს,
რადგან მთელი დღე
დაღრუბვლილს მომინევს ყოფნა
და არანაირ სიყვარულს,
რამდენჯერაც არ უნდა ვთქვა —
მიყვარხარო,
არ შეუძლია ჩემი განწყობილების
გამოკეთება.
არადა, მართლა მიყვარხარ,
ყოველგვარი აკვიატების გარეშე.
არადა, რალა ჩემი ყოფნის მიმწუხრისას
ჩამომჩრდილა ამ მეტად არასასიამოვნო
სიტყვამ:
აღარ მომწონხარ...
რომ იცოდე, როგორ ვწუხვარ!
ყველაფრის პატიებას შესძლებდი,
იმისასაც კი, რომ გუშინ საერთოდ არ
გამხსენებხარ.





ვაჟა ხორდღეი

„შიში ფახის ნვაჩაზა ღაღის“...

იყო და არა იყო რაო, ხომ იწყება ასე ყველა ზღაპარი... ჰოდა...

ასე იყო თუ ისე იყო, ელეფთერ თანგული, ამ წინების მოწვევაზე, პარლამენტის წევრი გახდა...

„კაი გვარიანად კი დამიჯდა მთავრობის კაცობაო, თუმცა, იყოს ესეც, რა იცი, რა ხდება, ეგება რამეში-რამე საქმეზე ოდესმე მაინც წამადგესო... თორემ ახლა... ჰო, ახლა, ფული მე არ მაკლია და ქვეყნიერების ყველანაირი სიკეთეო“.

— ძალიან შინაურობაში წამოცდენია ეს სიტყვები ელეფთერს.

მეუღლე, ქალბატონი ელეონორა, მაინცა და მაინც, დიდი აღფრთოვანებით არ შეხვედრია ქმრის გამთავრობისკაცობას, ის კი არა, სხვის ყურსა და სასმენელს რომ არ გაეგონა, ერთი-ერთზე რომ დარჩენილან, მოურიდებლად, ქმრისთვის პირში მიუხლია:

— რა უნდა გააკეთო ახლა შენ პარლამენტშიო? სხვისი თუ არა, ჩემი თუ არა, საკუთარი თავის მაინც არ უნდა გრცხვენოდეს, „ვეფხისტყაოსანი“ ერთხელ არ გაქვს ბოლომდე წაკითხულიო? ჰოდა, შენ რისი კანონმდებელი უნდა იყოო?! მეტი არაა ჩემი მტერი, შენიდან და

შენნაირებიდან რაიმე სახალხო კანონმდებლობა გამოვიდესო!.. მეხი კი დაგაყარეთო!..

— ქალო, ვინც ჩემწინ და უკან იყვნენ და არიან სიებით გაპარლამენტარულები, როგორ გგონია, რომელიმეს, ის რალაც „ვეფხისტყაოსანი“ ბოლომდე აქვს წაკითხულიო? არცა მგონია და არცა მჯერაო!.. და მე თუ მკითხავთ, რა საჭიროა „ვეფხისტყაოსნის“ წამკითხველი და მცოდნე პარლამენტშიო, ეგ რა, უმალლესი სასწავლებელი ხომ არ გგონიაო!.. მე, გენაცვალე, უმრავლესობა მქვია, ქვევრში ვზივარ და რასაც ეშმაკი ჩამომძახებს, იმას ამოვიძახებო!.. ძალიან გარკვევით მითხრეს, ჩაჯექი სავარძელში და ფეხი არ მოიცვალოო! არ დაგავინყდეს, შენ მანდატის ანეე-დანევა გევალებაო! დიახ, ასე მითხრეს, ასე ჩამომძახებს და სხვას და სხვანაირს როგორ ამოვიძახებ, მე ხომ ჭურში ვზივარ!.. ჰო, ისიც მითხრეს, ენის ტლიკინი, აქ ნათქვამის და მოსმენილის გარეთ გატანა ნურას უკაცრავადო, იქედან აქეთ თუ რამეს შემოიტანთ, მაგაზე მაღლობელი დაგრჩებითო... ჰოდა, შენ კიდე მეუბნები, „ვეფხისტყაოსანი“ ბოლომდე არ წავიკითხავსო! ვის რა ჩემ ფეხებად უნდა მაგ სიგრძე ლექსი... ისე, მე თუ მკითხავ, ეგ თუ მაგარი პოეტი იყო, მეორე რატომ არ დანერა, ერთ ლექსს რომ მიაჭიჭინდაო... ჰოდა, კიდე ისა, პარლამენტი ბირჟა კი არ არის, ყველამ რომ ენა ატლიკინოსო...

— რავა, კამათში არ უნდა მიიღო მონაწილეობაო? დისკუსიებში არ უნდა ჩაერთოო?.. სამეზობლომ და საახლობლომ, მტერმა თუ მოყვარემ ტელევიზორში არ უნდა გნახოსო? აზრის გამოთქმაში თუ ვერ წაეშველები პარლამენტარებს, ჩხუბში მაინც არ უნდა წაეხმაროო?.. თუმცა, რომც ჩაერთო, რა უნდა ქნა და რა უნდა აკეთო, „ვეფხისტყაოსანი“ ბოლომდე არ გაქვს წაკითხულიო! — ელეონორა, ქმრის „დასამარცხებლად“, ამჯერადაც „ვეფხისტყაოსნის“ ბოლომდე წაუკითხაობას მისწოლია.

— რა გამიჭირე საქმე შენი „ვეფხისტყაოსნით“, ჩამირთე კომპიუტერი და ორ სიტყვაში ამოგიკითხავ ეკრანიდან მაგის შინაარსსო!.. დღეს ვეფხის ტყავი ვისლა უკვირს, მთვარიდან ჩამოტანილი ბოტასებით დადიანო!.. ჩამირთე, ჩამირთეო! — უთქვამს გულმოსულად ელეფთერს და კომპიუტერს მიჯდომია.

...ასე იყო, თუ, ისე იყო, დღესაც არავინ იცის, ელეფთერ თანგულმა წაკითხა თუ არა „ვეფხისტყაოსანი“ ბოლომდე.

...თუმცა სხვა ბევრი რამეც არ იცის ხალხმა.

...ჰოოდაა!..

...ერთი მშვენიერი დღის (ამინდის მიხედვით!) მშვენიერი საღამო იდგა. ელეონორა სამზარეულოში ფუსფუსებდა... ელეფთერი პარლამენტიდან დაბრუნდა. „დიპლომატი“ „სამუშაო“ კაბინეტში დადო, ტანთ გამოიცვალა და ცოლს ისე „მძიმედ“ გამოეცხადა, კაცი იფიქრებდა,

პარლამენტის ცოდვა-მადლი ზურგიდან ჯერ არ მოუხსნიაო.

— გეშეება! — ელეონორამ სადილი შესთავაზა ქმარს.

— კი, კი! ნამეტანზე ნამეტანავად! ისეთი ამბავი იყო დღეს იქ, პოზიციაში და ნახევრად ოპოზიციაში ისე დასცხეს ერთმანეთს, დედა შვილს არ აიყვანდა და სასმელ-საჭმელი როგორ გამახსენებოდა? მაგის დრო სადღა იყო! — გულმტკიცვინეულად უპასუხა ელეონორას შეკითხვას ელეფთერმა და თან ოხშივარდადებულ მოთუხთუხე ქვაბს დაყნოსა.

— შენ რა ქენი, დუმილი ამჯობინე?

— დუმილი არა, მაგრამ ისეთი ხმაც არ ამომიღია, კაცს რომ შეშინებოდა!.. ანდა, რა უნდა მეთქვა! იქ მტყუან-მართალს ვერ გაარჩევდა კაცი!.. გიჟი მიუშვი ნებასაო, თვით შეეყრება სნებასაო!.. ასე ამბობდა ხოლმე ცხოვრებული ბაბუაჩემი, ჰოდა, ვუყურებდი მეც „გიჟებისა“ და „ჭკვიანების“ დაკადაკას...

— სულ ჩუმად იყავი, კაცო? — არ მოეშვა ცოლი პარლამენტარს.

— არა! ხომ გითხარი, ისე რა-თქო! მერე კულისებში ჯერ ხმამაღლა შევუტეე ზოგიერთებს, რა თქმა უნდა, უჭკუო ოპოზიციონერებს, მერე მკლავებიც დავიკაპინე, აჰა!

— მერე, მერე? კულმინაცია შედგა?

— რა მერე! რა კულმინაცია! ტელევიზორში პირდაპირი ჩართვა არ იყო და ისე რა აზრი ქონდა ჩემს ქინძამს! გავჩერდი...

— კაი, ბატონო, დაგიჯერე, პირდაპირი ჩართვა არ იყოო, მარა ისე ჩართვა ხომ იყო! არ უნდა დაგავინყდეს, ვიდუოთვალის კამერებიც აყენია ყველა კუთხეში! კიდევ ერთხელ გიმეორებ, ქვეყანამ თუ არ დაგინახა, ისე რა ბედენაა შენი პარლამენტარობა!.. კარგად დაიმახსოვრე, სადაც კი დაინახავ ტელეარხების ოპერატორებს, იმ წუთასვე ფინია ძაღლივით გაებლანდე და გამოებლანდე ფეხებში! ერთხელ ხომ მაინც მოხვდები კადრში! გინდაც კურიოზი იყოს, არა ვჩივი!.. კარში ველარ გავსულვარ, სილამაზის სალონთანაც ველარ გამივლია, მეზობლები და ნაცნობები კუთხე-კუნჭულ ეჭორავებიან ერთმანეთს, მაგის ქმარი ისეთი პარლამენტარია და კანონმდებელი, როგორც ჩვენ ჩინური ენის სპეციალისტებიო!.. მიშველე რამე, ქენი რაღაცა, სხვას თუ არა, საკუთარ ცხვირს მაინც შეასხი ჭიქა „ბორჯომი“... იცოდე, მეტი აღარ შემიძლია!.. — სახეზე მოდებულ ალებს ხელის ქნევით „იცილებდა“ ელეონორა.

...ბარე ორი „სპექტაკლი“ დაიდგა ამ თემაზე თანგულების ოჯახში.

„ვიზამ რაღაცას! ისეთს... უცნაურს! „ბორჯომს“ თუ არა, ლაფს მაინც დავისხამ თავზე! ღომის ლაფსო!“ — ერთხელ ასეც კი უხუმრია პარლამენტარს.

...დრო მიდიოდა. უკან მოუხედავად გარბოდა, მაგრამ ელეფთერისთვის არ გარბოდა.

პირიქით, პარლამენტარს ეჩვენებოდა, რომ დრო იდგა.

„ნეტა მალე გავიდეს ეს თვეები, ნახევარი წელი, ერთი წელი... ჩამოიცალოსა და ჩამომთავრდეს საპარლამენტო „ხვიმირა“, გამოვიქცე იქედან, მეც დავისვენო და ცოლმა და მეზობლებმა ხო და ხოო... ჩემზეა ნათქვამი, მამა მყავდა ხაბაზი და ნალბანდობას რა მრჯიდაო...“ — ფიქრობდა დღეცისმარე ელეფთერი და თავბედს იწყევლიდა, ეს რა დღეში ჩამაგდო ამ „მთავრობაში“.

...დრო დროით მიდიოდა.

...ერთი დღეც იყო, ელეფთერი შემართული წავიდა რიგგარეშე საპარლამენტო სხდომაზე დასასწრებად. დღეს მაინც ვიტყვი რაღაცას, კარგი თუ არ გამოვა, ავს ხომ დაარქმევენ სახელსო, მარა, ნურას უკაცრავად!.. სიტყვა რომ მოითხოვა, პიჯაკში ჩამოქაჩეს, დაჯე, ბიჭო, შენი მოსაზრება აქ ვის რაში ჭირდებაო... კი ეწყინა ელეფთერს კოლეგების ასეთი ქმედება, მაგრამ რა ექნა, კამათი და ჩხუბი რომ აეტეხა, იტყოდნენ, უმრავლესობაში განხეთქილებაა, გასაყოფი ვერ გაიყვეს, ერთმანეთს დაერივნენო და არ ივარგებდა... გაჩუმება ამჯობინა, სიჩუმეს ამჯერადაც ისე ამოეფარა, არავის არაფერიც არა გაუგია რა...

...წინა თვის ბოლო პარასკევს, ეს უკვე მერამდენეჯერ, საერთოდ არ დაანებეს ფეხზე წამოდგომა, რით ვერ გაიგე, შენი აზრი აქ რომ არავის აინტერესებსო... ვერ უნდა მიხვდე, დღევანდელი სხდომა და საერთოდ პარლამენტის „ცხოვრება“ ვის ეკუთვნისო? ასე ბრიყვი ხარო?.. ამ სკამზე რომ დაგსვეს, დარიგება არ დაგაყოლეს ზევიდანო? მეორედ არ ქნა ასეო!.. — კაი გვარიანად დატუქსეს ელეფთერ თანგულს.

...დრო დროით მიდიოდა.

...სახლში ცოლისგან და მთავრობაში „პარლამენტარ-კოლეგებისგან“ შეურაცხყოფილ თანგულს, გამთავრობისკაცებამდე სალსალამათმა გულმა ტკივილები დაუნყო. ერთი დღეც იყო, ელეფთერი სტაციონარში აღმოჩნდა ჰაერის უკმარისობის დიაგნოზით...

...მნახველები და გამამხნეველები არ აკლდა ელეფთერს.

...სტაციონარის მესვეურნი ცივ ნიავს არ აკარებდნენ პარლამენტარს, აქაოდა დიდი და საპატიო, ღრმადპატივცემული კანონმდებელი პაციენტი გვყავსო.

...კვირის თავზე, ელეფთერი ცოტა რომ მომჯობინდა, წინა და გვერდითა პალატებიდან პარლამენტართან სტუმრობა გაჭირვებულმა თუ უკვე „დაღბინებულმა“ პაციენტებმა დაიწყეს... შემოდინდნენ ორ-ორად, ხან სამ-სამად, რამდენჯერმე მთელი „არმია“ ჩამოუჯდა საწოლის ირგვლივ... დაუპატივებელ სტუმრებს ამით ჯერ ის იყო, რომ დრო გაყავდათ, მეორეც ის, რომ ყველას აინტერესებდა, თუ რა ხდებო-

და მთავრობაში, რას და როგორ ფიქრობდნენ კულისებში ხალხის გაჭირვებულ და დაქცეულ ცხოვრებაზე, მეზობელ ქვეყნებზე... და იმ-აზეც, ძალიან მთავარზე, დემოკრატიას მართლა ვაშენებდით, თუ ამისთვის „ცემენტი და ბლოკი“ არ გვყოფნიდა... და კიდევ, ათას წვრილმანებს ეკითხებოდნენ პატივცემულ პარლამენტარს.

ზემოთ ხსენებული სტუმრების კითხვებზე პასუხების უმეტესობას ელენორო იძლეოდა... ბოლოს საქმე იქამდე მივიდა, რომ პარლამენტარის მეუღლეს დალილობა დაეცყო, მაგრამ, თავი რომ არ შეერცხვინა, გამოსავალი უმალ მოძებნა, მთავარ ექიმს ორ-სამჯერ, პალატის ექიმსა და მედას მგონი ათასჯერ ათქმევინა პალატის მიმდებარე „ტერიტორიაზე“ სხვათა და სხვათა გასაგონად, ამ კაცის დატვირთვა, ამ ეტაპზე, ასეთი მტკივნეული საკითხებით, ყოვლად დაუშვებელიაო, გული ვერ გაუძლებსო და „სტუმრებიც“, რალა ძალა ჰქონდათ, ნელი-ნელ გაერიდნენ პარლამენტარს.

მესამე კვირამ კუდი რომ მოიქნია, ელენეთერი მთავრობის სხდომებს დაუბრუნდა... დაუბრუნდა და აიშვა ისევ ელენორომ — დღე-დილა ერთი იყო და ნასისინება თუ წაგულიანება ათასი: ხმა ამოიღე, საკუთარი ხმა! ქვეყანამ დაგინახოს, რომ მართლა პარლამენტარი ხარო!.. ხალხის ნამდვილი მსახური ხარო!..

...ამ მიძახილებით მიდიოდა პარლამენტის შენობისაკენ პატივცემული ელენეთერი, მაგრამ რა, კედელს გინდა ცერცვი შეაყარე, გინდა ნაცარი, არაფერი არ გამოვიდა!... ერთი მომენტი ვერ მოიხელთა, აი, ისეთი, პირდაპირი ჩართვა რომ ყოფილიყო ტელევიზიებით და რალაც სიტყვა ეთქვა, თუნდაც სულელური და მიუღებელი, გნებავთ სასაცილო... ხან თავისთავად ჰქონდა ენა და ფეხი შებოჭილი, ხანაც „თანაგუნდელები“ ბლოკავდნენ.

ერთ საღამოსაც, როცა ცოლის მორიგი შეტევა მოიგერია ელენეთერმა, მაგიდას მიუჯდა და საგონებელში ჩავარდნილმა, აქა-იქა შემორჩენილ ფიქრებს „ხელი მიატანა“ და უცბად სახე გაუნათდა... გაუნათდა და მერე როგორ!

„ეტყობა, ბოლომდე განწირული არ ვარ და არ ვყოფილვარ! კარგია! ეს უკვე ძალიან კარგია! აწი მე ვიცი და ჩემმა ბიჭობამ! ვნახოთ ვინ არის და ვინ იქნება ხალხის რჩეული, მე თუ თქვენ! სიით მოხვდაო, ამასაც ხომ ვეღარ წამომადახებთ! ეს მარტო მე უნდა ვიცოდე! საკუთარი თავის სამარე უნდა ვიყო!“ — ამ „რალაც“ ახლის „აღმოჩენით“ საბანქვეშ გაეხვია ელენეთერ თან-გული.

...დილით, სისხამზე, ელენეთერი უკვე ეზოში, კალათბურთის მოედანზე ვარჯიშობდა, თან ნუხანდელ „აღმოჩენას“ ისე უკირკიტებდა, უჯრედი აღარ დაიტოვა თავის ტვინში, რომ არ შეენუხებინა და შეკითხვა არ მიეცა, ამას რა მოყვება, საქმე როგორ განვითარდებო... ელენოროსაც გადაედო ქმრისაგან დი-

ლის სპორტული „მოთელვები“. ერთი კი იყო, დიდი უკანალის გამო შარვალს ვერ იცმევდა, ამიტომაც საგარჯიშოდ ძირს ვერ ჩადიოდა, ღია ფანჯარასთან იდგა და ჩაბუქვენებით სიქას აცლიდა მუხლებს...

...ძალიან ადრინიც არ ეთქმოდა, ელენეთერი სახლიდან რომ გავიდა. დღეს სხვა გადაუდებელ საქმეზე მივდივარ უმადლეს სასამართლოში, დაუბარა ცოლს... სასამართლოში რა ჯანდაბა გინდაო, რომელი მოსამართლე და ვექილი შენ მყავხარო, კი ჩამოაძახა კიბეზე ქმარს ელენორომ, მაგრამ პარლამენტარს არა გაუგონია რა.

ელენეთერ თანგული თეატრონის მაღაზიას მიადგა. იქვე გააჩერა მანქანა, ჩამოქვეითდა და ქუჩას გახედა. ჯერ ადრე იყო. მაღაზიის გაღებამდე ნახევარი საათი მაინც იყო საჭირო.

თანგული ქუჩაში, კედელზე ჩამოკონწი-ალებულ გაზეთების ასაკვე ვიტრინასთან მივიდა. პრესა ჯერ შორიდან დაათვალიერა, მერე რამოდენიმე ყურნალი გადაფურცლ-გადმოფურცლა ზრდილობის გამოსახატავად. ზემოთა „დახლზე“ ფერადი, უცხოური გაზეთი მოეწონა, გადმოაღებინა, შეაბრუნა, შემოაბრუნა, გადახსნა შუაზე და, უცბად რას ხედავს, ათასნაირი პარიკების სურათებია დაბეჭდილი მთელ გაშლილ გვერდებზე! იმდენი პარიკია, კაცო, თვალი რომ გაუძლება კაცს!.. აჰა! აქეთ — ქალების, იქეთ — მამაკაცების! ბავშვებისაც კი! უყურა და უყურა! მერე თავის თავს ჩაუღალა-პარაკა: „ელენეთერ ბატონო, ეს გაზეთი შენთვის ხომ არ დაბეჭდეს პერსონალურად? რა საოცრებაა, თუ უბრალო დამთხვევაა — ნუხელ მეც ხომ პარიკები „გამომეცხადა“!.. ჰოდა, კეთილი და პატიოსანი!.. ნახე, კაცო, ნახე, ვაა! ერთი კაცი ასნაირ კაცად იქცევი ამ პარიკებით — თეთრი უღვაში, შავი უღვაში... თეთრი თმა, შერეული ჭალარა... „ლაშინირებული“ თმებიც კია, შენ წარმოიდგინე, კაცო... ახლა მე ვიცი... კი... კი, მე ვიცი, ცოლისა და მეზობლებ-ნათესავების ყბი-დან ხომ ამოვალ და ამოვძვრები, იმათ ოხტში მთლად გავიჯეჯილებ, აი, იმათში, კოსტიუმის „კუდში“ რომ მექაჩებინან, დაჯე, კაცო, დაჯექიო“...

...ტროტუარი თან და თან ივსებოდა — ამ-ველელი ადიოდა, ჩამვლელი კიდევ — ჩადიოდა, გამჩერებელი კიდევ ჩერდებოდა!..

ელენეთერს მოეჩვენა, დრო გაიჭიმაო, მაგრამ ასე არ იყო, „თეატრონის“ კარი თავის დროზე გაიღო.

პირველი არა, მაგრამ მეოთხე კლიენტის „სტატუსით“, ელენეთერი მაღაზიაში შებრძანდა.

თანგულმა თვალი ჩამოატარა მაღალ ვიტრინას და გუნებაში თქვა: ცხოვრება საინტერესოა!..

— რას ეძებთ, ხომ არ დაგეხმაროთ? — ლამაზმა გოგონამ დახმარება შესთავაზა ელენეთ-

ერს.

- თუ შეიძლება პარიკები მაჩვენეთ.
- ორივე სქესის?
- არა, მამაკაცის.

— აი, ინებეთ! ვარიანტები ბევრი გვაქვს! ესკიზები თუ გაქვთ, უმოკლეს დროში დაგიმზადებთ კიდევ!

„რამოდენიმეს ვიყიდი... აქ ხომ არ გავიზომავ და გავისინჯავ, რომ ისეთმა ვინმემ დამინახოს, აი, ისეთმა, „საპარლამენტო“ გზაზე რომ დაიარება, არ იტყვის, ამ თმიან კაცს, ეს რაში სჭირდებაო?.. შეიძლება ვიდეო თვალითაც კი დააფიქსირონ... ჭკუა უნდა საქმეს... ანგარიშფაქტურასაც გამოვანერინებ, რაიონში მიმაქვს სახალხო თეატრისთვის-თქო, ამ სიტყვასაც დავაყოლებ... კი, ასე ჯობია საქმისთვის, სულ უნდა ახსოვდეს ჭკვიან კაცს, რომ უშუალოდ არ სძინავს...“

...ელეფთერ თანგული ისეთი „ნასიამოვნები“, ისეთი „ამალღებული“ გამოვიდა „თეატრონიდან“, კაცი იფიქრებდა, ეს ესაა, რაღაც ათ ლარად მილიონი მოიგო სახალხო ბანკის მიერ წამოწყებულ ლატარიაში.

„არა, ამას სახლში არ ავიტან... „გარაჟში“ შევინახავ... არა, შენახვამდე ჯერ მოვიზომავ, მოვისინჯავ, რომელი აჯობებს, რომელი მომიხდება... ძალიან უნდა გავდეს ნამდვილსა და რეალურს... ჰო, ისიც გასათვალისწინებელია, რომელი უფრო მომცემს პარლამენტარის, აი, ჭკვიანი პარლამენტარ-კანონმდებლის შეხედულებას... კი, კი, ისეთი უნდა იყოს, გამჭრიახ დეპუტატს რომ შეშვენიის... აჰა, ის რათ ვარგა, ფშუტურო მაჟორიტარ-დეპუტატის სახეს რომ გავდეს... ჯერ სახელი გაუსინჯე — მაჟორიტარი! მე ეს სახელი სულაც ცირკის ფონგლიორს მაგონებს!..“

...ფიქრი არც კი ჰქონდა ჩამომთავრებული ელეფთერს და მისი საცხოვრებელი კორპუსიც გამოჩნდა.

„მოვედი, ერთი სული მაქვს, ვის დავემსგავსები — ნამდვილ პარლამენტარს თუ თალღითსა და აფერისტს...“ — ერთი პატარა გაფიქრება კიდევ გაივლო გულში და მანქანაც გააჩერა.

მანქანა კი გააჩერა ელეფთერმა, მაგრამ სხვა ფიქრი წამოუხტა! ჰო, წამოუხტა!

„ბიჭო, თანგულო, ახლა, სახლში რომ ასე უცბად მიბრუნდები, რაღაც ნახევარ საათში, არ გეტყვის ცოლი, აკი უმაღლეს სასამართლოში მიდიოდიო? რას შვრები მერე! რას შვრები!.. მოიცა, მოიცა, როგორ თუ რას უშვრები, მეც კაი ვინმე ვარ! ვეტყვი ელეფთერას, გზაზე დამანიეს ზარი, ბოდიში მომიხადეს შეწუხებისთვის და ზედაც დააყოლეს, ის საკითხი ზეგისთვის გადაიდო სასამართლოშიო!.. ამას როგორ არ დამიჯერებს! უფრო იმედინად რომ ვიყო, მობილში შემოსულ ზარებსაც ამოვყრი!.. ხომ ვარ მაგარი ბიჭი? ვარ!“ — თავის თავს თავი დაუკრა ელეფ-

თერმა, მერე მანქანა „გარაჟში“ დააბინავა, კარიც საგულდაგულოდ მიხურა, ავმა და უცხო თვალმა არ შემოიხედოსო, მერე კი ცელოფანის პარკს წამოაწყო ხელი...

...ელეფთერმა, მოგეხსენებათ, წინდახედული ქალი იყო. ყველაფერი „კინ-კინ“ უყვარდა; ამიტომაც იყო, ქმარი გაუპარლამენტისწვერიანდა თუ არა, ავტოფარეხში საკმაოდ დიდი, კაცი თავით-ფეხებამდე რომ ჩატეოდა, ისეთი სარკე ჩამოაკიდებინა ქმარს — მანქანაში ჩაჯდომის წინ, თავი „გაიპრავებო“, პიჯაკი, ჰალსტუხი, შარვალი შეიმონმეო... ისე არ გამოგივიდეს, ერთხელ ქორწილში რომ წავედით და შუა ქეიფში ცეკვის დროს რომ შევამჩნიეთ, უფრო სწორად ახლობლებმა რომ მიგვანიშნეს სხვის სიცილზე, სხვადასხვა ფეხსაცმელი გაცვიოაო...

...ჰოდა, სწორედ იმ სარკის წინ იდგა ახლა თანგული და პარიკებს ირგებდა.

„ნახე, კაცო, ნახე! ამ პარიკში რა ბიჭი ვარ, აუჰ!.. არა, არა, ეს ჯობია!.. თუ ეს?.. თუ ის?.. რა ვიცი, კაცო, თითქმის ყველა მიხდება!.. მოიცა, მოიცა, აჩქარება არ ივარგებს, დრო იმდენი მაქვს, სად „დავხარჯო“ არც კი ვიცი... ჰოო, ეს ჯობია ყველას!.. საქმეს ეს უფრო მოუხდება!.. ეს ისეთ სერიოზულს მხდის, აი, ამერიკულ, გენბავთ ფრანგულ კინოებში რომ არიან სახელმწიფო უშიშროების აგენტები! კი, ისეთია!.. შევთანხმდეთ, ბატონო თანგულო, აი, ეს, ჭალარაშერეული თხელი თმები, უკან, პიჯაკამდე ჩამოგრძელებული!.. ამას თხელი ქამელეონის სათვალეც მოუხდება... აგერ მიდევს მანქანის სალონში... საათივითაა აწყობილი ყველაფერი!.. ამას მაინც არ უნდა თავყრილობა და კენჭის ყრა! აქ მე ვწყვეტ ყველაფერს!“ — საბოლოო გადაწყვეტილება მიიღო ელეფთერმა, ამორჩეული და საასპარეზო პარიკი სათვალესთან ერთად სათადარიგო საბურავის ქვეშ ამომალა, სხვები საგულდაგულოდ საკუჭნაოში მოინაცვლა და ოჯახს დაუბრუნდა.

ელეფთერამ სანამ გაკვირვება გამოხატვაში გადაიყვანა, თანგულმა დაასწრო:

— ძვირფასო! გზიდან დავბრუნდი! დამირეკეს, ათასიბოდიში მომიხადეს, რომ საქმე, რომლის განხილვაზეც მე მივდიოდი, ზეგისთვის გადაიდო!.. ჰოდა, ძალიან კარგი! დღეს ცოტას დავისვენებ სახლში, თუმცა რას დავისვენებ, წასაკითხები წამოვიღე პარლამენტიდან, ხვალ-ინდელ სხდომას ეხება! ერთი სიტყვით, დღეს სახლში ვარ! საღამოს, გენბავს, სადმე გავიდეთ! — ელეფთერმა დინჯად ჩამოამთავრა სათქმელი და მერე „კაბინეტს“ მიაშურა!

ელეფთერამ ერთი კი გადააქნია თავი, ეჭვისკენაც გააპარა თვალი, მაგრამ ხმა არ ამოუღია, ისევ სამზარეულოში საქმიანობას მიჰყო ხელი...

„...ესეც ასე! დაჯექი ახლა, ბატონო პარლამენტარო, გახსენი ტვინით სავსე „ზარდახშა“ და დაანყვე და დაალაგე საქმე და საქნარი! ერთი

წუთითაც არ უნდა დაგავინწყდეს, პარლამენტის შენობაში ისეთ რამეს ჩადიხარ, შეიძლება ციხესაც კი „გამოკრა“ ხელი!.. მეც კაი ვინმე ვარ! ციხეს კი არა, ციმბირისკენ გზა გვაქვს გადაჭრილი, თორემ ისიც აქეთ დამრჩებოდა!.. მარა, ჩემი ვაჟაცოცობა შეიძლება ღირდეს ციხედ! მერე მაინც გაიგებენ, რა მჭირდა ადრე და რა მჭირს ახლა, ასეთ რამეს რომ ჩავდივარ!.. ამომივიდა ყელში იქ, იმ დასაწყევლის კულუარებში ჯდომა და აქ, სახლში კიდევ ცოლის ვაიქოთი ჩემს უნიათობაზე, ინერტულობაზე, ვითომდა უმოქმედობაზე!“ — ისე ატრიალებდა ფიქრებს, ისე ებრძოდა „ზარდახშაში“ გამოკეტილ „საკუთარ ტვინს“ ელფთერი, ისეთი საგონებლის გზას ადგა, გულის საშუალებების აბებიც კი გადაყლაპა და გადაუძახა.

...გარეთ უწყინარი დღე იდგა.

...თანგული ახლა ბოლთას სცემდა, თან აზუსტებდა და ალაგებდა, „ზომა-წონაში“ მოყავდა ხვალინდელი „საქმიანობის“ დეტალები და ნიუანსები.

„ჰო, ეს ყველაფერი კარგია!.. შავი ფუთა... არა, ცელოფანის პარკი! შიგთავსი სიმძიმე... პური, ყველი და კიდევ რაღაც... ოთხკუთხედი პური ჯობია... ქვის პურსაც არა უშავს... კიდევ ისა... ჰო, კაი და... საერთოდ რაც კი ამ საქმეს ეხება ყველაფერი ხელთათმანების თანხლებით უნდა მომზადდეს და შესრულდეს! არანაირი ანაბეჭდი! ყველაფერი რომ ჩამთავრდება, ჩვენი უშიშროება მერე დაიწყებს გამოძიებას! იმდენს კი იფიქრებენ და იტყვიან, რომ გარედან შემოსული კაცი თუ იზამდა ამ საქმეს, თორემ აქ, უმცირესობაშიც და უმრავლესობაშიც იმდენი მოუხერხებელი და უტრაკო დაიარება, ამ საქმეს ვინ და როგორ მოიფიქრებდაო!.. მარა, ხომ გამოჩნდა მომფიქრებელი და „ისპალნიტელნი“... ვერე არ არის, ძმაო! ვილაცას ჭკუაც აქვს და ტრაკიც!.. ჰო, ისა... ჩემს ცოლს რომ გონია, პატარა კაცი ვარ, მშობარა ვარ, ამის მერე ნახოს, ვინ არის იქ სარდალი და გიორგი სააკაძე!.. მიდი, მიდი, თანგულო, საგმირო საქმეს ადგახარ და თავი არ დაიზოგო!.. ისტორიაში დასარჩენად ერთმა უგვანო დაბდურმა ყარაულმა რომი გადანვა თურმე! არა, შეიძლება რომი არც იყო, ვცდები, მაგრამ რაღაც და რომელიღაც ხომ გადანვა!.. აი, ისა... დღევანდელი ვითარება-სიტუაციიდან გამომდინარე, არანაირად არ ვეთანხმები ერთი გურული წარმოშობის, ჩემის აზრით, გენიალურ პოეტს იმაში, რომ წერს: „ისტორიაში წვალებით შესვლას, ჯობს მშვიდად შეხვიდე სახლშიო“... ამას გურული რომ ამბობს, ის მიკვირს, ისინი ხომ მთელი ცხოვრება ერთ ამბავში არიან, ოღონდ ისტორიაში მოხვდნენ, თორემ რაჭველს რომ დაენერა ეს სტრიქონები, სულაც არ გამიკვირდებოდა... ხედავ? რამდენი რამე ვიცი, ამხანაგო ცოლო? რომ გამიჭირე საქმე შენი „ვეფხისტყაოსნით“, ამ ეტაპზე მადგება რამეში, თუ?... „ვეფხისტყაოსანი“ არა, ისა! კაი,

კაცო!“ — ელფთერმა ხელები მოიფშენიდა და ერთხელ კიდევ „გადახედა“ ხვალინდელ „სამუშაო“ გეგმას.

ელეონორამ ყავა მიართვა პარლამენტარს...

— დიდი ამბავი იქნება ამაღამ საყველიეში! — თქვა ცოლის გასაგონად ელფთერმა და ფანჯარაში გაიხედა.

— სადაო და რა ამბავიო? ხდება რამე? — გაიკვირვა ელეონორამ.

— აი, აბრაგის კინოში რომ არის, სოფელ საყველიეში დათას რომ უნდა დაეცნენ, ვილაცის სახლში რომ იმალებოდა, კაცო... ნიკანდრო ქილია რომ მივა ჩაფრებით... იმის მიხედვით, იქედან გამომდინარე ვთქვი რაღაც, მიმგვანებული...

— რავე მიკიბულ-მოკიბულად მელაპარაკები, რა გჭირს, კაცო!

— რას მიქვია მჭირს! არაფერიც არ მჭირს! მაგალითისთვის მოვიყვანე რაღაც!

— ხვალინდელ დღეს ეხება? — ჩაეძია ქმარს ელეონორა.

— ეხება და მეტი არა?... ხვალ ისეთი საკითხები წყდება მთავრობაში, დედა შეილს არ აიყვანს!.. ჩვენმა კი არა, უცხო ტელეკომპანიებმაც კი პირდაპირ ეთერში უნდა აჩვენონ ყველაფერი! ასეა ნათქვამი კანცელარიის პრესცენტრში!.. საჯაროობა, ნამდვილი სახალხოობა იწყება ხვალიდან! არაფერი დამალული! ისიც უნდა ვთქვა და არ დაგავინწყდეს, ჩვენში ყველა პოტენციური პრეზიდენტი!.. და ამ ჩვენში ვიგულისხმები მეც!.. — ხელი შემართა ელფთერმა და ისევ ფანჯარაში გაიხედა.

— მაგ სიტყვებს რომ ამბობ, ცხენი თუ გყავს შეკაზმული! — ირონიულად გაეცინა ელეონორას ქმრის „პოტენციურ პრეზიდენტობაზე“.

— ცხენი? როგორ თუ არ მყავს! თუთაშხია ერთი ცხენით დადიოდა, მე კიდევ სამასი ცხენის ძალიანი „მერსედესი“ დამაქროლებს აქეთ-იქით! რას ამბობ შენ, აბრაგ თუთაშხიასა და არსენა ოძელაშვილზე ნაკლები ვარ? — ელფთერმა ჯერ ხელი შემართა მალლა, სიდიდის გამოსახატავად, მერე მეუღლეს მიუახლოვდა და ლოყაზე ეამბორა.

— იქამდე ცოტა გაკლია!.. ისე, ოცნებას კაცი არ მოუკლავსო, შენზეა ნათქვამი!.. კაი, კაი, მიხედე საქმეს! მე ახლა მეზობელთან უნდა გავიდე... არა, საჭოროად არა, ქალური საქმე გვაქვს! შენ, როგორც გითხარი, საქმეს მიხედე, რაღაც წასაკითხები რომ გაქვს წამოღებული, გადაიკითხე, ეგება რა წერია შიგ! — დაუბარა ცოლმა პარლამენტარს და „კაბინეტიდან“ გავიდა.

...ელფთერმა ერთიან ამოიხვნეშა!

...როგორც იქნა, დაადგა საშველი დილას, ალიონიდანვე გამოექცა ღამეს. თანგულიც უმალ აყვა ნათელის მობრძანებას... შხაპი მიიღო, გაიპარსა, საპარლამენტო ტანსაცმელი ჩა-

იცვა, ჩაიც მოსვა, მერე კარი მშვიდად გაიხურა და კიბის საფეხურებს მძიმედ დაუყვა.

— მთელი დღე ტელევიზორის წინ ვიჯდები მეზობლებთან ერთად! კიბეზე დაანია „შეხსენებითი“ სათქმელი ელენორამ ქმარს.

პარლამენტარმა კიბის ჩათვლა გააგრძელა...

...თანგულმა ავტოფარების კარი ჩვეულებრივი მანერით გააღო, აქეთ-იქით „აზრიანად“ მიმოიხედა, მერე მანქანის საბარგული ახადა, წამით ისევ უკან გაიხედა, მერე კი, ხელთათმანმორგებულმა, პარიკი, ქამელეონის სათვალე, ცელოფანში შეხვეული ყველის ნაჭერი, ქვის პური, ძეხვი „დოქტორსკის“ ერთი შეხვევა და მდოგვის იასამნისფერი კოლოფი შავ პარკში „მოაყურა“ და დიპლომატი „საგანგებოდ ჩაკეტა“.

„დიდი ამბავი იქნება დღეს საყველიეში!“ — ამ ფიქრით, სამასცხენისძალიანი „მერსედესით“, გზას დაადგა ელეფთერი.

...ასე იყო თუ ისე იყო, პარლამენტის სხდომა შედგა. კამათი მომენტ-მომენტ გადაკამათებაში გადავიდა... როგორც ადრე, ახლაც არაფერი ათქმევინეს ელეფთერს, ის კი არა, სკამიდან ადგომის საშუალებაც არ მისცეს, დაჯექი, კაცო, შენდა აკლიხარ ამ ამღვრეულ დუნეასო!.. საამბოდ ეს შეჩვეული სახეებიც ეყოფა ქვეყანასო!.. ამან კიდევ უფრო გაახელა თანგული, მარა „საქმეს“ ხომ არ გააფუჭებდა, ნერვებს თავი მოუყარა და სული კბილით დაიჭრა... ცოტა მოგვიანებით თავი იმითაც ინუგეშა, ჩხუბი არანაირ არ ღირს ჩხუბად, ტელევიზიებიდან ერთი კამერის მეტი არ იღებსო, შეიძლება ისიც ისე დგას და არც კი იღებსო...

დღე თავის გზით მიდიოდა...

...როგორც იქნა, დადგა შესვენების დრო. პარლამენტარები გამოეფინენ უშველებელ ფოიეში — მუხლი ერთიან გაიმართეს, სიგარეტები გააბოლეს... სამ-სამ, ოთხ-ოთხად დაჯგუფებულნი, ზოგნი იცინოდნენ, ზოგნი კამათობდნენ, ზოგნი კიდევ არც იცინოდნენ და არც კამათობდნენ, ისე იდგნენ „ფიქრებად“ დავარდნილნი.

„მოვიდა ჩემი დრო!“ — გაიფიქრა ელეფთერმა, — ცოტა გაიარა, თვალს მიეფარა, მერე ტუალეტში შევიდა, „დიპლომატი“ გახსნა, პარიკი ამოღო, შეატრიალ-შემოატრიალა, მოირგო, სათვალე გაიკეთა, ჰალსტუხი შეიცვალა და მერე გრძელ სარკეს რომ დაეტოლ-დაეზმანა, სიხარულის ყრუანტელმა თავით-ფეხამდე დაუარა, ის თანგული აღარ იყო, სხვებს რომ „ოდესღაც“ ენახა...

„ასეთი ელეფთერი მესმის! ჰო, ისე, მე ელეფთერი კი არა, აფთარი უნდა მერქვას! დიახ, აფთარ თანგული უნდა მერქვას! ახლა მოდით და მიყურეთ, მე თქვენ გასწავლით, ვინ არის ნამდვილი სარდალი გიორგი სააკაძე!“ — ეს ფიქრი წინ წაიგდო ელეფთერმა და უკან თვითონ მიყვა.

თანგული ფოიეს კართან შეჩერდა. კარს

გასაღები რომ „ამშვენებდა“, მოიწონა... ძალიან კარგო, უკან რომ გამოვალ, ამ კარს ვარედან ჩავრახავო... მერე შუა ფოიეში გაჩერდა... აქ არ ივარგებს იმის დადებო, ძალიან „იყვირებს“ და ხიფათს შემიქმნისო, ესეც გაიფიქრა... მერე ფანჯარასთან მივიდა... თავი აქეთ-იქეთ ატრიალა და აკანტურა... აქაც არ ვარგაო, დააყოლა თავის კანტურს პარლამენტარმა... მერე კუთხესთან აიტუზა, ასე ვთქვათ, ნათელისგან ცოტა „მიტოვებულ“ და „მონყენილ“ კუთხეში... აქ ნამდვილად აჯობებსო, ეს რომ გადაწყვიტა, გულმა ისეთი ბაგა-ბუგი აუტეხა, კინაღამ მკერდის ფიცარი ამოუნგრია... ცოტა შეჩერდა, ნერვების „მობილიზებას“ დაელოდა...

...თითქოს ფუტკრის სკა საყრელად არის არეულიო, იმას მოგაგონებდათ პარლამენტართა ლაპარაკ-ლაპარაკები და ერთმანეთში „გადასვლა-მიმოსვლები“.

„ჩემი დროა!.. რომ ვაკვირდები, ყურადღებასაც არავინ მატყვევს!.. ძალიან კარგი!.. ორიოდ წუთში მე თქვენ განახებთ, ვინ არის სარდალი გიორგი სააკაძე!“ — საფიქრალს ამით მორჩა ელეფთერი, კედლისკენ პირქცულმა, „დიპლომატი“ გახსნა, ცელოფანის შავი პარიკი ამოიღო, ფეხის წინ დადო, ხელთათმანები წაიძრო, მიინახა, მერე შემოტრიალდა, ერთხელ კიდევ მიმოავლო თვალი „არეულ სკას“ და გრძელი ნაბიჯებით ფოიეს კარისკენ გაემართა... არ მისული გასასვლელთან სადაც ოთხი თუ ხუთი პარლამენტარი იდგა და რალაცაზე ჩაბუჩრებით იცინოდა, შეჩერდა და მოცინარ-მოხვინდრიშე კოლეგები აქეთ რომ „მოექცია“, ხმადანვრილებით ამოიღნავლა:

— ბიჭებო, ფოიეში მგონი ბომბი დევს! აი, გაიხედეთ იქეთ! ეს წუთია ვილაცამ დადო! ზურგით იდგა და ვერ ვიცანი... დადო და იმ კარიდან გავიდა... ჩემი თვალით დავინახე!.. — ეს თქვა ელეფთერმა, პირი იქცია და უმალ კარს იქეთ აღმოჩნდა, მერე ხელის „მოქნეული“ მოძრაობით გასაღები „გაატაკაცუნა“... მერე კი რალას უნდა დალოდებოდა, იშვირა ფეხი, ჩაიხრიგინა კიბეები, ქვედა სართულზე განთავსებულ ტუალეტში შეილალა, წამის-წამში თავი „გაიპატიოსნა“, ცივი წყალიც დალია და გული რომ ადგილზე დაიგულა, მძიმედ გაუყვა გარეთ გასასვლელ „ლაბირინთებს“, მხოლოდ ახლა უკვე სხვა, თავსზევით ამალღებული პარლამენტარი — ელეფთერ თანგული!

...ფოიეში რა მოხდა, ამის აღწერას უამთაღმწერელი კი არა, ორი თუ სამი საპარლამენტო სხდომა და მოსმენაც არ ეყოფოდაო, ასე ამბობდნენ თვითმხილველები...

...ამიტომ მე თვითონ მოგახსენებთ შეძლებისდაგვარად:

ერთი სიტყვით, „ზედახორამ“ ჩაკეტილი კარი რის ვაივავლახით გამოლენ-გამოანგრია და ამით დააღწია თავი ახლო მდგარ საშიშროებას, მაგრამ... მაგრამ მარტო ეს ხომ არ იყო...

პანიკამ მოიცვა მთელი შენობა... ევაკუირება კინალამ თვალის დახამხამებაში მოხდა... სად იყო, სად არა, ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლები გამოჩნდნენ, უშიშროების სამსახურის მესვეურნიც, მთავრობის დაცვის, სპეცნაზისა და კიდევ რალაც-რალაცების წარმომადგენლობის თანამშრომლებიც.... თქვენ წარმოიდგინეთ, ქალაქის მერიის კეთილმონყოების სამსახურის მუშაკებიც კი მოვიდნენ შემთხვევის ადგილზე!..

— რა ხდება, ხალხო, რა ხდებაო! — კითხულობდნენ ერთნი.

— ფოიეში ბომბიაო! — პასუხობდნენ მეორენი.

— როდის უნდა აფეთქდესო! — „ცულლუ-ტი“ ხმებიც ისმოდა აქეთ-იქიდან.

— მაგი მის პატრონს კითხეთო! — იქვე იკრიჭებოდნენ ვიღაცეები.

— ბომბიაო, ბომბი! — კედელ-კედელ დაუსყვებოდა ამ გამოთქმების ექო შენობას.

ბომბიაო, ბომბი!

...სხვების რა მოგახსენოთ და ფოიეში თვითონ შიშიც კი ფეხის წვერებზე დადიოდა!

...კითხვა-პასუხმა ცოტა ხანს „იმუშავა“ შენობის ყურე-კარში თუ მის გარეთ...

...ელეფთერ თანგულმა ისე მშვიდად დატოვა შენობა, ვითომც და იქ არაფერი მომხდარა და მას არც არა გაუგონიარაო... მერე მანქანების სადგომთან მივიდა, სალონში ჩაჯდა, „დილომა-ტი“ ამოალაგა, მერე „შიგთავსი“ ისევ იქ, იმ ადგილზე ამომალა გონებიერ და მერე, ახლა იწყება თავდავინწყებაო, ამ ინერციით პარლამენტის შენობაში დურთა თავი.

...სად იყო, სად არა, იმდენი ტელეოპერატორი, ფოტორეპორტიორი თუ მოყვარული ფოტოგრაფი „შემოესია“ შენობას, ფეხის მოსაცვლელი ადგილი აღარ იყო.

„აბანოში გამოჩნდება, არსენ შენი მოხერხებაო, ხომ ამბობს ვიღაც მოლექსე და... ჰო... ეს არ ჯობია „ვეფხისტყაოსნის“ ბოლომდე წაკითხვას, ქალბატონო ელენონრა? ჯობიაო, მეთანხმები ხომ! ძალიან კარგია!“ — ნაჩუმათევად უთხრა თავის თავს ელეფთერმა, მერე კიბეები გულიგულ აითვალა და ჩამოგლეჯილ კართან მიხროვილ ძალოსნებს შეერია.

— რა ვქნათ? ასე ვუყუროთ? შევიდეს ვიღაცა უნდა! მარა, ვინ გაბედავს? — შიშიამდგარი თვალებით ძებნა დაუნყო „გულმაგარ“ „გამნალმველს“ ერთ-ერთმა მალაღჩინოსანმა ძალოვანმა კაცმა.

— თვაურო, რას იტყვი შენ! ვერ შეხვალ? — თვალი დაადგეს სერჟანტ თვაურს.

— რატომ მაინცა და მაინც მე? რახან დედაჩემს სამი შვილი ყავს? არავითარ შემთხვევაში! — თავი გადაიკაპნა უარით თვაურმა.

— იცი, რას მოგიტანს მაგი შესვლა, ბიჭო? არა? გეტყვი! ვახტანგ გორგასლის პირველი თუ არა მეორე ან მესამე ხარისხის ორდენი ხომ განაღებული გაქვს და ეგ არის, მაიორის ჩინ-

საც გლენავს ეგრევე ჩვენი პრეზიდენტი, აპა! მაგი უჭირს ახლა მაგას? მერე შეიძლება გენერლობაზეც კი წარგადგინოს... ჰოდა, აგენყობა საქმე!.. — შუა რიგებიდან ერთ-ერთმა რალაცის „უფროსმა“ კარგა გვარიან წააქეზა თვაური.

— ანჩაბაძე უფრო გულიანი ბიჭია, ის შევა! თვაურს ვინ მისცა მაგის ტრაკი! — თვალი და ენა ახლა ანჩაბაძეზე შეაჩერეს.

— მე აქ დაცვაში ვმუშაობ და არა სახელმწიფო უშიშროების უწყებაში! თანაც, პირველ შვილს ველოდები და ეგ წყეული ბომბი, აფეთქდება თუ არ აფეთქდება, სულ ფეხებზე მკიდია!.. ეგეც არ იყოს, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, სულაც არ ვაპირებ სიკვდილს! — მკაცრი უარი „დააგლო“ ანჩაბაძემ.

— მერედა, ბიჭო, ვინ გითხრა, მაინც და მაინც მოკვდებიო! რატომ ამბობ ახლა ცოცხალ ტყუილს!.. ჰოდა, როგორც შენ ვარაუდობ, თუ სიკვდილი გინერია, ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენი თუ არა, ღირსების ორდენი ხომ დახვდება შენს შვილს! პატარა საქმეა ეს? არც დაფიქრდე, ბიჭო! — ვიღაცამ ზურგის მხრიდან შეუძახა ანჩაბაძეს.

...შიში ისევ ფეხის წვერებზე დადიოდა ფოიეში!

...ერთი სიტყვით და იქვე ასი გამჩინებით — აქეთა უშიშროების სამსახურის ზემდეგი მესვეური იქეთა სამსახურის ქვემდეგ მესვეურს აქეზებდა „საგმირო“ საქმის ჩასადენად, ხოლო, რაც შეეხება ქვეყნის „დაცვის“ აპარატის უფროსს, ყურში უჯდა სერჟანტ დობორჯგინიძეს და საშველს არ აძლევდა, დღევანდელი დღე შენ გეკუთვნის, თავი არ დაზოგოო...

...ბომბი „თავს“ იკავებსო! ეტყობა, პულკით იმართება და ამიტომაც არ ფეთქდებაო, — ჩურჩულებდნენ აგერ აქეთ-იქეთ.

...დრომ ფეხი გაიდგა.

უშიშროების უფროსმა ვერ მოისვენა და ახლა მეორე მხარეს შებრუნდა, თვალი ქორივით ჩამოატარა და თითის გაშვერით წარმოთქვა:

— მიდი, შენ მიდი შერმადინ არაბულო!.. ვაჟაკცობას რომ ჩაიდენ, ქვეყანა რომ გაიგებს რა ჩაუქიცა ხარ, ეგება მერე მაინც გამოგყვეს ვიღაცა ცოლად! რომ იცოდე, ბინითაც დაგაკმაყოფილებენ! ხომ იცი, როგორ ხელგაშლილი და მოწყალეა ჩვენი ქალაქის მერი! მიდი, მიდი, არ გაუშვა ეს მომენტი ხელიდან!.. ისიც იცოდე, პრეზიდენტიც კი აღფრთოვანდება თქვენით და დღეის დღეობა სერჟანტი, ხვალ ეგებ პოლკოვნიკის ჩინითაც მოგვევლინო! იცის ასეთი რამეების კეთება ჩვენმა პრეზიდენტმა! მიდი, მიდი! — არ ჩერდებოდა ნამქეზებლის ენა.

...რამდენიმე წააქეზეს, უბრძანეს კიდევ, მაგრამ ფეხი არავის მოუცვლია ადგილიდან.

— კენჭი ვყაროთ, კენჭი! — წინადადება „შემოაგლო“ ვიღაცამ.

— რა კენჭი, რის კენჭი! კენჭი არა, რიყის ქვა! შენ ალაოდ ხომ არა ხარ, ბიჭო, დააყენე ენა!..

ტრიბუნადან ხომ კარგად გვეჭიკჭიკება პარლამენტის თავმჯდომარე, სკამს რომ ვერ ცილდება ერთი წუთი, მოვიდეს და თვითონ გამოიტანოს! სხვის ხელით ნარის გლეჯა კაი საყურებელია, ხომ? გაშლილ სუფრაზე მეც მაგარი ვარ! — პარლამენტის თავმჯდომარის „მიმართულებით“ შხამიანი „ისარი“ ისროლა ვილაცამ.

...უუუო! — მცირე „გუგუნმა“ გადაუარა „დარბაზს“.

...მერე ვილაცა, სხვათა დასანახად, სკამზე შედგა და ზევიდან ჩამოსძახა „კოლეგებს“...

— მე კი შევალ, ბიჭებო! იმ შემთხვევაში შევალ, თუ თქვენ დასტურს მივიღებ, რომ ჩვენი პარლამენტი ღირს თავის განირვად! აჰა, ჰე! დასტური მითხარით! ან — ჰო! ან — არა!

...უუუოოო! — წელანდელი მცირე „ხმოვანი“ გუგუნი ახლა უფრო ძალუმად გაისმა მთელ „დარბაზში“.

...ელეფთერმა ცოტა ხანს კიდევ უყურა ბითურ „ნაირ-ნაირი“ ძალოვანების წარმომადგენელთ, მერე თავს ჩუმად ჩაუჩიფიფა: „ბიჭო, ბოლოს და ბოლოს, ამათსავით მთლად ასეთი მხდალი, მშიშარა და ქვეშაფსია რომ არა ხარ, თვითონაც ხომ იცი! ისიც ხომ იცი, იქ რომ ბომბი არ არის! მიდი, გამოიტანე და ამ უბადრუკებს თვალში ნაცარი შეაყარე!.. და რაც მთავარია, რაც ძალიან „გტკივა“, აგერ არ არიან? იმდენი ტელეოპერატორია მოსული, იმდენი კამერა დგას, კადრში როგორ არ მოხვდები!.. მოხვდები კი არა, თვალები დაეხვება ჩემს მეზობლებს!..“

— შინაგან საქმეთა მინისტრმა გამოიტანოს, თუ მაგარი ბიჭია!.. არც მაგას აწყენს პირველი ხარისხის ორდენები და გენერლის ეპოლეტებიო! თუ ეს ყველაფერი უკვე აქვს, ალალია მისთვის გენერალ სიმუსობაო! — „ისროლა“ „ტკბილი“ სიტყვები შუა რიგებიდან ვილაცამ.

— მინისტრი არ შეიძლება! ბომბი რომ არ აფეთქდეს, იტყვიან, პიარი იყოო და მთლად მოეჭრება თავი! — უარის პასუხი არ დააყოვნა ფანჯრის რაფაზე ჩამომჯდარმა ოფიცერმა.

„კაკრაზ“ ჩემი მომენცია! ახლა უნდა ვიმარჯვო! განა ამისთვის არ დავგეგმე ეს ყველაფერი?“ — ერთი გაფიქრება კიდევ გაივლო გულში თანგულმა, თავშეყრილ ძალოვნებს გამოეყო და ამ „აქციის“ ყველაზე აქტიურ წარმომადგენელთან მივიდა, წინ დაუდგა და ეგრევე მიახალა:

— პატივცემულო, ეტყობა თქვენს ძალოვნებში ერთი პამფილოველიც არ მოიძებნა! აი, იმ ოცდარვა პამფილოველიდან, მეორე მსოფლიო ომის დროს მოსკოვის მისადგომებს რომ იცავდნენ!.. ამიტომ მე ვიღებ ჩემს თავზე პამფილოველობას, მე შევალ ფოიეში და მე გამოვიტან ბომბს! — ელეფთერმა „ოფიცრული პატაკით“ მოახსენა „უფროსს“.

— კი, მაგრამ, თქვენ ვინ ბრძანდებით? — დაიბნა „უფროსი“.

— ხომ გითხარით, პამფილოველი ვარ-

მეთქი!.. ეს, რა თქმა უნდა, ხუმრობით, — გაელიმა ელეფთერს, — მარტივად, აქაური, ჩვენი პარლამენტის წევრი ვარ! გნებავთ, საბუთს გაჩვენებ!

— კი, მაგრამ, როგორ! ასეთი მაგარი თუ იყავით... აი, როგორ გითხრათ... ტელევიზორში საერთოდ არ გამოჩენილხართ!.. ხალხი, საზოგადოება საერთოდ არც გიცნობთ ალბათ... ეს როგორ... ასეთი მაგარი კაცი... — ენა არ ემორჩილებოდა უფროსს, სათქმელს თავი ვერ მოუყარა.

— ახლა გამოვჩნდები და ხალხიც ახლა გამიცნობს!.. ჩაართვევინეთ ყველა კინო თუ ვიდეო კამერა! უბრძანეთ თქვენს პრესცენტრს, ყველა კადრი გადასცენ! არხი არ დარჩეს ისე, რომ დღევანდელი დღე არ გახმოვანდეს! — მოითხოვა მკაცრად ელეფთერმა.

— კი, მაგრამ... რა გვარის ბრძანდებით? — ბომბისკენ მიმავალ უშიშარ ელეფთერს, შიშნარევიად მიაძახა უშიშროების ზემდეგმა კაცმა.

— ელეფთერ თანგული ვარ! — უკან შემოისროლა პასუხი უშიშროების ზემდეგს უშიშარმა პარლამენტარმა.

...ყველაფერი რომ მორჩა, თანგულმა ამაყად დასტოვა პარლამენტის შენობა და პირდაპირ სახლში წავიდა იმ იმედით, რომ ცოლი კიბეზე დახვდებოდა მთელი სამეზობლოთი და გმირობას მიულოცავდა...

...თანგული ისე შევიდა ოჯახში, კინალამ ელეონორამ ვერც კი შეამჩნია. ელეფთერი უმაღლ მიხვდა, რომ „კუკლა“ იყო ტელეკამერების იქ განთავსება, იმასაც მიხვდა, რომ ტელეარხებს კრინტიც არ დაუძრავს მომხდარის შესახებ, ამიტომაც იყო, თვითონ მოყვა შინ და გარეთ „ამბავი ტარიელისა“, მერე კი იმ იმედით მიუჯდა ტელევიზორს, საღამოს საინფორმაციო საშუალებები დიდად თუ არა, პატარათი მაინც გააშუქებენ მომხდარის შესახებო...

...პატარა, უმნიშვნელო ინციდენტი მოხდა დღეს პარლამენტის შენობის ფოიეშიო, ასეთი ძუნწი ინფორმაცია გავიდა ორიოდ არხზე...

...წყალში ჩაეყარა ვაჟკაცობა ელეფთერ თანგულს — არც ცოლმა დაუჯერა „ამბავი ტარიელისა“ და, რა თქმა უნდა, არც მეზობლებმა.

...იჯდა ყურებჩამოყრილი თანგული საკუთარ სამუშაო კაბინეტში და ჩადენილ საქციელზე გულუბრყვილოდ წანობდა...

ჭირი იქა, ლხინი აქაო, ხომ მთავრდება ყველა ზღაპარი ასე...

მაგრამ ეს ამბავი ასე არ დამთავრებულა, უშიშროებამ უცნაური „ხუმრობის“ გამოძიება იმავ წუთს დაიწყო...--





ქმარა ინკის

გაღდათის ცის ქვეშ

სონეტების გვირგვინი

ვლადიმერ მაიაკოვსკის

„Я в долгу перед вами багдадские небеса“.
მაიაკოვსკი

1

საქართველოში უმეცრების ყანა ბიბინებს,
გულმოდგინედ და რუდუნებით რწყავენ ამ
ყანას.
ხშირად მგონია, რომ ცხოვრება არ ღირს
ამხნად
და სისხლიანი მიკიაფებს თავზე ნიშბი მე.

ოცდაცამეტი ბგერის დოღში მეც ხომ ვირბინე,
მაინც არ ვუმზერ პოეზიას, ვით ჰარამხანას.
ხალხო, მკითხველო, გულახდილად მითხარ
ამხანავს:
გიშავებს რამეს ხასიათის ჩემის სირბილე?

ეს სირბილე ხომ პირობითი არის, ბატონო.
ხან მოინევა, ხან ჭრილობას უფევს თუთუნი.
ავი არა ვარ, არც ისეთი ვარ უგვარტომო,

რომ ჩემ მახლობლად მოვითმინო შტერის
ქშუტუნი.
ხალხო, ამ ველის, ამ ამინდის, ამ ზნის
პატრონო,
ჯეჯილს თავთავი მორეცია გუდაფშუტური.

2

ჯეჯილს თავთავი მორეცია გუდაფშუტური
და მძალე სუნი მიიფრქვევა მტვრიან შარაზე.
ხვალ უნდა მუხთლად გაგვიგმიროს ტყვიამ
შარაძე,
საქართველოს მტრებს არსენალში არ აქვთ
შურდული.

ყვარყვარეს ციხეს ველარ კეტავს მძიმე
ურდული.
ვხედავ უვლიან ალქაჯები დავლურს შხარაზე.
ჯალაღედინი თუ მოუძღვის ველურ
ხვარაზმელთ,
რომ წარმოდგენა გვითეატროს აქ
აბსურდული.

ამ ხვარაზმელებს ქართული აქვთ გვარ-
სახელები —
ანდუყაფარნი, რუსუდანნი, დალნი, დუტუნი...
ბევრი მათგანი ჩემგან არის გასამხნევები:

აბა, თქვენ იცით, მტკვარს ჩაუხშეთ ტალღის
დუდუნი! —
რადგან მას, ვისაც არა ჰყოფნის სასახლეები,
ჩემი ქვეყანა აუკლია ურცხვი ბჟუტურით.

3

ჩემი ქვეყანა აუკლია ურცხვი ბჟუტურით
ტყუილის ოსტატს და თვალეებში შემყრელს
ნაცრისას.
თავი წამოყო ჭაობიდან ბევრმა ნარცისმა,
წმინდა წყაროსკენ მათ არა აქვთ გზა
მარშრუტული.

ლამაზო, აბა, ჩაგვიკაკლე, შენ ეს ღრუტუნი
როგორ ისწავლე ან რად აგდის სუნი ანწლისა,
რად შეუჭამე ღარიბ მოძმეს სარჩო ამ წლისა,
ვინ ჩაგინერგა ბნელ გულ-გვამში ზნე
ცულლუტური?

პასუხის ნაცვლად ისევ ღვარძლი გადმოსდის
ლაშებს,
უჯიშო ჯუჯა ქართლის დედის მანდილს
გვიგინებს.

იმათ სიმნარე არ უნახავთ, ცრემლიც კი მლაშე
არ გააჩნიათ — ყველა ტკბილი ძილით იძინებს.
ო, როგორ გინდა ჩაუნყვიტო ბინძური ხმა შენ
სინდის-ნამუსზე ხელალებულ ხუნვეიბინებს.

4

სინდის-ნამუსზე ხელალებულ ხუნვეიბინებს
ჩარფუზანა აქვთ გამართული და თუ არული
არ შევუძახეთ — თავისუფალ ხალხს
სიხარული
გვერდზე ჩაუვლის, წყალი სულ სხვის არხში
იღინებს.

ვერ გაიზრდება ჩვენს უბანში ყრმა მოტიტინე
თავისუფალი ერის შვილად, ძალა ხარული
თუ დედის რძემ არ მიანიჭა, ტბაში მხარულით
ნაფოტსაც კი ვერ დაენევა, იქ რომ ტივტივებს.

არა და დედას რძეს რომ უშრობს მკერდში
დრაკულა,
მიკვირს — ამდენ ხანს იგი რატომ ვერ
დავიფრინეთ,
რატომ გაგვიხდა საქმე ასე ცუდ ქადრაკულად
და ლიბრს გუგები თვალში რისთვის
დავალიბრინეთ?
ხალხი ბინებში ცხოვრობს, მაგრამ
საქულ-მაქულა
დაერევინ უეჭველად მალე იმ ბინებს.

5

დაერევინ უეჭველად მალე იმ ბინებს
გველესაპიდან ამომძვრალი ჭია-ლუანი.
დასახლდებიან იქ ვან ხუ და ი ვან ხუანი,
სიღნაღში ღამით თორღვა ოლღას ვერ
ულიღინებს.

დაგავიწყდება, საბოლოოდ რაზე იღიმე,
როდის იცინე, როცა მიხვდი — სხვაა მტყუანი.
მოთმენით უცდი, რომ შემოჰკრავს ზარს
ბაბლუანი
ფართო ეკრანზე, ვისი რაშიც რისხვით
ჭიხვინებს.

რის სანტიმეტრი, რა მტკაველი, რა წყრთა, რა
შკალა! —
აღრეულია საზომები ტონურ-ფუთური.
ქართული სცენის დაპყრობისთვის ებრძვის
აშკარად

კლასიკურ თეატრს უშნო შოუს შრე
ფუთფუთური.
მოესევინ ხვალ იმ სახლებს დასალაშქრავად,

გაუთევია სადაც ღამე მგოსან ფუტურისტს.

6

გაუთევია სადაც ღამე მგოსან ფუტურისტს,
იქ უღმერთო კაცს ჩვენ სანთლები უნდა
დავუნთოთ
და როგორც რჯულში გვინერია, იქნებ
დავუთმოთ,
ქართულზე ხშირად რომ ყოფილა ის
გაბუტული.

„ევტუშენკოვედს“ მე ვიხსენებ ვინმე
ბუტურინს —
არყის არმსმელ რუსს, უნვერულსა, უფხოს
და უთმოს.

მთხოვა იოსებ ნონეშვილმა — ეგებ გაუთბო
ამ უგულჯიგრო კაცს ჯიგარი კატისკნუტური.

არც ხაში ჭამა, არც ცოცხალი, არც არა შესვა.
ასეთი კაცი, მოგინდება, თმაგაბუტული,
სამუზეუმო ექსპონატთა თაროზე შესვა,

რამდენიც უნდა იქ აქნიოს მერე კურტუმი...
„ნუ უხვევ, — მთელი ხმით“ მომძახის პოეტი,
— შენსას!“
ის ბალდათელი ნაწილია ჩვენი კულტურის.

7

ის ბალდათელი ნაწილია ჩვენი კულტურის,
წინ აღსდგომია მთელი ძალით რასაც სატანა.
არა და აღარ შეიძლება მეტის ატანა, —
სამშობლო გვრჩება გაძარცვული და
გაქურდული.

ვლოცოთ არტისტი ბურჯანაძე, თუნდაც
ბურდული,
ხელოვნებით რომ იმ სატანებს დაუტატანა,
ვინც ალაზევა ბლუკუნა და ენატარტარა,
თავს რომ გვაბეზრებს მოსაყირჭი
ანტიჟურტულით.

ამ დროს ისეთი შეგრძნება გაქვს, თითქოს
პერ-ქაფით
ვამპირმა პირი გაიპერა და ყლაპს გიპირებს,
თითქოს მეკარე ხარ და მკვდარ ბურთს
ვირტყამს ბერგკამპი.

ჯერ არ უგრძნიათ, როგორია დარტყმა, იმ
პირებს,
რომელთა კასტა უსაშველოდ ირცხვენს
ბევრგან პირს.
მავანს ნება რომ მისცე, მკვდარსაც
გააციმბირებს.

მავანს ნება რომ მისცე, მკვდარსაც
გაციმობრებს.
სეპარატისტის წისქვილს ასხამს წყალს
ჩვენებური.
დამანგრეველი იდეა აქვს აჩემებული
და ივერიელს ხატაელად ქცევას მიპირებს.

მევახშე ფულზე რომელ ქართველს
გადაიბირებს?
ასეთი კაცი დუნიაზე მე არ მეგულვის.
ქვიშის საათში დრო არ არის გაჩერებული,
მერცხლებმაც უკვე თბილ ქვეყნებში
გადაიფრინეს.

ქართლოსის მოდგმის ვაჟკაცი თავს არ
დაიობებს.
მას ძალუმს ისევ შეაღწეოს დუშმანს ლავინი.
ის დრო არ არის ახლა, ებაძოთ მარტველ
იობებს,

როცა აგვიკლეს მანქურთებმა სკრაც და
ბნავისიც.
სხვას პოეზიის მეფის ტახტზე ვერ თანიობენ,
გალაკტიონის კვარცხლბეკზე სურთ დასვან
თავისი.

გალაკტიონის კვარცხლბეკზე სურთ დასვან
თავისი
ტაკიმახხარა, ახალუხი ვინც გააფრაკა,
ვისაც კრამიტი თავზე მიტომ ხურავს აფრაკად,
რომ წავიდეს იმ ქვეყნად ეშმას საშვით და
ვიზით.

ჩაუტარდება მის უტვინო თავს ანალიზი,
მერე პირდაპირ ჯოჯოხეთში იზამს აბრაგანს.
დარჩება მისგან: გაცრეცილი ერთი აბრა კარს
და მანეს ასლი ჰორიზონტში დასამალი მზის.

მაინც სად ნახე ასე ბლომი
„ვუნდერკინდობა“?
ამ ოდენობის არ უხილავს შავ ზღვას კორსარი
მონსტრი ინსტიტუტს ღლიტავს, ქურდი —
ქალაქს, კინტო — ბანკს

და რადგან მათგან წარღვნა არც თუ ისე შორს
არის,
თავისი წრისთვის უკვე უნდა ჰკრავდეს
კილობანს
კარის პოეტი, სხვა ყაიდის, სხვა ნიღბოსანი.

კარის პოეტი სხვა ყაიდის, სხვა ნიღბოსანი —
ახალი ფენა მოზაიკის გამოჩნდა შრეში.
სადაც ნაკლები მადანია, მეტია ხრეში
და მოკუნტრუშე ალტკინება მოლზე ხბოსავით.

იშვიათია აქ გულქართლი და ღვთისმოსავი,
გულაფშუტები ნიშანსვეტად შესდგმიან
რეჟიმს,
რომელიც ბრუნავს ციბრუტივით ჯადოსნურ
წრეში.
თესვა დამთავრდა, სულ ახლოა მომკა
მოსავლის.

ანდაზის ბოლო კეთილია, დემაგოგიის
ფუგასურ ქურვად მასლაათში თუ არ გაისვრი,
ნირვანისკენ რომ მიგენევა თვლემა, ლოგინი,

სანამ დადგება უმეცრების ყანის დაისი.
ჯერ კი იმ მაძღრებს, რომელთაც სჭირთ სენი
— სლოკინი,
ფეხზე ჰკიდიათ გორიჯვარი და სამთავისი.

ფეხზე ჰკიდიათ გორიჯვარი და სამთავისი.
ვაი, მას, დღეს ვინც უსათნოეს რწმენას
გვიბლაღავს!
„ვისი გორის ხართ?!“ — ხევისბერმა ისე
იბლაგლა
თუ უპასუხებს ამ შეკითხვას შპანა, არ ვიცი.

ღმერთო, მაღალო, ვალი, მგონი, გვაღვეს
არვისი.
ხალხს რად უჩვენა უსინდისოდ ზურგი
იღბალმა?!
ხალხს, უცხოვრია ვისაც დღემდე
შეუნიღბავად,
ვისაც წარსული აქვს და არ აქვს
დასამთავრისი,

ვინც აშენებდა ეკლესიებს ანუ ღვთის
სახლებს,
სადაც სინმინდეს მწიკვლს აცილებს
მანდილოსანი.
ამ წმინდა სახლებს სისხლიან ხელს მხოლოდ
ის ახლებს,

ვინც ნაჩლიქარში ჩარჩა მუხის დამპალ
რკოსავით.
ახალ ალიონს შეაგებებს თავის პირსახეს
მაღე მამულის სიყვარულით მთვრალი
მგოსანი.

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

12

მალე მამულის სიყვარულით მთვრალი
მგოსანი
თავს „დაინყველის“: ნუმც გველიროსოს
გამოფხიზლება!
მართლაცდა ხომ არ უნდა ვიქცეთ ჯაყოს
ხიზნებად,
ეს ჯაყო ახლა არც ოსია, არც ნაოსარი,

ის ჰიბრიდია და ყველაზე გასაოცარი
გახლავთ ის, ქართულ სულს რომ ირჩევს
დასამიზნებლად,
ასტროლოგებმა წააქეზეს თუ ბრმა მისნებმა?
რა მღვდელი მოსწმენდს იმას ცოდვას, რა
სალოცავი!

ბაღდათის ცის ქვეშ აჭრილია ჰაერი მჭახედ
მთვრალ მგოსნებო, ბოღმას შველის —
ნაბელლავი სვით,
ტანინისთვის კი ჩააკითხეთ ტიბაანს, კახეთს.

ხალხი განამდა უბედობით, შიშით, ავი სვით,
ერთხელაც მჯილზე დაიფურთხებს და ძალუმ
მკვახედ
დასცხებს ტარტაროსს, ვინც ბრიყვულად
თავზე დავისვით.

13

დასცხებს ტარტაროსს, ვინც ბრიყვულად
თავზე დავისვით,
ის ტარტაროში გინდა ერთი იყოს, გინდ ორი.
ჩვენ მოგვაგონებს თავს დიდგორთან დიდი
მინდორი,
ჩვენ გავიხსენებთ, ტანზე თაფლი რისთვის
წავისვით.

ჩვენ ვიამაყებთ ბასიანით, რუხით, კრწანისით,
ქართულ სულს უამნი ვერ უანგავენ
უამინდონი.
უნდა ამაღლდე იმ სიმაღლით, იმ ხმით,
იმ დონით
იმ ტკივილისთვის, იმ ტყვიისთვის, იმ
სიმწარისთვის.

საჭირო სიტყვას კალმის კაცი უნდა
რანდავდეს,
უნდა ქლიბავდეს ისე, როგორც ძელს
ჭოპოსანი.
აჭიდავებდეს არენაზე ამირანთან დევს,

ეჯავრებოდეს იმ ფანდურა კაცის პოზანი,
ვისაც მინაზე მოსწყენია დინჯი ანდანტე
და ასაფრენ ფრთებს აფართხალებს
ფლამინგოსავით.

14

და ასაფრენ ფრთებს აფართხალებს
ფლამინგოსავით,
რომელსაც თვალთ ქართული ცა არ
დაუნახავს.
სამაგიეროდ იმ დიდ მწერალს ხსოვნას უნახავს
ცა ბაღდათისა, ხშირად ლურჯი, როგორც
სოსანი.

სჭექდა პოეტი ხმაძლიერი რადიოსავით,
და შთამომავალს გადასცემდა იმ გუგუნა ხმას.
რიონის ზვირთებს რომ აპობდა ხოლმე
გულაღმა,
რა ბიჭი იყო, რა სუფთა, რა პატიოსანი!

უყვარდა. სწამდა. ცდებოდა და... შეუნდოს
იმ ცამ.
ჩხუბობდა, ბევრჯერ უსამართლოდ
ააპილპილეს.
თავდავინყებას მისმა ლექსმა მრავალჯერ
მიმცა,

ვინც ვერ იტანდა ტირანებს და მოკლე
პიპინებს,
ვისაც იმედი გაუცრუეს. ვლადიმერ, ვფიცავ,
საქართველოში უმეცრების ყანა ბიბინებს.

15

საქართველოში უმეცრების ყანა ბიბინებს,
ჯეჯილს თავთავი მორევია გუდაფშუტური.
ჩემი ქვეყანა აუკლია ურცხვი ბჟუტურით
სინდის-ნამუსზე ხელაღებულ ხუნვებინებს.

დაერევინ უეჭველად მალე იმ ბინებს,
გაუთევია სადაც ღამე მგოსან ფუტურისტს.
ის ბაღდათელი ნაწილია ჩვენი კულტურის,
მავანს ნება რომ მისცე, მკვდარსაც
გააციმპირებს.

გალაკტიონის კვარცხლბეკზე სურთ დასვან
თავისი
კარის პოეტი, სხვა ყაიდის, სხვა ნიღბოსანი.
ფეხზე ჰკიდიათ გორიჯვარი და სამთავისი.

მალე მამულის სიყვარულით მთვრალი
მგოსანი
დასცხებს ტარტაროსს, ვინც ბრიყვულად
თავზე დავისვით
და ასაფრენ ფრთებს აფართხალებს
ფლამინგოსავით.





სუბსიდიზაცია

ბიანო ჰანს ნახაი

თანგავს სამყაროს სულთა ცახცახი,
მზეს ჩაჰყვა ცეცხლი იალბუზიდან,
იურვეს ჟამცვლას რჯულის მათრახი.
ცრემლი დის მელნად მხედრის დეზიდან.
მოსეს მრევლივით რწმენით მაძლარი
ჩაიქცა გონი გენთა კრატერში.
პნკარებს აცვიათ სულის ტაძარი
გაცხოველებულ ქართა თარეში.
სულში ცეცხლი და ყინვა მყოფადში,
სხეულის ლენვა, პნკარცმა და შვება...
თბება იბერი ლექსის ნაბადში,
მერყევი ჟამცვლა უნაბდოდ კვდება.

ვზივარ ჩემი იმედებივით გაცრეცილ სა-
ვარძელში და ვფიქრობ არაფერზე.
ფეხებთან ჩვენი ეპოქასავით დახეობრე-
ბული მაგიდა მიდგას, რომელიც ყოველ
შეხებაზე შემკრთალი იწყებს ცახცახს.
მაგიდაზე აწყვია: გოლვაში დაკარგული
ყანნივით გამომშრალი არყის ჭიქა, დე-
კემბერივით შეთეთრებული დაშაქრული

ჩურჩხელა და ნებისყოფასავით ნახევრად
დაცლილი ჭაჭის ბოთლი.

მხოლოდ ჭაჭა და ჩურჩხელა შემომრჩა
ერთითვისწინანდელი სოფლის ძღვენიდან.

ხვალ კიდევ უფრო მეტი ჭაჭა და ჩურჩხ-
ელა მექნება...

ეჰ, მერამდენედ მიწევს თბილისის და-
ტოვება უსახსრობისა და უსახლობის
გამო.

აუტანელია ფიქრი თბილისიდან წასვ-
ლაზე. თბილისი სანამლაფია და ერთხელ
თუმონინამლე, მანამდე იქნები მონამლული,
სანამდეც გეცოდინება თბილისის არსებო-
ბა. სწორედ რომ სანამლაფის თვისება აქვს
თბილისს: გტკენს და ყუჩდება, გტკენს და
ყუჩდება, გტკენს და ყუჩდება... ეს ერთიმე-
ორეში გარდამავალი მონაცვლეობა რით-
მაარეულ გულისცემას ჰგავს და გრძნობ,
რომ ცოცხალი ხარ.

რატომ ვერ ვტოვებთ პროვინციელი მწ-
ერლები თბილისს? იმიტომ, რომ ჩვენ კა-
ლმოსნებს, კალმისა და ტკივილის გარეშე
არ შეგვიძლია. უმტკივნეულო კალმოს-
ნობა კი ან უაიაზმო ემბაზში ნათლობაა
ან უაღდგომო ფვარცმა. თბილისელობა
არც ჩვენი ახირებაა და არც გაცნობიერე-
ბული ცხოვრების წესი. ჩვენ, ჩვენსავე
დედაქალაქზე გაკრული მონამეები ვართ
და ასე ვიქნებით მანამ, სანამ არ ჩამოგვხს-
ნიან საკუთარი ცხოვრებიდან, შემოქმედე-
ბად აღმდგრებს.

სრულდება ვივალდის „შემოდგო-
მა“ და იწყება „ზამთარი“. სწორედ რომ
დროულია. რა იქნება თბილისის ზამთარიც
ვივალდის „ზამთარს“ ჰგავდეს, ან მასავით
მალე სრულდებოდეს. დიდი ხანია აღარ
მიყვარს ზამთარი, უფრო მეტიც — მძულს.
თბილისმა შემადულა.

მიიღევა თუ არა ნოემბერი, ეპოქალური
მარწუხებითა და პიროვნული ტკივილებით
შეძაძული სული, სიცივის თანმხლები
ნეგატიური განცდებით ითალხება და ვი-
თოშები. ნარცისიზმით დაავადებული
მზე ადამიანებს ემალება, რადგან მხნეგა-
მოლეულმა როგორმე საკუთარი არსება
გაითბოს. ზამთრობით მე მზეზე ნარცისი
ვხდები — მზესაც ვემალები და ადამიანებ-
საც. ვიკეტები საკუთარ არსებაში და სული
მეხუთება.

მორიგი ჭიქა. მორიგი სადღეგრძელო
სულდახუთულებზე და ვივალდის მორი-
გი კომპოზიცია — „ესთეტა“. ჩემის აზ-
რით ეს „ესთეტა“ კომპოზიტორის საუკე-
თესო ნაწარმოებია, ყოველ შემთხვევაში
„ზამთარს“ სჯობია.

ვუსმენ „ესთეტას“, შევექცევი დედაჩე-
მის ამოვლებულ ჩურჩხელას და ვფიქრობ
ბავშობაზე. არ გავს ვივალდის კომპოზიცია

რცხილის ხმას ღუმელში, მაგრამ გაყინულ ოთახში მაინც სასიამოვნოდ ისმის. არ არის ჩურჩხელა დედაჩემის ხელბევივით და მზერასავით ტკბილი, მაგრამ ნაარყალზე მაინც ძალიან მსიამოვნებს...

ვერ გადამინყვებია ავდგე თუ არა.
მივიდე თუ არა...
ვათავებ ჩურჩხელას.
ვდგები და მივდივარ...
ერთი.
ორი.
სამი.

სამიოდე ნუთი დახურული სარკმლიდან ვუყურებ ღამე გადაცმულ ქალაქს. ვაღებ ფანჯარას. ავდივარ რაფაზე და ვჯდები სივრცის მიმართულებით. ვზივარ გარინდებული მერვე სართულის ფანჯარაში გადაკიდებული ფეხებით და სულ ფეხებზე მკიდია ვინ რას იფიქრებს.

ვუყურებ მთვარეს, რომელიც მხლებლების გარეშე გამოსულა სატახტოდან. მეზრალეა მთვარე, რადგან მეორე მთვარე არ არსებობს და მისი ყოფა საკუთარ მარტოობაზე მიჯაჭვული მარადისობაა. სიამოვნებით ვიმეგობრებდი მთვარესთან, მაგრამ როგორ? მე ხომ დედაქალაქზე გაკრული მოწამე ვარ...

მივჩერებივარ მთვარეს და ოცნების ყაინხალით რუხისფერ სუდარას ვუქსოვ საკუთარ იმედებს. ნეტარებაა ოცნება ნეტარებაზე და ოცნება არყოფნაზე ნეტარებაზე მეტია. ოღონდ მხოლოდ ჩვენთვის, ვინც აღდგომას ველოდებით.

მიჩქარდება გულისცემა.
ვფითრდები.

მთელი არსებით ვგრძნობ ძალას, რომელიც მთლიანად მე მეკუთვნის, მე მემორჩილება, ჩემი მხევალია.

ძალიან ჰგავს ეს გრძნობა პირველს — უუნაგირო ულაყის პირველი გაჭენება, პირველი კოცნა, საყვარელი ქალის პირველი გამიშვლება...

არც ერთი, არც მეორე და არც მესამე...

და მახსენდება — მაშინაც გადახტომაზე ვფიქრობდი.

* * *

ვიჯექი ჩემი იმედებით მხურვალე ღუმელთან და ვფიქრობდი ყველაფერზე.

ფეხებთან ოცნებებით ქრელი გოშია მენვა, რომელიც ყოველ შეხებაზე კუდს აქიცინებდა მადლიერების ნიშნად. მე ისე მიყვარდა ჩემი გოშია, როგორც მას ცხელი ღუმელი ცივ ზამთარში. საერთოდ, მშობლები ძალღს ოთახში არ უშვებდნენ, მაგრამ იმ დილით მარტოობით ვისარგებლე და თამა-

მად შემოვაპარე ოთხფეხა მეგობარი ცხელ ღუმელთან.

ოთახში დიდი მაგიდა იდგა. მაგიდაზე ელაგა: გამრჯე გლეხის ბელეღივით პირამდე სავსე არყის ჭიქა, სახელგანთქმული თამადის უღვაშებით ანკეპილი შოთის პურები, პატარძალივით ანთლებული კომბოსტოს მწნილი და სიძის მოთმინებასავით ნახევრად დაცლილი ჭაჭის ჭურჭელი.

— პაპი, გაგიმარჯოს! — თორმეტი წელი ასე მლოცავდა გლეხი პაპა ერთადერთ შვილიშვილს.

— მადლობა პაპი. — ცხრა წელიწადი ასე ვუხდიდი მადლობას ერთადერთი შვილიშვილი გლეხ პაპას. სამი წლისას მისწავლია მადლობის გადახდა.

ვუსმენდი ღუმელს და ვუყურებდი კედელზე დაკიდებულ ნაბადს, რომელიც შვინდის გადაჭრილი სახრისათვის ჩაეცმიათ. გახსნილი ნაბდიდან მეციხოვნეებით იჭვრიტებოდნენ ვერცხლნაფიცი ქამარხანჯალი.

დავიმარტოხელავებდი თუ არა ნაბდოსან სახრეს მაშინვე მივვარდებოდი, ჩამოვხსნიდი კედლიდან, გავატიტვლებდი და კადნიერად მივაგებდი ხის ტახტზე. შემოვირტყავდი ვერცხლის ქამარს, რომელიც ორპირად მწვებოდა წელზე. დავიკიდებდი ვერცხლის ხანჯალს, რომელიც მუხლის თავებზე მცემდა სირბილისას. მოვისხავდი შავ ნაბადს, რომელიც მოპარული მანტიასავით დამთრევდა მუხის იატაკზე.

და ვთამაშობდი: ხან გლახო პაპობანას, ხან არსენა ოძელაშვილობანას, ხან ქაქუცა ჩოლოყაშვილობანას, ხან კაკო ყაჩალობანას, ხან ცხრა ძმა ხერხეულიძეობანას, ძმები არ მყავდა და ცხრავე ძმა მე ვიყავი ხოლმე. ყველაზე უფრო მაინც გლახო პაპობანას თამაში მიყვარდა. სწორედ გლახო პაპას ამბავს მიყვებოდა პაპაჩემი ყველაზე ხშირად. ამ ამბის მოყოლისას ისე შედიოდა მოხუცი როლში, რომ შიშნარევი სიხარულით შეჰყრობილი თავადაც დიდხანს ველარ გამოვდიოდი ემოციიდან.

ამბების მოყოლა კი უყვარდა პაპას, მაგრამ ძალიან ბრაზდებოდა თუ შუა ბრძოლაში შემომისწრებდა, გლახო პაპას ნაბადსა და ქამარ-ხანჯალში გამონყობილს.

ქამარ-ხანჯალი დიდი გაქ და შენი სამაიმუნო არ არისო. ნაბადი ძირს დაგთრევს იჭუჭყება, ცვდება და ოხრდებაო. ამხელა კაცმა მეტი სათამაშო ვერ ნახეო... და ასე დაუსრულებლად.

რამდენიმე წუთი თავდახრილი ვუსმენდი გაჯავრებულ პაპას. მერე დარცხვენილი მოვისხსნიდი დაუკითხავად აღებულ ნივთებს. ზოზინით ჩავაცმევედი ტახტზე მიგდებულ შვინდის გადაჭრილ სახრეს და

აუჩქარებლად დაგვიდებდი კედელზე.

ნაბადი და ქამარ-ხანჯალი, რომელიც მე და პაპას ასე ძალიან გვიყვარდა, დიდი პაპის კოტიტას მამისეულა ყოფილა. კოტიტას მამას ანუ ჩემ დიდ წინაპარს გლახოს ეძახდნენ თურმე. გლახო პაპა შეძლებული, მშრომელი, მოქეიფე და ჯან-ღონით სავსე კაცი ყოფილა.

...ლეკიანობის წლებში სოფელს მომხედურთა მოახლოვება შეუტყვია. ნახევარი სოფელი ტყეში გახიზნულა, ნაწილი ოჯახებში დარჩენილა. გლახო პაპას ფეხაუდგმელი ბავშვი ჰყოლია და დიდთოვლობის გამო კერა ვერ მიუტოვებია. ლეკები შემგლისფერებულზე შემოსულან სოფელში. ერთ რჯულძაღლ მეზობელს თავის გადასარჩენად ჩემი წინაპრისთვის მიუქსევია ურჯულოები: „მე რას გამომრჩებით, სახლი გლახოს აქვს სავსე, თქვენი სისხლიც მის მარჯვენას სცხია და მოსისხლესაც ეგ არწევს აკვანშიო“. გლახო პაპაზე დაგემილ ლეკებს, მტერზე ნაგეში ნაგაზი შეგებებია ეზოში. ერთგულ დარაჯს ღირსეულად უბძოლია. ორი ლეკი მძიმედ დაუსახიჩრებია, მესამეზე განეულა, მაგრამ სულძაღლ ლეკს დამბაჩა დაუცია და მოუკლავს. გლახო პაპას დრო უხელთია, ბავშვი გულში ჩაუკრავს, ნაბადი მოუსხავს, კომბლისთვინ დაუცია ხელი და ტყისკენ გაქცეულა. მდევერები კვალზე მიჰყოლიან. დასწევინ. ერთი მდევერისთვის კომბლით გაუხეთქია თავი გაგულისებულ კახელს. მეორეს ხმალი ჩაურტყია კისერში. ჩვილ ბავშვს ხელი ჰქონია შემოხვეული მამის კისერზე და ხმაღს სამი თითი ნაუჭრია. (სწორედ უთითობის გამო ეძახდნენ თურმე პაპაჩემის მამას კოტიტას.) გამწარებულ გლახო პაპას მეორე მდევეარიც კომბლით მოუკლავს და ტყისთვის შეუფარებია თავი. ლეკები ძარცვა-გლეჯვას რომ მორჩენილან, სოფელს გასცლიან. გახიზნული სოფლელები სახლებში მობრუნებულან. დაკარგულების და დახოცილების ძებნა დაუწყიათ. ტყის პირას ბავშვის ტირილი გაუგიათ. ტირილის ხმას მიჰყოლიან. უპოვიათ კისერში დაჭრილი, გაყინული გლახო, რომელსაც ნაბადში გახვეული ჩვილი ჰყოლია გულში ჩაკრული... რომ არა გლახო პაპას ნაბადი, აღარც კოტიტა პაპა იქნებოდა და აღარც ჩვენ, მისი შთამომავლები. პაპაჩემი სწორედ ამიტომ უფრთხილდებოდა წმინდა გრაალივით ჭირისუფალ მატყლის მოსასხამს. მეც ნაბადში შენახული გენის გაგრძელება ვიყავი და ნაბდითვე ვცდილობდი წარსულთან შესხეულებას. ჩემი ყოველი ნაბდოსნობა წარსულად გარდასახვა თუ წარსულის ჩემში გარდმოსახვა იყო, რასაც უფროსები ბავშვურ ანცობად მითვლიდნენ...

შეშა ჩაინვა, ღუმელი გაჩუმდა და ცოტა შემაცია. სწრაფად გამოვალე მიჩუმებული ღუმელის კარი, ნაკვერჩხალი გავლაღე და რცხილის შეშა შევუკეთე მინავლულ კერას. ღუმელმა მწყურვალი ხარივით დაიქშინა და დატვირთული ურემივით მოაყოლა ტკაცატკუცი. ყველაზე მეტად რცხილის შეშა მიყვარდა. ისე იწვოდა ის მადლიანი ხე, თითქოს რაიმე საგმირო აბავს გიყვებო.

პაპაჩემმა მორიგი სადღეგრძელო ჩიბუტბუტა ტუჩების ცმაცუნით, უღვაშები გაისწორა და ერთბაშად გამოცალა არყით სავსე ჭიქა.

მე ნელა შევექცეოდი ჩვენი ეზოსავით შეთეთრებულ და ჩემი ოცნებებივით დაშაქრულ ჩურჩხელას. ვუსმენდი ღუმელს. ვაკვირდებოდი კავკასიონივით გაჭაღარავებულ პაპას და რულ მორეულ ძაღლს ვეფერებოდი წინდიანი ფეხით.

ვერ გადამენყვიტა ავმდგარიყავი თუ არა.

მისვლიყავი თუ არა. დავამთავრე ჩურჩხლის ჭამა, ხელში დარჩენილი ძაფი ღუმელში შევაგდე, ღრმად ჩავისუნთქე და წამოვდექი.

ნელი სვლით მივუახლოვდი ჭარმაგ მესუფრეს, რომელიც თავად თამადობდა ერთკაცციან სუფრაზე.

— პაპი... გუთანგატეხილი ხარივით გავჩერდი შუა საქმეში.

პაპაჩემის სახეზე სიყვარული და ირონია ეტოქებოდნენ ერთმანეთს.

მოხუცმა ჯერ თვალებით გაიღიმა, მერე უღვაშებით და ბოლოს მთელი სახით.

— რაო, პაპი, რა იყო? შენი ამბავი რო ვიცი, უამბოდ არ მოხვიდოდი. მითხარ, აბა, რა გინდა?

— პაპი, რაღაცის ჩუქებუ მინდა!

— ბიჯო, ეგ რა კაი რამე მოგდომებია.

შენ უნა' მაჩუქო რამე თუ, მე უნა გაჩუქო?

— შენა, პაპი. შენ უნა მაჩუქო.

— ვაააა, აბა?

— აგე, ის ნაბადი და ქამარ-ხანჯალი მაჩუქე, შენ ხო მაინც აღარ გჭირდება და...

ისევ ვერ დავამთავრე სათქმელი და აღმაცერად ნაბდისაკენ გავიხედე, პაპასთვის თვალი რომ ამერიდებინა.

პაპა დუმდა. ველარ მოვითმინე და ისევ შევხედე, რათა გამომეტყველებით მაინც მივმხვდარიყავ ჩემს განაჩენს. კავკასიონივით გაჭაღარავებული პაპა ჯერ უღვაშებით მოიღუშა, მერე თვალებით და ბოლოს მთლიანი სახით.

თვალი ავარიდე მოღუშულ პაპას და დარცხვენილი დავაშტერდი ჩემსავით აწითლებულ კომბოსტოს მწნილს. ერთი სული მქონდა იქაურობას გავცლოდი. ყელში მოწოლილ ტირილს ძლივს ვიკავებდი.

1. უნა (კახურია) - უნდა

დახვევებული ცრემლები ძუძუს ბოროლას-
ავით მანვებოდა თვალის გუგებზე.

პაპამ ჭიქა შეივსო, უღვაშები გაისწორა,
თავზე ხელი გადამისვა და მითხრა:

— მაგ ნაბადსა და ქამარ-ხანჯალ ეგრე
უამბოდ ვერ გაჩუქებ! დამსახურება უნდა.

პაპისგან ვიცოდი: თუ შეცურავ, ბო-
ლომდე უნდა გაცუროვო. ამ სიტყვების
ჭეშმარიტება ამღვრეულ ალაზანში მქონ-
და გამოცდილი და სწორედ ის შემთხვევა
იყო უკან მობრუნებას მეორე ფონზე გას-
ვლა რომ სჯობდა. მოხუცი პაპა სულ იმას
გაიძახოდა: კაცი ცდისთვის არის გაჩენილი
და იქამდე უნდა სცადოს, სადამდეც მის-
ცემს ცხოვრება ცდის საშუალებასო.

მეც ვცაადე.

— როგორ უნა დავიმსახურო მითხარ და
თუ დავიმსახურე, მაჩუქე!

პაპამ ჩაიცინა და თავისი დაკოჟრილი
ხელი მძიმედ გადამისვა დაუვარცხნელ
თმაზე.

— ამ ერთ ჭიქასაც დავლევ, მერე ნავი-
დეთ და ვნახოთ, იმსახურებ თუ არა მაგ
ნაბადსა და ქამარ-ხანჯალ. რო გინდა უნა
გერგებოდეი, შვილო. ეს ნაბადი გლახო
პაპასი ყოფილა, შენი დიდი წინაპრისა.
მერე კოტიტა პაპასი იყო. ახლა ჩემია. მა-
მაშენ ეტყობა არ უნდა და თუ დაიმსახურე,
შენ გაჩუქებ. სანამ ნავალთ, მანამ ჩვენი
წინაპრები ვადღეგრძელოთ. პაპი, დიდი
რო გაიზრდები, არასოდეს არ დაივიწყო
წინაპრები დღეგრძელობა. თუ წინაპრებ
დაივიწყებ, აღარც ნაბადი გვექნება, აღა-
რც ქამარ-ხანჯალი და აღარც ის ამბები მე
რო გიყვები-ხოლმე სალამოობით. პაპი, აბა
ჩვენ სახელოვან და გულმართალ წინაპრებ
გაუმარჯოს.

პაპამ ისევ ერთბაშად გამოცალა არყით
სავსე ჭიქა და ლუქმაც მიაყოლა სიმბოლუ-
რად. რამდენიმეჯერ გაისწორა უღვაშები.
არყის ჭურჭელს თავსახური მოარგო. მაგი-
და მიალაგა და ნაბდისკენ გაემართა ნელი
ნაბიჯებით.

აუჩქარებლად ჩამოხსნა გადაჭრილი
შვინდის სახრე, მოხსნა ნაბადი, აჰყარა ქა-
მარ-ხანჯალი და გატიტვლებული მიაგდო
ტახტზე. მოირგო ქამარი, შეისწორა ხანჯა-
ლი, მოისხა ნაბადი, შეათამაშა მხრები და
აუჩქარებლად შემობრუნდა ჩემსკენ. ჯერ
თვალებით გაიღიმა, მერე უღვაშებით და
ბოლოს მთელი სახით.

— რაო, პაპი მიხდება? თუ დიდი მაქ?

მეც გავუღიმე, მაგრამ პასუხი ვერ
გავბედე. მეთქვა გიხდება-მეთქი, მეტყოდა:
თუ მიხდება, შენ რაღად უნდა გაჩუქოვო.
რომ მეთქვა დიდი-გაქვს — მეთქი, მეტყო-
და: მე თუ დიდი მაქვს, შენ უფრო დიდი არ
გექნებაო.

საერთოდ, ჩემი ხნის ბავშვი პირდაპირ
უპასუხებდა ამ ვითომ და იოლ შეკითხ-
ვაზე, მაგრამ საქმე ის გახლდათ, რომ ეს
უბრალოდ დასმული კითხვა არ ყოფილა.
პაპას ხშირად უყვარდა ორმხრივი კითხვე-
ბის დასმა, რომლებსაც რამდენიმე სწორი
პასუხი ჰქონდა ერთდროულად. მე პასუხ-
ებიდან ყველაზე უფრო სწორი უნდა შე-
მერჩია და თან არგუმენტებით შემეკაზმა
ჩემი არჩევანი. ვინ მოთვლის, რამდენჯერ
ვყავდი განბილებული ჭალარა მოხუცს.
შეცდომის ან დაუფიქრებლობის პატიება
არ უყვარდა პაპას. ერთი დაუფიქრებელი
პასუხი და ნასული იყო ჩემი საქმე, აღარც
ხვენნა-მუდარა მშველოდა, აღარც ცრემ-
ლების ღვარღვარი.

პაპაჩემისგანვე მქონდა ნასწავლი,
ლაპარაკი ვერცხლია და დუმილი ოქროვო.
პაპა ცოტა სხვანაირად ამბობდა-ხოლმე
ამ სიტყვებს, მაგრამ მთავარი ის იყო, რომ
ეს შეგონება საჭირო დროს გამახსენდა.
ჩამოხსნილი ნაბდის შემხედვარე ისე ვიყავი
აღტაცებული, ფიქრის თავი ნამდვილად არ
მქონდა და არასწორ პასუხს ოქროს დუმი-
ლი ვამჯობინე.

გამიმართლა.

პაპამ ან სწორ პასუხად ჩამითვალა უპა-
სუხობა ან გამონაკლისი დაუშვა და აღარ
ჩამაცვიდა.

მოხუცმა ისევ გამიღიმა, კიდევ ერთხელ
გადამისვა თავზე ხელი და კარისკენ გაე-
მართა.

კართან მისული ნაბდოსანი ჩემსკენ
შემობრუნდა. — პაპი, ლუმელ შეუკეთე
თორე, ჩაქრება და ეს ერთი ნაბადი ორივე
ვერ გაგვათბობს.

ლუმელი ისედაც სავსე იყო, მაგრამ რა
მათქმევივინებდა, აღარ უნდა-მეთქი. დიდი
გაჭირვებით სამი ნაჭერი მაინც შევუკეთე
შემით გამოტენილ ლუმელს.

კარიდან გასულ პაპას კვალზე გავყევი,
მე გოშია გამომყვა და ასე რიგად დაწყო-
ბილები ნავედით ბოსტინსაკენ. საერთოდ,
გოშიას ცოცხით აგდებდნენ ოთახიდან, მა-
გრამ ნაბდოსანმა პაპამ ისე დააინტერესა,
რომ ცხელ ლუმელს სანახაობა ამჯობინა.

ბოსტინის კარებთან მისულებს მეზო-
ბელმა შეგვაწვლო თვალი. შეჩერდა, გაიღიმა
და გაკვირვებულმა დაგვიწყო ყურება, მწ-
ყობრივ მინადენ სამეულს. ყველაზე მეტად
კი ალბათ ნაბდოსანმა პაპამ გააკვირვა.
თქმით კი არაფერი უთქვამს.

— რაო, არჩილაგ, რა შაშინებული გვი-
ყურებ? ყაჩაღად გავდივართ, თუ გული
გერჩის გამოგყევი. — უღვაშების სწორე-
ბით დაპატიჟა პაპამ მეზობელი საყაჩაღ-
ოდ.

მეზობელმა ჩაიცინა, ხელი ჩაიქნია და გზა განაგრძო.

პაპაჩემი შუა ბოსტანში შეჩერდა, ნაბადი მოიხსნა და სუფრასავით გაშალა მზისგან ატრუსულ თოვლზე.

ძალღმა იფიქრა, მე გამიშალესო და ნაბადზე დანოლა დააპირა.

— ჰაიტ შენი... სახლში ველარ ეტევი არა... — გაბრაზებულმა პაპამ კრნანისის ომში შევარდნილი მოხუცი მეფესავით იმიშვლა ხანჯალი.

ბნედა დაცემული და გაოცებული გოშია ნკნავილით გადახტა გვერდზე. ხუთიოდე მეტრის მოშორებით მოიკალათა და იქიდან დაგვიწყო ყურება.

— მამ შენ გინდა, რო ენაბადი გაჩუქო და თან ქამარ-ხანჯალი მოვაყოლო ფეშქაშად, არა? — პაპამ ჩაიცინა და კვლავ გაისწორა უღვაშები.

— ჰო. — ასე ერთი სიტყვით გამოვხატე წლობით ნაოცნებარი, სანახაობით დაბნეულმა.

— ჰოოო და, რო გინდა უნა გერგებოდეი. ამ ნაბად ხო ხედავ? თუ პირველსავე ცდაზე გადაახტები სიგრძეში, შენი ყოფილა და ეგ არი, ქამარ-ხანჯალიც თან მოყვება ფეშქაშად. თუ ვერ გადაახტი მემრის ამ დრომდე დაემშვიდობე და აღარა გნახო ხელი ნაავლო.

ამიჩქარდა გულისცემა.
 გავფითრდი.

მთელი არსებით ვგრძნობდი ძალას, რომელიც მთლიანად მე მემორჩილებოდა, ჩემი მხევალი იყო.

ასეთი რამ არასოდეს განმეცადა.

ვიდექი თეთრ თოვლზე, გაშლილი ნაბადის წინ და ვფიქრობდი გადახტომაზე...

იმ დღისით ჩემი ყველაზე სანუკვარი ოცნება ამიხდა: პაპამ ნაბადი მაჩუქა და ქამარ-ხანჯალიც მოაყოლა ფეშქაშად. მეზობლის ბავშვებისთვის არ მიჩვენებია ახალი საჩუქრები. ერთი, რომ შემეცოდნენ, რადგან მათ ნაბადები და ქამარ-ხანჯლები არ ჰქონდათ. მეორეც, მეზობლის ბავშვებს ბრუსლობანას, რემბობანას, ტერმინატობანას თამაში უყვარდათ და თითქმის არასოდეს მეთამაშებოდნენ გლახო პაპობანას, არსენა ოძელაშვილობანას, ქაქუცა ჩოლოყაშვილობანას, ცხრა ძმა ხერხეულიძეობანას... აღბათ მეზობლის ბავშვებს პაპები არ უყვებოდნენ იმას, რასაც პაპაჩემი თითქმის ყოველდღე მიყვებოდა.

დაღამებამდე ვითამაშე გლახო პაპობანა შავ ნაბადში გამონყობილმა... იმ დღისით იმდენი ლეკი გავწყვიტე, ერეკლე მეფის მთავარსარდალსაც კი შეშურდებოდა ჩემი გამირობა.





დასწავლა
ბედისნიძე

როცა აღარ იქნება მატარებლები
დაძველებული, დაბერებული —
სიკვდილი ხალხს
რით ნაიყვანს?
და სად ნაიყვანს? უცხო პლანეტაზე?

პაგანინი

ჟღერს მზის ვიოლინოზე
ქარის პიჩიკატო,
საიდუმლო, ვით მორზე
და მე მესმის მარტო.
ქარი ჯადოქარია,
როგორც პაგანინი.
განა მხოლოდ ქარია —
ჰკლავს მუსიკის ჟინი.
ჩიტებივით ბგერები
აღმა-დაღმა ჰქრია.
ჰიმნი არდაბერების
ამ მუსიკას ჰქვია.
უკრავს ქარი ნაგეში,
ჰანგები არ წყდება.
დედამინის პარტურში
ვზივარ, როგორც ჰება.
მზეა ვიოლინო და
ქარი — პაგანინი.
ვივინყებ, რაც მტკიოდა
და მთვრალ მზეს შევცინი.

მატარებლები

ჩვენი სახლები ჰგვანან ვაგზლების
სასტუმროებს,
საიდანაც გადის ხოლმე უცხო ქვეყნისკენ
მიმავალი მატარებლები.
ზოგის მატარებელი ადრე გადის,
ზოგისა — გვიან
და ჩვენ მუდამ ვფაციფუცობთ
და ვემზადებით მატარებლის გასვლის
წუთისთვის,
რომელიც როდის დადგება, არ ვიცით.
ეს მხოლოდ სიკვდილმა იცის,
რომელსაც აქვს თავის განრიგი
და ზარით გვამცნობს, რომ ჩამოდგა
მატარებელი.
ჩვენი სახლები ჰგვანან ვაგზლების
სასტუმროებს.
ხან ვის ვაცილებთ, ხან — ვის.
ხან ვის ვხვდებით, ხან — ვის.
ჩვენი ცხოვრება დაყოფილია
შეხვედრებად და ვაცილებებად,
სანამ ჩვენი მატარებელი ჩამოდგებოდეს
და სანამ ჩვენც ვაგვაცილებდნენ.
ჩვენ ვცხოვრობთ მატარებლის დროში და ნეტავ,

მე და შოპენი

მე ბავშვობაში ვუკრავდი შოპენს
და მის ბგერებში ჩამესმოდა
ღვთისმშობლის ფეხის ხმა და
ანგელოზთა ფრთების შრიალი,
ნაკადულთა ჩქეფა
და მესმოდა, მზე როგორ მიახლოვდებოდა.
მე ბავშვობაში მიქელანჯელოს დავითს
ვხატავდი
შოპენის მოყვავილე მუსიკის ფონზე
და დავითის შიშველ სხეულს
ფანქრით ისე ვეფერებოდი,
როგორც დედა — ახლად მონათლულ
თავის პირმშოს.
ცხოვრებამ დაკვრა დამავინყა,
დამავინყა ხატვა და ახლა
თავის რჩენაზე ვარ გადასული,
მაგრამ როცა ვუსმენ შოპენის მელოდიებს,
ანდა როდესაც მიქელანჯელოს დავითს
შევეყურებ,

ბავშვობა ისევ მიბრუნდება და
ხელი მიიწევს როიალისკენ, ფანქრისაკენ
და მეუფლება ის სილალე,
რომელიც მხოლოდ ბავშვებს სჩვევიათ.
მესმის ვალსები, ნოქტურნები, პოლონეზები,
ეტიუდები...

მაშინაც მესმის, როცა მუსიკა გამორთულია
და შემახსენებს, რომ ჩემში ბავშვიარ მომკვდარა,
თუმცა ცხოვრებამ ათასჯერ მომკლა.

აღდგომა

ნეტარ არიან, ვინც იხილა უფლის აღდგომა.
ჩვენი უფალი სიკვდილთა სიკვდილის
დამთრგუნველია.

ყოველ აღდგომას ვეგებებით რწმენით
აღვსილნი,

რომ ჩვენი ღმერთი მკვდრეთით აღსდგა
და ჩვენთან არის.

ო, მონყალეა ჩვენი უფალი და ლამაზი,
როგორც აღდგომის მზე.

ნეტავი სხვა პლანეტებზე თუ სწამთ ღმერთს
და თუ სწამთ, ნეტავ რა ჰქვია მათ ღმერთს?
იქაც არის ხოლმე აღდგომა

და ვარსკვლავები სააღდგომო კვრცხებივით
გორავენ ცაზე?

სხივებს აფრქვევს ქრისტეს ხატი,
როგორც დილის მზე.

ჩვენ ეს სხივები დავითითოვეთ
და დავიჭირეთ ხელში, როგორც ჩაუმქრალი
სანთლები და

მათ შუქზე ვკვალავთ გზას მომავლისკენ.
წმინდა ცეცხლი გადმოდის ჩვენზე,

ღვივის ჩვენს გულში
და ჩვენს რწმენას განამტკიცებს სწაულებით

ნეტარ არიან, ვინც იხილა უფლის აღდგომა
და ჩვენ მზისკენ ხელებს ვიწვდით,

როგორც ბავშვი დედისკენ — რომ ავიყვანოს,
რომ შეგვიყვანოს სასუფეველში.

აღდგომის მადლო, შეეწიე ჩვენს ცოდვილ
სულებს

და იხსენი ჩვენი სულები!

ღრუბლები ზღვაში

ღრუბლები, როგორც შავი რაშები
ზღვის ნაპირისკენ მიისწრაფვიან.
შაოსანია მათი მხედარი ქარი და კივის,
როგორც თმაგამლილი ჭირისუფალი.

ღმერთი მოკვდა.

ვიგლოვით ღმერთი!

და თუ თვით ღმერთი მოკვდავია,
ჩვენ რა მოგველის?

სიკვდილის ქარი შაოსანი უბერავს და
ნაპირზე გასვლას არც კი გვაცდის,
ტალღებს აგორებს და უფსკრულებში
ჩახრჩობით გვემუქრება.

გაღმა მზე და ნაპირზე შემფოთებით
დანრიალებს,

როგორც დედა გველოდება, რომ გავაღწიოთ,
მაგრამ გვერევა სიკვდილის ქარი,

ცივი, როგორც ზამთრის ზღვის ტალღა,
ვის სად წამოგვეწევა.

თუმცა ჩვენ მაინც ჩვენსას ვცდილობთ,
ვფართხალებთ და ტალღებს ვებრძვით,

მაინც მივცურავთ.

ღმერთი მოკვდა.

ვიგლოვით ღმერთი!

აღელვებული ზღვა ნააგავს დანგრეულ
ტაძარს,

დიდ სასაფლაოს, სადაც ჩვენთან ერთად
ჩვენი ღმერთიც დაიმარხება,

რომ წინ გაგვიძღვეს საიქიოში.

ღრუბლები, როგორც შავი რაშები

ყალყზე შემდგარნი

ნაპირზე მოცახცახე მზეს შესჭიხვინებენ.

წვიმის წვეთები

თქვენ ხართ სტუმრები ციდან მოსული,
აორთქლდებით და ცას უბრუნდებით
და წვიმის ცაა თქვენით ორსული,
გაქვთ გზა მიწისკენ გაუმრუდები.

დამოგზაურობთ ცა-მიწას შორის,
სულ ნკაპანკუპით დამოგზაურობთ.
არც ცა, არც — მიწა არ არის შორი
და თქვენში ჩემი სული ხმაურობს.

სხვა პლანეტებზე თუ მოდის წვიმა,
წვეთები ჭრელი, როგორც ციცრები?
გავიგებ, ბედმა თუ გამიღიმა,
თუ უკვდავ წვეთად გადავიქცევი.

ღარღი წვიმაში

წვიმა — თეთრი ასული,
მეხი — თვალი ავსულის.
შინ ვზივარ დანავსული,
ღარღს არ უჩანს სასრული.

დარდს არ უჩანს ნაპირი,
სისხლს მწოვს, როგორც ვამპირი,
ცა ჩანს ელვის რაპირით,
ღრუბელთ ალყა — სამპირი.

ვუცდი გამოდარებას,
როგორც წმინდა ხარებას,
დარდის დასამარებას.
ზეცას მზე აქვს კარებად.

წვიმასაც აქვს სასრული,
წავა თეთრი ასული,
დარდს კი გული და სული
უპყრია დანავსული.

თამაში

მზე ღრუბელს დაჭეობანას ეთამაშება,
მზე ღრუბელს დამალობანას ეთამაშება,
გაბავშვდა მზე და გაბავშვდა ღრუბელი.
ცა უფლის სასახლის ეზოა და
ამ ეზოში საკვირველი ამბები ხდება,
რომელთაც მხოლოდ გონების თვალით თუ
დაინახავს ადამიანი.

მთვარე ვალსის რიტმში ცეკვავს ცაზე
და ვარსკვლავები შემოხვევიან, როგორც
პრიმა-ბალერინები.

აიხდება ღამის ფარდა და
სცენაზე გამოდის დედამინა —
მთავარი როლის შემსრულებელი.
დედამინა სიყვარულის ძალით გვიზიდავს
და ამიტომ მყარად ვდგავართ, დავაბიჯებთ,
ცის უფსკრულში არ გადავცვივდებით.
მზე ღრუბელს დაჭეობანას ეთამაშება,
მზე ღრუბელს დამალობანას ეთამაშება
და ქარი, როგორც გამონვდილი მოხუცი
მათხოვრის ხელი

ქანაობს და მუჭში აგროვებს წუთების
ხურდას.

მიჩქრებივარ ქვეყნიერებას გაოცებისგან
პირდაღებული
და მეჩვენება ყოველ ხილვაზე, რომ პრველად
ვიხილე იგი.

მელოდია

შენი ხელები — ჩემს სხეულზე,
როგორც აწყობილ გიტარაზე.
და მელოდია,
რომელიც აღარ განმეორდება.
ყოველ შეხებაზე მდულარე მზე მეღვრება სხეულში

და ძარღვებს მიწვავს
დაწამლევს წმინდა ცეცხლის მიქცევ-მოქცევა.
ქარის ფლეიტა უერთდება ამ მელოდიას.
მუსიკით სავსე არის ოთახი,
მუსიკით სავსე არის სამყარო,
და ეს მუსიკა არ შეწყდება,
სანამ ერთმანეთს ასე ვეხვევით.
ღვთაებრივია ეს მელოდია,
რომელსაც უკრავ ჩემს სხეულზე
და როდესაც დავბერდებით
და დაცხრება ჩვენი ვნებები,
ამ მელოდიით გამოვიხმობ წარსულიდან,
ეს მელოდია იქნება ჩემი უკანასკნელი ამოსუნთქვა,
წინ გამიძღვება იმ გრძელ გზაზე,
რომლითაც მხოლოდ მიდიან და არ ბრუნდებიან.
უკრავ გიტარაზე — ჩემს მორჩილ სხეულზე.
ვუსმენ.

ვუსმენ ამ მელოდიას
და სადაცაა,
შენში ისე დავინთქმები,
ვით ზღვაში გემი,
შტორმისაგან გზააბნეული,
ან დაგაკვდები,
როგორც ია აკვდება მიწას ნაგაზაფხულევს.

მტრისას

ნეტავ, მტრისას რა გინდოდა
შე სანყალო ჩემო თავო!
რად უსმინე მტრის ნაბოღვარს,
იმედების სასაკლაოს?
ძაღლის კუდს რა გაასწორებს!
მტერი ვერ მოიშლის მტრობას.
სიყვარული ვერ აწვინე,
ვცდილობ მტერთან მეგობრობას.
მე ჩემს კეთილ სამარიტელს
დავუხსნივარ ბევრჯერ მტრისგან.
რა ვქნა, სიყვარულს ვერ ვიტევ;
სიყვარულით მივალ მტრის კარს.
მინც ვცდილობ, მტერს ვაჯობო,
მოყვრად მოვაქციო მტერი.
საქმესა ვიქმ საორჭოფოს,
არ გეტკინოთ არაფერი!
ნეტავ, მტრისას რა მინდოდა,
მოკეთეც ხომ მე მყავს ბევრი!
მტერსაც ვუძღვნათ ერთი ოდა —
გასკდეს, როგორც მაჭრით — ქვევრი.





ზვიად
ცვარსცხელია

იბელის თავბადასაყვანი

იგი დახუფულ, დიდ ყუთში იყო დამწყვდეული.

ტიროდა. შველას ითხოვდა. დამონებული, პატივყარილი ქვითინებდა, თვალი ზევითკენ გაურბოდა.

იგი დაჭედვილ, თავჩაკეტილ ყუთში იყო, ტუსალი...

(მოდითოდა ქართული აღფაბეტის მადლი):

ათადან — ბაბადან გაბედულად დაიარებოდა ეს ვნებიანი ზენა, თავისი ინტუიციითურთ. კალამი ლალად მიმორბოდა ნაგლეჯზე, ოჩოფეხა პასაჟებს ჟამჟამ რამბავდა, სადაც ტვინი უკარნახებდა — ფრთხილობდა, ქვეშქვეშობდა ლალანით, ყავლგაუსვლელი შიდაგრძნობით, ჩურჩულვებდა ცბიერი. ძილი? — ნამითაც, ჭირიმე, — ხელსავსე ჯაფა ჰქონდა.

(უკუ ტრიალდებოდა ქართული აღფაბეტის მადლი):

ჰქონდა ჯაფაი ხელსავსე, ჭარბი, ნყვდი-

ადმოცულ ძაფსამყაროში, ცოტათ ჩამუხლების შეთავისებაც ყელისმოჭრას, ლოლიალა ქვეყნის ფიგურადქმნას უდრიდა, ტირანიის სავსეთ რიჟრაჟს. ჟამი? — პირუტყვი ოხერი, ნაზად მიილტვოდა, ლაბადით, კიბეკიბე. იგი თრთოდა ზათქზე, ვითარ ელვაზე, დაჩხვლეტილი, გაურბოდა ბობოქარ ამინდს.

(ქართული გარდიქმნებოდა ლათინურ ანბანსახედ):

ატკრცილდებოდა ბაყაყი ცისა, დრუნჩიანი ერთსახე — ორტუნა, გამოიხმობდა ჰოროლში იარალაუსხმელ იმედს, კაემანისფერ ლაბირინთში მიაგდებდა ნიავივით. ოჰ, — პათეტიკურობდა კუდრაჭაობა, — რაინდო სასოო, — ტუქსავდა უნუგემოს. „ვაი,“ ქროდა იმედის ზარრისხვამი.

(უკუ მოღვინავდა ლათინური ანბანი):

ზარრისხვამი იყო ქსუ ვარამი, უთქმელ ტანჯვამი, „როგორმე, კალთაო პოულო, ნეტაი მე, — ლოცვა, — კეთროვანსა, იმედს, იოტა ჰოვსილა გამე ორტუნის ელვასაყოფად, დიდო ცისაო, ბატონო ამეეთისა...“

(ასო-ასოდ აქნილი იმედი ნაკუნებად იტყოდა სათქმელს):

იტირებდა, ივიშვიმებდა იმედი, იკვენესდა, იარამოშუმებული იავარქმნილობას იგლოვდა, იისფერი ინით იღებვიდა, იხოხებდა, იდიომატური ირონიით იკლაკნებოდა, იდუმალების ინერციამი იგლიფებოდა, იმ იშტადქცეულ იხტიბრობასაც ინელვებდა, იმ ისტერიას, იმ ინთილ ინტიმსაც, იმ... იმან?... იკრუსუნებდა, იმეტიჩრებდა, ისევ ისევ, იმნაირად...

დამვრა დამატებითი დროც, დაითენთა დინამიური დორანი! დისონანსი... დროის დუმფარას დაემშვიდობა დონკიხოტობის დრამა. დრომა დაკეცეს, დანერილი დამალეს, დამლილი დაყარეს, დაყრილი დანვეს, დამწვარი — დაგვეს და დინებას დაუთმეს. დულაბი დაამრეს, დუნდგო დაანყნარეს, დრტვინვა დაუსრულებელიც დაამშვიდეს დასასრულ.

ბაგე ბურუსაკრული ბალაბუგად ბაასობდა, ბასრი, ბეპკილი ბარდი ბალასტად ბაყანებდა ბადეზე, ბრდღვნის ბგერას ბანრავდა, ბენვა ბგერას. ბალთაზართა ბაირალი ბრძოლის ბალადას ბათილაქცევდა, ბედშავთა (ბრბო!) ბაქანზე ბარდნიდა ბალლამი. ბოლავდა ბრმათა ბორანზე, ბოლქვი ბოკობოკოდ ბობოქარობდა ბნელეთურ ბორჯში.

ემველა ებანს? — ემველა ერთხანს, ენანათ ესრეთი ეკლნარისთვის. ენამზეობით ე! იტაცეს ეკალბარდული ემბაზიდან, ერიჰა! — ერთობ ერთგულად ეპყრობოდნენ, ეპოლეთივით ეკიდათ ერთ-ერთ ეპითეტიურ „ელემენტზე“, ეპოქალური ესკიზივით

ერიდებოდნენ, ევფონიური, ენამოშრიალე ემბლემასებრ ეტრფიალებოდნენ, ეფიცებოდნენ, ეფინებოდნენ ეპოპეურ ექსპონატს, ერათა ეჟვანს...

(ასო-კრილოსანი: „სიტყვაო ღმერთო, სიტყვაო ძლიერო, სიტყვაო უკვდავო, შეგვიწყალებ ჩვენ!“ (33-ჯერ))

მონიფულიყო მჩქეფარი მცენარე, მყინვარეთის მყივანი მამალი, მღვიძარი, მუხტძლიერი მადრიგალი — მომჯადოებელი, მჭერმეტყველი მღვდელი, მზადი მუხლოხნოთა მარცვლის ამოსაძირკვავად... მაშინ? — მხეცნი მოუბრუნდნენ, მუხლი, მუჯღლუგუნი მისცეს მის მუქარას, მურტალი მჯიღით მუზარადი მიუმტვრიეს, მუდმივი მყესი მიულენეს მჩხიბავი მანქანებით.

საქმენი სამისუფლონი სადგომშივე საგინებელუყვეს სანყალ საქართველოს, სისხლის სვეტებად სცხიეს საბჭოური სამაგიერო, სამარცხვინო საქციელისთვის სალანძღავი საუბრით, სანანებელი სიტყვით საჯეს სუკის სახელით — სსრკ. სმენა! სოციალიზმი! საშური საქმე, სასიცოცხლო — სხინათელი სოციალიზმისაკენ! სიცვიის საღმობაშეყრილი სტიროდა სამშობლო საქართველო.

უარყოფილი, უამხანაგო, უარაფრო, უაზრო, უბადრუკი უძახეს „უძღებს, უნმინდურ უჯრედს, უჰაერო უჯრას, უტოპიას, უჯანო, უხიაგ უხორცოს“, უნჯი უჯმაჯურო უნოდეს, უდავიდარაბოდ უხმეს — უგულოდ, უხმლოს, უხერხემლოს უხენაესებმა უზუალური უტიფრობით, უთავბოლო უტრირებით ურნაში უძახეს უჯიათი ურაკპარაკი...

შიში... შეუქცევადად შეშინებული შარიშური, შეუნყობელი, შეჭირვებული, შეფუცხუნებული „შაგები“, შეცდომები, შეცოდებანი, შეჭირვებანი შინაურნი, შიმშილი, შიშვლობა, შუბლისძარღვგანყვეტილობა, შრომა, შავი შური, შულლის დათესვა, შუაკაცობა, შურისძიება შენმიერი, შიშისზარი, შეცდენილობა, შენირულება. შეფიქრიანება. შეღავათი. შესვენება შიშის შარაზე. შეუგნებლობა, შესაბრალისობა.

ყურადღება! ყვაააა! ყვაააა! ყორღანებზე ყრანტალებდა ყელმყვირალა ყორანთა ყრილობა. ყოვლისმცოდნედ ყოვლისშემძლე ყვაეები ყინულეთის ყარარუსიიდან ყიამყრალის ყვირილით ყვლეფდნენ ყოველივეს, ყიდიდნენ, ყიდულობდნენ. ყიდვით ყალიბდებოდა, ყოველმხრივ, ყოველგნით, ყველა ყურეკუნჭულში ყიდვაგაყიდვით ყვაოდა, ყვავილობდა ყოველდღიური ყოფის ყამირი. ყარდა ყველაფერი.

(ასო-კრილოსანი: „სიტყვაო ღმერთო, სიტყვაო ძლიერო, სიტყვაო უკვდავო, შეგვიწყალებ ჩვენ!“ (33-ჯერ))

ფიქრ ფამფალებდა ფარატიწა ფიქრი, ფიჟგულღვიძლდამწვარი ფასდაუდებ ფეხებს ფანტაზიის ფუნდუქსუკან ფარჩხავდა, ფართე, ფაგოსური ფენთხი ფარისად ფაცეცობდა ფამატის ფერდივით. ფერმხიდილი ფერია ფეტვის ფაცურში ფერადად ფერილიყო. ფიქრობდა ფითრი, ფიჩხი ფონეტიკური — ფოთლიანი ფოლორცები ფთილად ფიფქვადნენ ფხუკიანის ფეხქვეშ.

ჟამი ჟუჟუნად ჟონავდა. ჟანგმოკიდებულ ჟინიანობა ჟინიან ჟამთაღმწერლობას — ჟურნალისტიკას, ჟრიკჟრიკა ჟირაფს, ჟამენაცვლა. ჟრუნი ჟილეტი ჟანდარმივით ჟურავდა, ჟრიამულით ჟაჰაჟუჰობდა ჟანგბადიანებში. ჟღალთვალება ჟიური ჟვერის ჟრიალით ჟინჟლავდა ჟღმურტლიან ჟარგონებს, ჟღერად ჟღვინტლებს ჟღუდისფერ ჟიჟოზე, ჟამიან ჟოლოს ჟღეტდა ჟივილით...

გლოვა გრძელდებოდა, გარკვეულნილ განუვრცობლად. განთიადის (განათადა?!), განმათავისუფლებელის გენია გელაობდა გარდამავალ, გარიყულ გარნიტურაზე. გარუჯული, გინდაც გარყვნილი გული გაბახებულ გზას გვიან, გვემაგვემით გესლავდა, გზადაგზა გაჰყავდა გვირაბი, გვრინავდა, გლანდ გველაძეებს გარდიგარდმო გლეფდა... გრდემლი გოგნობდა გონების გარიჟრაჟზე...

კამაროვან კალოზე კრიპტოისფერი კანდელი კელავდა. კალამი კარდაკარ კალმასობდა, კეთილად კემსულ კერას კრავდა კაციშვილებში. კვალმაძიებელი კვერავდა კვანძის კვერს, კვირაცხოვლობის კვირეულისთვის კვერავდა. კვლავაც კვერცხდებოდა კვირტი, კიდობნის კიდეზე კიაფობდა კოჟრმაძღარი, კამათობდა, კაფიაობდა კონტრასტულად, კალიგრაფობდა კიდეც — კაჟდებოდა...

ქარტეხილების ქაფარი ქარი ქროდა, ქეშანთა ქორე ქარცხდებოდა, ქაჯემმაკთა ქება-დიდებას ქვეშქვეშა ქვითინით ქვე ქიკვავდა, ქესატ ქეცს ქიმუნჯებით ქელავდა ქარიშხალი. ქვაკუთხედი, ქასქანჯიელთა (ქრისტეო ქედფიცხელო!) ქიაქიასაყოფ ქეიბურად ქცეულიყო. ქვიშანი, ქარუმი ქვანი, ქედმოუხრელად ქვენყობილიყვენ ქანურ, ქეშელ ქვაკირად...

ომის ობელისკი (ორანი: ოხვრათ ორომტრიალი) ობმოუკიდებლად, ორლესურად, ორნატგაკვალული ოცნებობდა ოსტატური ომისთვის. ოჰ, ო, ოლიმპიური ონავრობდა ორომტრიალში ოხუნჯური ორწერტილი, ორბისთვალება: ომი ოჩნობდა ომისათვის, ოღროჩოღრო, ოცაბოცა ორხვეისაკენ, ოდითჟამინდელი ოაზისისთვის ოქროპირობდა; ოჰმე, ოხტამოსულო ორჭოფობავ, ოხშივარო ომისაო!.

(ასო-კრიალოსანი: „სიტყვაო ღმერთო, სიტყვაო ძლიერო, სიტყვაო უკვდავო, მეგვინყალენ ჩვენ!“ (33-ჯერ))

თავისუფლებაა! თავისუფლება — თეთრ თაბახზე თავაუღებლად თვალნატანადევი თავგადასავალი, თავად თავბრუდამხვევი, თავაშვებული, თავდაჭერილიც — თავარა, თამამი თეზისი — თანწყობილი თარჩია, თბილიც თურმე — თვალაბმული თვალეზი, თასმად თლილნი, თავდაჭერილნი თითქო — თილისმანი, თიკუნი თემიდისა; თოფუკველი თორნი, თავისთავადი თოხარიკი... თემშარა... თავისუფლება!

(ასო-ასო აჩამიჩებული, ასო-ასო აქნილი, ან დალაგებული იმედი, დალაგებულად იტყოდა სათქმელს):

აი, ბალღამიანი, განგანმავალიც, დაბეჭდილი ერთიანობა. ვინ? — ზეიმობს თვითმყოფადი იმედი. კარგია! ლავინგადამსხვრეული მტერი ნაძოძი, ოხრავს, პარპალებს ჟანგეული. რა? — სასოა ტახტრევანზე, უეკლო ფაფანაკით, ქრისტე ღმერთი, ყანნიანი შაბაში ჩვენი, ცისა ძალი, წინამოჭირგადახდილთა, ხვანჯთგანმოსულთა,

ჯაფაგამოცლილთა — ჰაეროვანი!

(სათქმელს უკუპირიც ხშირად ეპოვებოდა და...):

— ჰარირალეე! — ჯალათგამოვლილთა ხმა, — ჭირი წარვიხოცეთ, ძალა ციური ჩვენთანაა, ჩაუშრეტელი ღონე... — ქარი ფიქრისას უბერავდა, ტოტებს სწყვეტდა, პრონიალობდა ორცვობორცვოდ ნასაყდრალი მთის ლოდი, კრიახობდა იმედი, თოთლიბაზი ზენა... ვარსკვლავი ეკიდა დაბინდულად გაბროსფერი... ბურუსმქნილიყო არე...

იყო დრო და დარჩა დრო...

დარჩება!

იყო ტკივილი და დარჩა ტკივილი...

დარჩება!

იყო იმედი და რჩება იმედი...

დარჩება!

მეზობლად კი, ტიტლიკანა, ბოხხმიანი ნინველი გაჰკივის ორკესტრულად:

ვივეეე, ვივეეე,

ვრაქი!





ხელოვნ ჯორჯისანი

დახვეწილი სახლი¹

სახლი მოგვწონდა — ხალვათი და ძველი იყო (დღესდღეობით ძველი სახლები ხომ მათი შემადგენელი მასალების რაც შეიძლება მომგებიანად გაყიდვის მსხვერპლი ხდება); თანაც პაპის დედ-მამის, პაპაჩვენის (მამის მხრიდან) მშობლებისა და მთელი ბავშვობის მოგონებებსაც ინახავდა.

ირენე და მე სახლში მარტოდ ყოფნას მიჩვეულნი ვიყავით, რაც ახირება იყო; ამ სახლში რვა ადამიანს ისე შეეძლო ცხოვრება, ერთმანეთისთვის ხელი არ შეეშალა. ვდგებოდით შვიდზე — დილას მილაგებას ვანდომებდით; დაახლოებით თერთმეტისთვის ბოლო ოთახებს ირენეს გადავაბარებდი ხოლმე, თვითონ კი სამზარეულოში შევდიოდი. შუადღეს ვსადილობდით, ყოველთვის პუნქტუალურად; მერე გასაკეთებელი აღარაფერი რჩებოდა, რამდენიმე ჭუჭყიანი თევზის

გარეცხვას თუ არ ჩავთვლით. ჭამისას დიდ და მდუმარე სახლზე ფიქრი გვსიამოვნებდა, იმაზეც, ჩვენ ორნი როგორ ვკმაროდით — მუდამ მილაგებული ყოფილიყო. ზოგჯერ იმ დასკვნამდეც მივსულვართ, რომ სწორედ სახლმა არ მოგვცა დაოჯახების საშუალება. ირენემ ორ პრეტენდენტს სერიოზული მიზეზის გარეშე უთხრა უარი; მე კი — მე, მარია ესთერი იქამდე მომიკვდა, სანამ დანიშნვის სტადიამდე მივიდოდით. ორმოც წელს იმ გამოუთქმელი აზრით ვუახლოვდებოდით, რომ ჩვენი მარტივი და მშვიდი თანაცხოვრება აუცილებელი დასასრული იყო იმ გვარის ისტორიისა, ჩვენ სახლში პაპის დედ-მამამ რომ დაუდო სათავე. ერთ დღეს მასში დავიხოცებოდით, სახლი კი უქმ, მფრთხალ კუზნეებს შერჩებოდათ და მას მიწისა და აგურების ხარჯზე გასამდიდრებლად დაამხოვნენ; ან, უმჯობესი იქნებოდა, თვითონვე დაგვექცია, სანამ გვიანი იქნებოდა.

ირენე არავის შესაწუხებლად დაბადებული ქალი იყო. დილის საქმეებს რომ მოათავებდა, დღის დარჩენილ ნაწილს თავის საწოლ ოთახში სოფაზე მოკალათებული ქსოვაში ატარებდა. არ ვიცი, რატომ ქსოვდა იმდენს; მიმაჩნია, რომ ქალები ქსოვენ, რადგან ამ საქმეში დიდებული საბაბი ნახეს არაფრის საკეთებლად. ირენე ასეთი არ იყო, ყოველთვის საჭირო რაღაცებს ქსოვდა, თბილ ნივთებს ზამთრისთვის, წინდებს ჩემთვის, ზედატანს თავისთვის. ზოგჯერ მოქსოვდა კოფთას, მერე უმაღვე დაარღვევდა, იმიტომ რომ რაღაც არ მოეწონებოდა; მხიბლავდა პატარა კალათაში დახვეული შალის გროვის ყურება, რომელიც ფორმის დაკარგვას რამდენიმე საათის განმავლობაში ეწინააღმდეგებოდა. შაბათობით ცენტრში დავდიოდი შალის საყიდლად; ირენე ჩემს გემოვნებას ენდობოდა, გორგლების ფერი სიამოვნებდა და არასდროს დააჭირებია მათი უკან დაბრუნება. ამ გასვლებს წიგნის მაღაზიების დასავლელად ვიყენებდი და ამაოდ რომ მეკითხა — ფრანგული ლიტერატურის სიახლეები ხომ არ ჰქონდათ. 1939 წლიდან არგენტინაში ღირებული არაფერი ჩამოდიოდა.

მაგრამ სახლზე საუბარი უფრო მაინტერესებს, სახლსა და ირენეზე, ვინაიდან მე მნიშვნელოვანი არ ვარ. ჩემ თავს ვეკითხები, რომ არ ექსოვა, რას გააკეთებდა ირენე. ადამიანს შეუძლია წიგნის ხელახლა ნაკითხვა, მაგრამ როდესაც პულოვერი დასრულებულია, მისი თავიდან მოქსოვა უკვე მეტისმეტია. ერთ დღესაც, კომოდის თავზე თეთრი, მწვანე, იასამნისფერი ნაქსოვი შალებით — სახლსა და ირენეს ხის ყუთი ვიპოვე; ნაფთალინამოდეებული ისე ეწყო, როგორც საგალანტერეო მაღაზიაშია. გამბედაობა არ მეყო ირენესთვის მეკითხა — რისთვის უნდოდა. სარჩოს შოვნა არ გვჭირდებოდა, ყოველთვე სოფლებიდან ფული ჩამოგვდიოდა და ქონებაც გვემატებოდა. მაგრამ ირენეს მხოლოდ ქს-

1. Casa tomada შეიძლება ითარგმნოს ორნაირად: „დაკავებული სახლი“ ან „მიტაცებული სახლი“. მთარგმნელმა პირველი ვარიანტი ამ ნაწარმოებისთვის უფრო შესაფერისად ჩათვალა (აქ და შემდგომში – მთარგმნელის კომენტარები).

ოვა ართობდა — საოცარ მოხერხებულობას იჩენდა და მეც საათობით ვუყურებდი მის ვერცხლისფერი ზღარბების მაგვარ ხელებს, სწრაფად მონაცვლე ჩხირებით, კიდეც იატაკზე დადებულ ერთ თუ ორ კალათას, სადაც გორგლები განუწყვეტლივ ირხეოდა. ლამაზი სანახავი იყო.

როგორ არ ვახსენო სახლის დაგეგმარება. სასადილო, გობელენებით განწყობილი დარბაზი, ბიბლიოთეკა და სამი დიდი სანოლი ოთახი დაცილებულ ნაწილში მდებარეობდა, როდრიგეს პენიას ქუჩას რომ გადაჰყურებდა. მუხის მასიურკარიანი დერეფანი განაცალკევებდა სახლის ამ ნაწილს წინა ფლიველისგან, სადაც სააბაზანო, სამზარეულო, ჩვენი სანოლი ოთახები და შუა საცხოვრებელი ოთახი იყო, რომელსაც ჩვენი სანოლი ოთახები და დერეფანი უერთდებოდა. სახლში მაიოლიკებით დამშვენებული ჰოლით შემოდოდნენ, იქიდან კი წინაკარით საცხოვრებელ ოთახში გადადიოდნენ. მასში ჰოლიდან შესვლისას ორივე მხარეს ჩვენი სანოლი ოთახების კარები აღმოჩნდებოდა, წინ კი დერეფანი იწყებოდა, რომელიც მუხის კარს იქით სახლის განცალკევებულ ნაწილში გრძელდებოდა; ანდა, შეიძლებოდა კარის წინ მარცხნივ გახვევა და უფრო ვიწრო გასასვლელით გასვლა, სამზარეულოსა და სააბაზანოსკენ რომ მიემართებოდა. თუ კარი ღია რჩებოდა, შეიმჩნეოდა, რომ სახლი ძალიან დიდი იყო; კარდაკეტილი კი, — დღეს რომ ამენებენ, ისეთის შთაბეჭდილებას ახდენდა, შიგნით ძლივს რომ იმოძრავებ; ირენე და მე ყოველთვის სახლის აქეთა ნაწილში ვცხოვრობდით, მუხის კარს იქით თითქმის არასდროს გავდიოდით, მხოლოდ დასასუფთავებლად — დაუჯერებელია, როგორ გროვდება ავეჯზე მტვერი. ბუენოს აირესი შედარებით სუფთა ქალაქია, მაგრამ ეს მხოლოდ მისი მაცხოვრებლების დამსახურებაა. მიწა მშრალია და ჰაერში მტვერი დიდი რაოდენობითაა, დაუბერავს ქარი და სარკის სადგამი მაგიდების მარმარილოს ფარავს, მაქმანის სუფრების რომბებს შორის გროვდება; ბუმბულათი მისი კარგად გამოწმენდა დიდ შრომას მოითხოვს — დაფრინავს, ჰაერში რჩება, წამში ისევ ავეჯსა და ფორტეპიანოზე ილექება.

ყოველთვის ცხადად მეხსომება, იმიტომ რომ მარტივად და უსარგებლო გარემოებათა გარეშე მოხდა — ირენე თავის საწოლ ოთახში ქსოვდა; საღამოს რვა საათი იქნებოდა და უეცრად ვიფიქრე ცეცხლზე მატეს¹ კარდალა დამედგა. დერეფნით გავიარე, სანამ მუხის კარის წინ აღმოვჩნდებოდი, სამზარეულოსკენ მიმავალ მოსახვევში შევდიოდი, რომ სასადილოსა თუ ბიბლიოთეკაში რალაციის

1. არგენტინისა და რამდენიმე სხვა ლათინურამერიკული ქვეყნის ეროვნული სასმელი. მზადდება შესაბამისი მცენარის (*yerba mate = Ilex paraguayensis*) გაშხმარი ფოთლებისა და წყლისგან. არსებობს დამზადების სხვადასხვა რეცეპტი. დიდი რაოდენობით კოფეინს შეიცავს.

ხმა გავიგე. ბგერა არამკაფიოდ და ყრუდ მოდიოდა, თითქოსდა ხალიჩაზე სკამის გადაყრავება, ან ყრუ ჩურჩულით საუბარი ყოფილიყოს. მაშინვე, თუ წამის დაგვიანებით, ხმა დერეფნის სიღრმეშიც გავიგე, კარის იქით — სანამ გვიანი იქნებოდა, ვეცი და სხეულით მივანექი, მივაჯახუნე; საბედნიეროდ, გასალები საკლიტეში ჩვენი მხრიდან იყო მოქცეული; მეტი უსაფრთხოებისთვის დიდი ურდულიც გავუყარე.

სამზარეულოში წავედი, მატე გავაცხელე და ლანგრით რომ დავბრუნდი, ირენეს ვუთხარი:

— დერეფნის კარის დაკეტვა მომიხდა. სახლის იქითა ნაწილი დაიკავეს.

ნაქსოვს ხელი გაუშვა და სერიოზული თვალებით შემომხედა.

— დარწმუნებული ხარ?

თავი დავეუკარი.

— მაშასადამე, — წარმოსთქვა და ჩხირები ისევ აიღო. — ამ ნაწილში უნდა ვიცხოვროთ.

მატეს დიდი სიფრთხილით ვწრუშავდი, ის კი, სანამ მუშაობას გააგრძელებდა, ცოტა ხნით დაყოვნდა. მახსენდება, რუხისფერ ზედატანს ქსოვდა; მომწონდა ის ზედატანი.

პირველი დღეები გავიჭირდა; სახლის დაკავებულ ნაწილში ორივეს ბევრი ისეთი რამ დავგერჩა, რაც გვიყვარდა. მაგალითად, ყველა ჩემი ფრანგული წიგნი — ბიბლიოთეკაში იყო. ირენეს სუფრები და თბილი ჩუსტი ენატრებოდა, ზამთარში ასე რომ ათბობდა. მე ჩემი ღვიის ჩიბუხი მენალვლებოდა, ირენე კი, მგონი, მრავალი წლის დავარგებულ ესპერიდინას² ბოთლზე ფიქრობდა. კომოდის რომელიმე უჯრას უკან შევწევდით ხოლმე და ერთმანეთს სინანულით გადავხედავდით:

— აქ არაა.

და ეს ნივთიც იმ ყველაფერს ემატებოდა, სახლის იქითა ნაწილთან ერთად რომ დავკარგეთ.

მაგრამ მომხდარმა გარკვეული სარგებელიც მოგვიტანა. დალაგება იმდენად გაადვილდა, რომ, მართალია, ძალიან გვიან ვდგებოდით, მაგალითად, ათის ნახევარზე, ჯერ კიდევ თერთმეტი არ იყო და უკვე გულხელდაკრეფილები ვიყავით. ირენე მიეჩვია ჩემთან ერთად სამზარეულოში წამოსვლასა და სადილის გაკეთებაში დახმარებას. კარგად ვიფიქრეთ და შემდეგი გადაწყვეიტით: მე სადილს მოვამზადებდი, ირენე კი — რამე კერძს, საღამოთი ცივად რომ მიგვერთვა. გავვიხარდა, რადგან ყოველთვის შემანუხებელი იყო დაღამებისას სანოლი ოთახების დატოვება და მზარეულობის დაწყება. ახლა ირენეს ოთახში მდგარი მაგიდა გვემაროდა და ცივსაჭმლიანი ლანგრები.

ირენე კმაყოფილი იყო, რადგანაც საქსოვად მეტი დრო რჩებოდა. მე, ჩემი ფრანგული წიგნების გამო, ცოტა არეული დავდიოდი,

2. 1864 წ. გამოცემილი არგენტინული აპერიტივი, მზადდება ფორთოხლის ქერქის გამოყენებით.

მაგრამ დისტოვის გული რომ არ მეტკინა, მა-
მიკოს საფოსტო მარკების კოლექციის გა-
დათვალეირება დავიწყე, და ეს მშველიდა
დროის გაყვანაში. კარგად ვერთობოდით,
თითოეულს თავისი საქმე ჰქონდა, თითქმის
მუდამ ერთად ვიყავით, ირენეს სანოლ ოთახ-
ში, რომელიც უფრო კომფორტული იყო.
ზოგჯერ ირენე მეტყვოდა:

— ნახე, როგორი თვალი გამომივიდა.
სამყურას ხომ ჰგავს? — ცოტა ხნის შემდეგ
კი, ახლა მე ვუდებდი თვალწინ ქალაღის
პატარა კვადრატს, ეუპენისა და მალმედის
რომელიმე მარკა რომ ენახა. კარგად ვიყავით
და თანდათანობით ფიქრსაც ვანებებდით
თავს. ფიქრის გარეშე ცხოვრება შესაძლებ-
ელია.

(როდესაც ირენე ძილში ხმამალა
ლაპარაკს იწყებდა, მაშინვე ვიღვიძებდი.
ვერ შევეჩვიე ამ ქანდაკებისა თუ თუთიყუშის
ხმას, ხმას, რომელიც სიზმრებიდან მოდიოდა
და არა ყელიდან. ირენე მეუბნებოდა, რომ
ჩემი სიზმრები ისე მახორგებდა, ზოგჯერ
საბანიც ჩამოცურებულა. ჩვენ სანოლ ოთახ-
ებს შორის კიდევ საცხოვრებელი ოთახი იყო,
მაგრამ ღამით მაინც ერთმანეთის სუნთქვა,
ხველა გვესმოდა; ვგრძნობდით ერთმანე-
თის მოძრაობას მაგიდის ნათურის ჩართვის
დროს, — ორივეს ხმირ უძილობას.

ამ ყველაფერს თუ მხედველობაში არ მი-
ვიღებთ, სახლში ყველაფერი მშვიდად იყო.
დღისით ჩვეული ხმები ისმოდა — საქსოვი
ჩხირების შეხებით წარმოშობილი ლითონ-
ური ბგერა, ფილატელისტური ალბომის
გადაფურცვლის შრიალი. მუხის კარი, მგონი
ნათქვამი მაქვს, მასიური იყო. სამზარ-
ეულოსა და სააბაზანოში, რომელიც სახ-
ლის დაკავებულ ნაწილს ემიჯნებოდა, უფრო
ხმამალა ვინწყებდით ლაპარაკს, ანდა ირენე
მღეროდა. ისე კი, სამზარეულოში ქაშანაუ-
რისა და მინისგან იმდენი ხმაური იყო, რომ
სხვა ბგერა არ ისმოდა. სიჩუმეს იქ იშვიათ
შემთხვევაში თუ დაუშვებდით, მაგრამ
როდესაც სანოლ ოთახებსა თუ საცხოვრებ-

1. ეუპენი (Eupen) და მალმედი (Malmédy) გერმანიის
ორ ოლქს წარმოადგენდა. I მსოფლიო ომში გერმანიის
დამარცხების შემდეგ ისინი ბელგიურ ადმინისტრაციას
დაექვემდებარა (1920-1925), ხოლო 1925 წ. ღია წესით
ჩატარებულ პლენისციტში ოლქების გერმანული მოსახ-
ლეობა აიძულეს ხმა მიეცა ამ ტერიტორიების ბელგიის
მიერ ანექსიის სასარგებლოდ. არსებობს ბელგიის საფოს-
ტო მარკები 1920-იანი წწ. ზედნაბეჭდებით — “Eupen”
და “Malmédy”. II მსოფლიო ომის მსვლელობაში გერმა-
ნიამ დროებით დაიბრუნა ეს ტერიტორიები — ცნობილია
III რაიხის მარკა წარწერით “Eupen-Malmédy wieder
Deutsch” (ეუპენ-მალმედი კვლავ გერმანულია), და ბელ-
გიური მარკები გერმანული ზედნაბეჭდით “Eupen ist frei”
(ეუპენი თავისუფალია) და სვასტიკით. ეუპენი და მალმედი
ამჟამად ბელგიის სახელმწიფოს შემადგენელი ნაწილია.
ეუპენში ოფიციალური ენა მაინც გერმანულია.

უადგილო არ იქნება, ალბათ, აღვნიშნოთ, რომ თავად ხუ-
ლიო კორტასარი ბელგიაში, ბრიუსელში დაიბადა.

ელში ვბრუნდებოდით, სახლი მდუმარე-
ბასა და მრუმეში ეფლობოდა; ფესხაც კი
უფრო ფრთხილად ვადგავდით, თავი რომ არ
შეგვეწუხებინა. ვფიქრობ, ღამე ირენეს სიზ-
მარი რომ ხმას ამოაღებინებდა, მაშინვე იმი-
ტომ ვიღვიძებდი).

თითქმის იგივეს გამეორება გამოვა, შედე-
გებს თუ არ ჩავთვლით. სალამოთი წყურვილი
მომეძალა და სანამ დავწვებოდით, ირენეს
ვუთხარი, რომ სამზარეულოში მივდიოდი
ჭიქა წყლის დასალევად. სანოლი ოთახის
კართანვე სამზარეულოდან ხმაური მომეს-
მა; სამზარეულოდან თუ სააბაზანოდან
— დერეფნის მოსახვევი ბგერას ახშობდა.
ირენემ ყურადღება მიაქცია, უეცრად რომ
გავჩერდი და სიტყვის უთქმელად გვერდით
დამიდგა. ვიდექით და ხმებს ვუსმენდით,
თანაც აშკარად ვატყობდით, მათი წყარო
მუხის კარსაქეთა მხარეს იყო, სამზარეულო-
სა თუ სააბაზანოში, ან უშუალოდ დერეფანში,
მოსახვევთან, თითქმის ჩვენს გვერდით.

ერთმანეთისთვის არც კი შეგვიხედავს.
ირენეს ხელი ჩავჭიდე და ჰოლის კარისკენ
წავათრიე; თავიც არ მოგვიბრუნებია. ზურგს
უკან ხმები უფრო ძლიერად, მაგრამ ისევე
ყრუდ უღერდა. კარი მივაჯახუნე და ჰოლში
დავჩრჩით. ახლა არაფერი ისმოდა.

— ეს ნაწილიც დაიკავეს. — თქვა ირენემ.
ნაქსოვი მისი ხელებიდან ძირს ეშვებო-
და; ძაფები კარამდე მიდიოდა და მის ქვეშ
იკარგებოდა. როცა შეამჩნია გორგლები მე-
ორე მხარეს დარჩა, არც გაუხედავს, ხელი
ისე გაუშვა.

— გქონდა დრო რაიმეს წამოსალეზად? —
ტყუილუბრალოდ ვკითხე.

— არა, სულ არა.

ისლა დავგრჩა, რაც გვეცვა. თხუთმეტი
ათასი პესო გამახსენდა ჩემი სანოლი ოთახის
კარადაში შენახული. ახლა უკვე გვიანი იყო.

მაჯის საათი შემრჩა, დავხედე — სალამოს
თერთმეტი საათი იყო. ირენეს ხელი მოვხ-
ვიე (ის მგონი ტიროდა) და ქუჩაში გავედით.
სანამ სახლს მოვშორდებოდით, სინანული
დამეუფლა, შესასვლელი კარი კარგად გამ-
ოკვეტე და გასაღები კანალიზაციის ლიუკ-
ში ჩავავდე. ნაკლებ მოსალოდნელი იყო —
ასე გვიან ვინმე საცოდავ გარენარს სახლის
გაძარცვა მოსვლოდა აზრად და მასში შეპა-
რულიყო. თანაც სახლიც ხომ უკვე დაკავე-
ბული იყო.

ესპანურიდან თარგმნა

ირაკლი ფალავამ



ზაირა

არსენიძე

ხ ე ნ ჭ ე ბ ი

(საბჭოთა დროის პარადოქსები)

ყველა ეს ამბავი დღევანდელი გადასახედიდან წარმოუდგენელია და დაუჯერებელი ... ვინც არ მოსწრაზია, შეიძლება არც დაიჯეროს, არ გაშიშვლირდებოდეს, ... მაგრამ ასეთი იყო აბსურდული შეუსაბამოებით სავსე ჩვენი ცხოვრება, ტოტალიტარული საბჭოთა კავშირი, განსაკუთრებით კი სტალინის სიკვდილამდე და შემდეგაც, თუმცა არა ისეთი მძვინვარებით. ასე გგონია, ეს „კანჭები“ საბჭოთა ისტორიის ერთი წინსვალაა, ჭაოვის ერთი წვეთი, რომელშიც შეიძლება ილანდებოდეს საბჭოთა ადამიანების ტრაგიკომიკური ყოფა.

ვიზს დიდი თვალები აქვს

ცნობილი ქართველი ფილოსოფოსი და ბრწყინვალე ორატორი გათვალული იყო. წარამარა იბარებდნენ შინსახკომში და ქალაქიდან გასვლის უფლებაც არ ჰქონდა, არავის ეპარებოდა ეჭვი, რომ სადაცაა დაიჭერდნენ, და მართლაც დაიჭირეს კიდეც. მაგრამ სანამ დააპატიმრებდნენ, თავის ასეთ მდგომარეობას არ ეპუებოდა, სალამობით, თავის ძალღთან ერთად დასეირნობდა ქალაქის ქუჩებში და ყველა, მის თავადერილ, ფართე ნაბიჯით სეირნობას ქალაქის ცენტრში, — ზემელიდან კიროვის ბალამდე, და ასე განსაჯეთ, ბაღში ჯდომას, შეუპოვრობად უთვლიდნენ. ერთი ცნობილი მეცნიერი-აკადემიკოსი და თან მეზობლად მცხოვრები კი აღშფოთებას ვერ მალავდა: „რა არის ეს, რაა, რა დღეში გაგდებს ეს კაცი, ასე არხეინად რომ დასეირნობს, ასე გამომწვევად! და იძულებულს გხდის გზა აუქციო და ქუჩის მეორე მხარეს გადახვიდე, (რასაც კიდეც აკეთებდა) მაგრამ თუ ვერ მოასწარი და პირისპირ შეეჯახები, რა უნდა ქნა? თუ მიესალმები და ხომ შეიძლება შენც მისი ბედი გელოდესო?“

და წარმოიდგინეთ, ვერავინ ეუბნებოდა ამ აკადემიკოსს: „შე ქვეშაფსია, შეგირცხვეს კაცობაო! რადგან უმრავლესობა სწორედ ასე იქცეოდა. შემზარავია დიდი ტერორი.“

შლიაპა

სწორედ იმ წლებში, ტერორისა და რეპრესიების დროს, ლენინგრადის 3-ში, სადაც ჩემი უახლოესი მეგობარი ცხოვრობდა, მივიდა თურმე ახალგაზრდა ფორმიანი „იქიდან“ და ქურთ მეეზოვე ფარეზას ეკითხება: „აქ შლიაპიანი ვინა ცხოვრობსო?“ როგორც ჩანს, ახალბედა იყო, სანიმუშო თავგამოდებით სავსე, განსაკუთრებული სიფხიზლით აღჭურვილი და თვითონ უბირს, ყოველი ინტელიგენტი შეფარული „ხალხის მტერი“ ეგონა და „შლიაპასაც“ ინტელიგენტობის ნიშნად თვლიდა. მეეზოვე ფარეზამ დაიფიცა თურმე, მე აქ შლიაპიანი არავინ მინახავსო. მერე კი ჩემი მეგობრის, რუსუდან გაგუას მამას, შესანიშნავ ინტელიგენტს, უმუშევარ იურისტს, (რადგან ბ-ნ რაჟდენს მიაჩნდა, რომ რეპრესიების დროს შეუძლებელი იყო იურისტის პატიოსნად მუშაობა) შეშინებული აფრთხილებდა: „ძია რაჟდენ, შლიაპა აღარ უნდა დაიხუროთ იცოდეთ, თორემ შლიაპის გულისთვის ღირს ციხის კედლების ლესვა!“

პატიმარიც აღარ მერქმევამო

ჩვენი მეზობელი, მერი ოთარაშვილი, 37 წელს, დიდი ტერორის დროს, დააპატიმრეს და გადაასახლეს ციმბირში 8 წლით. რა თქმა

უნდა, სულ ტყუილბრალოდ, ვითომ პოლიტიკურად საეჭვო ანეგდოტის მოყოლის გამო. სინამდვილეში კი, ის უვნებელი ანეგდოტი უამბო სხვამ, მერიმ გაიცინა და სწორედ იმ სხვამ დააბეზლა. ალბათ, სახლში მისვლისთანავე მერის ის თანამშრომელი მოაგონდა და შეეშინდა: ეს რა მომივიდა, ვინც მისმენდა, იმან არ დამაბეზლოსო, უნდა დავასწორო და მყისვე გააშანშალა „დანოსი“: „მერი ოთარაშვილი გულიანი სიცილით ჰყვება პოლიტიკურად მიუღებელ ანეგდოტებსო.“

სანყალი მერი გადასახლებიდან 45 წელს დაბრუნდა განთავისუფლებული, დათრგუნული და თავში ჩაკრული. ის ვალდებული იყო დროდადრო გამოცხადებულიყო რაიონის შინსახკომის განყოფილებაში, დაედასტურებინა თავისი არსებობა და ქალაქში ყოფნა. იმ საშინელ სახლში რომ შევდივარ, სიცოცხლეს ვათავებო, ამბობდა ხოლმე. მაგრამ სხვაგანაც, საზოგადო დანესებულებებში, სახლმმართველობა იქნებოდა, საპასპორტო განყოფილება, თუ სხვა რამ, მიადგებოდა კარს და შეკრთებოდა, აინურავდა მხრებს, იდგა ბეწავად და გულის ბაგაბუგი ყურებში სცემდა.

და თუმცა 37-38 წლების მსგავსი, გაუგონარი, დიდი ტერორი აღარ მძვინვარებდა, რეპრესიები არასდროს არ შეწყვეტილა, ხალხთა მამა, როგორც სატურნი თავის შვილებს, ყლაპავდა და ყლაპავდა თავფეხიანად საბჭოთა ადამიანებს და ვერ ცხრებოდა. მხოლოდ სიკვდილს შეეძლო დაეცხრო მისი მამა.

და აი, 48 წელს გავრცელდა ხმა: გადასახლებიდან დაბრუნებულებს ისევ უპირებენ დაპატიმრებასო. მერის ეჭვი არ შეჰპარვია, რომ დღეს თუ ხვალ ისევ სტაცებდნენ ხელს. ბევრი არ უფიქრია, გადანყვიტა თავისი ფეხით დაბრუნებულიყო ციმბირში, თავისი გადასახლების ადგილას: მე ველარ ავიტან ჩხრეკას, დაპატიმრებას და „ტებლუშკებში“ ტანჯვა-წვალებასო, სჯობს ავილო ჩემი ტყაპუჭი და ავიბარგოო, თავისუფალ გადასახლებაში ვიქნები, კაპიკებად ვიქირავებ ოთახს, ექთანად ვიმუშავებ, ზოგჯერ მონაწილეობას მივიღებ პატიმართა დრამნის დადგმებში და თან პატიმარიც აღარ მერქმევაო, თქვენ არ იცით, ეს რას ნიშნავსო. ამას ყველაფერს ისე ამბობდა, გეგონებათ დაჰხარის თავის მიხვედრილობასა და გადანყვიტებებსო. მართლაც, აიკრა გუდა-ნაბადი და გაუდგა ციმბირის გზას. საინტერესო ის არის, რომ არავის, არც ოჯახის წევრებს, არც მეზობლებსა და ახლობლებს აზრად არ მოსვლიათ ეთქვათ, იქნებ ტყუილი გამოდგეს ეს ხმები და ნუ აჩქარდებიო. ყველა ყველაზე უარესს ელოდა. ამ მეორე თვითგადასახლებიდან მერი სტალინის სიკვდილის შემდეგ, 55 წელს დაბრუნდა, საბოლოოდ რეაბილიტირებული.

ტოტალიტარული სახელმწიფოს ლოგიკით, ასეთი „მაღალი შეგნებისათვის“ სტალინს

ჩვენი მერი ორდენით თუ არა, მედლით მაინც უნდა დაეჯილდოებინა, განა არა? მაგრამ 55 წელს ხალხთა მამა ცოცხალი აღარ იყო.

ჩესიერი

„ჩესიერი არ იცი რას ნიშნავს? ჩესიერი?!“ გაუკვირდა დოდოს, თითქოს შეკრთა კიდეც. „რალაც აბრევიატურასავით არის.“ ვთქვი მე დაეჭვებით.

„Член семьи изменника родины! ჩესიერები, ძირითადად პატიმარი ქალები არიან, ეგრეთწოდებული „ხალხის მტრის“ ცოლები, „ოჯახის ნევრობის“ გამო დაპატიმრებულები და გადასახლებულები.“

„ალბათ, იმიტომ არ ვიცოდი,“ თავი ვიმართლე მე, „დედაჩემი, როგორც ხალხის მტრის ცოლი, არ დაუპატიმრებიათ.“

„კიდევ კარგი, კიდევ კარგი ...“
ეს მაშინ იყო, როცა ჩვენ კონცერტიდან ვბრუნდებოდით, მე და დოდო.

დოდო ყანჩაველი, შესანიშნავი პიროვნება, ზოტანიკოსი, დიდი მოყვარული მუსიკისა, რა უნდა ყოფილიყო, რომ მას სამფონიური მუსიკის კონცერტი გაეცდინა. ზოგჯერ ერთად წამოვსულვართ კონსერვატორიდან, ან მუსიკის ცენტრიდან, ... კარგი ამინდი თუ იყო, ფეხითაც, ... თან ერთმანეთს შთაბეჭდილებას ვუზიარებდით, დოდო მუსიკის შესანიშნავი შემფასებელი იყო და არაფერი გამოეპარებოდა. იმ საღამოს ჩაიკოვსკის მეხუთე სიმფონიას ასრულებდნენ და დოდომ გაიხსენა შორეული კონცერტი, ასევე ჩაიკოვსკის, ევგენი მიქელაძის დირიჟორობით: „მაშინ მე მონაფე ვიყავი, ცხრა წლისა, სკოლიდან წაგვიყვანეს დილის კონცერტზე და მიუხედავად სიყმაწვილისა, ისე მომეწონა, ისეთი შთაბეჭდილება დატოვა, სულ იმას ვკითხულობდი, როდის დაგვასწრებდნენ კიდევ მიქელაძის კონცერტს. თან ძალიან ლამაზი მეჩვენებოდა და გული მწყდებოდა, რომ ჩვენსკენ ზურგით იდგაო.“ მიქელაძის გახსენებას, რა თქმა უნდა, 37 წლის გახსენება მოჰყვა. 37-მა წელმა ხომ ღრმა კვალი გაავლო ჩვენს არსებობას, ჩვენს ცხოვრებას და ჩვენი მუდმივი თანმდევი გახდა. და აი, მაშინ მიაშბო დოდომ თავიანთი ოჯახისა და პირადად თავისი ის დაუვიწყარი, მწუხარე ამბავი.

„მამა სამხედრო იყო, არტილერისტი, თბილისის არტილერიის სასწავლებელში ასწავლიდა. 37 წლის ოქტომბერში დააპატიმრეს. დედას ძალიან შეეშინდა ისიც არ წაეყვანათ, რადგან პანტაპუნტით იჭერდნენ „ხალხის მტრის“ ცოლებს და მე და ჩემი უმცროსი და, ნანა, უდედოდაც არ დავრჩენილიყავით, ამიტომ იმალებოდა, ლამით ავლაბარში იყო, შაუმიანის ქუჩაზე ნათესავებთან, დილიდან კი თავის დებთან მიდიოდა, 7 წლის ნანაც თან ჰყავდა, ... იმედი ჰქონდა,

იქნებ გადაიაროს ამ საშინელებამ, ან გააუქმონ ცოლების რეპრესია და გადავრჩეთო. მე კი ბესიკის ქუჩაზე ვიყავი ბებიასთან და ბიძასთან.“ (დოდოს ბიძა, თბილისში ცნობილი პიროვნება, მეცნიერი ლევან ყანჩაველი, რომელმაც შემდგომში ითავა თავისი ძმისშვილების პატრონობა) „დეკემბრამდე დედა ასე იმალებოდა, და აი, თერთმეტ დეკემბერს, სკოლაში წავედი, მაგრამ პირველივე გაკვეთილიდან გამიყვანეს, დირექტორთან ვიბარებენო, კარგად ვსწავლობდი და ბავშვებმა მომაძახეს, ალბათ, უნდა დაგაჯილდოვონო. მაშინ მე უკვე მეხუთე კლასში ვიყავი, თერთმეტი წლისა, მეთორმეტეში. დირექტორის კაბინეტში ორი შინსახკომელი დამხვდა, დირექტორი გაბრწყინებული შემომეგება, სასიხარულო ამბავიაო, და მართლაც, შინსახკომელებმა მითხრეს მამაშენის წერილია, დედაშენს წერს, აი, დახედე წერილსო, ერთ-ერთმა კონვერტიდან დაწერილი ქალაქი ამოიღო და დამანახვა. მე მამას ხელს მივამსგავსე. მაგრამ წასაკითხად არ მოუციათ, დედაშენს უნდა გადავცეთ და პასუხი წავუღოთო, აუცილებლად, დედაშენის წერილიო. და აბა, ახლა, მანქანა გველოდება და წავიდეთ დედაშენთანო. მე ერთი სული მქონდა ჩქარა წავსულიყავით და დედასთვის მიმეხარებინა მამას წერილი. კიდეც იმიტომ მჩქარებოდა, დედა დილიდან უკვე მიდიოდა ავლაბრიდან ნანასთან ერთად და მივუსწრო მეთქი. ეზოში რომ შევედი, დავინახე დედა და ნანა კიბეზე ჩამოდიოდნენ. კისრისტეხით გავიქეცი: „დედა, დედა, მამას წერილია და შენ ახლავე პასუხი უნდა მისწერო-მეთქი“.

დედა იქვე დააპატიმრეს. ნანამ ღრიალი მორთო. შინსახკომელებმა იკითხეს, ბავშვი სად წავიყვანოთო. ნანამ ამოიღრიალა დოდოსთან, დოდოსთანო.

მე ენაჩავარდნილივით ვიდექი. ცხოვრება გავიდა, რამდენი რამ გადავგვხდა, მაგრამ ისეთი სასონარკვეთა, შეიძლება ითქვას, განწირულება, მე არ განმიცდია.“

„არ გიფიქრია“, ვკითხე დოდოს, „წლების გავლის შემდეგ მოგეძებნა ის კაცები და გეთქვა, რომ შენ ის ბავშვი ხარ, მათ ასე მზაკვრულად, შეუბრალებლად რომ მოალორეს და მწარე სინანული აგემეს, განა არ უნდა გეკითხა, სახლში რომ მივიდნენ, შვილებს თვალებში როგორ შეხედეს. სინდისი არ გქონდათ — არ გქონდათ, ღმერთის მაინც როგორ არ შეგემინდათ-თქო?“

დოდოს გაეცინა: „შენ გინდა მე სანახევროდ მონტე-კრისტოდ გადავქცეულიყავიო?“ „როგორ!“ შევძახე მე აღშფოთებით, „სიტყვიერად მაინც არ უნდა შეგეჩვენებინა ის გარენრები!“ „ვითომ ერთ ქვეყანაში არ ვცხოვრობდეთ! ... ხალხს ხეების შრიალის ეშინოდა, დაგავინყდა? და ჩვენ ყოველ წუთს გვაფრთხილებდნენ შინაურები: კედლებსაც ყურები აქვთ, არსად არაფერი წამოგცდეთო, მაგრამ ესეც რომ არა, იმ არაკაცების ნახვა

ვერ წარმომედგინა ...“

ერთხანს ჩუმად მივდიოდით ... მერე კი ისევ დოდომ თქვა: „ზოგჯერ როგორი დამთხვევა ხდება, წლების გავლის შემდეგ, რეაბილიტაციის ცნობიდან შევიტყვეთ, რომ მამაც 11 დეკემბერს დაეხვრიტათ, სწორედ იმ დღეს, რა დღისითაც დედა დააპატიმრეს და ის მშვენიერი იარლიყი „ჩესეირი“ მიაკრეს იმ დროს, როცა უკვე ქვრივი იყო.“

შიში მარჯვენა და ბაქცევას ბარჯვენაზე

თამრიკო ჭანიშვილი, ფიზიკოსი, მუშაობდა ფიზიკის კათედრაზე გეპეიში, იყო ცოლი უნიჭიერესი ენათმეცნიერის, ბიძინა ფოჩხუასი, რომელიც 1946 წლის იანვრის დასაწყისში დააპატიმრეს მეცნიერებისა და ხელოვანების ჯგუფთან ერთად, დაპატიმრებულთა შორის იყვნენ ფილოსოფოსი ზურა მიქელაძე, მსახიობი გრიგოლ კოსტავა, ფილოლოგი მირიან აბულაძე, მწერალი ლევან გოთუა და სხვები. სწორედ იმ ხანებში თამრიკო, დარდიანი, ღრმად ჩაფიქრებული იდგა ტრამვას გაჩერებასთან ზემელზე, სამსახურში წასასვლელად. სტალინის დროს ხშირად ხდებოდა ასეთი რამ: ქუჩაში ვილაც, ვითომ ნაცნობი, ზრდილობიანად მოგესალმებოდათ, გამოგეცნაურებოდათ, დაგინახეთ ტრანსპორტს უცდით, მოდით, მე აქვე მანქანა მელოდება და უცებ წავიყვანთო და პირდაპირ გაგაქანებდათ შინსახკომისკენ, ან როგორც დაპატიმრების კანდიდატს, ან დაკითხვაზე. სხვათა შორის, ასე წაიყვანეს მოტყუებით პირდაპირ შინსახკომში თამრიკოს, ბიძინასი და ზურას უახლოესი მეგობარი რუსუდან გაგუა, სამსახურში, ენათმეცნიერების ინსტიტუტში მიმავალი და მერე მთელი დღე, გულისგამანვრილებელი დაკითხვებით ატარეს კაბინეტიდან კაბინეტში და გაბეზრებული და გაუგემურებული გვიანლა გამოუშვეს. მე უკვე მეგონა საკანში მიკრავდნენ თავსო, წლების გასვლის შემდეგ მიამობოდა რუსიკო. თამრიკომ კი, ცხადია, მაშინვე იცოდა ესა და სხვა მსგავსი ამბები. ჰოდა, აი, იდგა ტრამვას გაჩერებასთან შენუხებული, ტრამვაიკი იგვიანებდა. სწორედ ამ დროს ვილისმა ჩაიარა, სვლა შეანელა და იქიდან თამრიკოს დაუძახეს: „თამრიკო, თამრიკო, მოდი აქეთო!“ თავზარდაცემული თამრიკო სანინალმდეგო მიმართულებით გაიქცა, ირბინა, ირბინა, ავარდა პაპანინის ქუჩაზე, იქედან ჩამოვიდა გაბაშვილზე, სადაც ცხოვრობდნენ, თუ დაჭერაა, ბარემ სახლიდან წამიყვანონო. ჩაალაგა ჩანთა და გულისსკანკალით დაუნყო ცდა ჩეკისტების მოსვლას, მაგრამ მის დასაჭერად არავინ მისულა, ალბათ, ხვალ მოვლენო, ალბათ ზეგ მოვლენო ... ბიძინას გამო შენუხებულს, დარდზე დარდი მოემატა. და კიდეც კარგი, არ გაუვლია დიდხანს,

ახლობელი შეხვდა, მეგობრის დეიდაშვილი, გივი ბაკაშვილი, ხელებგაშლილი გამოემართა თამრიკოსკენ და შორიდანვე შემოსძახა: „სად გარბოდი, ადამიანო, რო გარბოდი, ვიფიქრე ავაცდენ ტრამვაიში ჩაკჩაკსო, შენ კიდევ ისე გარბოდი, კროსი რომ ყოფილიყო, პირველი მიხვიდოდო.“

ერთხელ ასეც მოხდა

მამაჩემის დეიდაშვილი ქეთევანი თბილისის ერთ-ერთ სკოლაში რუსულ ენას ასწავლიდა. ერთ დღეს შევიდა თავის სადამრიგებლო კლასში და რა ნახა იმისმა თვალებმა, რა საშინელება: დაფის თავზე ბერიას სურათი უკულმა ეკიდა. არადა უკვე ყველამ იცოდა, რომ ცოტა ხნის წინ დააპატიმრეს 14 წლის ბიჭუნა, სხვა სკოლედი, რომელსაც მშობლები დაპატიმრებული ჰყავდა და რომელმაც თვით დიდი ბელადის სურათი უკულმა შეატრიალა. ქეთევანმა კი ასე მიმართა თავის მოსწავლეებს: „ბავშვებო, კარგად მიგდეთ ყური, მე არ გეკითხებით ვინ ჩაიღინა ეს, თქვენ არ უნდა მითხრათ არც მე, არც არავის! გესმით? ერთმანეთშიც არ უნდა ილაპარაკოთ! ისეთი პატარები აღარა ხართ, რომ არ გესმოდეთ, რას ნიშნავს ასეთი საქციელი და რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს ... გესმით?“

მთელმა კლასმა ერთხმად შესძახა „გვესმისო!“

„მაშ, მოდი, ბავშვებო, კედელს მივადგათ მაგიდა, ზედ სკამი და სურათი შევატრიალოთ, და დაე, ეს იყოს ჩვენი საიდუმლო!“

მაგრამ ერთმა ბავშვმა გულში ვერ დაიტია ეს საიდუმლო და სახლში თქვა: „რა კარგი მასწავლებელია ჩვენი დამრიგებელი, არც იკითხა ვინ შეაბრუნა სურათი და არც არავინ დასაჯაო.“

ჰოდა, დაუნყეს სანყალ დეიდა ქეთოს შინ-სახკომში დაკითხვებზე გამოძახება, კვირაში სამჯერ მაინც სტანჯავდნენ და აწვალდნენ ყოვლად უზნეო კითხვებით: „რატომ არ შეაჩვენებთ თქვენი სადამრიგებლო კლასი ასეთი შემადარსებელი საქციელისათვისო ... აგებთ თუ არა პასუხს თქვენი მონაფების ანტი-სახელმწიფოებრივ საქციელზეო ... განა შეჰფერის საბჭოთა პედაგოგს ასეთი უღირსი საქციელიო ... შეთანხმება ბავშვებთანო ... გამოდის რომ თქვენც ასეთი სამარცხვინო სულისკვეთებისა ხართო ...“ და სხვა ამგვარები. ბოლოს გამოირკვა საითაც უმიზნებდნენ: „საჭიროა დაგვიმტკიცოთ თქვენი ერთგულება და ჩვენთან ითანამშრომლოთ.“

ვერაფრით ვერ დაიყოლიეს, მე პედაგოგი ვარ, უპირველესად ჩემი მონაფების ერთგულება მმართველს და თქვენი კი არა, ვინც არ უნდა იყოსო.

არა დაპირებებმა, არა მუქარამ არ გაჭრა. უყვარდა ქეთევანს სანიმუშო მაგალითების მოყვანა და ერთი დაკითხვის დროსაც ჩეკი-

სტს ჰკითხა: თქვენ ისტორია გისწავლიათო! რა შუაშია ისტორიაო? შეუბრუნა კითხვა ჩეკისტმა. იმ შუაშია, რომ თუ გისწავლიათ, გეცოდინებათ ქეთევან დედოფლის წამების ამბავიო, ცეცხლზე დაწვეს, ხორცები აგლიჯეს, გახურებული შანთები გაუყარეს, და ქრისტიანობაზე უარი ვერ ათქმევინესო, ჰოდა, მეც რომ კოცონი შემომიგზნოთ და ხორცები მაგლიჯოთ, დამბეზღებელი არ გავხდები, არა, არა, არაო!! და ნარმოიდგინეთ, მოეშვნენ. ისიც კი სათქმელია, სამოცდაათს მიუჯაკუნებდა, თმა სულ გათერთებული ჰქონდა და იმასაც ამბობდა: ბოლოს ვისთანაც წარმადგინეს და ვისაც ამაყად თავანუელმა ქეთევან დედოფალი მოვავონე, მასში ჩემი ოდინდელი, ათეულების წინანდელი მონაფე შევიცანიო, მაგრამ ერთმანეთს არ გამოვმცნაურებივართო, მხოლოდ გამოსვლისას, კარებამდე გამომაცილა და სრულიად უემოციოდ, რაღაც გაურკვეველი კილოთი ჩაილაპარაკა, თითქოს მე კი არა, უმისამართოდ ამბობსო: ბედი გქონიათ, რომ ჩემთან მოხვდითო.

„უპლოტენიე“

მოგეხსენებათ, საბჭოთა სისტემა რეპრესიული სისტემა გახლდათ, რომლის მახვილი უპირველესად მიმართული იყო საკუთარი ხალხის წინააღმდეგ, ... მთელი საბჭოთა მოსახლეობა რეპრესიების ცხრილში იყო მოქცეული, ... თუ თქვენ თვითონ არ იყავით ან დაპატიმრებული, ან დახვრეტილი, ან გადასახლებული, აუცილებლად ვინმე გეყოლებოდათ, — მამა, ქმარი, შვილი, ძმა, მეგობარი, თუ მეზობელი, ეგრეთწოდებული „ხალხის მტერი.“ მე პირადად ჩემს სიყმანვილესა და ახალგაზრდობაში არავინ შემხვედრია სრულიად თავისუფალი, რეპრესიების კლანჭი არ მოხვედროდეს, ან უშუალოდ, ან რიკოშეტით, ან გაკვრით, ან ასე, ან ისე. „უპლოტენიეც“, — არავინ ამბობდა შემჭიდროვებას და შევიწროვებას, დამკვიდრებული იყო ეს რუსული სიტყვა, — მძლავრი იარაღი. იყო ძალმომრეობისა და უშუალოდ დაკავშირებული იყო რეპრესიულ სისტემასთან.

„უპლოტენიე“ ნიშნავდა: თქვენს კუთვნილ ბინასა, თუ სახლში, უცხო ადამიანების შემოსახლებას თქვენი ნებართვისა და სურვილის გარეშე. რეპრესირებულთა ოჯახები უშუალოდ ექვემდებარებოდნენ „უპლოტენიეს“, ან მთლიანად გამოსახლებას და სადმე სოროში შესახლებას, აგეჯისა და ნივთების კონფისკაციით, ან დატოვებას იმავე ბინის პატარა ნაწილში. მაგრამ რეპრესირებულთა გარდაც, იყო წლები, როცა „უპლოტენიეს“ ექვემდებარებოდა ყველა, ... მოვიდოდნენ სახლმმართველობიდან, გაივლ-გამოვილიდნენ თქვენს ოთახებში და შემოგისახლებდნენ, ვისაც საჭიროდ მიიჩნევდნენ. ჩვენთან წლებ-

ის განმავლობაში იყვნენ შემოსახლებული შინსახკომის ჩინი თავისი სამი შვილით, ოფიცერი თავისი ოჯახით, საფრენოსნო სკოლის ახალგაზრდა მტურმანი თავისი ცოლით ... და რა თქმა უნდა, ყოველგვარი ანაზღაურებისა და სასყიდლის გარეშე. მაგრამ ადამიანი ხომ ყველა სისაძაგლეს ძირითადად სიკეთის სახელით აკეთებს და სახელმწიფოც ასეა, მითუმეტეს, ასე იყო საბჭოთა სახელმწიფო, და „უპლოტენიესაც“, ანუ შემჭიდროვება-შევიწროვებას, მეორე მხარე ჰქონდა, ზრუნვისა და თანადგომისა იმ უბინაო ადამიანთა მიმართ, ვისაც საბინაო ფართით აკმაყოფილებდნენ.

ასე და ამრიგად, მთელი საბჭოთა კავშირი ეგრეთნოდებულ „კომუნალკებად“ იყო ქცეული, განსაკუთრებით დიდ ქალაქებში, და, რა თქმა უნდა, ერთ-ერთი მიზეზი წარმოუდგენელი უზრდელობისა და უკმეხობისა, რაც საბჭოეთში იყო დამკვიდრებული, სწორედ „კომუნალკების“ სისტემით იყო გამოწვეული, და უმთავრესად რუსეთში. ვის არ ახსოვს მოსკოვის საზოგადო ადგილებში, ტრანსპორტი იქნებოდა, პარკი, თუ სხვა, ის გაუთავებელი შენიშვნები, მითითებები, ტუქსვა და თითის ქნევა სრულიად უცნობი ადამიანებისაგან, „კომუნალკების“ კინკლაობის, პაექრობის, ნოტაციების გამოტანა გარეთ. მე სამი შემთხვევა მინდა გავიხსენო „უპლოტენიესა“ და „კომუნალკების“ დროიდან.

ჩვენი მახლობლები, ბაკურაძეები, რეპრესირებულები 37-ში, როგორც ჩვენ ყველა, „უპლოტენიეში“ მოჰყვნენ. მაგრამ უბედურება ის იყო, რომ მათ ჰქონდათ პატარა კოხტა სახლი, სადაც მეორე სართულზე, საცხოვრებელ ნაწილში, ორი ოთახი იყო, დარბაზი და შედარებით მომცრო, ერთმანეთში გამავალი ოთახები. დარბაზში, რომელსაც სწორედ შესასვლელი კარი ჰქონდა, შემოსახლეს სამშვილიანი ოჯახი, მათ კი, სახლის პატრონებს, შუა კარი დაუჭეტეს. დარჩნენ თამარი თავისი ორი ვაჟით, 16 წლის ქართლოსითა და 13 წლის გაიოზით, უკარო ოთახში. სამწუხაროდ, მათ არავითარი სახსარი არ ჰქონდათ ახალი კარის გაჭრისა; რას იზამდნენ, ადგნენ და ფანჯარასთან, ოთახის მხრიდან და აივნის მხრიდან პატარა ტაბურეტები დადგეს და ასე დაიწყეს სიარული, ... ბიჭები არაფერი, ერთი ფეხის დაკვრით გადაეველებოდნენ ფანჯრის რაფას, მაგრამ თამარს ძალიან გაუჭირდა, ბედად, სკამიც გადაუბრუნდა და კიდევ კარგი, თუმცა ფეხი არ მოუტეხავს, მაგრამ მყესი კი მაგრად გაიჭიმა და სამი კვირა გაშოტილი იწვა. იწვა და ყოველდღე განცხადებებს წერდა, სადაც ჯერ არს, ... ბიჭები ნიჭიერები იყვნენ, კარგად სწავლობდნენ და ყოველი განცხადებაც ასე იწყებოდა: „მე, ორი ფრიადოსანი შვილის დედა, დიდ შევიწროვებას განვცდი „უპლოტენიეს“ გამო ... ვცხოვრობთ უკარო ოთახში და გთხოვთ ჩვენს ოთახს კარი მაინც შეებათ

...“ აი, ასეთი ანეგდოტური ამბის მოწმენი იყვნენ თელავის ნულუკიდის პატარა ქუჩის მცხოვრებნი, ბაკურაძეების მეზობლები.

მეორე ამბავი კი მე გადამხდა მოსკოვში ყოფნისას. ჩემი მეგობარი ლანა ლოლობერიძე დაპატიჟებული იყო მიქოიანთან და მეც წამიყვანა. მიქოიანმა ლიმუზინი გამოგვიგზავნა და წავედით მის აგარაკზე, სადაც ის იმ დროს, სამოცდაათიანი წლების დასაწყისში, ცხოვრობდა. მე არასდროს არავითარი ურთიერთობა არ მქონია საბჭოთა ფუნქციონერთან, თან ასეთი მაღალი რანგის, — თუმცა წარსულში, — „დიდკაცთან“, და ძალიან მაინტერესებდა, რა იყო და როგორი იყო, ან ანმყოფ როგორ აფასებდა, ან წარსულს ... ჩვენ მშვენიერი საღამო გავატარეთ, გემრიელი ვახშმით, თოვლში გაიწობით, ბილიარდის თამაშით, ფოტოების თვალყურებით, თბილისში გატარებული დროის მოგონებით ... ჩემზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება დატოვა სტალინის გახსენებამ, სიტყვისა და სიტყვის თავში სულ სტალინს ახსენებდა და მე შემექმნა მკაფიო შთაბეჭდილება, რომ სტალინმა ის მოაჯადოვა და მას არ ეწერა ამ ჯადოს ახსნა, ველარასდროს ის ამ ჯადოს ვერ გააქარწყლებდა. მე სწორედ ამ ჩემს შთაბეჭდილებაზე ვფიქრობდი მეორე დღეს ძეხვეულის მაღაზიაში, მოსკოვური სერვილადისტოვის რიგში მდგომი. ესეც საბჭოთა წესი, მოსკოვი, და ასე თუ ისე, ლენინგრადიც, სხვაგვარად, უფრო უკეთ მარაგდებოდნენ საკვები თუ სამრეწველო საქონლით, და ჩვენც, იქ ყოფნისას, ვცდილობდით არ შევკუთვოდით რიგებს, (ურიგოდ ხომ არც იქ არაფრის ყიდვა არ შეიძლებოდა) და შეგვეძინა ყველაფერი, რაც გვჭირდებოდა. (დაუჯერებელი ამბავია, ერთხელ ჩვენ ლენინგრადიდან სულგუნი ჩამოვიტანეთ). ჰოდა, ვიდექი ძეხვის რიგში და მიქოიანთან გატარებულ საღამოზე ვფიქრობდი, ძირითადად კი სტალინთან ურთიერთობაზე. მე ცოცხლად წარმოვიდგინე, რა მძიმე და ძნელი უნდა ყოფილიყო ეს ურთიერთობა, რა თავსატეხი ისეთი ტირანის გვერდით ყოფნა, როგორც სტალინი იყო, — აგრესიის გენერატორი — ვისი სასტიკი სიმბურვალე მთელ ქვეყანას სწვდებოდა, ვისაც ძალუძდა ბოროტების თილისმით გაეთვალა და მოენუსხა, როგორც გველს პეპელა და ბაყაყი, ლამის მთელი მოსახლეობა და რა დღეში უნდა ჰყოლოდა ეგრეთნოდებული თანამებრძოლები, რა მუდმივ ლავირებასა და უნიადაგო ყოფაში, დღედაღამ იმაზე ფიქრსა და ვარაუდში, ხალხთა მამამ ასე ასწია წარბი, თუ ისე, რატომ თქვა ამ კილოთი ეს სიტყვა, რას ნიშნავდა მისი დუმილი და რატომ გაიღიმა ამა და ამ დროს, რას მოასწავებდა მისი ალელებული ბოლთის ცემა ვახშმის შემდეგ, რატომ არც ერთი სიტყვით არ იკითხა ჩემი ცოლი, როცა იცოდა, რომ ავად არის და საოპერაციოა, რატომ ჩაუკრა თვალი ვლასიკს და რა ჩაუდუ-

დუნა პოსკრებიშევს? ათასი რისთვის, ათასი რატომ, ათასი ვაითუ ... და მე წარმოვიდგინე, რომ ჩვენს დესპოტურ ქვეყანაში ყველა, ყველა, ყველა უფრო თავისუფალი იყო, უფრო დამოუკიდებელი, ვიდრე ტირანთან ახლოს მდგომი ადამიანი შეიძლება ყოფილიყო. გამახსენდა მოარული აფორიზმი ბელადისა: არის ადამიანი, არის პრობლემა, არ არის ადამიანი — არ არის პრობლემა. და თუ უცებ თანამებრძოლის, ვთქვათ, იგივე მიქოიანის, მეგობარი აღმოჩნდებოდა ეს ადამიანი და ეს პრობლემა, ის ხომ ვერ დაძრავდა კრისტს, ხომ ვერ გამოესარჩლებოდა, ხომ ვერ დაიხსნიდა ზვიგენის ხახიდან, მეგობარი კი არა, შვილი რომ ყოფილიყო ... და რომელი ლიმუზინი, რომელი აგარაკი, რომელი ბიფშტექსი და თუნდაც ძვირფასი ღვინო გადანონის ღირსებას? როცა სიყვარულსა და სიცოცხლესაც კი არ ძალუძთ ღირსების დაჩრდილვა?

ამ ფიქრებში ვიყავი, რომ, თითქოს განგებო, სწორედ მიქოიანის სახელი ჩამესმა. ვილაცამ რიგში მიქოიანი ახსენა, მის ოდინდელ კვების მინისტრობასთანა და მოსკოვური სერვილადის უკეთეს ხარისხთან დაკავშირებით. ვილაც რიგში მდგომმა კი უპასუხა: რაღა დროს მიქოიანია, ის ალბათ ცოცხალიც აღარ არისო. და მე, — ვინ მეჭიდებოდა ენაზე, — მაგრამ ხომ ჩვეულებრივი რამ არის სამართლიანობისკენ მისწრაფება, — ლამის შევიცხადე, რას ამბობთ, ცოცხალია, მემუარებს წერს, მე სწორედ გუშინ საღამოს ვნახე მიქოიანი — მეთქი. ამისი თქმა იყო და დამლაგებელი ქალი, რომელიც განაპირას სველი ტილოთი იატაკს სწმენდა, თითქოს ხარს ნითელი აუფრიალესო, აიქორა, საბრძოლო პოზით დაეყრდნო იატაკის ჯოხს, დონჯი შემოიდგა და განმაქიქებელი კილოთი შემომძახა: „თქვენ ნახეთ მიქოიანი? თქვენ ნახეთ? ოჰ, რა მკვებარები ხართ ეს კავკასიის ხალხი! რას არ მოიგონებთ! თურმე მიქოიანი უნახავს!“ მე, რა თქმა უნდა, არაფერი მიპასუხია, მაგრამ აღარ მომიინდა აღარც ძეხვის ყიდვა და არც იქ დარჩენა. მყისვე გამოვბრუნდი, ქალი კი მომდევდა და თავზე კაკალს მამტვრევდა. მას აყალმაყალი სწყუროდა, ეგონა მე რაღაცას ვიტყოდი, ის მიპასუხებდა, და არაფერი რომ არ ვუთხარი, კარებამდე მომდია და მომყვიროდა: „ვერ მოგართვით მოსკოვური ძეხვი, ვერ მოგართვით!“ მე არავინ გამომსარჩლებია, მაგრამ უკან გამომყვა ინტელიგენტური შეხედულების, შუახნის კაცი და ცოტა რომ გამოვიარეთ და მოვშორდით ძეხვეულის მაღაზიას, მაშინვე გამომელაპარაკა: „რომ იცოდეთ, ჩვენი მეზობელია „კომუნალკაში“, მაგრამ რომ გამოგსარჩლებოლით, აბა, ჩხუბი მაშინ გენახათ, თქვენ რომ არ უპასუხეთ, ეს არაფრად ჩაგდებაში ჩაგითვალათ ...“

„რას ბრძანებთ, მე არაფრის ისე არ მეშინია, როგორც უხამსობის.“

„მე გამოგყევით, რომ აგისხნათ საქმის ვითარება. წარმოიდგინეთ, სულ არ არის ცუდი ქალი, პირიქით, ძალზე კეთილია, რამე რომ

იყოს, თან გადმოგყვებთ, მაგრამ რა არის, იცით, მძვინვარე სიძულვილით სძულს მთავრობა, რევოლუციამა და სოციალიზმმა დააქცია ჩვენი კარგი სოფელიო, აგვიკლო, გაგვანადგურა და ლამის კაციჭამიებად გვაქციაო, რა მინდოდა ამ მოსკოვშიო, კუბოსავით ოთახშიო, მე ჩემ კარმიდამოში მინდოდა ვყოფილიყავიო, ჭარხალი და გოგრა მომეყვანაო, ჩვენი ძროხები, ძროხები, ოჰ, რა ძროხებიო, რა კარაქი, რა ხაჭო და რიაჟენკა მეკეთებინაო ... ობოლ-ობერი და მათხოვარი რომ გაგვხადესო. თავის ყველაზე დიდ ღირსებად სისუფთავე მიაჩნია, საპირფარეოს დღეში სამჯერ წმენდს და თან ჩხუბობს, ჩხუბობს, მარტო მე ვნმენდ ყველაფერსო, არადა ვინმე რომ შეეცილოს ხეხვა-წმენდაში, არ დაუშვებს, თქვენ ჩემნაირად ვერ გააკეთებთო. თქვენ რას გეჩხუბებოდათ, იცით? თუ ცოცხალია მიქოიანი და თქვენ თუ კარგი ქალი ხართ, იქ რა გინდოდათო, ასე ჰგონია, თუ ყველა ეგენი ერთ დღეს განყდებიან, ქვეყნად სამოთხე დამყარდება. მე ამიტომ გამოგყევით. ეს მეთქვა, კავკასიელებსაც კილი რომ გაჰკრა, არ დაიფეროთ, მას არავინ არ სძულს, სოციალიზმისა და მთავრობის გარდა.

რაღა უნდა მეთქვა? უბრალოდ შემეცოდა დამლაგებელი ქალი „კომუნალკიდან“.

Вридо

ეს უცნაური სიტყვა, ვრიდლო, დიდი ხნის წინ, ჩემი სიყმანვილისას გავიგონე ჩვენთან შემოსახლებული, ევაკუირებული ქალისაგან. და დროდადრო მესმოდა ხოლმე, მარტო, თავის ოთხში მყოფი, ხმამაღლა რომ შესძახებდა: ვრიდლო... ვრიდლო... ეს მშვენიერი, ინტელიგენტი რუსი ქალი ჩვენვე შემოვისახლეთ. საქმე ის არის, როგორც კი ჩვენთან შემოსახლებული ოჯახი თბილისში გადავიდა, სწორედ ამ დროს ქალაქში ევაკუირებულთა დიდი ჯგუფი ჩამოვიდა, და დედამა და ბებია მადანყვიტეს ჩვენც ევაკუირებულები დაგვესახლებინა ჩვენთან.

ბოშათა ბანაკი გვეგონებოდათ, მოედანზე, თეატრის წინ ევაკუირებულთა დიდი ჯგუფი, მეორე მხარეს კი ხალხი, რომელთაც უნდა წაეყვანათ და თავისთან დაებინავებინათ ისინი. დედა, როგორც ყოველთვის, სამუშაოზე იყო, ისე რომ, ბებია და მე წავედით. ბებია მისვლისთანავე, გადახედა რა ევაკუირებულთა ჯგუფს, ფუთების, ჩემოდნების, ჩანთების, ტომრების გროვებთან, თვალი დაადგა განაპირას, ჩემოდნებზე ჩამომჯდარ ქალს, რომელსაც თითქოს სულ არ ჰქონდა დარდი, ვისთან და სად მოხვდებოდა, იდაყვებზე დაყრდნობილი მინას ჩაჰყურებდა, თუ თვლემდა, არ ვიცი. მე კი ჩემოდენა ბავშვებს ვათვალიერებდი, მინდოდა ბავშვებიანი ვინმე წაგვეყვანა. მაგრამ ბებია ქალის წინ გაჩერდა და ხმადაბლა მიესალმა. მეც გაუღიმიე ქალს და თავი დაუყუარე. ქალი წამოდგა, მაღალი, თხელი, ძალიან სიმპატიური ქალი იყო, ნაც-

რისფერი, თეთრწინსკლებიანი კრეპდემინის კაბა ეცვა და ფერფლისფერი თმები უკან ჰქონდა გამოკრული. „ზრდავსტყუიტი.“ თქვა ქალმა და ბებიას თავი დაუკრა, მერე მე შემომხედდა: „ზდრავსტყუი, დევოჩკა.“ მითხრა და გამიღიმა.

„ჩვენთან ხომ არ წამობრძანდებით საცხოვრებლად.“ უთხრა ბებია, „აქვე ვცხოვრობთ, აი, იმ ქუჩაზე...“ ჩვენს ნადიკვრის ქუჩას მაშინ ჯულაშვილის ქუჩა ერქვა. „ღმერთო ჩემო, თქვა ქალმა, „რა თქმა უნდა, თუკი მიმიღებთ!“ „აქ ხომ ხედავთ, რამდენი ხალხია, ეტყობა დაღლილი ხართ, იქნებ მიგეხედ-მოგეხედათ...“ ქალმა გაიღიმა, ესიამოვნა ბებიას შეთავაზება.

„გოგონა თქვენი შვილიშვილია?“

„დიახ, ჩვენ სამნი ვართ, ჩემი შვილი ექიმია, ახლა საავადმყოფოშია და მე მანდო ეს საქმე, ეს კი ჩემი შვილიშვილია.“

„სიძე, ალბათ, ომშია.“

„არა, ... არა ... 37-ში“ და აღარაფერი უთქვამს.

„ოო...“ თქვა ქალმა, „მე რა თქმა უნდა, თქვენთან წამოვალ... თუ მიმიღებთ.“

ასე დასახლდა ჩვენთან ანა ნიკოლაენა პავლოვა.

მეო, ახლავ, დედასა და ბებიას უთხრა, არავითარი სახსარი არა მაქვს ქირა გადაგიხადოთ, მაგრამ, იქნებ გნებავთ გოგონას გერმანული ვასნავლოვო. რას ბრძანებთო, დედა, ჩვენთვის ქირა ჯერ არავის გადაუხდია, მაგრამ რაც შეეხება გერმანულს, ძალიანაც მიხარია, რადგან ჩვენი უახლოესი ფრაუ ელზა, გერმანელი ქალი, რომელიც ჩემს გოგონას გერმანულს ასწავლიდა, სწორედ ერთი წლის წინ, ომის დაწყების შემდეგ, სამხუხაროდ, სემიპალატინსკში გადაასახლესო, ახლა კი ვეცდები მონაფეებიც გიშოვოთო.

დედა და ანა პავლოვა ძალიან შეენყვინ ერთმანეთს.

მისი ოთახი ჩვენს სასადილო ოთახს ემიჯნებოდა და კარი თუმცა დაკეტილი იყო, ხმა ცხავივით გამოდიოდა და ერთ მშვენიერ დღეს მკაფიოდ გავიგონე ეს უცნაური სიტყვა „ვრიდლო“. მეგონა მონაფე ჰყავდა — დედამ მართლაც უშოვა მონაფეები — და ეს რაღაც გერმანული სიტყვა იყო. მაგრამ აღმოჩნდა, რომ მართო იყო. რა თქმა უნდა, მალე გავიგეთ რა სამხუხარო შინაარსის მატარებელი იყო ეს აბრევიატურასავით სიტყვა: Временный исполнитель должности лошади — ანუ დროებით შემსრულებელი ცხენის მოვალეობისა, და ეს ცხენის მოვალეობის შემსრულებელი იყო ანა პავლოვას ქმარი, პატიმარი, ბელომორკანალის მშენებლობის დროს. ქიმიკოსი იყო თურმე, მეცნიერი, ამომავალი ვარსკვლავი, 28 წელს დააპატიმრეს რაღაც შეთხზული საქმის გამო, 30 წლისა. ანა ნიკოლაენა სამი წლით უმცროსი იყო. სულ ახალგაზრდებმა თავგადაკლული სიყვარულით შეირთეს ერთმანეთი და მერეც გაჰყვათ ეს სიყვარული. ერთი ბიჭუნა ჰყავდათ, მამის დაპატიმრებისას ცხრა წლის იყო თურმე, ამჟამად კი ერთი

წლის წინ დაემთავრებინა ლენინგრადის სამედიცინო ინსტიტუტი და სამხედრო ექიმად ფრონტისპირა ჰოსპიტალში გაემწესებინათ.

ანა პავლოვა ყოველ წელიწადს აგროვებდა თურმე ფულს და შვებულების დროს ერთი კვირით ბელომორ-კანალზე მიდიოდა. „ახლა სამი წელია არ ვყოფილვარ, მანამდე კი სულ დავდიოდი, ... ომი რომ დამთავრდება, როგორც კი მოვიხელთებ საკმაო თანხას, აუცილებლად განვაახლებ იქ სიარულს, ჩავალ ჰოვენეცში, საიდანაც იწყება ბელომორკანალი და ავუყვები გემით ... სანამ ცოცხალი ვარ, უნდა იქ ვიარო... ვერ ვუღალატებ ჩემი ქმრის ხსოვნას.“ ეუბნებოდა დედაჩემს ანა ნიკოლაენა.

„მესმის თქვენი,“ ეთანხმებოდა დედაჩემი, „და ნარმოიდგინეთ, თანაგრძობის მიუხედავად, ლამის მძულს კიდეც, იმიტომ რომ მე არ ვიცი თქვენსავით, სად ჩაკლეს ჩემი ქმარი.“ „ოო, ნუ იტყვით, მოგონებაც საშინელებაა, სანამ ცოცხალი იყო, ის ორი წელიწადი, მიმქონდა სურსათი, თბილები, რასაც ვიპოვიდი და ვიპოვიდი. მაგრამ ვრიდლოდ დიდხანს გაძლება შეუძლებელი იყო, და აკი პანტაპუნტით იხოცებოდნენ კიდეც. სადისტები იყვნენ და სადისტურად ექცეოდნენ ... და გამკითხავი არავინ იყო ... ჩემი ქმარი, სრულიადაც არა ილია მურომეცი და არა ჰერკულესი, არამედ ბრწყინვალე მეცნიერი ქიმიკოსი, ცხენივით ღვედებჩაბმული უზარმაზარ მორებსა და ნარმოუდგენელი სიდიდის ბლოკებს ეზიდებოდა. მათი ჩაკვლის შემდეგ, ჩემი ბელომორკანალზე მოგზაურობისას, ძირითადად სულ გემბანზე ვატარებდი დროს. ჩავცქეროდი ნყალსა და შლიუზების კედლებს ... თითოთითოდ ჩავაგდებდი ყვავილებს ... მერე შემოვიდოდი კაიუტაში, ავანთებდი სანთელს და ისევ გემბანზე გავიდოდი ... და ისეთი ჩაცვებით ჩავცქეროდი შლიუზების ჩაბეტონებულ კედლებს, ასე მეგონა ვრიდლოების ტანჯული აჩრდილები გამოკრთოდა. დიდი ხანია უკანასკნელ წვეთამდე ჩაღვრილია მათი სისხლი და ოფლი, ალბათ, დიდი ხანია გაცამტვერებულია მათი ძვლებიც, მაგრამ მე ყოველთვის, შლიუზის კედლებს რომ ვუყურებდი და ვხედავდი როგორ ივსებოდა და იცლებოდა ნყლით, მეჩვენებოდა თითქოს ვრიდლოების სისხლი მოჟონავს და იქაურობას ავსებს. და ნარმოიდგინეთ, თითქოს ამომშანთეს ეს საშინელი სიტყვა „ვრიდლო“, და დღე არ გავა, რომ ერთხელ მაინც ხმამალა არ ვთქვა: ვრიდლო, ვრიდლო, ვრიდლო...“

გაგრძელება იქნება



ოსო სიკუა

ბანანი და თავისუფლებისათვის სახაფხა

სისხლიანი მარსი და შემოქმედი

ძალაუფლების ნების აპოთეოზია ომისკენ სწრაფვა და ომი, საომარი ზეიმი და გააფთრება, შემოქმედება კი — მათი გარდასახვა.

როგორც იტყვა, გონებით ხელოვანი სისხლისღვრის მოძულე და მშვიდობის ქადაგია, მაგრამ მისი შემოქმედება ომებსა და კონფლიქტებს ეფუძნება (უმაღლესი მაგალითები — ჰომეროსი, შექსპირი და რუსთაველი).

მათ გარეშე ვერ იარსებებს და არც არავის დააინტერესებს.

„მამაკაცი ბრძოლაში უნდა მოკვდეს, ან ტყვია იკრას შუბლში“, — ამბობდა ომებისა და ფათერაკების მაძიებელი ერნესტ ჰემინგუეი.

სპარტელი ტირტოსისათვის „კარგი ვაჟკაცი მხოლოდ ბრძოლის ველზე წარმოიქმნება“.

ჰერაკლიტე ეფესელის აზრით, „ომი ყოველთა მამა არის, ყოველივეთა მეფე“.

ტრაგიკოსი ესქილე თავადაც მონაწილეობდა ომებში.

მაიაკოვსკი თავის ლექსს მეომარ ჯარისკაცს ადარებდა.

როცა ქვეყანაზე იწყება ომი თუ აჯანყება, მწერალი თავის ხალხთან დგას ხოლმე, როგორც წინაპართა აჩრდილი. ცალკეული გამოჩვეულების კი ყურადღებას იქცევს, როგორც კურიოზი.

სამშობლოს დაცვა მტერთაგან ყველა მოქალაქის უმაღლესი მოვალეობაა. მაგრამ ამ გრძნობამ ზღვარი არ იცის და ხშირად დაცვა აგრესიაში გადადის, სხვათა განადგურებისა და მოსპობის მოთხოვნაში, შურისძიებაში.

ამის მაგალითია საბჭოთა ლიტერატურა, რომელიც აქტიურად მხარს უჭერდა ხელისუფლებას ბურჟუაზიული დასავლეთისა და ჰიტლერის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ამის მაგალითია ჰიტლერული გერმანიის ლიტერატურაც, რომელიც ასევე აქტიურად მხარს უჭერდა ფაშისტურ აგრესიას, გადაბუგული მინის თეორიას.

მანდორ პეტეფი არა მხოლოდ სიტყვით, იარაღითაც ებრძოდა დამპყრობელ ავსტრიელებს და შეაკვდა კიდეც.

იგი ნატრობდა იმ დროს, როცა საძულველი ვენა ცეცხლით დაიფერფლებოდა.

რიჰარდ დემელის ოცნება იყო მჯდარიყო ყველა იმ ტყვიამი, რომელიც ფრანგის გულს მოხვედებოდა.

თომას მანი პირველ მსოფლიო ომში ინტელექტუალური იარაღით დადგა გერმანული არმიების გვერით, მეორე მსოფლიო ომში ჰიტლერს დაუპირისპირდა და მოკავშირეებს მიემხრო, ე.ი. არც პირველად და არც მეორედ ომისადმი გულგრილი არ ყოფილა.

წმინდა ხელოვნების ქადაგი ვალერი ბრიუსოვი ასე წერდა:

— Россия должна владычествовать на Дальнем Востоке. Великий Океан — наше озеро»

„მოჰკალი იგი“, — მოუწოდებდა კონსტანტინ სიმონოვი გერმანელთა დასახოცად საბჭოთა ჯარისკაცებს.

ფუტურისტი მარინეტისათვის ომი ჰიგიენის საკითხი იყო, თომას მანისათვის — ჰეროიკული ზეიმი, ნიცშესათვის — სიცოცხლის აზრი, ფრეხერისათვის — ეკონომიკური და ინტელექტუალური პროგრესის საფუძველი.

ომებს განადიდებდნენ კანტი და ჰუმბოლდტი, ისპერსი და ტოინბი, ჰეგელი და რასელი, ჩემბერლენი და მოემი.

ომის სისასტიკე, გადარჩენის აუცილებლობა ადამიანს აღუდგენს მხეცურ ინსტინქტებს, სისხლის წყურვილს, ნგრევისა და მოსპობის სიხარულს, ანუ უძველეს დროთა ლანდებს, მეომარ წინაპართა სულს.

ხმალი იმიტომ გამოიჭედა, რომ სისხლი დაიღვაროს.

ვალაკტიონ ტაბიძეც კი, რომლის შთაგონებაც არ იყო ომი და რევოლუცია, ასე წერს:

**„ყოველ ქართველში ომის ტრფობა
ძველისძველია,
მეც ასეთი ვარ და ვერვისთვის
გამიმხელია,
სიცოცხლე მინდა, უშენოდ ის, ოჰ, რა
ძნელია,
გამახსენდები... და კვლავ ომი
მომენატრება“.**

კონსტანტინე გამსახურდია ათქმევინებს თავის დამარცხებულ პერსონაჟს — ოდეს-ღაც მეოცნებე და ნახ პოეტს გერმანელ ჰერბერტ შტუდერს:

„ხვალ რომ საფრანგეთმა ომი გამოგვიცხადოს, კიდევ ოთხ წელს დავყოფ სანგრებში, ოღონდ ველირსო გერმანიის ვარსკვლავის ხელმეორედ ამოსვლას.“

ხოლო კონსტანტინე სავარსამიძე აცხადებს: „ბავშვობიდანვე მიტაცებდა ომი“. გიორგი პირველსა და დავით აღმაშენებელზე ლაპარაკიც ზედმეტია: ისინი მეომარი მეფეები არიან („დიდოსტატის მარჯვენა“ და „დავით აღმაშენებელი“).

ომის ქარცეცხლი იყო დიდი შთაგონება რუსთაველისა და დავით გურამიშვილისთვის, გრიგოლ ორბელიანისა და ვაჟა-ფშაველასათვის, გიორგი ლეონიძისა და კონსტანტინე გამსახურდიასათვის. მათ აზროსან, ცხენოსან გმირებს ზეაღმტაც ძალას ჰმატებთ საომარი ნალარის ხმა.

ადოლფ ჰიტლერის სიტყვით, ხალხის გმირული სული თავგანწირვის, სისხლის ნიაღვრისა და მკვდართა ჰეკატომებისაგან იბადება.

ოსვალდ შპენგლერის მიხედვით, კაცობრიობის ისტორია სახელმწიფოთა ისტორიაა, სახელმწიფოთა ისტორია კი ომების ისტორიაა.

ომი, როგორც სამშობლოს დაცვა, ისე აგრესია — სხვათა დაპყრობა და დამორჩილება, უდიდესი ექსტაზით ავსებს მეომარსა და მშვიდობიან მოქალაქეს.

ომის სისხლიანი სული, ნგრევის კომმარსი, დამარცხების სიმწარე თუ გამარჯვების სიგიჟე, „ძღვეის ვაშა“ თუ „სიკვდილის შიში“ (ჰომეროსი) ათავისუფლებს შინაგან ენერჯიას, სპობს ბარიერებს და შემოქმედისათვის იტყვევს განახლებისა და სიცოცხლის ახალ სტიმულად.

ამიტომ შენიშნავდა ჰიუმი, რომ მუდმივი ომი ადამიანს მხეცს ამგვანებს, ხოლო მუდმივი მშვიდობა — სახედარს.

ომი არის მხოლოდ ადამიანთა თვისება, რომლის არქეტიპია კოლექტიური ნადირობა, მხეცური სიმშაგის გადატანა თავისი ჯიშის წევრებზე.

ომი იყო უძველესი, ველური ინტეგრაცია, რაც ანგრევდა ტომების იზოლირებულ არსებობას და ხალხებს სისხლისღვრით აერთიანებდა როგორც ტერიტორიულად, რასობრივად და ენობრივად, ისე რელიგიითა და კულტურით.

კაცობრიობის ისტორიას წინ მიუძღვის ბრმა ჰომეროსის მოწოდება:

„შუბის წვერები წავემახოთ და ფარი გავფეროთ.“

ტალანტი და ეროსი

ერთმანეთს მჭიდროდ უკავშირდება ასაკი, სექსუალური გრძნობა და შემოქმედებითი უნარი, როგორც ინსტიქტურ ძალთა მოზღვავება.

ეს განსაკუთრებით აშკარაა ლირიკის სფეროში.

„სიჭაბუკის გარეშე

ლექსს ვინ მისცა დიდება“, — აცხადებს გიორგი ლეონიძე.

„ოცდაორი წლის ახალგაზრდა ვარ და მოვდივარ“ — ეს ვლადიმერ მაიაკოვსკია, პოეტი-ფუტურისტი, მთვარისა და სევდის უარმყოფელი.

ლირიკოსები თავიანთ საუკეთესო ლექსებს წერენ სიჭაბუკის წლებში, რაც, სულხან-საბას განმარტებით, მოიცავს სიცოცხლის პერიოდს 20-დან 30 წლამდე (მდრ — ორფეოსი წარმოდგენილი ჰყავდათ უწვერულ ჭაბუკად).

არტურ რემბო სულაც 19 წლისა ჩამოსცილდა პოეზიას.

25 წლის გალაკტიონს დაწერილი აქვს „ლურჯა ცხენები“, „მერი“, „თოვლი“, „მთანმინდის მთვარე“, „მე და ლამე“, „გურიის მთები“, „ატმის ყვავილები“, „ატმის რტოო“, „დომინო“, „შერიგება“...

პუშკინი დაიღუპა 38 წლისა, ლერმონტოვი — 27-ისა, ბარათაშვილი — 28-ისა, პეტეფი — 26-ისა, ბაირონი — 36-ისა, შელი — 30-ისა, ესენინი — 30-ისა, მაიაკოვსკი — 37-ისა. ისინი თითქოს არც გაზრდილან — ასე დასრულებული სახით იშვნენ.

27 წლის ვაჟა-ფშაველას შექმნილი აქვს „ალუდა ქეთელაური“, 30 წლის გიორგი ლეონიძეს — „ნინონმინდის ლამე“ და „ყივჩალის პაემანი“, ტიცინან ტაბიძისათვის ზენიტია 30-34 წლის ასაკი.

ლირიკა, საერთოდ პოეზია, არის ბობოქარი გრძნობების, სტიქიური სწრაფვების, იღუმალი ლტოლვების მეტრული ხორცმესხმა, რიტმულ-მელოდიკური კრისტალიზება.

ამიტომ პოეტური შედეგების აბსოლუტური უმრავლესობა ინერება 30-35 წლამდე, ახალგაზრდობის წლებში, როცა შემოქმედს ეძალევა ემოციები და მათი ძებნა ან გამონვევა არ სჭირდება.

ცხადია, არის გამონაკლისებიც:

50-ს გადაცილებულმა აკაკი წერეთელმა შეთხზა თავისი საუკეთესო ლექსები — „განთიადი“ და „სულიკო“, პოემა „გამზრდელი“, მაგრამ არც ის დაგვაინყდეს, რომ იგი 19 წლისა „საიდუმლო ბარათის“ ავტორი იყო. ე.ი. შეძლო ლირიკოსის ტემპერამენტის მე-

ნარჩუნება სიბერემდე, რაც იშვიათი მოვლენაა.

ლირიკოსი თხზავს, როგორც შეურაცხადი, უხილავი ძალის კარნახით, როცა იძირება სულიერ განცდათა მორევში.

ლირიკოსის ბედი ჰგავს სპორტსმენის ფორტუნას.

სპორტსმენი 30-35 წლის ასაკში ამთავრებს კარიერას, როცა სცილდება სიჭაბუკის ზღვარს და ჰკარგავს სინედლეს, ალმაფრენას, სწრაფვის უნარს.

სიჭაბუკის ძალთა აზვირთება უკავშირდება ლიბიდოს, სექსუალურ ვნებათა მოძალეობას ანუ სიცოცხლის ჟინს, ძველ ბერძნულად — ეროსს. იგი არის ემოციების ბირთვი.

ეროსი ელინელთა სიყვარულის ღმერთი იყო, კოსმოგონიური პირველსაწყისი ქაოსთან, ტარტართან და გეასთან (დედამინა) ერთად.

ეროსი ერესისა და ღამის შვილია, ქაოსის შვილიშვილი.

ლირიკოსისათვის მთავარია ეროტიკული სიყვარული, სექსის მოთხოვნილების ტრანსფორმაცია, სატრფოს სახე, მისი ხოტბა და გამითება. ან — დაკარგვის შიში, სიშორე, იმედების დამხობა, ეიფორია და დეპრესია, რაც ზოგჯერ მისტიკაში გადადის.

რეალიზებული სიყვარული აღარ იძლევა თხზვის სტიმულს. სექსუალური ჟინის დაცხრომა ანელებს გრძნობებს და ეს ვლინდება ხელოვნებაში:

პიგმალიონმა სპილოს ძვლისაგან ულამაზესი ქალიშვილის ქანდაკება გამოკვეთა, რომელიც შეუყვარდა. აფროდიტემ ოცნება აუსრულა, ქანდაკებას სული ჩაუდგა და პიგმალიონმა შეირთო იგი, მაგრამ მოქანდაკის ნიჭი დაკარგა.

გაუნაღებელი განცდები, ტანჯვა და სიხარული, ტრავმა და სევდა, სწრაფვა და ფორიაქი თხზვის ძლიერი წყარო და სტიმულია. არა აქვს მნიშვნელობა, ლტოლვის ობიექტი უშნოა თუ ღამაზი, შავთვალა თუ ცისფერთვალა, მთავარია განცდის ძალა.

ისტორიულად სექსუალური სიშმაგე შავ ფერს უკავშირდება, რაც ბნელ ძალთა, ხთონური სამყაროს ფერია, სადაც სიცოცხლე ისახება.

სიყვარულის მიღმა ბიოლოგიური ინსტიქტები, სექსუალური მოთხოვნილება იგულისხმება, შინაგანი სეკრეციის ჯირკვლების აქტივობა, ფსიქო-ნერვული სისტემის ფუნქციონირება, გულ-სისხლძარღვთა მოქმედება, რაც ყველაზე ძლიერია და ჰარმონიული ახალგაზრდობის წლებში, როცა ტესტოსტერონს ჭარბად გამოიმუშავებს ორგანიზმი.

ტესტოსტერონის სიჭარბის დროს ირთვება ნერვული უჯრედების თვითგანადგურების მექანიზმი, რაც არღვევს ნერვული სისტემის მუშაობას, ე.ი. ეროსს მიყვარათ ფანატოსისაკენ.

სექსუალური სიამოვნების უძლიერესი განცდის დაფარული არსია ჯიშის ანუ სიცოცხლის გაგრძელება, ნიშან-თვისებათა შენახვა და გადატანა მარადისობაში, რაც არაცნობიერად განაგებს შეყვარებულთა სწრაფვას (შდრ — ლია სტურუა — „ჩვენ შეგვახვედრა ნადირის ალლომ და ერთი ჯიშის სისხლმა და სუნმა“) და ყალიბდება დედობის ინსტინქტად, ნაშიერისათვის თავგანწირვად.

სიყვარული არის შარავანდედი, რაც ადამიანის გონმა სექსუალურ ლტოლვებს შემოახვია, როგორც ბუნებრივი გადარჩევის სტიქიური პრინციპი.

უძველეს დროში მთავარი იყო ლტოლვა და არა ობიექტის სილამაზე, როგორც ცხოველთა სამყაროში.

არქანთროპისათვის სიყვარული არ არსებობდა. მას სექსის წყურვილი, როგორც შიმშილი, ისე იმორჩილებდა. მაგრამ თანდათან იზრდებოდა ობიექტის როლი, იწყებოდა მისი გამორჩევა, მოხიბვლა ან ძალადობრივი მოპოვება, ხოტბა და დითირამბი, რაც მონოგამიის გზა იყო.

სექსუალური გრძნობა ყველაზე ძლიერი სიამოვნებაა. სხვანაირად ეჭვქვეშ დადგებოდა მოდემის მომავალი. ამიტომ არის იგი სიშმაგე და სიგიჟე, ნევროზი და დეპრესია, როცა მიზანი მიუწვდომელია.

„მიჯნური შმაგსა გვიქვიან“ — გვასწავლის რუსთაველი. მიჯნური ჯინით ანუ დემონით შეპყრობილს ნიშნავს.

უძველესი წარმოდგენითაც, სექსი უკავშირდება ძალას. ამიტომ ნადირობის ან ბრძოლის წინ ქალთან არ ურთიერთობდნენ (შდრ — კ. გამსახურდიას თვალსაზრისი). ხელმოცარული მონადირე თავის მარცხს აბრალებდა ცოლს, რომელმაც არყოფნის ჟამს მას უღალატა ან ტაბუ დაარღვია, ე.ი. ძალა მოაკლო. ხოლო მეომრის ცოლის ღალატი ან რიტუალის დარღვევა სიკვდილს ნიშნავდა. იგი შორიდან — ერთგულებით, წესრიგის დაცვით, ბრძოლის პანტომიმური იმიტაციით უნდა დახმარებოდა ქმარს (ჯეიმს ფრეზერი).

დაოჯახება ხდება ცხოველთა და ფრინველთა სამყაროშიც. მაგ: მგელს მთელი სიცოცხლე ჰყავს ერთი რჩეული და თუ იგი დაიღუპა, ეულად ცხოვრობს.

არარეალიზებული სექსუალური განცდები თხზვით განიმუხტება, ანუ ხდება ენერჯის გადანაცვლება, ძლიერი აფექტების გათავისუფლება, გადატანა სხვა სფეროში.

მაგრამ თავად სიყვარული და სექსი არის პიროვნების სწრაფვა თავისუფლებისაკენ, აგრესია და დამორჩილება, ძალაუფლების ნების გამოვლენა, სრულქმნა და თვითდადგენა, რასაც ახლავს ეჭვი, როგორც დაკარგვის შიში.

ერთმა მეცნიერმა შეისწავლა 700 თვითმკვლელობის ფაქტი. 68%-ის მიზეზი აღმოჩნდა სექსი, კონფლიქტები სექსუალურ ნიადაგზე.

აშშ-ში განქორწინების 75%-ის მიზეზია სექსუალური პრობლემა.

დანყვილების, სექსუალური კავშირის შემდეგ ყველა მამაკაცს რწმენა ემატება და თავს გრძნობს, როგორც მინი-ბელადი, ანუ ხდება ძალაუფლების ნების რეალიზება, რაც ნიშნავს ნევროზის დაძლევისა და პიროვნების თვითდადგენას. მაგრამ გამარჯვებული სიყვარული პოეზიაში ნიშნავს დამარცხებას, რადგან იშრიტება შთაგონების წყარო, ქრება სწრაფვის უინი.

ბეატრიჩე, დულსინია, ოფელია, ლაურა არარეალიზებული მძაფრი გრძნობის ფანტაზიის ნაყოფია. ალბათ, ნესტანი და თინათინიც.

ჯორჯ ბაირონს უთქვამს, პოეტი რომ გახდეს, უნდა იყო შეყვარებული ან უბედური. მაგრამ დიდი პოეტების ბიოგრაფიაში ეს ფაქტი ერთდება ხოლმე.

ბაირონის ანტიპოდის, ელიოტის სიტყვითაც, პოეზიას ბადებს ტანჯვა.

რა იქნება მომავალში?

სექსუალური რევოლუცია ხომ ცვლის ძველ წარმოდგენებს. სიყვარული კარგავს საბედისწერო ძალას, დემონურ თვისებას. გრძნობა და სექსი ისევ განიყოფა.

თუ პუშკინი მეუღლის სახელის შებღალვისათვის დუელში კვდებოდა, სალვადორ დალის სულაც არ ანალვლებდა ცოლის უამრავი საყვარელი და მათზე დახარჯული მილიონები.

განსხვავებით ლირიკისაგან, პოემა, რომანი, ნოველა და ტრაგედია არ იფარგლება წმინდაგრძნობებით, არაცნობიერი იმპულსებით. ცხადია, მათი შენარჩუნება აუცილებელია, მაგრამ დაერთვის გონის მიერ კონსტრუირებული მასალა, გადანაწილებული სიუჟეტებად, პერსონაჟებად, იდეებად, ჩასმული კომპოზიციური ჩარჩოში.

მოძალბებულ ემოციებს ეძლევა სინამდვილის მსგავსი მოდელი, სახეები და ფიგურები, გულს ერწყმის გონი.

აქ უკვე ვერც სიჭაბუკის ასაკს, ვერც ლიბიდოს ვერ ექნება გადამწყვეტი მნიშვნელობა.

სექსუალური ლტოლვაც ძალისა და ძალაუფლების ნების არქეტიპული მოდელის განმტოვებაა, როგორც ვახლეობა და გააფთრება (მოჰენჰაუერი, ფროიდი).

თავისუფლება და კონფორმიზმი

თითქოს ხელოვანი თავისუფლებას სრულად ავლენს თავის მიერ შეთხზულ სამყაროში, მაგრამ მას აქაც ზღუდავს საზოგადოება, გარემო, რომელშიც ცხოვრობს, ეპოქის ეტიკეტი და გემოვნება, ტრადიციები.

ეს არის კულტურის მიერ დანესებული სალტი, აუცილებელი და გარდაუვალი, რადგან ყოველი თავისუფლება შეფარდებითია.

მაგრამ დიქტატურა, ხელისუფლების კონტროლი თრგუნავს შემოქმედს. უღვივებს დეპრესიას და პესიმიზმს, საკუთარი უმწეობის განცდას.

ეს განსაკუთრებით ითქმის კომუნისტურ რეჟიმზე, რომელმაც, ერთი მხრივ, განადიდა თავისი ერთგული ხელოვანი, მეორე მხრივ, შეუქმნა დაუძლეველი კონტროლის ქსელი.

მაგრამ შემოქმედიც ეგუება სიტუაციას, ეძებს გამოსავალს და ხელისუფლების წნეხი ზოგჯერ კიდევ აძლევს თხზვის სტიმულს, უმძაფრებს თავისუფლების განცდას, უძლიერებს წინააღმდეგობის უნარს.

ეს იშვიათად. მეტწილად კი ხელოვანი ხდება კონფორმისტი, ხელისუფლების მაქებარი, მისი იდეების მესაყვირე და პროპაგანდისტი.

კონფორმიზმი კომუნისტურ ეპოქაში იყო კარიერის საფუძველი. შემოქმედი სწყდებოდა თავის მთავარ მისიას და სანაცვლოდ უმზადდებდნენ და უჩვენებდნენ კარიერის მაცდურ, აღმავალ კიბეს.

ძალაუფლების ნების რეალიზება ხდებოდა არა შემოქმედებით, არამედ — მოქმედებით, არა ხელოვნებით, არამედ — ეფემერული კარიერით.

ეს კი სულიერი გადაგვარებისა და დათრგუნვის მერე, დადაფნული გზა იყო.

პირველი, მოგეხსენებათ, ფიზიკურ ანგარიშსწორებას ნიშნავდა!

კონფორმიზმი შეგუებაა და, მაშასადამე, ბრძოლის უარყოფაც.

ადამიანი სუსტი არსებაა და ხელოვანსაც ცუდ ცხოვრებას კარგი ცხოვრება ურჩევნია, ეკლის გვირგვინს — დაფნის გვირგვინი. მხოლოდ ერთეულებს აღმოაჩნდებათ ცდუნებისაგან თავის დაღწევის უნარი ანუ კონფორმიზმის ტალღაში საკუთარი სამყაროს დაცვის ნიჭი (მდრ — ოციანი წლების ქართულ პოეზიაში ორი სიმბოლიკა — გალაკტიონის დაუდევარი ლურჯა ცხენები და რაჟდენ გვეტაძის ბედის მორჩილი ვირები).

კონფორმიზმი ახშობს თავისუფლებისაკენ სწრაფვას — მგლის ინსტინქტები იცვლება ძალღური ერთგულებით. სიტყვას აკლდება დრამატიზმი, ხოლო დატკბილული სიტყვა აუდიტორიას ველარ ატკბობს.

ხელოვანი იძულებული ხდება თავისი თავისა და ერის მისწრაფებათა მიღმა ეძებოს დრამატული საგანი და მოვლენა — ამიტომ არის ესოდენ ჭარბი ისტორიზმი, ისტორიული თემატიკა, მითოლოგიური და ლიტერატურული სახეები და რემინისცენციები ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში.

შემოქმედი ჰგავდა იერემიას, რომელიც გოდებდა დანგრეულ იერუსალიმზე. ერთი სიტყვით, დიქტატურა სშობს თავისუფლებას, მაგრამ ამძაფრებს მისი მოპოვების სურვილს; დემოკრატია იცავს თავისუფლებას, მაგრამ

პიროვნებას უქვეითებს სწრაფვის უნარს; დიქტატურა თრგუნავს ადამიანს, მაგრამ ამკვიდრებს ადამიანის იდეალებს; დემოკრატია თითქოს ქმნის ადამიანის ღირსებას, რეალურად კი რყვნის მას.

ამიტომ არის მთავარი სწრაფვისა და მოქმედების პროცესი. შეჩერება კვდომის დასაწყისია.

მშვენიერების საუფლო — თავისუფლების ოაზისი

ხელოვანი თამაშითა და ბრძოლით აგებს თავის სასახლეს, რაც სულის თავისუფლების სიმბოლოა. მაშინაც, როცა მასზე ზემოქმედებს პოლიტიკური, იდეოლოგიური ან სხვა ფაქტორები, ცდილობს ნაწილობრივ მაინც თქვას სიმართლე, თავისი სათქმელი, ანუ ნაწილობრივ მაინც მოიპოვოს თავისუფლება.

დემოკრატიული საზოგადოება, სადაც მიღწეულია ადამიანური თავისუფლება, შეიძლება ზოგიერთი ტიპის ხელოვანისათვის დამაბრკოლებელი გარემოც კი გახდეს!

ხელოვნება პლატონისათვის აჩრდილის აჩრდილი იყო, რადგან თვით ეს ქვეყანა მიაჩნდა ნამდვილი არსებობის ლანდად.

მოძრაობა და მოქმედება არის სიცოცხლე. სიცოცხლე კი გრძნობაა. როცა მას წარმართავს გონი, მაშინ აუცილებელი მოთხოვნილებაა შექმნა, გაკეთება, სახლის აგება, ომი, ხატვა, წერა, სიმღერა, შრომა, გართობა, თამაში...

მშვენიერების სილამაზეს აღიქვამს მხოლოდ ადამიანი, თუმცა მცირეოდენი დოზით მას განიცდის ყოველი ცოცხალი არსება. მცენარეც კი რეაგირებს მუსიკის ჰანგზე.

მშვენიერების შექმნით სული ეზიარება უკვდავებას, ანუ ღმერთს შეერთვის.

თავისთავად, უკვდავებაც პირობითი ცნებაა, ისტორიულ დროში არსებული, თორემ ოდესმე დედამიწის აღმოდებული გულიც გაჩერდება, რაც ასტრონომიულ დროს მოიცავს.

უამთა ქროლვა, ენისა და ფსიქიკის ცვალებადობა შედეგს უკარგავს მომხიბვლელობას. მხოლოდ სპეციალისტი თუ შეძლებს ძველი ძალმოსილების განცდას.

საბოლოოდ შედეგები რჩება არა ხელოვნების მოყვარულთა, არამედ — სპეციალისტთა ვინრო კასტის წრეში.

მათი მკითხველები დიდი ხანია ჰადესში გადასახლდნენ.

ამიტომ არის შედეგრი პირობითი ცნება.

მასის გული ცივია, დღეს რომ ტაშს გიკრავს, ხვალ ჯვარზე გაგაკრავს. იგი ვერ ეგუება პიროვნების გამოყოფასა და ამალვებს.

ამიტომ მაცდურია პოპულარობა და გადამწყვეტი — ელიტარული აღიარება.

XX საუკუნეში ყველაზე მეტად კითხულობდნენ რემარკსა და ჰემინგუეის. მაგრამ ისინი არ ყოფილან არც უპირველესი ოსტატები, არც ახალი გზების გამჭრელნი ხელოვნებაში, როგორც ჯოისი, ფოლკნერი, ელიოტი, პრუსტი ან თომას მანი.

ხელოვანის სპეციფიკური ენა, სტილი, პოეტიკა და ესთეტიკა მასის გულს არაფერს ეუბნება. თხზვის პროცესში ცალკეული ხერხების გამოყენება, ფანტაზირება, ტექნიკური სრულქმნა თვითმიზანი ხდება. შემოქმედი იჭრება უცხო სივრცეში, ხვენს ენას ან ამღვრევს, ცვლის სალექსო მეტყველებას, სიუჟეტისა და კომპოზიციის ტექნიკას. მაგრამ ასეთი გამომგონებლობა, ესთეტიკური სიტყვა ან პირიქით — დეესთეტიზებული გარემო მკითხველს არ სჭირდება. სამაგიეროდ აფასებს ხელოვნების მოყვარულთა ვინრო წრე.

მკითხველი კაპრიზულია და მხოლოდ ინსტინქტურ გრძნობებს ენდობა, ბუნებრივ ენას, სტიქიურ თხრობას (შდრ — ერთი მხრივ — ჰემინგუეი, მეორე მხრივ — ჯოისი). ესთეტიკის შეფასება დროს საკმაოდ უძლებს, მაგრამ ამის გამო ნიგნს მკითხველი არ ემატება.

პოლ ვალერის კალამბური რომ გავიმეოროთ, ყველამ იცის, დანტე რომ გენიოსია, მაგრამ „ღვთაებრივ კომედიას“ არავინ კითხულობს.

ალექსანდრე დიუმე არ იყო გენიოსი, მაგრამ ისევ კითხულობენ „გრაფ მონტი კრისტოსა“ და „სამ მუსკეტერს“.

ხელოვანი კი ვერ ისვენებს, როგორც ღვთაებრივი წყევლით დასჯილი. შეიძლება იგი ბერივით იყოს თავის სენაკში გამოკეტილი, მაგრამ არ შეეძლოს, რომ არ წეროს (მაგ: ფოლკნერი ელექტროსადგურის ცეცხლფარეში იყო, როცა წერდა „ხმაურსა და მძვინვარებას“).

„გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ ათასი წლის მანძილზე არავის ნაეკითხა, ვიდრე ნიკო მარის ხელი არ შეეხო.


ხელოვანი მაშინ უნდა ქმნიდეს, როცა არ შეუძლია, რომ დუმდეს.

ლევ ტოლსტოის უთხრა ერთმა ავტორმა, რომანი მაქვს ჩაფიქრებულიო. ტოლსტოი შეეკითხა, შეგიძლია, რომ არ დანეროთ? როგორ არაო, მიიღო პასუხი.

— მაშინ ნუ დანერ, — იყო გენიოსის რჩევა, რადგან ის რომანი მაინც ვერ ივარგებდა!

როგორც შეუძლებელია ნიაღვრის, ვულკანის, ქარიშხლის ან ბავშვის დაბადების შეჩერება, ისე არ შეიძლება, გქონდეს დიდი სათქმელი და გულში ჩაიხშო, არ აღმოთქვა, თუნდაც ჯოჯოხეთი გელოდეს.

მშვენიერების საუფლო თავისუფლების ის ოაზისია, რომელსაც ესწრაფვის სიხარულით თავბრუდასხმული თუ მტანჯველი რეალობით გულმოკლული ხელოვანი.



რეზა უთურგაური
ზღაპრები ბედნიერებაზე

ხათუნა ჩახანძი

ხათილი მუხლახი და ჰახაჰ მხითხველები

შპს „თბილისის უნივერსიტეტთან“ არსებულ კერძო საშუალო სკოლის III^ბ კლასის მოსწავლეებმა (პედაგოგი დალი თომაშვილი) შეხვედრა მოუწყვეს აღმოსავლეთმცოდნეს, ბიზნესმენს, მწერალსა და დიპლომატს, საბავშვო წიგნის, „ზღაპრები ბედნიერებაზე“ ავტორ რევაზ უთურგაურს.

თითქმის ყველაფერი მზადა აქვთ. საკლასო ოთახი ბრწყინავს: ერთ კედელზე ხელნაწერი კედლის გაზეთი „ციცინათელები“ ჰკიდია. მეორეზე — ჯარჯის დახატული შევარდენი გორჯი (ილუსტრაცია წიგნიდან „ზღაპრები ბედნიერებაზე“). მაგიდაზე მწერლისათვის გამზადებული საჩუქარი, სამი ულამაზესი ჰოლანდიური ვარდი დევს. იქვე კი კონვერტია, რომელიც III^ბ კლასის მოს-

წავლეების წერილებითაა სავსე, სადაც ისინი თავის საყვარელ მწერალს ბავშვურ შთაბეჭდილებებს უმხელენ. თითოეულ მათგანს მკერდზე ლამინირებული სამკერდე ნიშანი ჰკიდია, საიდანაც სასაცილო ლიპუცა ციცი-ნათელა გამჭვირვალე ცისფერი ფრთებითა და სევდიანი თვალებით შემოგვცქერის. ეს ემბლემა მესამე კლასელებისათვის მათმა საყვარელმა, ყოფილმა ხატვის მასწავლებელმა, ხელოვნებათმცოდნემ და გამომცემლობა „ელფის“ მხატვარმა სოფო ბუეკალავამ შექმნა. კარგად რომ დააკვირდეთ ამ ლამინირებულ სამკერდე ნიშნებს, შეიძლება, გაგელიმთ კიდევ, ყოველი მათგანი, მიუხედავად ერთიანი სახისა, მაინც თავის პატრონს ჩამოჰგავს.

სადღესასწაულოდ გამონყობილა დალი მასწავლებელიც. ის პატარა „ციცინათელები“ მწყემსია. მისი აღსაზრდელები მთელი წლის მანძილზე კლასგარეშე ლიტერატურის სახით ეცნობოდნენ რევაზ უთურგაურის შესანიშნავ წიგნს: „ზღაპრები ბედნიერებაზე“. დღეს კი ოცნება აუხდებათ, სკოლაში პატარა მკითხველებთან შესახვედრად კეთილი მეზღაპრე მოდის.

მანამდე კი... დალი მასწავლებელი მერხიდან მერხთან მიდის, ერთად კრებს, მწერლისათვის ავტოგრაფის ხელმოსაწერად ამზადებს მოსწავლეების წიგნებს. თვითოეულს ეტყობა, რომ ბევრჯერ შეხებია მფლობელის პატარა ხელი.

ისე, როგორც ყოველ ადამიანს, ყოველ წიგნსაც თავისი ცხოვრების გზა აქვს. იმ საბავშვო წიგნის სიცოცხლე, რომელსაც მრავალი ბავშვის ხელი შეხებია, უფრო ხანგრძლივია, ვიდრე იმათი, მხოლოდ ძვირფას წიგნის კარადებს რომ ამშვენებენ და მკითხველი არ ღირსებით.

III^ბ კლასის პატარა „ციცინათელებიც“ გზის დასაწყისში დგანან. ჯერ ძალას იკრებენ, ცოდნას იძენენ იმ ფერად, მაცდურ დღესასწაულში სამოგზაუროდ, შორიდან „სიყვარულის ველს“ რომ ჰგავს.

კეთილმა მეზღაპრემ კი თავისი წიგნით მათ დაანახვა, რომ იქ მუდამ ომი მძვინვარებს სიკეთესა და ბოროტებას შორის. წინ უამრავი ხიფათი და თავგადასავალი ელით. რა თქმა უნდა, ბედნიერება და მისკენ სავალი გზა ყოველ მათგანს თავ-თავისი ექნება. მრუდე გზით წასულნი უგზო-უკვლოდაც იხეტიან, მაგრამ მთავარია, რომ დროზე შეძლონ კალიასა და ციცინათელასავით გამოფხიზლება და „იოლი იღბლის“ ველიდან თავის დაღწევა. მიხვდნენ, რომ საესე კუჭი და ნასვამი თავი და, მით უმეტეს, ბევრი ფულის შოვნა ბედნიერებას არ მოუტანთ. რომ არ შეიძლება ბაყაყი მანანასავით ცოდნა და ოცნების უნარი გქონდეს და არ იცოდე ამ ცოდნის გამოყ-

ენება. ციციანათელასაგან მათ უნდა ისწავ-
ლონ ნამდვილი სიყვარულის ფასი, თუნდაც
ის პეპლის სიცოცხლესავით ხანმოკლე იყოს.
და რომ არ უნდა გამოეკიდონ ჭრიჭინასავით
ქარაფშუტულ ზედაპირულ გრძნობებს, რომ
ნაკადულივით ერთხელაც შეიძლება შეწყდეს
სიცოცხლის მდინარე და მაშინ უნდა გად-
ანყვიტონ, თუ რა არის მათთვის მთავარი.
პატარა მკითხველებმა უნდა იცოდნენ, რომ
მონობაში სიცოცხლეს სიკვდილი სჯობია და
არნივით მუდამ უნდა „იცავდნენ მინას, სა-
დაც დაიბადნენ და ცას, სადაც გაიზარდნენ“.
ახსოვდეთ, რომ დაუმარცხებელია ის, ვისაც
უყვარს სამშობლო და შეუძლია მისთვის,
უბრალო ჯარისკაც ბელურასავით თავი გას-
წიროს. მუდამ იყვნენ შევარდენი გორჯივით
გოროზები და ამაყები, მაგრამ ქვეყნის სამ-
სახურში საბრძოლო შრომით დაღლილებს
შერჩეთ ნაზი და მგზნებარე გული. მერე რა,
რომ გვრიტების ოჯახივით ერთხელაც შეი-
ძლება, დიდი უბედურება დაატყდეთ თავს,
უნდა ახსოვდეთ, რომ მინიერ ცხოვრებასაც
დასასრული აქვს, როგორი მტკივნეულიც
უნდა იყოს ამის გააზრება.

მერცხალი ლალის მიერ გამხეილი საიდ-
უმლო, სიყვარულის ძალა უსაზღვროაო,
როცა ამბობს, უმთავრესია ყოველ საიდუმ-
ლოთაგან. მართლაც, სიყვარული საუკეთესო
მასწავლებელი და მრჩეველია. მას უთვალავი
ფორმა აქვს, მაგრამ მისი არსი უცვლელია.
იგი უნდა გადაიქცეს მათ ცნობიერებად და
მისი მეშვეობით უჭვრიტონ სამყაროს.

დაბოლოს, მწერალი პატარა მკითხველებს
„ჭეშმარიტი ცოდნის“ ველზე სამასწლოვანი,
მრავლისმნახველი პანტის ხის მეშვეობით
საიდუმლოთაგან უდიდესს უმუღავნებს, სამ-
ყაროს ერთიანობასა და განუყოფლობაზე:
რომ სიკვდილი არ არსებობს, უბრალოდ ჟა-
მის დადგომის დროს ჩვენს ახლანდელ არსე-
ბობას ექნება დასასრული.

პირველმა ფორიაქმა გაიარა და ქეთევან
არაბულმა მწერალთან შეხვედრით დაინტერ-
ესებულ საზოგადოებას: სკოლის დირექციას,
მასწავლებლებსა და მშობლებს, წიგნის სიუ-
ჟეტის მოკლე შინაარსი გააცნო, რათა ნარ-
მოდგენა ჰქონოდათ, თუ როგორ ვითარდე-
ბოდა მოვლენები მათ საყვარელ ნაწარმოებ-
ში.

ბავშვები ბოლომდე გაიხსნენ, გათამამდ-
ნენ და უამრავი შეკითხვა დაუსვეს მწერალს.
ყველას მაინც პატარა ქეთიმ (კლასში ქეთი
ქობულიძეს ასე ეძახიან მომცრო ტანის გამო)
დაასწრო. როგორც ჩანს, მას ძალიან მოე-
წონა ციციანათელას სიყვარულის ისტორია
და აინტერესებდა, ასეთ ლამაზ და კეთილ
ზღაპარში მაინც რატომ არ იცოცხლა დიდხ-
ანს უმშვენიერესმა პეპელამო.

ბატონი რევაზი, ეტყობა, მოიხიბლა თავი-

სი ზღაპრის გმირივით თვალეზხატულა პატ-
არა მკითხველით და სახე კეთილი ღიმილით
გაუნათდა. ამქვეყნად ყველას ხომ თავისი
გზა და ბედი აქვს, აღნიშნა მან. განა სიცოცხ-
ლის ხანის სიგრძელე რაიმეს ცვლის?!. ზო-
გის სიცოცხლე დიდხანს გრძელდება, მაგრამ
უაზრო და არაფრის მთქმელია. ზოგის კი —
თითქოს ერთი ამოსუნთქვაა, ისეთი ლამაზი
და არაჩვეულებრივია. პეპელას შეიძლია დღისა
და ღამის სიცოცხლე მეტად ღირებულია,
ვიდრე საუკუნეს გამოკიდებული უაზრო სი-
ბერე.

ბაჩანა სალუქვაძეს სამასი ბელურას ამ-
ბავი აინტერესებდა. სამასი არაგველების
ანალოგიით ხომ არ გამოიყენეთო, ჰკითხა.

მწერალს ელიმება. როგორც აღმოსავ-
ლეთმცოდნემ, ვიცი, რომ ირანის ისტორიას
ალა-მაჰმად-ხანივით სასტიკი სხვა არავინ
ახსოვს. მისი პირისისხლიანობით აღშფოთე-
ბულმა სამასმა არაგველმა განა არ იცოდა,
რომ უეჭველ სიკვდილს უნდა შეხვედრო-
და, მაგრამ სამასივემ, როგორც ერთმა, ისე
გადანყვიტა სამშობლოს საკურთხეველზე
თავისი სიცოცხლის მიტანა. კიდევ კარგი
საქართველოში ძნელბედობის ჟამს ყოველთ-
ვის მოიძებნებოდა სამასი არაგველივით ასე
თავგანწირული ქართველი, თორემ აქამდე
მსოფლიო რუკაზე ჩვენს სამშობლოს ადგილი
ალარ ექნებოდაო, განაცხადა მწერალმა.

ამასობაში შევარდენი გორჯის რაინდული
სულით აღფრთოვანებული ჯარჯი ყაველაშ-
ვილი (ჯარჯი თბილისში ათონელის ქუჩა-
ზე მდებარე სამხატვრო სკოლის II კლასის
მოსწავლეცაა) ადგილს ველარ პოულობდა
იმ იმედით, რომ იქნებ ქართული ზეპირსი-
ტყვიერების გმირის, ჩემი მოსახელე მონა-
დირე ჯარჯის ანალოგიით დაარქვა მწერალ-
მა შევარდენს სახელიო.

პატარა მხატვარს კლდეებზე მდგარი,
ქართული აბჯრით შემოსილი ამაყი შევარდ-
ენის გოროზი და თანაც კეთილშობილი
სახე საოცარი სიზუსტითა და სიყვარულით
გადაუტანია წიგნიდან საკმაოდ მოზრდილ
ტილოზე. მერე მას მთელი კლასი მხარში
ამოუდგა ოქროსფერი ჩარჩოს შესაძენად,
რათა მწერლისათვის გამზადებული სამახს-
ოვრო საჩუქარი უფრო ღირსეული ყოფილი-
ყო.

ბატონმა რევაზმა განმარტა, რომ მისი
ზღაპრის გმირს, შევარდენ გორჯს, ხალხური
პოეზიის გმირის სახელთან არანაირი შეხება
არა აქვს. იგი უფრო სპარსულზე დაყრდნო-
ბითაა შექმნილი, გახსოვთ, ალბათ, ქართველ
მეომრებს გურჯებს ეძახდნენო.

მწერალს ჯარჯისა და მთელი კლასის
საჩუქარმა აუჩუყა გული, მაგრამ უარი
განაცხადა, იქნებ სჯობია, ნახატი კლასში და-
ტოვოთო, თუმცა როცა შეატყო, რომ პატარა



მხატვარს არ ენანებოდა თავისი ნამუშევრის გასხვისება, თვალზე ცრემლიც მოადგა...

ნიკა ჭაფოძეს აინტერესებდა, ციცი-ნათელა რატომ აირჩიეთ მაინცდამაინც მთავარ გმირად და არა სხვა რომელიმე მწერიო.

მწერალმა საპასუხოდ ბავშვობა გაიხსენა. ხუთ-ექვს წლამდე ზემო იმერეთში, სოფელ ქორეთში ვიზრდებოდი, მერე კი საიდ არ მატარა ბედისწერამ, მაგრამ დღემდე გამოწყვა ციცინათელას სიყვარული. მახსოვს, იმ შორეულ ბედნიერ ბავშვობაში, როგორ ვაგროვებდი შუშის გამჭვირვალე ქილაში ციცი-ნათელებს, რათა მათი მეშვეობით წამუკითხა ზღაპრები და არაფერი გამომბოდიოდაო...

თამარ მუშლაძე ადგილზე ვერ ისვენებს, ბოლოს შეეკითხა: ჭრიჭინა მომეწონა, ძალიან ლამაზიაო, აღნიშნა (თვითონაც ამ დროს შავი ბრიალა თვალებითა და შეფაკლული ლოყებით, მართლაც ჭგავდა ჭრიჭინას). მინდა, მას ვგავდე და ყველას უყვარდეთო. მეორეც კიდევ, თქვენი წიგნი დიდებსაც ასე რომ მოსწონთ, ველარ გავიგე, მარტო ჩვენთვის დაწერეთ თუ უფროსებისთვისაცაა განკუთვნილიო.

ბატონ რევაზს ჯერ გაელიმა, მერე სერიოზულად უპასუხა, საბავშვო წიგნმა ბავშვამდე რომ მიაღწიოს, ჯერ უფროსის მოწონება უნდა დაიმსახუროს. ასე, რომ გამოდის საბავშვო წიგნები მეტ-ნაკლებად უფროსების გემოვნების გათვალისწინებითაც იწერება, რადგან მათი გადასახვეტია, შეიძენენ თუ არა ამა თუ იმ წიგნს, საკუთარი შვილებისათვისო.

ლიკა დარისპანაშვილს აინტერესებს, ჩემს მეგობარ გოგონას უნდოდა თქვენი წიგნის

შეძენა, მაგრამ ვერსად იყიდა და რატომო?!

როგორც ბედნიერების გაყიდვა არ შეუძლია ადამიანს, ისე მეც ვერ გავყიდი ჩემს „ზღაპრებს ბედნიერებაზე“ — უპასუხა მწერალმა. ყოველ შემთხვევაში მისი პირველი გამოცემიდან საზღაური არ ამიღია, დაიბეჭდა თუ არა, თითქმის ნახევარზე მეტი „სამეზბის“ ტაძრიდან იყვინ წარმომადგენლები და მათ ნაიღეს. ვიცი, რომ წიგნების ნაწილი, უპატრონო ბავშვთა სახლს „ბელურებს“ შევბდა, ხოლო მეორე ნახევარი უშუალოდ გამომცემელმა დაიტოვა გასამრჯელოს სანაცვლოდ, ამიტომ სად შეიძლება ჩემი წიგნის შეძენა, ამაზე პასუხის გაცემა მიჭირსო.

ჩვენ ძალიან მოგვეწონა თქვენი წიგნის ილუსტრაციები. გარეკანზე ციცინათელასა და პეპელას დიდი, სიკეთითა და სევდით სავსე თვალები, თითქოს გვეძახიან, მოდით, ბავშვებო, ნაგვიკითხეთო. მაგრამ სულ არაფერი ვიცი თ მხატვარზე — დაინტერესდა ამირან მაღლაკელიძე წიგნის მხატვრობით. თქვენ ხომ არ გვეტყოდით, ვინ არის იგი და სად ცხოვრობს?!

რაც შეეხება წიგნის მხატვარს, მისი ისტორია უაღრესად საინტერესოა, ხაზგასმით აღნიშნავს რევაზ უთურგაური. ის ვასილ მელიქიშვილია. დაახლოებით 80 წლისაა. ცხოვრობს სოხუმში. როგორც თვითონ ყვება, ბავშვობისას ქართველი რომ იყო წარმოშობით, ამას მხოლოდ თავის გვარით ხვდებოდა. წლების მანძილზე უპატრონო ბავშვთა სახლში იზრდებოდა, სამამულო ომის დამთავრების შემდეგ უკვე სრულწლოვანი იყო და თანაც თავისუფალი. მატარებლის ბილეთი ალაღბებდნენ აილო თბილისადმე. საქართ-

ველოს მიწაზე მატარებელი პირველად სა-
დაც გაჩერდება, იქ ვიცხოვრებო, გადაწყვი-
ტა. ბედისწერამ სოხუმის ბაქანზე დაადგმე-
ინა ფეხი და მას შემდეგ ქალაქი არასოდეს
დაუტოვებია, თვით აფხაზეთის ომის დრო-
საც კი. სოხუმი გახდა მისთვის დედა, მამა და
მთელი ოჯახი. მისი სახელოსნო შემთხვევით
ვნახე. პირველი რაც გავიფიქრე, ის იყო, რომ
მხოლოდ მას უნდა შეექმნა ჩემი ზღაპრები-
სათვის ილუსტრაციები. მაგრამ ეს ადვილი
არ აღმოჩნდა. სამი წელი მხოლოდ იმას მო-
ვანდომე, თანხმობა მიმელო. ერთი წელი
ნიგნის სიუჟეტებს განვიხილავდით. მიუხე-
დავად ამდენი დაბრკოლებისა, მაინც ვთვლი,
რომ ილბლიანი ყოფილა ჩემი წიგნი, რადგან
მასზე ასეთმა დიდმა მხატვარმა იმუშავა...

მწერალმა თხრობა შეწყვიტა. საკლასო
ოთახში ერთხანს სამარისებური სიჩუმე
ჩამოდგა. ერთი წამით ყველამ წარმოიდგინა
მხცოვანი მხატვრის საღებავების სუნით გა-
ჟღენთილი სახელოსნო, სადაც ბავშვებისათ-
ვის საყვარელი ილუსტრაციები შეიქმნა და
თითქოს შეეფეთნენ კიდეც წიგნის გარეკა-
ნზე ციცინათელას უზარმაზარსა და სევდიან
თვალებს გადმოყოლილ მოხუცი მხატვრის
მზერას...

ზღაპრების წერის იდეა როდის გაგიჩნდათ
და ახლა რაზე მუშაობთო, დაინტერესდა სა-
ლომე კუპრეიშვილი.

რევაზ უთურგაური სევდიანი სახით იხსენ-
ებს, თუ როგორ მოუწია უდედოდ დარჩენილი
საკუთარი ოთხი წლის გოგონასათვის ყოველ
საღამოს, ძილის წინ ზღაპრების თხრობამ.
ძნელი იყო სოფისტური ფილოსოფიის შემს-
ნავლელისა და აღმოსავლეთის ეგზოტიკური
ლიტერატურის ღრმა მცოდნეობის ყოველ
საღამოს თითქმის ერთი და იგივე ზღაპრე-
ბის გამეორება. მით უმეტეს, რომ ბავშვზე
ადრე თვლელმა თვითონვე ერეოდა. ამიტომ
ერთ საღამოს გადაწყვიტა, რაღაც ახალი მო-
ეყოლა შვილისათვის. და ასე სახელდახელოდ
შეიქმნა „ციცინათელასა და ობობას“ ზღა-
პარი. ბავშვი დაინტერესდა, მეორე დღეს
გაგრძელება მოსთხოვა. და, აი, ასე დაიწყო
წიგნის „ზღაპრები ბედნიერებაზე“ მუშაობის
პროცესი, რომელსაც საბოლოო სახე ხუთი
წლის შემდეგ მიეცა. პირველ ფრაზებსა და
ზღაპრების პირველ ვარიანტებს საკუთარი
შვილის ემოციებზე სინჯავდა.

თავდაპირველი ოცდაათფურცლიანი
ვარიანტი სამ ფურცლამდე დაიყვანა. არა-
სოდეს დამავინყდება ის სიხარული, როცა
რამდენიმე თვის ფიქრის შემდეგ (თუ რა
ჯიშის ხეს უნდა შეხვედროდნენ ზღაპრების
ბოლოს ციცინათელა და კალია), საბოლოოდ
პანტის ხეს მივაგენიო, აღნიშნა მწერალმა.
რაც შეეხება ჩემს სამომავლო გეგმებს. ახლა
ვმუშაობ წიგნზე, რომელიც ომს შეეხება,

კერძოდ ავლანეთის ომს, რომელშიც პირა-
დად ვმონაწილეობდი და განვიცდიდიო.

საუბრის თემა თამარ ქობულაშვილ-
მა შეცვალა. მას აინტერესებდა, თუ რას
ფიქრობდა მწერალი მის თაობაზე.

საქართველოში რევანლის წინ ჩამოვედი, —
აღნიშნა ბატონმა რევაზმა. ვხედავდი, როგორ
შეიცვალა ამ წლების მანძილზე გარემოცა და
თაობაც. დღევანდელი შეხვედრით აღფრთო-
ვანებული ვარ და უნებურად მამაჩემი მახ-
სენდება. ის ნამდვილი პატრიოტი იყო. სამამ-
ულო ომი რომ დაიწყო, ჩვიდმეტი წლისა ყო-
ფილა. თავის თანაკლასელ მეგობრებთან ერ-
თად მოუხერხებია პასპორტის გადაკეთება
და თითქმის ბავშვები საომრად წასულან. მას
შემდეგ სად არ ატარა წუთისოფელმა, რა არ
გადაიტანა. სამხედრო სამსახურის გამო უმე-
ტესად უცხოეთში უწევდა ყოფნა. სამშობლო
ისე უყვარდა, საქართველოს ხსენებაზეც კი
თვალეები ცრემლით ევსებოდა. რუსეთმა რომ
საქართველოსთან სავიზო რეჟიმი გააუქმა,
სწორედ იმ დროს გარდაიცვალა მოსკოვში.
მისი უკანასკნელი სურვილი, საქართველოში
დამეკრძალა, შევასრულე. თუმცა ამისათვის
თურქეთიდან შემოვლითი გზით მომიწია მე-
სარგებლა. მამაჩემი ცოცხალი რომ იყოს და
დღევანდელი ჩვენი შეხვედრა ენახა, ცრემლი
მოადგებოდა თვალზე ბედნიერებისა და სია-
მაყისაგან. იტყოდა, რომ მას და მის თაობას
იმ გაუსაძლის დროს ტყუილად არ დაუღვრია
სისხლი თქვენი თაობის გადასარჩენად.

და, აი, ასე, როგორც ერთმა წუთმა, ჩაიარა
მწერალთან შეხვედრის ორმა საათმა.

შთაბეჭდილებებმა მოლოდინს გადააჭარ-
ბა.

საოცარი შეგრძნება იყო დამშვიდობე-
ბისას კეთილ მეზღაპრეს გარსშემოხვეული
პატარა მკითხველების ნახვა. თითქოს სიც-
ოცხლის გზის დასაწყისში მდგარი პატარა
„ციცინათელები“ გარს ეხვივნენ ამ ხიფათიან
გზაზე მიმავალ თმაშევერცხლილ დიდ „ციცი-
ნათელას“, რომელსაც თავისი ზღაპრების
მთავარი გმირივით ხელში ეკავა წინაპრე-
ბისაგან ნაბოძები სიბრძნითა და საკუთარი
გამოცდილებით სავსე ფარანი და პატარა
მკითხველებს გზას უნათებდა სამყაროს
ამოუცნობი ლაბირინთებისაკენ.



რუსთაველის თეატრი 1937



გუბაშ
მუკრეოიქ

ზვახანად მენიხიანი

გასული საუკუნის 30-იანი წლების რეპრესიების კაცთმოძულე პერიოდმა მრავალი უდანაშაულო ხელოვნების მუშაკი შეინირა. მათ შორის გამოირჩევა „სანდრო ახმეტელის საქმე“, რომელშიც გაერთიანდა რუსთაველის თეატრის მსახიობთა ჯგუფისა და სხვა ხელოვანთა რეპრესირების საქმეებიც. „სუკის“ მასალებით ირკვევა, რომ თეატრზე ხანგრძლივი დროის მანძილზე მეთვალყურეობა იყო დანესებული. არსებობს პოლიტსამმართველოს ინფორმაციები კოლექტივის შიგნით არსებულ დაძაბულ ურთიერთობებზე, შემოქმედებით საკითხებსა, თუ ცალკეულ ანტისაბჭოთა გამონათქვამების შესახებ. ცხადია, „შიკრიები“ თავად თეატრის მუშაკები იყვნენ, რომლებსაც სამსხვერპლოებთან ახლო ურთიერთობები ჰქონდათ. მათი დადგენა კი დოკუმენტებში მითითებუ-

ლი დაშიფრულ სახელთა გამო ჯერჯერობით ვერ ხერხდება.

ასეთ უნდობლობას ისიც იწვევდა, რომ პოლიტსამმართველოს 20-იანი წლების მასალებით 12 წამყვანი მსახიობი მიეკუთვნებოდა მენშევიკებისა თუ სხვადასხვა არალეგალურ პარტიათა და ანტისაბჭოთა ორგანიზაციებში არსებულ ჯგუფებს. მაშინ ისინი მცირევადიანი პატიმრობით, ან საგანგებო კომისიის ფორმულარულ აღრიცხვაზე აყვანით გადარჩნენ.

1936 წლის შემოდგომიდან დაიწყო ს. ახმეტელის თანამოაზრეთა დაპატიმრება შემდეგი თანმიმდევრობით: 22 სექტემბერს — ივ. ლალიძე, ი. ქანთარია, ელ. ლორთქიფანიძე, 21 ნოემბერს — ბ. შავიშვილი, ნ. ღვინიაშვილი, 22 ნოემბერს — პ. კორიშელი. 1937 წ. 28 იანვარს დააპატიმრეს ს. ახმეტელის მეუღლე თ. ნულუკიძე.

მათი „დანაშაული“ იმაში მდგომარეობდა, რომ ს. ახმეტელს თეატრიდან გათავისუფლება მამდე მედგრად იცავდნენ და მისი მოსკოვში წასვლის შემდეგაც მიმოწერას აგრძელებდნენ. ამიტომაც წარედგინათ ბრალად, რომ იყვნენ კონტრრევოლუციური ჯგუფის წევრები და დეზორგანიზაციის შეტანით თეატრში შემოქმედებითი მუშაობის ჩაშლას ცდილობდნენ. საბჭოთა ხელისუფლებას ეშინოდა სალად და თავისუფლად მოაზროვნე ადამიანებისა, რომლებმაც პრინციპულად, დემონსტრაციულად გაილაშქრეს ცენტრალური კომიტეტის დადგენილებისა და ს. ახმეტელის გათავისუფლების წინააღმდეგ.



ს.ამაღლობელი

ამიტომაც მათი სა-
მაგალითოდ დასჯა
აუცილებელი იყო.

დაკითხვის ოქმებ-
ში ისინი “დანაშაულს”
ალიარებდნენ და სი-
ცოცხლის შენარჩუ-
ნებას ითხოვდნენ.
მიუხედავად ამისა
სანდრო ახმეტელი,
პლატონ კორიშელი,
ივანე ლალიძე, ელგუ-
ჯა ლორთქიფანიძე
და ია ქანთარია სსრკ
სამხედრო კოლეგიის
უმადლეისი სასა-
მართლოს გამსვლელი

სესიის დახურულმა სხდომამ ი. მატულევი-
ჩის (თავმჯდომარე), ა. ორლოვის, ს. ჟდანის
შემადგენლობით, 1937 წლის 28 ივნისის გან-
აჩნით დამნაშავედ ცნო, ხოლო მეორე დღეს
ყველანი დახვრიტეს. იგივე ბრალდებით
ქალთა პერსონალს ბ. შავიშვილს (იგი გად-
ასახლებაში 1939 წ. გარდაიცვალა), ნ. ღვინ-
იაშვილს და თ. ნულუკიძეს 10 წლიანი პატიმ-
რობა მიუსაჯეს.

1955 წლის სარეაბლიტაციო დასკვნაში
აღნიშნულია, რომ “ახმეტელის საქმე” ფალ-
სიფიცირებული იყო ხალხის მტერის ბერიას
დავალებით და გამოძიებლები დაკითხვე-
ბზე ფიზიკური ზემოქმედების უკანონო მე-
თოდებს იყენებდნენ. თითქოს ისინი 1935
წლიდან ს. ახმეტელმა ტროცკისტულ-ზინო-
ვიევისტურ კონტრრევოლუციურ ტერორ-
ისტულ ჯგუფში ჩაითრია, რომლის მიზ-
ანსაც შეადგენდა საბჭოთა ხელისუფლების
ხელმძღვანელთა და ლ. ბერიას წინააღმ-
დეგ ტერაქტების მოწყობა. გამოძიების მა-
სალებით დადგინდა, რომ რუსთაველის თე-
ატრში არავითარი კონტრრევოლუციურ-
ტერორისტული ჯგუფი არ არსებობდა და
ამიტომ მათი დანაშაულები ანტისაბჭოთა
მოღვაწეობაში საფუძვლსმოკლებული იყო.

მოგვიანებით, რუსთაველის თეატრის
კიდევ ერთი მსახიობი ივ. აბაშიძე 1937 წლის 1
სექტემბერს დააპატიმრეს. იგი მართალია, ს.

თ.ნულუკიძე



ახმეტელს ემხრო-
ბოდა, მაგრამ იმ
ავბედით ჯგუფში
მოხვედრას გად-
აურჩა, ვინაიდან
ლანჩხუთისთეატ-
რის მთავარ რეჟი-
სორად წასვლით
ტრაგიკულ მოვ-
ლენებს დროებით
განერიდა. იგი
“ამხილეს” საბ-
ჭოთა კავშირის
წინააღმდეგ აგი-
ტაციისა და დახ-

ვრეტილი მეგობრის ი. ქანთარიას მეუღლის
მფარველობისთვის. აგრეთვე, ლანჩხუთის
თეატრში ახმეტელის დამანგრეველი მე-
თოდების პირდაპირ გადმოტანისთვის. მიუხე-
დავად ბრალდებების ორთვიანი უარყოფისა,
იგი 21 ნოემბერს მაინც დახვრიტეს.

„ახმეტელის საქმეს” ბევრი თეატრალური
მოღვაწის უსაფუძვლო რეპრესირება მოჰყვა,
რათა „ემხილათ” თეატრალურ მოღვაწეთა
ფართო ჯგუფი და საბჭოთა ხელისუფლები-
სთვის “სამიში” მტრები ჩამოეცილებინათ.

ტრაგიკული აღმოჩნდა მოსკოვში მოღვაწე
ქართველ თეატრალთა ბედიც. ცნობილი კრი-
ტიკოსი და დრამატურგი სერგო ამაღლობელი
ერთხანს რუსთაველის თეატრის დირექტორი
იყო, რომელსაც ს. ახმეტელთან შემოქმედებ-
ით საკითხებზე მწვავე კამათი ჰქონდა. ამის
მიზეზი ისიც იყო, რომ მისი მეუღლე თამარ
ნულუკიძე, ცოლად გაჰყვა თავად ახმეტელს.
1928 წლიდან ს.ამაღლობელი მოსკოვში მოღ-
ვაწეობდა და დაპატიმრებამდე მცირე თე-
ატრის დირექტორი და სამხატვრო ხელმძ-
ღვანელი იყო. დამსმენლებმა ი. კლეინერმა
და ვ. პავლოვმა მას ბრალად წაუყენეს ხე-
ლოვნების მეცნიერებათა აკადემიაში ანტი-
პარტიული ჯგუფის შექმნა და რუსეთის თეა-
ტრალურ საზოგადოებაში მნიშვნელოვანი
ავტორიტეტის მოპოვება. სულ 5 დაკითხვა
აღმოჩნდა საკ-



გავსიანი

მარისი, რომ იგი
“ემხილათ” კონ-
ტრრევოლუცი-
ურ-მავნებლური
ორგანიზაციის
“საქართველოს
ნაციონალური
ცენტრის” ხე-
ლმძღვანელად,
რომელიც თეა-
ტრალურ-სამწ-
ერლო ფრონტზე
მავნებლურ მუშაობას აწარმოებდა.

მთელი ტრაგიზმი იმაში მდგომარეობდა,
რომ ს. ამაღლობელის რეკომენდაციით 1935
წლის დასაწყისში გიორგი ჟორდანიას დაინ-
იშნა მცირე თეატრის საკოლმეურნეო ფილ-
იალის დირექტორის მოადგილედ ვორონეჟის
რაიონის სოფელ ზემეტჩინოში. ამ სამუშაოზე
მოსკოვის ხელოვნების მუშაკებიდან არავინ
მიდიოდა. თავის მხრივ, ვ. ჟორდანიამ რეჟი-
სორად მიიწვია ვახტანგ აბაშიძე, რომელმაც
თბილისიდან ჩამოიყვანა მხატვარი პეტრე
ოცხელი.

ს. ამაღლობელი დასახელებულ პირებთან
ურთიერთობის შესახებ დაკითხვაზე ამბობ-
და: “ჟორდანიას ჯერ კიდევ თბილისში 1926-
27 წ.წ. ვიცნობდი, როგორც სახალხო კომის-
ართა საბჭოს, შემდგომში კი სახელმწიფო
ოპერის იურისკონსულს...პეტრე ოცხელს
ვიცნობ, როგორც მარჯანიშვილის თეატრის
კარგ ახალგაზრდა მხატვარს...პოლიტიკურ



ვ.გარიკი

თემაზე საუბარი არ მქონია, ვინაიდან ამ საკითხში გაუთვითცნობიერებელ და აპოლიტიკურ ადამიანად ვთვლიდი. ვახტანგ აბაშიძეს 1928 წ. ვიცნობდი, როგორც მარჯანიშვილის თეატრის ახალგაზრდა რეჟისორს. მასთან ისეთივე ურთიერ-

თობა მქონდა, როგორც ოცხელთან. რეჟისორ პლატონის გარდაცვალების შემდეგ, რომელიც “ცხერის წყაროს” დადგმაზე მუშაობდა, ჟორდანიამ ამ სამუშაოზე მხატვარ ოცხელისა და რეჟისორ აბაშიძის გამოყენება შემომთავაზა. ვიცნობდი რა მათ შემოქმედებას, ჟორდანიას წინადადებას დავეთანხმე.”

მიუხედავად ამისა, ვ. აბაშიძე ტერორიზმში დაადანაშაულეს, ვინაიდან ს. ამალაოხელის ბინაში სულ სამჯერ იყო და პ. ოცხელის თანდასწრებით საუბარი მხოლოდ სპექტაკლის დადგმის ირგვლივ მიმდინარეობდა. თავად პ. ოცხელი კი “ამხილეს” დაუსახელებელი საზღვარგარეთული საელჩოს თანამშრომელთან ურთიერთობაში, რომელიც ჯაშუშურ—კონტრრევოლუციურ საქმიანობას ეწეოდა. ასეთი დასკვნა გამოძიებამ გამოიტანა იმ ფაქტზე დაყრდნობით, რომ 1934 წლის დეკემბერში ლენინგრადის სასტუმრო “მეტროპოლში” ვერიკო ანჯაფარიძესთან ერთად, სულ 15 წუთი დაჰყო „გოსფილექსის“ დირექტორ ტარუმოვის ნომერში. ერთხელაც, კინორეჟისორ მიხეილ ჭიაურელთან ერთად, სასტუმროს რესტორანში იჯახმმა.

გ. ჟორდანიას, ვ. აბაშიძისა და პ. ოცხელის საქმეები მხოლოდ ერთ დაკითხვის ოქმს შეიცავს და “სამეულის” ერთიანი სა-

ბრალდებაო დასკვნით დანაშაულში მხილებულნი არიან, თუმცა თავი დამნაშავეებად არ ცნეს, მაგრამ 1937 წლის 2 დეკემბრის განაჩენით სამივეს დახვრეტა მიუსაჯეს.

“ ა ხ მ ე ტ ე ლ ი ს საქმეს” მიაწერეს რეჟისორი ვახტანგ გარიკი, თუმცა მის შესახებ აფხაზეთის ა/რ ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფრო-

სი ვ. აგირბა საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს წერდა, რომ ვ. გარიკი სოხუმის თეატრის კოლექტივში აღვივებდა ნაციონალურ შოვინიზმს, წერგავდა ანტი-საბჭოთა განწყობას. ამიტომ მისი თეატრში

დატოვება ბოროტება იყო. ეს ბარათი თბილისში თავად სამსხვერპლოს გამოატანეს და ცხადია კომისარიატშივე დააპატიმრეს.

დაკითხვის ოქმში აღნიშნულია, რომ ვ. გარიკი კონტრრევოლუციურ საქმიანობაში თავის კაბინეტში ს. ახმეტელმა 1932 წლიდან ჩააბა, რომელმაც იგი თელავიდან გამოიძახა. ს. ახმეტელს წინადადება მიუცია კონტრრევოლუცი-



ბ.შავიშვილი

ური ჯგუფი სტუდიის სახით შეექმნა, რათა ნაციონალისტური ახალგაზრდობა გაეერთიანებინა, გაეღვივებინა საბჭოთა ხელისუფლებისადმი სიძულვილი და შთაებერა მათში საქართველოს დამოუკიდებლობის იდეა. 1934 წელს კი, სოხუმის თეატრში გადასვლის შემდეგ, ს. ახმეტელს აქაც მსგავსი ჯგუფის ჩამოყალიბება დაუვალეობია. თელავის თეატრში მის ადგილას ვახტანგ აბაშიძე დაინიშნა, ხოლო ალ. თარხნიშვილი იმავე თეატრში 1931-32 წლებში მსახიობად მოღვაწეობდა. ასე შეიკრა ახალ “დამნაშავეთა” კიდეც ერთი ჯგუფი. ვ. გარიკთან დაპირისპირებისას ალ. თარხნიშვილმა კატეგორიულად უარყო კონტრრევოლუციური საქმიანობის ბრალდება. გამოძიების დამთავრებისას კი ვ. გარიკს გამბედაობა ეყო ეთქვა, რომ გამოძიებას ყალბი ჩვენებები მისცა, არავითარ კონტრრევოლუციურ მუშაობას არ ეწეოდა და არც ნაციონალისტური განწყობა ჰქონია. ამისდა მიუხედავად, “სამეუღლმა” იგი მაინც დამნაშავედ ცნო და 1937 წლის 11 სექტემბერს დახვრეტა მიუსაჯა.

მოსკოვის ოპერეტის თეატრის რეჟისორს, ალექსანდრე თარხნიშვილს, ბრალად ედებოდა 1936 წელს მოსკოვში რუსთაველის თეატრის გასტროლების ჩაშლისთვის მავნებლური მუშაობა, სპექტაკლებზე დაუსწრებლობა. ალ. თარხნიშვილის ქალიშვილის, ქალბატონ ელენეს მოგონებით — მოსკოვის სადგურზე ს. ახმეტელმა თბილისში მიმავალ ქართველ კაცს (რომელსაც პირადად არ იცნობდა) ივანე ლალიძესთან წერილი გამოატანა. ალ. თარხნიშვილმა ჩამოსვლისთანავე რუსთაველის თეატრს მიაშურა, სადაც ადრესატი არ დახვდა. ამიტომ წერილის გადაცემა მსახიობ ემ. აფხაიძეს სთხოვა... მესამე დღეს კი დააპატიმრეს.

მსახიობ ივანე ლალიძის ნაცნობობისა და მასთან რამდენიმე შეხვედრის გამო, ალ. თარხნიშვილს ს. ახმეტელის ჯგუფის წევრობაშიც დასდეს ბრალი. თუმცა ალ. თარხნიშვილი თავის ჩვენებებში ამბობდა, რომ ს.



ნ.ლვინიაშვილი



ი. აბაშიძე

ახმეტელს არ იცნონდა, საგასტროლო სპექტაკლებზე მოუცლელი ბიის გამო ხშირად ვერ ესწრებოდა და წაყენებულ ბრალდებებში თავს დამნაშავედ არ ცნობდა.

გამოძიებამ მსგავსი კავშირები იმაზე ააგო, რომ ს. ახმეტელის მომხრე მსახიობებს სხვათეატრებში სამუშაოდ არ იღებდნენ. ამი-

ტომ ივ. ლალიძე და ბ. შავიშვილი მოსკოვში ს. ახმეტელთან ჩავიდნენ, რომ მთავრობის წინაშე აღედრათ შუამდგომლობა, რომ საქართველოს კულტურის სახლში ქართული დრამატული სტუდია გახსნილიყო. სამი თვის შემდეგ ამ ჩანაფიქრის განხორციელებაზე უარი მიიღეს. შემდგომში ეს ფაქტი გამოიყენეს კონტრრევოლუციური ჯგუფის არსებობის საბაზად.

საბრალდებო დასკვნით, ალ. თარხნიშვი-

ლი 1932 წლიდან კონტრრევოლუციურ ჯგუფში გადმოიბირა ვ. გარიკმა, რომელიც ასრულებდა ს. ახმეტელის "ქართული ნაციონალური ცენტრის" დავალებას. 1936 წლის მარტსა და აპრილში კი ივ. ლალიძესთან ერთად რუსთაველის თეატრის მოსკოვში გასტროლების ჩაშლისთვის მუშაობდა. ამ ბრალდებით

იგი 1937 წლის 16 სექტემბერს "სამეულმა" დახვრეტის განაჩენი გამოუტანა.

უსამართლობის მსხვერპლი შეიქმნა ხელოვნებათმცოდნე ალექსანდრე დუდუჩავაც, რომელიც წლების მანძილზე რუსთაველის თეატრთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული. იგი ავტორია რეცენზიებისა ს. ახმეტელის დადგმულ სპექტაკლებზე, აგრეთვე 1930 და 1933 წლებში თეატრის მოსკოვში გასტროლებთან დაკავშირებული ცალკეული ნაშრომებისა.


ალ. დუდუჩავა 1937 წლის 20 ოქტომბერს დააპატიმრეს, ხოლო 3 დღის შემდეგ აიძულეს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სახელზე განცხადება დაეწერა: "ვაღიარებ, რომ ალ. თარხნიშვილის მიერ, 1937 წლის დასაწყისში ჩათრეული ვიყავი მემარჯვენე კონტრრევოლუციურ ორგანიზაციაში შემდეგ გარემოებებში: ჩვენთან თარხნიშვილი ხშირ-

ად გამოთქვამდა კონტრრევოლუციურ შეხედულებებს კულტურული მშენებლობის სფეროში (მაგალითად, დეკადის შეფასება და მონანილეთა დაჯილდოვება, რუსთაველის თეატრის გარდაქმნა, კადრების საკითხი და სხვა). ასეთ შეხედულებებს ვეთანხმებო-

დი, რაც საფუძვლად დაედო ჩემს ჩათრევას".

საბრალდებო დასკვნაში ვკითხულობთ, რომ ზემოთ ჩამოთვლილ პირებთან ერთად, შინაგან საქმეთა კომისარიატმა გახსნა და უვნებელყო მემარჯვენეთა ანტისაბჭოთა ორგანიზაცია, რომელიც მიზნად ისახავდა შეიარაღებული აჯანყებით საბჭოთა ხელისუფლების დამხობას ტერაქტებით, დივერსიულ-მავნებლური და ჯაშუშური მუშაობით საქართველოში კაპიტალიზმის აღდგენას. ამიტომაც, 1937 წლის 4 დეკემბერს, ალ. დუდუჩავას "სამეულმა" დახვრეტის განაჩენი გამოუტანა.

თავისი აბსურდულობით საინტერესოა, "სახელგამის" დირექტორის მოადგილის ლიდა გასვიანის ჩვენებები. თურმე ს. ახმეტელი 1934 წლის ბოლოდან საქართველოს ტროცკისტულ-ტერორისტული ცენტრის დავალებით მას გადმოუბირებია. არადა, ახმეტელის საქმეში მისი "ანტისაბჭოურობა" 1932 წლიდან ფიგურირებს. ამიტომაც, ასეთი ფაქტობრივი უზუსტობა საქმის ფალსიფიკაციას ადასტურებს. ლ. გასვიანს ახმეტელის დამუშავება პოლიტიკური საუბრებით დაუწყია, რაც მიმდინარეობდა რეჟისორის კაბინეტსა და ფუნქციონორზე გასეირნებისას. ძირითადი თემა — საქართველოს დამოუკიდებლობა და ბურჟუაზიულ-დემოკრატიული მმართველობის შემოღება ყოფილა. ს. ახმეტელი მას ეუბნებოდა ახლო ურთიერთობებზე მის. ჯავახიშვილთან, ტ. ტაბიძესთან, პ. იაშვილთან, თეატრში კი ი. ქანთარიას, ივ. ლალიძის, ელ. ლორთქიფანიძის გვერდით დასახელებულია აკ. ვასაძეც და აკ. ხორავაც. ს. ახმეტელის მოსკოვში გადასვლისას კი



ი. ქანთარია



ნათუნა ჭიჭინაძე

იგი 1937 წლის 16 სექტემბერს "სამეულმა" დახვრეტის განაჩენი გამოუტანა.

უსამართლობის მსხვერპლი შეიქმნა ხელოვნებათმცოდნე ალექსანდრე დუდუჩავაც, რომელიც წლების მანძილზე რუსთაველის თეატრთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული. იგი ავტორია რეცენზიებისა ს. ახმეტელის დადგმულ სპექტაკლებზე, აგრეთვე 1930 და 1933 წლებში თეატრის მოსკოვში გასტროლებთან დაკავშირებული ცალკეული ნაშრომებისა.

ალ. დუდუჩავა 1937 წლის 20 ოქტომბერს დააპატიმრეს, ხოლო 3 დღის შემდეგ აიძულეს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სახელზე განცხადება დაეწერა: "ვაღიარებ, რომ ალ. თარხნიშვილის მიერ, 1937 წლის დასაწყისში ჩათრეული ვიყავი მემარჯვენე კონტრრევოლუციურ ორგანიზაციაში შემდეგ გარემოებებში: ჩვენთან თარხნიშვილი ხშირ-

ად გამოთქვამდა კონტრრევოლუციურ შეხედულებებს კულტურული მშენებლობის სფეროში (მაგალითად, დეკადის შეფასება და მონანილეთა დაჯილდოვება, რუსთაველის თეატრის გარდაქმნა, კადრების საკითხი და სხვა). ასეთ შეხედულებებს ვეთანხმებო-



ე. ლორთქიფანიძე

ლ. გასვიანს იგი 'დაურიგებია, რომ პარტიული ხელმძღვანელობის წინაშე ავტორიტეტი უნდა აღედგინა, რაც მომავალი მუშაობისთვის გამოადგებოდა.

“ახმეტელის საქმეში” არ გადიოდა მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი ხათუნა ჭიჭინაძე, მაგრამ მისი „დანაშაული“ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისრის გიორგი ყურულაშვილის ცოლობაში გამოიხატებოდა, რომელიც მოსკოვში ქართული კონტრრევოლუციური ცენტრის მეთაურობაში „ამხილეს“. ხ. ჭიჭინაძე 1937 წლის 2 ივლისს დააპატიმრეს, მაგრამ მხოლოდ 1 დეკემბერს დაკითხეს. ამის მიზეზი გამოძიებულ კრიმიანის პირველივე კითხვაში ჩანს, რომ ხანგრძლივი და შეუპოვარი წინააღმდეგობის მიუხედავად, ბოლოს და ბოლოს ანტისაბჭოთა ორგანიზაციის წევრობა უღიარებია. დავალებად კი ჰქონია თეატრში სპექტაკლის სანახავად მისვლისას ლ. ბერიას მოკვლა. ამიტომაც გ. ყურულაშვილმა მას სხვა მსახიობების ჩაბმა დაავალა, ვინაიდან მათ ფართო წრეს კარგად იცნობდა. თურმე ხ. ჭიჭინაძეს პირადად ჩაუბამს სესილია თაყაიშვილი, ვერიკო ანჯაფარიძე, თამარ ჭავჭავაძე, აკაკი კვანტალიანი, მიხეილ ჭიაურელი. საქმეში

სულ ორი დაკითხვის ოქმია, რომლის აბსურდული ბრალდებების საფუძველზე ხ. ჭიჭინაძეს 1938 წლის 3 მარტს “სამეულმა” დახვრეტის განაჩენი გამოუტანა.

მ კ ი თ ხ ვ ე ლ ს დააინტერესებს იმ “სამეულის” შემადგენლობა, რომელმაც სრულიად უსაფუძვლოდ სიცოცხლეს გამოასალმა ცნობილი თეატრალური მოღვაწენი. ესენია: რაფავა, ტალახაძე და ნერთელი. საქმეები კი შეითხნეს გამოძიებლებმა: სერჟანტმა ატაშიანმა, ლეიტენანტმა აბაზოვმა, უმცროსმა ლეიტენანტმა კრიმიანმა, მაიორმა მხეიძემ, უფროსმა ლეიტენანტმა ოსიპოვმა, ოპერწამუნებულმა შჩეკოტიხინმა, მაიორმა ქობულოვმა. ამ ჯალათთა გვარები მომავალმა თაობებმა არ უნდა დაივიწყონ, მათ ხომ მეტწილად 30-36 წლის ახალგაზრდა შემოქმედებს გამოუტანეს საბედისწერო განაჩენი, რომლებსაც კიდევ მრავალი წელი უნდა ეღვანათ ქართული კულტურის საკეთილდღეოდ.



ს.კორიშელი

მოგვიანებით, სიკვდილს გადაურჩნენ, მაგრამ ანტისაბჭოთა განწყობისთვის გადაასახლეს: მსახიობი გრიგოლ კოსტავა, კინომცოდნე გივი ბარამიძე, რეჟისორი ალექსანდრე მიქელაძე საბჭოთა ხელისუფლებაზე ხუმრობებისა და ბერიასთან შელაპარაკების გამო დასაჯეს, რეჟისორი კუკური პატარიძე “დაადანაშაულეს” რუსთაველის თეატრში ფრანგული გავლენის პროპაგანდისტვის.

შემთხვევითი არ არის ის გარემოება, რომ რეპრესირებულნი იყვნენ როგორც გამოჩენილი ხელოვნების მოღვაწეები, ასევე ცნობილი მსახიობები და რეჟისორები, რომლებიც თავიანთი შემოქმედებით ეროვნულ მსოფლმხედველობას ამკვიდრებდნენ. ისინი ვერ ეგუებოდნენ დამორგუნველ კომუნისტურ რეჟიმს და საკუთარი აზრის გამოთქმას ბედავდნენ. ამიტომაც მათ სახელებს ყოველთვის პატივისცემით მოვიხსენიებთ, ხოლო დანატოვარი შემოქმედება ქართული თეატრის ისტორიის კუთვნილება გახდა.



ა.გობელი





თენგიზ
ყიბლაძე

სხიჯობი „და სხადაში“

„...ლა სკალას თეატრის სცენაზე
ქართველმა მოცეკვავეებმა მოიტანეს
ქართული ფოლკლორის სუნთქვა...“

საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის 1967 წლის იტალიური გასტროლები ნინო რამიშვილისა და ილიკო სუხიშვილის ხელმძღვანელობით, ხმელთაშუა ზღვის ულამაზესი ქალაქით — ნეაპოლით იწყება. ჯერ კიდევ რომში ჩასვლისას გაგვაფრთხილეს, ნეაპოლში გაგიჭირდებათო გამოსვლა, რადგან იქ, ლეგენდარული მომღერლის — ენრიკო კარუზოს მშობლიურ ქალქაში ხალხი ერთობ განებვირებულია ყველა რანგის გამოჩენილ მსახიობთა ხელოვნებით.

ასეთი პროგნოზის მიუხედავად, ჩვენ აუ-

ღელვებლად დავიწყეთ კონცერტი უძველეს და ტრადიციებით განთქმულ „სან კარლოს“ მაყურებლებით გადაჭედულ, ულამაზეს დარბაზში. უკვე პირველმა ნომერმა, საფერხულო ცეკვა „ფარცამ“ განსაზღვრა ჩვენი მთლიანი წარმატება, ხოლო კონცერტის დასასრულს „ვაჟკაცურმა, მარჯვე ვაჟებმა და ღვთაებრივმა ქალიშვილებმა“, როგორც მათ ადგილობრივმა პრესამ დაარქვა, „მოხიბლა მგზნებარე ნეაპოლელები“.

შთაბეჭდავმა წარმატებამ, რაც ქართველ მოცეკვავეებს ნეაპოლში ჰქონდათ, განაპირობა ასევე ბრწყინვალე მიღება ქალაქებში — გენუაში, ტრიესტში, ტურნისა და პრატოში. სერიოზული გამოცდა გველოდა აგრეთვე ზღაპრული ვენეციის ცნობილ და პოპულარულ თეატრ „ლა ფენიჩეში“.

„ფენიჩეს თეატრმა არც წელს უღალატა თავის ტრადიციას და ახალი თეატრალური სეზონი გახსნა ფოლკლორული სანახაობით, რაც ყოველთვის მოწონებით სარგებლობს მაყურებელში. ამჯერად ლაპარაკია ქართული ხალხური ცეკვის ანსამბლზე. იგი ერთ-ერთი ანსამბლთაგანია მსოფლიოში თავისი ცხოველმყოფელი ხელოვნებით, სილამაზითა და ფერთა ჰარმონიულობით. ეს არის მოხიბლავი სანახაობა, რომელსაც ტყვეობაში ჰყავს დარბაზი ორი საათის განმავლობაში და შეუდარებელ შთაბეჭდილებას ტოვებს მაყურებელზე...“

გაზეთი „ელ გაძეტინო“ (ვენეცია)

ჩვენი ანსამბლის გამოსვლებს იტალიის ყველა ქალაქში უდიდესი წარმატება მოსდევს, მაგრამ წინ ყველაზე მთავარი და რთული გამოცდა გველის — ორი კონცერტი უნდა გაემართოთ მსოფლიო საოპერო ხელოვნების ციტადელში, მილანის „ლა სკალაში“.

სამოცდახუთი ქართველი მოცეკვავე „ლა სკალას“ სცენაზე უნდა გამოვიდეთ, რათა ჩავაბაროთ ურთულესი გამოცდა ამ მრავლის მომსწრე თეატრში, სადაც დადგმულა და იდგმება მსოფლიო ხელოვნების ტიტანების: ჯუზეპე ვერდის, ჯოაკინო როსინის, ვინჩენცო ბელინის, გაეტანო დონიცეტის, ჯაკომო პუჩინის, მოცარტის, ჩაიკოვსკის, ბიზესა და სხვა გამოჩენილ კომპოზიტორთა მუსიკალური შედევრები. ქართული ხალხური ცეკვები უნდა ვაჩვენოთ თეატრში, რომლის კედლებსაც ახსოვს ლეგენდარული მომღერლები აურელიანო პერტილე, ტიტო სკიპა, ამელიტა გალი კურჩი, ენრიკო კარუზო, ბენიამინო ჯილი, ჯუზეპე დი სტეფანო, ტიტო რუფო, ტიტო გობი, თევდრორე შალიაპინი, ბენიამინო ჯილი, მარიო დელ მონაკო, მარიო ლანცა, მარია კალასი... ახსოვს გენიალური არტურო ტოსკანინი და სხვა ბრწყინვალე დირიჟორები... „ლა სკალას“ ვერ შეედრება

TEATRO ALLA SCALA

LIVRE ASSOCIATI
STAGIONE DI BALLETTO 1967

domenica 29 ottobre 1967 - alle ore 21.15

SPETTACOLO DELLA
COMPAGNIA DI STATO DELLA

DANZA NAZIONALE DI GEORGIA

Direttori artistici e coreografi
NINO RAMICHVILI - ILIKO SOUKHICHVILI

Scenografo
S. VIRSALADZE

PREZZI:

Palchena di platea (coppie) L. 2000 - Palchissima di platea (coppie) L. 1500
Palco L. 7000 (coppie) + Ingresso supplementare al palco L. 1000
Prima galleria (palchena) L. 1200 (coppie) + Ingresso L. 1000
Seconda galleria (palchena) L. 800 (coppie) + Ingresso L. 400

IN PLATEA NON SI SONO POSTI IN PIEDI

ვერც ერთი თეატრი, აქ ყოველი სპექტაკლი ისტორიული მნიშვნელობისაა. და კიდევ: „ლა სკალა“ ხომ ყველაზე გამორჩეულია თავისი მომთბოვნე მაცურებლით, ისინი შეცდომას არავის აპატიებენ...

„სჯობს სულაც არა სცადოთ გამოცდის ჩაბარება მსოფლიო სახელის მოსაპოვებლად, ვიდრე გამოიწვიოთ „ლა სკალას“ დარბაზის მუდმივი სტუმრების უკმაყოფილება... ეს თქვენი სახელის დასასრულის დასაწყისი იქნება!“

ახლაც კარგად მახსოვს ცნობილი იტალიელი თეატრალური კრიტიკოსის დიეგო ჯიმიანიოს ეს მკაცრი სიტყვები, რომლითაც მან ქართველი მოცეკვავეები გაგვაფრთხილა „ლა სკალაში“ გამოსვლის წინ.



დაძაბულობა კულმინაციას აღწევს. ნერვიულობისაგან ადგილს ვერ პოულობს ჩვენი იტალიელი იმპრესარიო მარიო პორჩილე. სკეპტიკურადაა განწყობილი „ლა სკალას“ ცნობილი, გენერალური დირექტორი ანტონიო გირინგელი. ბუნებრივია მისი მღელვარება — ჩვენი ჩავარდნა „ლა სკალაში“ მის მაღალ რეპუტაციაზეც უარყოფითად იმოქმედებს. ილიკო სუხიშვილი კი საკმაოდ დამაჯერებელი ტონით ამშვიდებს გირინგელს: — გარწმუნებთ, რომ „ლა სკალას“ ფარდა კონცერტის ბოლოს ათჯერ აიხდება!

არ დამაზინყდება, როგორ გაასახვავა ხელები „ლა სკალას“ მრავლისმნახველმა

Teatro alla Scala

Rappresentazione della
**Compagnia di Stato
della danza nazionale di Georgia**

29 ottobre - il 5 novembre 1967

Le danze folkloristiche della Georgia sono molto quanto le sue anime. La danza nazionale di Georgia è un'arte che si è sviluppata nel corso di secoli e che ha raggiunto il suo apice nel periodo sovietico. La danza nazionale di Georgia è un'arte che si è sviluppata nel corso di secoli e che ha raggiunto il suo apice nel periodo sovietico. La danza nazionale di Georgia è un'arte che si è sviluppata nel corso di secoli e che ha raggiunto il suo apice nel periodo sovietico.

„ლა სკალას“ პროგრამის გარეკანი



დირექტორმა ჩვენი ანსამბლის ხელმძღვანელის ამ ხმამაღალი განცხადების გაგონებაზე და ირონიული ღიმილით სასწრაფოდ გაგვცილდა...

...და აი, დაჰკრა დოღმა, ჩვენი მოცეკვავე გოგონების პირველსავე გამოჩენამ, რომლებიც სცენაზე თეთრი გედებივით შემოცურდნენ, მაყურებლის პირველი ტაში გამოიწვია. ეს უკვე კარგი ნიშანი იყო. ხალისიან და დინამიურ „ფარცას“ მოჰყვა დარბაისლური და განუმეორებელი „ქართული“. ლატავრა ფოჩიანისა და ფრიდონ სულაბერიძის უზადო მოძრაობებს მაყურებელი ტაშით აჯილდოებს. შემდეგ დახვეწილი „ხორუმი“, ულამაზესი „აჭარული სუიტა“, ცეცხლოვანი „ხევსურული“ და „ხანჯლური“... ვგრძნობთ, რომ „ლა სკალას“ მაყურებელი უკვე „ჩვენია“. დარბაზი სულგანაბული შეჰყურებს ღვთაებრივ „სამაიას“, ნინო რამიშვილის ბრწყინვალე „ჯეირანს“. ხოლო „მხედრულსა“ და „შეჯიბრში“ ანსამბლის ვირტუოზი სოლისტების თამაზ კიკალიშვილის, ომარ მხეიძის, ჯამუ გარუჩავას, ჯუმბერ ბერაძის, შოთა ხოფერიას, გიორგი ჯიბლაძის, მილერ ცირეკიძისა და სხვათა თავბრუდამხვევ ტრიუკებს საბოლოოდ წონასწორობიდან გამოჰყავს „ლა სკალას“ მრავალათასიანი მაყურებელი, რომელიც უკვე ფეხზე ამდგარი, მქუხარედ მიესალმება ქართველ მოცეკვავეებს.

ეს უკვე დიდი გამარჯვებაა“

...14 ჯერ აინია იმ საღამოს „ლა სკალას“ ფარდა. მაყურებელთა ოვაციებს ბოლო არ უჩანს. შემდეგ „ლა სკალას“ აღფრთოვანებული პუბლიკა კულისებში იჭრება. მათ შორის არიან უურნალისტები, ფოტორეპორტიორები, ხელოვნების მოღვაწეები. აღტაცებული ანტონიო გირინგელი, მარიო პორჩილე თვალცრემლიანი გვილოცავს ტრიუმფალურ წარმატებას... არის გაუთავებელი მილოცვები, მადლობის სიტყვები, სიხარულის ცრემლები, ავტოგრაფები, ავტოგრაფები... „ლა სკალას“ სცენაზე ქართული ხელოვნების გამარჯვების ზეიმი გრძელდება...

ყველაზე აღტაცებული და უზომოდ გახარებული კი ჩვენი ზურაბ სოტკილავაა, „ლა სკალას“ სტაჟიორი, აქ სასწავლებლად მოვლინებული. იგი ულოცავს ილიკოს, ნინოს, მოცეკვავეებს...

„მე თქვენს კონცერტებს ხშირად დავსწრებივარ თბილისში, მოსკოვშიც. მაგრამ აქ, მილანში, სულ სხვა სიხარულია. არ ვიცი, როგორ გამოვხატო. მთელი კონცერტი ვტიროდი. ჩემი აქაური მეგობრები მანყნარებდნენ. შემდეგ მითხრეს, რომ ერთი ორჯერ, ლამის გადმოვარდნილვარ იარუსიდან. მილანელები მეც მილოცავდნენ გამარჯვებას. დღეიდან უფრო ამაყად ვივლი ამ ქალაქში“, — ემოციებს ვერ მალავს ზურაბი.

„ლა სკალაში“ ქართველ მოცეკვავეთა ტრიუმფალურ გამოსვლებს უმაღლესი შეფასება მისცა ადგილობრივმა პრესამ:



ფრიდონ სულაბერიძე



მანანა აბაზაძე



თამაზ კიკალიშვილი

გაზეთი „კორიერე დელა სერა“

მილანი

„...ქართველი მსახიობები უდიდესი რეალიზმით გვიჩვენებენ ძველი, მდიდარი ისტორიის მქონე თავიანთი ქვეყნის ცეკვების სულს. მათ ნამდვილად შემოქმედების

„ლა სკალას“ სცენაზე ქართველმა მოცეკვავეებმა მოიტანეს ქართული ფოლკლორის სუნთქვა. მათი ცეკვები სათავეს იღებს მდიდარი და უძველესი ქართული ისტორიის ფესვებიდან. „ლა სკალაში“ ასეთი ტრიუმფით ჯერ არავინ გამოსულა. ქართველებმა დაიპყრეს ჩვენი გული და გონება... მხურვალე ტაში, ოვაცია, აღფრთოვანება... უფრო სწორი იქნება ვილაპარაკოთ არა წარმატებაზე, არამედ ტრიუმფზე!“

ჯუმბერ ბერაძე



იამზე დოლაბერიძე





ომარ მხეიძე

მწვერვალამდე აჰყავთ ტექნიკური ოსტატობა. ხშირად ადამიანის ენა უძღურია სიტყვებით გამოთქვას ის დიდი ქება, რომლის ღირსიც არის ბრწყინვალე ანსამბლი“.


„...ქართული ხალხური ცეკვის ანსამბლის რეპერტუარი ერთ მთლიან, ბრწყინვალე ხალხურ სანახაობას წარმოადგენს, რაც ხიბლავს და აჯადოებს მაყურებელს,

ჭეშმარიტ სიამოვნებას ანიჭებს მას“.


„...შმაგი მხიარულება, ამაყი მოძრაობა, საოცარი ტექნიკა, ქალიშვილების სინატიფე და გრაციოზულობა, სიმსუბუქე, მამაკაცების ვაჟკაცური გამბედაობა, მოძრაობის უნაკლოება, ერთსულოვნება — ვინ მოსთვლის ყოველივეს, რაც ქართველებს ახასიათებთ... გაჭედული თეატრის მაყურებლები აღვსილნი არიან ენთუზიაზმით. ეს იყო ნამდვილი გონების შემარყეველი საღამო“.

გაზეთი „კორიერე ლომბარდო“,
მილანი

დიახ, ჩვენ, ქართველმა მოცეკვავეებმა დავარღვიეთ „ლა სკალას“ საუკუნოვანი ტრადიცია. ეს იყო პირველი შემთხვევა ამ უნიკალური თეატრის ისტორიაში, რომლის სცენაზეც ორგანოფილებიანი, ეროვნული პროგრამით გამოვიდა ერთი პატარა ქვეყნის, მაგრამ დიდი კულტურის მქონე ფოლკლორული ცეკვის ანსამბლი და ბრწყინვალე სპექტაკლით ღირსეულად და ტრიუმფით წარსდგა მომთხოვნი მაყურებლის წინაშე, უჩვენა მათ ჩვენი წინაპრების მიერ შექმნილი გენიალური და უკვდავი საცეკვაო ხელოვნება, რომელიც, როგორც არაერთგზის აღნიშნულა, ქართველი ხალხის სავიზიტო ბარათად იქცა მთელს დედამიწაზე და მყარად დაიმკვიდრა ღირსეული და სამართლიანი ადგილი ცივილიზებული მსოფლიოს კულტურის საგანძურში.



თენგიზ უთუმელიძე და მანანა აბაზაძე



იაშვილი დოლაბერიძე და დავით ბასილაშვილი

„მხაჯანაში“ ლონდონის მოედანზე

- უკვე მეთოთხმეტედ ეშვება ჩვენს წინ „ლა-სკალას“ მძიმე, ოქროთი მოვარაყებული ფარდა.
- ფარდის უკან კიდევ დიდხანს ისმის მაცურებელთა ტაშისცემა და აღფრთოვანებული „ბრავო“.
- ყვავილებით გაივსო უზარმაზარი სცენა...

უზომოდ ბედნიერი თეატრიდან გამოვდივართ. შუბლზე ოფლი ჯერაც არ შეგვშრობია. თეატრიდან გამოშლილ მაცურებელთა დიდ ჯგუფს „ლა სკალას“ წინ მოედანი გაუჭედავს და ჩვენს გამოჩენას უცდის. გარეთ „მეორე კონცერტი“ გველოდება.

მილანელთა ალყაში უცებ ვექცევით. ჩვენსკენ ყვავილების წვიმა წამოვიდა. „გრაციას“, „გრაციას“, „ბრავო!“ – „ბელლა ჯიორჯიანო!“ – გვიღიმიან, გვილოცავენ.

„ბრავისიმო!“ „ყოჩაღ ბიჭებო!“ – გვესმის იტალიურ-ქართული შეძახილი. ეს კი ჩვენი ზურაბ სოტკილავაა, აქ, იტალიაში სასწაულებლად მოვლინებული. ზურაბი აღტაცებულია და მოცეკვავეებს სათითაოდ გულში იხუტებს...

დიდი გაჭირვებით ვაღწევთ თავს ტემპერამენტიან მილანელთა „ტყვეობას“ და

იქვე, ლეონარდო და ვინჩის მოედანზე მდებარე კაფე-რესტორნისაკენ მივეშურებით სავახშმოდ.

უკვე გვიანია, მაგრამ კაფე ხალხით არის სავსე. აქ უმთავრესად თეატრიდან გამოსულ მაცურებელს მოუყრია თავი. მილანური წესია: ფინჯან ყავასთან და ჭიქა ღვინოსთან ერთმანეთს უზიარებენ სპექტაკლით მიღებულ შთაბეჭდილებებს. შესვლისთანავე გვიცნეს. თვალებით, ხელებით გვანიშნებენ, რომ აღტაცებულნი არიან ქართული ცეკვებით... ზოგან ტამიცი კი გაისმა.

მივდივართ რესტორნის კუთხეში მდგარ თავისუფალ მაგიდასთან და მარდი ოფიციანტიც უმალ ჩვენთან ჩნდება. ზურაბ სოტკილავა თავისი იტალიურით გვეხმარება მენიუს არჩევაში. ვუკვეთავთ მსუბუქ ვახშამს და, რა თქმა უნდა, „სპაგეტს მილანურად“.


– რომელ სასმელს მიირთმევთ? – გვეკითხება ოფიციანტი.

ემშაკურად ვუყურებთ ერთმანეთს თვალებში.

დღეს ქართული ქორეოგრაფია „ლა სკალაში“ გამარჯვებას ზეიმობს და თითო ჭიქა იტალიური ღვინო არ გვანყენდა, – გამოგვაქვს საერთო აზრი.

ორ წუთში სუფრა იშლება. ოფიციანტი სამლიტრიან, მუცელგაბერილ მონწულ ბოთლს ხსნის და ჭიქებს გვივსებს.

– რომელიღაც იტალიელ მაცურებელს რომ არ დავეჭირო, ალბათ მესამე იარუსის ლოჟიდან პირდაპირ პარტერში აღმოჩნდე-



„ლა სკალა“

ბოდი, — სიცილით გვიყვება ზურაბი, ჭიქას მალლა სწევს და ბედნიერი სახით კიდე უფრო ბედნიერებს გვილოცავს — მსოფლიოს პირველ სცენაზე ჭეშმარიტად ტრიუმფულ გამარჯვებას.

— შენც მალე გვენახე „ლა სკალას“ სცენაზე გამარჯვებული, ზურაბ!

ჭიქები იცლება.

სისხლისფერი „კიანტი“ ძალაში შედის.

მეზობელი სუფრიდან მილანელები გვადღეგრძელებენ. ჩვენ მათ თავაზიან მადლობას ვუხდით.

- აბა, ბიჭებო, ერთი პატარა...



ლატავრა ფოჩიანი და ფრიდონ სულაბერიძე

შოთა ხოფერია ჩუმად იწყებს „ცედურ“ მრავალჟამიერს, პირველს — ზურაბი, ბანს კი ანზორ ნიკოლაიშვილი, ომარ მხეიძე, თამაზ კიკალიშვილი და ამ სტრიქონების ავტორი ვეუბნებით. სიმღერა ჩვენთან ერთად თანდათან ეშხში შედის. მუსიკალური იტალიელები სმენას ამახვილებენ და მალულად ჩვენი მაგიდისკენ იხედებიან. კაფეში სრული სიჩუმე ისადგურებს და უფრო მკვეთრად გაისმის დიდებული ქართული სიმღერა.

მრავალჟამიერ იხარე, ჩვენო სამშობლოვ!.. შორეული მილანიდან გლოცავენ შენი

ერის სრულუფლებიანი წარმომადგენლები! მოულოდნელად, თეთრწინსაფრიანი, ხანში შესული, ტანმორჩილი მამაკაცი მოდის ჩვენთან. ვგონებ, კაფეს მეპატრონე უნდა იყოს.

— ო, სინიორე, მაპატიეთ, მაგრამ კაფეს თავზე სასტუმროა. ახლა თითქმის შუალამეა და გთხოვთ, ნუ იმღერებთ.

ჩვენ მას ბოდიშს ვუხდით და ვჩუმდებით. მაგიდასთან კიდევ ერთი იტალიელი მოდის მეზობელი სუფრიდან.

— ბატონებო!.. სიმართლე გითხრათ, თქვენ ისევე შესანიშნავად მღერით, როგორც ცეკვათ. გაკვირვებული მოგვმართავს, გვადღეგრძელებს და გთხოვს კიდევ ვიმღეროთ რაიმე... ქართული.

კაფეს მეპატრონე უკმაყოფილოდ იჩეჩავს მხრებს და სადღაც მიდის.

— რა ვიმღეროთ, ბიჭებო? — ვეკითხებით ერთმანეთს და უთვალავი ქართული სიმღერიდან ერთიც ვერ აგვირჩევია.

— ზურაბ, წამოიწყე რამე, — ვთხოვთ ზურაბ სოტკილავას და ისიც, მცირე პაუზის შემდეგ, იწყებს „სისატურას“.

მთელი კაფე ირინდება. დარბაზს ეფინება ტკბილი და მომხიბვლელი ქართული მელოდია.

ესეც „მესამე კონცერტი“.

კაფეს პატრონი ჩვენთან ბრუნდება. ხელში ორი მოგრძო ბოთლი უჭირავს, მაგიდასთან ჩერდება და მოჯადოებული გვისმენს, მერე ბოთლებს მაგიდაზე დგამს.

— სინიორე!.. ეს ჩემი, საკუთარი ხელით დანურული ღვინოა, დიას, დიას! საოჯახო. გთხოვთ, სიამოვნებით მიირთვათ. თქვენ მართლაც შესანიშნავი ხალხი ხართ, მშვენივრადაც მღერით. ჩვენ გვიყვარს სიმღერები. იმღერეთ, გეთაყვა, რამდენიც გინებოთ. ვფიქრობ, ასეთი ტკბილი მოლხენით არავის შეაწუხებთ.

ქართულ სიმღერას იტალიური ცვლის...

მთელი კაფე მღერის, წამდილი მეგობრობის საღამოა.

ყველაზე მეტად ახლა თვითონ რესტორნის პატრონი მხიარულობს. დიდი ხანია დაავიწყდა, რომ თავს ზემოთ სასტუმროა. გვემუდარება მუდამ მისი სტუმრები ვიყოთ...

... გვიან ღამით ვემშვიდობებით კაფერესტორანს, რომელიც ლეონარდოს მოედანზეა დიდებულ „ლა სკალას“ გვერდით.

მილანი, 1967 წ.

ავტორის ფოტოები



ჩოხიხ სბუხუნს შეოქედეებითი დებოხასოხინ

(ტექსტზე მუშაობისას
ნათქვამი ამბები)

19 აპრილი

გასვენებაში ბატონ რობერტს თეატრის ნასვამი მსახიობი უნახავს და ძალიან გაბრაზებულია.

— ასე ვუთხარი, რეკვიზიტში მაინც დაინწყე მუშაობა, სახელს შეგიცვლით-მეთქი...

— მოკალით?.. ვეკითხები მე.

— საშინელი ენა მაქვს, ერთადერთი რაც ჯლამაძეებისა გამომყვა ეს საშინელი ენაა, მთელ დასავლეთ საქართველოში ჯლამაძეები სწორედ ამით არიან განთქმულნი... ძალიან კი შემეცოდა და გული დამწყდა...

ლილი — რა საოცარი იყო “გოდოში”, რა სპექტაკლი მოიხსნა მის გამო...

სტურუა — შინაგანად და თავისი ფაქტურითაც სცენაზე ისეთი ძლიერი პერსონა იდგა, რომ მისი შეცვლა წარმოუდგენელია, მაშინ სპექტაკლი თავიდან უნდა დავდგა და

ზაზაც შევცვალო, რადგან სწორედ მათი დუეტი, მათი ურთიერთობა იყო მნიშვნელოვანი...

უკვე დაზუსტებულ წინადადებებს ლილი რამდენჯერმე კითხულობს, ხან ხმამაღლა და გამოთქმით, ხანაც ჩუმად, თავისთვის.

— როცა ხმამაღლა ვკითხულობ, მეჩვენება რომ ცუდია...

— შენ ცუდად არტისტობ და იმიტომ...

— მე ლიტერატორი ვარ და არა არტისტი...

— მერე რა, შენი დახომ არტისტია, მოგცემ როლს და გათამაშებ კიდეც... (ხედავთ, რა ადვილია მისთვის ვინმეს გაარტისტება?..)

ლილი — რაც უფრო გულწრფელია ფრაზა, მით უფრო კარგად გათამაშდება სცენაზე...

ბატონ რობერტს ფიქრისას თვალები სადღაც სივრცეში გაურბის და შუბლზე მუშტმიბჯენილი მესაქვერ ისმენს ლილის მიერ წაკითხულ ფრაზას.

— რატომ ვკითხულობ ცუდად, ა?

— ამოცანებით არ კითხულობ და იმიტომ, შენ კითხულობ, როგორც მხატვრული კითხვის ოსტატი...

ლილი — ეგ არ გავიგონ...

სტურუა — ყოველი სიტყვა მოქმედი უნდა იყოს, თითქმის ზმნა... თან შვილიშვილს ურეკავს — ელენე, ლოგოლა ხალთ სახლში? ცუგას ლოგოლ ეძინა?.. ტუტანხამონზე გაიგე რაიმე ახალი?.. მამიკოს სძინავს?.. დაუძახე... გაგა, მომიძებნე იბსენის ტომი, სადაც იქნება “როსმელსჰოლმი”...

გუშინ სოფო თორთლაძესთან ერთად ლონდონის თეატრალურ აფიშას ათვალიერებდა და ერთ ერთ თეატრში სწორედ ეს პიესა იდგმება, ეტყობა დაინტერესდა...

შემდეგ კი ვსაუბრობთ განანილების შესახებ, ვინ, რომელი მსახიობი ქალი აჯობებს?.. ვის უკეთესი ტანი აქვს, ვინ უფრო ლამაზია, ვინ უფრო ნიჭიერი... ღმერთო, რა ძნელია ამგვარი შედარებები, მით უფრო რეჟისორისთვის!.. და რა ძნელია ამგვარი არჩევანი, მით უფრო, როცა მსახიობი ქალის თითქმის სასიცოცხლო თუ სასიკვდილო ფასის არჩევანი გასაკეთებელი...

მისი მობილური რეკავს (ეს თურმე ლილი ურეკავს ჩუმად)

— დუდანა-ა!.. თავს არ მოიკლავს ქართველი, არა...

ლილი იცინის — ისეთ ასაკში შევიდა, რომ დუდანაში ვეშლები...

— ლილი, აბა რამე გაითამაშე...

— ვერ შემაცდენ, ვერა...

პიესა შესანიშნავად ითარგმნა, რეპეტიციებიც დაიწყო, მაგრამ მერე რატომ-

ლაც გაჩერდა. ასეც ხდება თეატრში.

23 ივლისი

თეატრი რობერტ სტურუას დაბადების დღისთვის ემზადება, დიდი მღელვარებაა, ფაცი-ფუცი, ჩურჩული და მოლოდინი, ყველას იდეები ანუხებებს... თავად იუბილარიც მოლოდინშია...

ერთ დღესაც, ჩვენი ოთახის ზღურბლზე მდგარი მაესტრო ამბობს: —მსახიობები მართლა გიჟები არიან!..

—რატომ?.. —გვიკვირს ყველას.

—შემჭამეს ცოცხლად, ისე დადიან თითქოს შექსპირს დგამდნენ, ჩემი იუბილეა, სხვა ხომ არაფერი... მე, გულიამ, ფაუნამ და ლილიმ გავაკეთეთ რუსთაველის თეატრის მთელი იუბილე, არც ფურცლები გვიფრიალებია, არც თავი მოგვიკლავს... გულია მარტოდმარტო წავიდა მოსკოვში ხალხის დასაპატიჟებლად...

—მართლაც ასე იყო, —ეთანხმება ლილი.

—ამ რამდენიმე ხნის წინ უწმინდესთან ვიყავით მე, ნინო კასრაძე და ზაზა პაპუაშვილი. უწმინდესი შემოვიდა და ჩემსკენ გამომართა, მე მორიდებით წამოვხტი და მისკენ გავექანე, ამ დროს ისე ვიჩქარე, რომ კინალამ წავაქციე, ის კი მომეხვია... გულაჩუყებულს ცრემლები წამომცვივდა... ყველას ჯვრები დაგვირიგა, ამ დროს ჩემმა გულმა რალაც პლუმ-პლუმ გააკეთა და შემემინდა... არ ავტირებელიყავი...

ჩემი ნათლობის სახელი ხომ გიორგია, მაგრამ ასე რომ მომმართავდნენ, ალბათ ყველაფერი სხვაგვარად წარიმართებოდა ჩემს ცხოვრებაში, ალბათ სულ სხვა ვინმე ვიქნებოდი, სახელი ბევრად განაპირობებს პიროვნებას, მის მთელ ცხოვრებას, ბედს...

რობერტ სტურუას საიუბილეოდ თეატრში მისი ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ ალბომის გამოცემას აპირებენ, ამიტომ მაესტრო ცალკეულ ეპიზოდებს გვიამბობს, ლილი მის ნაამბობს აკეთილშობილებს, სახესა და ფორმას ანიჭებს, მე და ნინო კანტიძე კი დანარჩენ სამუშაოში ვეხმარებით.

—ლილი, მოდი, დავწეროთ... ყველაფერი ბოლომდე არ უნდა ითქვას და არც ყველაფერი აიხსნას... ჩემი აზრით, ამგვარია ამ ავტობიოგრაფიული მოგონებების წერისას მთავარი თეზა — ყველაფერი მსუბუქად ვთქვათ, მთავარი კი შემდგომი წიგნისათვის შემოვინახოთ, რომელსაც მე და შენ, ლილიან-ლილიკო დავწეროთ!..

...და სტურუა ისტორიების მოყოლას განაგრძობს.

—ერთხელ, ბავშობაში, სკარლატინა

დამემართა. ექიმი მოიყვანეს, გამსინჯა, მერე მშობლები ცალკე გაიყვანა და ჩუმად უთხრა, ვერ გადარჩებაო თუ რალაც ამგვარი... ყურდაცქვეტილი ვიყავი, მაგრამ შეიძლება მაინც მომესმა სიტყვა —სასიკვდილოა!..

ჩუმად დავიძახე —მამიკო!.. და გონება დავკარგე... მერე გავიგე, მამაჩემი თურმე ფანჯრიდან ხტებოდა, ჩვენს სახლს კი საკმაოდ მაღალი ბელეტაჟი ჰქონდა, სართულნახევარი სიმაღლისა... ის საწოლიც მახსოვს, რომელზეც ვინეკი, ნიკელის, მოჩუქურთმებული... მერე მამა ინვა მასზე და ამბობდა, ეს ლოგინი ყველაფერს მირჩევნია, არსად წავალ, ეს საწოლი მიყვარს, ჩემიაო... ჩემმა დამ კი რემონტი რომ გააკეთა, გადააგდო, დღემდე ვერაფრით ვპატიობ...

ჩემი ნათესავის, ერიკო ჟღენტის წლისთავზე რომ წავედი, ზალიკოს მანქანა ვთხოვე და „ნივით“ წავედი. მართვა მე არ ვიცი და რად მინდა მანქანა, რაში მჭირდება?.. რომ იცოდეთ, რა დღეში ჩავვარდი, ძლივს დავჯექი იმ „ნივაში“, მერე ძლივს გადმოვედი, ამას ჯობდა მანქანის სახურავზე დავმჯდარიყავი... ლენიკო კი არსენიშვილის რალაც უშველებელი მანქანით მოვიდა...

—დედა არ გესიზმრებათ ხოლმე?.. შევეკითხე მე.

—არავინ აღარ მესიზმრება, საერთოდ სიზმრები აღარა მაქვს, უფრო სწორად მაქვს, მაგრამ გაფანტული, დაბნეული...

—შენით იძინებ თუ წამლებს სვამ?.. ეკითხება ლილი.

—ჩემით, ჩემით... იცით, ამას წინათ რალაც საოცარი სიუჟეტი გათამაშდა ჩვენს სახლში. ელენემ დღისით-მზისით საშინელი ტირილი მორთო და თითქოს ვილაც სხვა იყო, ისე თქვა, —როგორ მეზიზღება ეს ქალაქი!.. —რატომ? აღელვებულმა დუდანამ ჰკითხა. —მაღე ყველას მწვადებად გვაქცივენო!..

ღმერთო, საიდან მოუვიდა ეს აზრი, რამ ჩააგონა?.. გაოგნებული ვარ... დუდანა კი დღემდე ძალიან შეშინებულია... ამ ბავშვებს ილუზიები აღარ დარჩათ, ჩვენ უარეს დროში ვცხოვრობდით, მაგრამ რალაცების მაინც გვჯეროდა... ეტყობა, ზღაპრები იმისთვისაა, რომ ბავშვები საშინელი ცხოვრებისათვის მოვამზადოთ...

ლილი — მამა რომ დააპატიმრეს, ორი დღით ადრე ჩვენი მეზობლის კაცი დაიჭირეს. ჩვენი უბედურებით ისე თავზარდაცემულეები ვიყავით, რომ ჭკუა აღარ გვეკითხებოდა. რამდენიმე დღის შემდეგ იმ ჩვენი მეზობელი კაცის მარტოდმარტო დარჩენილი გოგონა ამოვიდა და ხორცის საკეპ მანქანას ხომ არ იყიდითო, გვთხოვა...

სტურუა —რა საშინელი დრო იყო... ერთხელ, ინსტიტუტში სწავლისას, პარადზე კოსტუმირებულიები უნდა მივსული-

ყავით. ყოველგვარი პარადი, რა თქმა უნდა, ფეხებზე მეკიდა. ამჟამად ცნობილმა ერთმა რეჟისორმა, მაშინ “კომსომოლსკი ბოსმა”, კრება მოაწყო და სასტიკი საყვედური გამო-
 მიცხადა უკანასკნელი გაფრთხილებით...

ამასობაში დაიღალა, ჩემს სკამზე გადაწვა და აფშინდა.

24 ივლისი

—თეატრში რომ მოვედი, ჩემი ამოცანა იყო მსახიობებს რაც შეიძლება ბუნებრივად, ნატურალურად ელაპარაკათ. საერთოდ, ბევრი ვერ იღებს თეატრში პირობით სტილს. ამაღლებულ, ზღაპრულ ინტონაციებს მეც ვერ ვიტანდი, მაგალითად, მოსმენილი მაქვს როგორ კითხულობდა კანალოვი მონოლოგს რომელიღაც სპექტაკლიდან და მას გადამეტებული რეალიზმისათვის აკრიტიკებდნენ. მე კი მისი მოსმენისას მივხვდი, რომ ეს კაცი მღეროდა... ჩვენი თეატრის მსახიობები შურა თოიძე, გიორგი დავითაშვილი რუსული აქცენტით ლაპარაკობდნენ ცხოვრებაშიც და სცენაზეც, მე კი მინდოდა ჩემს მსახიობებს რაც შეიძლება ბუნებრივად ელაპარაკათ. მოხდა ისე, რომ “მესამე სურვილში” ეს ბუნებრივი ტონები სულაც არ გაჟღერდა ისე, როგორც მე წარმომედგინა, სამაგიეროდ კარგად მოერგო სპექტაკლს “ვახშობის წინ”... როდესაც სალომე ყანჩელი თეფშებს წმენდდა და ბუფეტში ალაგებდა, თეფშების წკრიალი ისმოდა და როცა გოგი ქავთარაძე ეუბნებოდა, რომ ცოლად მოყავს თავისი მეგობარი გოგონა, რომელიც ახლახანს გაეყარა ქმარს, თეფშების წკრიალი ჩერდებოდა. მახსოვს სერგო ზაქარიაძემ დამიძახა და მითხრა, —რა არის ამდენი ხმაური თეატრშიო... ეს ხმა იმდენად ყოფითი და რეალისტური იყო მისთვის, რომ შენუხდა.

დროის გასვლის შემდეგ ამას მეც მივხვდი და ამგვარ ინტონაციას აღარასოდეს მივბრუნებია, მივხვდი, რომ არც მთლად ჰეროიკული ტონალობა ვარგა და არც მთლად რეალისტური... „კავკასიურში“ იზა რომ მატყლს ჩეჩავდა, წინ ხომ არაფერი ეყარა, მაგრამ ისე აკეთებდა, ისე იქნეოდა წკნელს, რომ თვალწინ მედგა ძველი თბილისის ეზოებში როგორ გაშლიდნენ ხოლმე ქალები მატყლს... იზა ძალიან მაგარი იყო ამ როლში...

მისი მეხსიერებიდან უეცრად ამოუტივტივდებოდა ხოლმე მოგონებები. მათ ალბათ თავისი ლოგიკა ასაზრდოებთ. წინა ამბავს იშვიათად აგრძელებს, ყოველთვის რაღაც ახალს იწყებს, მერე უეცრად ძველს უბრუნდება და ბოლოს ამ ყველაფერს ერთ იგავად აქცევს... თითქოს კვლავ სპექტაკლს დგამდეს. მოდი და გაარკვიე, სად არის ასი ტყუი-

ლი, ერთი მართალი...

ამასობაში ზაფხულის სიცხემ იმძლავრა და სალიტერატურო ნაწილის ოთახში აღარ დაიდგომება. ბატონი რობერტის წინადადებით მის სახელოსნოში ჩავდივართ და იქ ვაგრძელებთ მუშაობას. რუსთაველის თეატრში მისთვის საგანგებოდ აგებულ ატელიეში კონდიციონერი უბერავს და იქაურობას აგრილებს. ეს არის ერთი დიდი ოთახი, ერთი — პატარა, სამზარეულო და სააბაზანო. მყუდრო და საყვარელი გარემო, რომელიც სტურუასეული განწყობილებითაა სავსე და არეულ-დარეული. ოთახის შუაგულში უზარმაზარი მაგიდა დგას უნესრიგოდ მიმობნეული წიგნებით, ჟურნალებით, ფურცლებით, სიგარეტებით, საფერფლეით. აქვეა ფირუზის მძივიც. მაგიდაზე ამერიკის პრეზიდენტ ბუშის მომცრო ზომის, სასაცილო ქანდაკება დგას. კედლებზე აფიშები და სახლის ბატონ-პატრონის სურათებია გაკრული, ასევე ძველი თბილისის ხედები... ჭერში ბატონი რობიკოს უსაყვარლესი ქოლგებია ჩამოკიდებული, მაგიდაზე დგას ელექტრო ორღანი, რომელსაც მაესტრო დრო და დრო, უფრო კი ადრე დილით აჟღერებს ხოლმე...

—თქვენ ალბათ მუსიკის ქვეშ გირჩევნიათ მუშაობა, არა?..

—დიახ! ვეთანხმებით და იგი თავისი დიდი სხეულის მსუბუქი მოძრაობით ატელიეს გადაჭრის და მუსიკალურ ცენტრს რთავს. ისმის ჯაზის მშვიდი მელოდია.

—ეს შენი სათვალის ბუდეა? მეკითხება.

—დიახ, თავს ვუქნევ, გამიტყდა...

—გინდა ახალი გაჩუქო?..

—მინდა...

და იგი სათვალისთვის სრულიად ახალ, ლამაზ ბუდეს მჩუქნის. სამახსოვროდ შევინახავ, ვამბობ მე და ვიცინით.

—დუდანა სახლში არ არის, სურამშია, შვილიშვილები ნაიყვანა...

—უი, აბა შენ სრული თავისუფლება გქონია, ეხუმრება ლილი, ჩვენ კი არ უნდა ვიყოთ ახლა აქ...

—ეჰ, მოვდივარ სახლში, ტახტზე ვეცემი, ვიდეოს ვრთავ და... მეღვიძება, როცა ფილმი დასრულებულია... უკვე ღამის სამი საათია, მშია. ვდგები, რაღაცას ვჭამ და დილის ხუთ საათამდე ველარ ვიძინებ... ეს იმიტომ რომ აღარ ვსვამ, თანაც გავსუქდი...

—განა ბევრსა სვამ?..

—საკმაოდ.

...და ბატონი რობიკო და ლილი იწყებენ მოგონებების წერას, თან შიგადაშიგ გულიანად იცინიან, მაგრამ ზოგჯერ ისეთ ისტორიებსაც ყვებიან თანამედროვე თუ ისტორიული რეალობებიდან, რომ მოულოდნელობისაგან ცუდად ხდები.



—საერთოდ, როცა ახალბედა რეჟისორი პირველ სპექტაკლს დგამს, ყველა საოცრად კეთილია მის მიმართ. ალბათ ფიქრობენ, რა იცი, ვინ გამოვა, ვინ იქნება... რატომ უნდა გაიფუჭონ წინასწარ საქმე, მაგრამ თუ სპექტაკლი ცუდი გამოვიდა, მაშინ კი დედას უტირებენ...

თეატრში ექსპერიმენტული სცენა გაიხსნა და მის მთელი ძალით ამოქმედებას ყველა ცდილობს.

—ხომ ამბობენ, ახალგაზრდები ვართო, მაგრები ვართო... ხომ მივეცი სცენა, რაც უნდათ ის დადგან, როგორც უნდათ ისე... ლაპარაკზე კი არ უნდა იფიქრონ, სცენაზე უნდა იმოქმედონ, მოქმედებით ის მელოდია, ინტონაცია უნდა მოძებნონ, რომელიც ამა თუ იმ სპექტაკლს სჭირდება. მინახავს, როცა შექსპირის ატოსფერო ჩეხოვის ატმოსფეროში იყო გადატანილი, მაგრამ ვნებები მაინც იგივე დარჩა... მთავარია გმირების არსი — მათი ვნებები, სურვილები გამოავლენო და ახსნა. ბევრი მეუბნება, რომ თქვენს სპექტაკლებში, მით უმეტეს ახლა, ძალიან მღერიტო, თქვენ თქვენი ენა გაქვთ და იქნებ შეცვლოთო, მე კი თვლი, რომ ეს ტრადიციის გაგრძელებაა, მე ხორავას, ზაქარიაძის ხმათა ინტონაციები მესმის... იმ ჩემს პირველ სპექტაკლებში არ ვიცოდი როგორი ინტონაცია უნდა ყოფილიყო, თუმცა არც ახლა ვიცი...

ლილი —მახსოვს, ვერიკო როგორი სხვა-ნაირი იყო “შთამომავლობაში”, დარბაისელი ქალის სრულიად განსხვავებული სახე და ინტონაცია შექმნა... მსახიობის ნიჭიერება ყველაფერში ვლინდება.

—ღმერთო ჩემო, რამდენი საშინელი პიესა უნდა დამედგა, რომ რაღაც გამეგო, მესწავლა... მაგალითად, ქართულ ფუტკარზე “იზუზუნე ფუტკარო”... “ლამარა”... პიესა ნა-

ვიკითხე და ვერაფერი გავიგე, სცენები აკლდა და ავტორად ვაჟა-ფშაველა ეწერა... დიდი ხნის შემდეგ მივუბრუნდი მას და დავდგი.

მაგიდაზე გვერდიგვერდ უდევს სტოპარდის პიესები, დელფოს ორაკული და პროტოპოპ აბაკუმის ჩანაწერები და მემუარები, კიდევ უამრავი სხვადასხვა ხასიათის ლიტერატურა, რომელიც მას, რა თქმა უნდა, ნაკითხული აქვს. უფროსები “გალერეა”, “ლიტერატურა და ხელოვნება” და სხვა მრავალი.

ქაცვის კამფეტები და დიაბეტიტ დაავადებულითათვის უმაქრო, გერმანული შოკოლადი გამოგვიტანა. გავსინჯეთ, მე არ მომეწონა-მეთქი, ძალიან კარგი, ჩვენ მეტი დავგრჩებაო...

—ჩვენთან სახლში გამუდმებით იკრიბებოდნენ ლამაზი ქალები და მამაჩემის წყალობით გამუდმებული ქეიფი იყო. მოდიოდნენ ვერიკო ანჯაფარიძე, მედეა ჯაფარიძე, დოდო ჭიჭინაძე... დოდომ შოკოლადის დიდი ფილა მომიტანა, “Сказки Пушкина”. მამამ რომ მკითხა, რომელი ქალი მოგწონსო, რა თქმა უნდა, ვუპასუხე, დოდო-მეთქი!.. რა გაჩუქოთ?

—კარგი, რა თავი გაიგიჟე?

—ჩემთან ხართ სახლში, ისე ხომ არ გავიშვებთ...

მერე იგი კვლავ უბრუნდება მეტყველების საკითხს სპექტაკლში “ვახშმობის წინ”, ეტყობა, ამ ნამუშევარს დიდ მნიშვნელობას ანიჭებს.

—მახსოვს, ძალიან კარგი სცენა ჰქონდათ გოგის და ბელას, პატარა ვიყავი და სკოლიდან ნამოგვიყვანეს. ბელა თმას აინევდა, კეფაზე თმები მიხუჭუჭდებაო და გოგი კოცნიდა... ძალიან საყვარლები იყვნენ ამ დროს, ვამბობ მე.

—არა, მასე კი არ იყო, გოგი ერთ ნუთს გაშტერებული უყურებდა და მერე

ლოყაზე კოცნიდა, ბელა კი ისე გამოხედავდა, თითქოს ქალწულობა დაკარგაო...

და ერთხანს გულისტკივილითა და სევდით ბელაზე საუბრობენ... მერე კვლავ ზუსტი და საჭირო სიტყვის ძიება იწყება, ლოყები შემეფაკლა თუ ღანვები? ქალზე ითქმის თუ კაცზეც?..

—“კავკასიურში” ჩემი რეჟისურა ყოველგვარ რეალისტურ ილუზიას ანგრევს. პიესის პროლოგში ბრეხტი წერდა, რომ ერთი კოლმეურნეობა მეორის წინააღმდეგ იბრძვის და მინის გაყოფისას ბიბლიურ იგავს იხსენებენ. მე კი ეს ყველაფერი ამოვიღე, თითქოს მამინვე ვიგრძენი საქართველოს მიწების დატაცების საშიშროება...

მაგიდიდან უზარმაზარი წიგნი — “ურანია” აიღო.

— ამ წიგნის რეკლამა რომელიმე გაზეთში ვნახე. მე და გელა ჩარკვიანი ლონდონში ვიყავით, საელჩოში მივდიოდით. გზაში ვიღაც ლოთს გადავეყარეთ, ლაპარაკი გაგვიბა. ვუთხარი, რომ ქართველი ვიყავი. წვიმდა, ვიდექით და ვენეოდით. თქვენ წარმოიდგინეთ, იმ ტიპმა იცოდა, რომ იქ საქართველოს საელჩო იყო, პირდაპირ კი — ირანის საელჩო, იქვე გადასარევი “შუები” ვჭამეთ. საელჩოდან რომ გამოვედით, ის კაცი ისევ იქ გველოდებოდა, — რაღაც წიგნს გაჩუქებო, მითხრა. ვიფიქრე გრაფომანია და პიესას მჩუქნის-მეთქი, საზღვარგარეთ ხომ ყველა პიესას მჩუქნის, თითქოს აქაურები არ მყოფნიდეს. გაიქცა და ეს წიგნი მომიტანა, თანაც რუსულად... ღმერთო, როგორ დავანებო სივარეტს თავი?

ლილი — ჩემს დანაშაულად მიმაჩნია, რომ სივარეტს თავი ვერ დავანებებინე, კაცს, რომელიც ჩემს ცხოვრებაში ერთ-ერთი განსაკუთრებული მამაკაცია...

25 ივლისი

— წინაპრებმა რუსთაველის თეატრის უკიდევანო სცენა დაგვიტოვეს და რალაცნაირად ხომ უნდა აგვეთვისებინა იგი? ახმეტელი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა სივრცეს, დეკორაციით ავსებდა, მაგრამ რაღაც ნაწილსაც სტოვებდა. ჩვენი სპექტაკლები უცხოეთში რომ მიგვაქვს, უკვირთ, სულ თავისუფალ სივრცეში ვთამაშობთ და მასშტაბებს მიჩვეულები ვართ. ახმეტელი გრძნობდა, რომ ამ სივრცის გამოყენება აუცილებელია, სივრცე მოქმედებას განაზოგადებს. რუსთაველის თეატრში ეს სივრცე იმისთვის იყო საჭირო, რომ დეკორაციების ცვლა სწრაფად მომხდარიყო. სცენის მეორე მხარეს დეკორაცია იდგმებოდა და სცენა შემოტრიალდებოდა თუ არა, სხვა დეკორაცია შეენაცვლებოდა ხოლმე. ამ სივრცეს პრაქტიკული დანიშნულება ჰქონდა...

ბატონი რობერტი გამუდმებით უბრუნდება 37 წლის თემას. საბჭოთა ქვეყნის ტრაგიკული ისტორია მისი ოჯახისა და ნათესავების ცხოვრების ტრაგიკულ ისტორიას უკავშირდება და როგორც ყველა, ვისაც ამ წლებმა ახლობლები წაართვა, დღემდე მტკივნეულად განიცდის ამ ამბებს.

— ბაბუაჩემი ვანო ბოლქვაძე რომ დახვრიტეს, მისი შვილები სასწავლებლებიდან გამოყარეს. სამნი იყვნენ, დედაჩემი დამამთავრებელ კლასში იყო და სკოლიდან გამოაგდეს, ატესტატში სულ ორიანები ჩაუ-

წერეს. ბიძაჩემი ბეჟანი საინჟინროზე სწავლობდა და მერე საპოფნიკობა დაიწყო, ბოლოს სადღაც საწყობის გამგე იყო. რეაბილიტაციის შემდეგ საბუთებთან ერთად ქვითარი მისცეს და ამ ქვითრით კომპენსაციის ნიშნად შვილებზე გასანაწილებლად რაღაც სასაცილო თანხა გამოუყვეს.

არსებობს სტალინის ბრძანება, სადაც წერს, რომ 37-ში დახვრეტილთა ოჯახს წევრებიც უნდა დაეხვრიტათ, ხრუშჩოვი კი თავად ესწრებოდა ნაშებას... სტალინს ჭადრაკის თამაში მიშა ჭიაურელთან ერთად უყვარდა, ერთ სვლას გააკეთებდა და შემდეგ თავის კაბინეტში გავიდოდა, ის კი იჯდა და ორი საათი ელოდა...

28 ივლისი

— “ყვარყვარეს” გასინჯვა ღამის 12 საათზე დაინიშნა, მაგრამ მაყურებელმა მაინც გაიგო და თეატრის წინ მოიყარა თავი, მაშინ ხომ ქუჩაში ასეთი ძლიერი განათება არ იყო, ჩაბნელებული თეატრის წინ იდგნენ და კარის გაღებას ჩუმიად ელოდნენ, რადგან მერე შეიძლება ველარც ენახათ. დღემდე საიდუმლოდ დარჩა თუ როგორ მოხდა, რომ ხალხი შემოუშვეს, დარბაზი მთლიანად გაივსო. ამ დროისთვის მე უკვე კარგა მთვრალი ვიყავი... სპექტაკლის გასინჯვა თორმეტჯერ მოეწყო, ბოლოს შევარდნაძემაც ნახა... სხვათა შორის, მერე კაკო ბაქრაძემ ყველა შეგვკრიბა და გვითხრა, — თუ გინდათ სპექტაკლი მოვხსნათ და თუ გინდათ, შევარდნაძის შენიშვნები გავიზიაროთ და ვითამაშოთ... მე კი ძალიან მინდოდა ეს სპექტაკლი მაყურებელს ენახა, არა იმიტომ, რომ ჩემი პოლიტიკური აზრი გამეხმიანებინა, იმ დროს პოლიტიკა ფეხებზე მეკიდა, ჩემთვის მთავარი იყო მეჩვენებინა თუ რა გავაკეთე, რას მივალნიე თეატრალურ ხელოვნებაში...

შემოდის კატის მიერ დაფხაჭნილი ბესო ზანგური, რომელიც ნემსებს იკეთებს და ფრიად მჭვუნვარეა. ბატონი რობერტი ამშვიდება, — შენ შეგიძლია ეს დრო გამოიყენო და განათლება შეივსო, ბევრი იკითხო, ინგლისურში იმეცადინო... არიგებენ რობერტი და ლილი... და ამ დროს ბატონ რობერტს ერთი ამბავი ახსენდება.

— მამა ჟინვალში ქეიფობდა, იქ ერთი გალოთებული, საბრალო დათვი ჰყავდათ. მამა ძალიან კარგად ეპყრობოდა ცხოველებს — ძაღლებს, კატებს... ჰოდა, შევიდა გალიაში დათვთან და მოეხვია, — ჩემო კარგო დათვო... იმან კი, უკბინა. როგორღაც გამოვიდა გალიიდან და — უხ, შე ბითუროო... უთხრეს,

აუცილებლად ნემსები უნდა გაიკეთო და რა უნდა ექნა, წავიდა ვეტერინართან, იქ კი შეკრებილი ხალხი თავის ამბებს ყვებოდა, ზოგს საკუთარმა ძაღლმა უკბინა, ზოგს — კატამ, ზოგი საქათმეში მამალმა დაკორტნა... მამას ჰკითხეს — ბატონო რობერტ, თქვენ რა გჭირთო და... მე დათვმა მიკბინაო... უიმე, ურიგოდ მობრძანდითო...

ურეკავს ტელეფონი — მიხო, ჩემო საყვარელო, ჩემი კონდიციონერი ისე არახრახდა, ჯერ ტრაქტორს დაემსგავსა, შემდეგ კი წყალი გაუვიდა და მთელი იატაკი აიყარა... 30-ში თეატრში ჩემი დაბადების დღეს აღნიშნავენ, 31-ში კი მამუკა ხაზარაძე თავის რეზიდენციაში დაბადების დღეს მიხდის და იქ ვართ დაპატიჟებული. წამომიღე წყალი, ფული გაქვს თუ უკვე დახარჯე?.. მე არა მაქვს, ვალებს არ მიბრუნებენ, სულ ფულს ვკარგავ... მთელი ჩემი ჰონორარი ლონდონში “ჰამლეტი” რომ დავდგი, აეროპორტის დახლზე დამრჩა, რაღაც აპარატს ვყიდულობდი... თურქეთში კი ლამის ბარში დამრჩა საფულე, მერე უცებ გამახსენდა, გავვარდი და იქვე დამხვდა...

ურეკავს გაგი სვანიძეს — რა ქენი, ცოლი მოიყვანე?.. ჯერ არა? ერთი დედაშენს ჰკითხე, კედიები გურულები არიან თუ მერელები?..

მე ვიცნობდი ულამაზეს ქალს, მზია პაპავას, რომელიც ბოლოს ბუენოს-აირესში ცხოვრობდა. პარიზში კი, პიკასომ და ზდანევიჩმა თავისი ფულით დაბეჭდეს ამ ქალის შესახებ წიგნის ხუთი ეგზემპლარი, ლითოგრაფიებით დაასურათეს, ზდანევიჩმა ლექსიც მიუძღვნა. მახსოვს, მან თავად გამომიტანა ეს წიგნი და მაჩვენა. ბოლოს კი რომ დავურეკე, რამდენიმე დღეში გარდაიცვალა...

— ქართულ მწერლობაში ისეთი ენა, როგორიც კონსტანტინე გამსახურდიას ჰქონდა, განსაკუთრებით “მთვარის მოტაცებაში”, იშვიათია. დამახასიათებელი კილოთი აღწერს იმგვარ სამეგრელოსა და აფხაზეთს, რომელიც მისთვის ძალიან კარგად არის ცნობილი და ახლობელი. “დიდოსტატში” კი მეჩვენება, რომ ეს ენა უფრო უბრალო და ხელოვნურია...

როდესაც ტროცკი მექსიკაში გაიქცა, დანერა რომ სტალინი ბანდიტია და წარმოშობით ბანდიტური, ჩამორჩენილი ქვეყნიდან. მაშინ სტალინმა ქართველები შეკრიბა და გადანყვიტა მსოფლიოსთვის საქართველო გაეცნო, რუსთაველის იუბილე გადაიხადა, ილია ჭავჭავაძის სასამართლო პროცესი მოაწყო და ილია აღადგინა, მოგვიანებით ვაჟა. და... ტროცკიც მოაკვლევინა.

29 ივლისი

სურამიდან დუდანა რეკავს,
— ბავშვი დამალაპარაკე, — საბა, ავ, ავ, მე ძაღლად გადავიქცევი... იქიდან კისკისი ისმის. — ავ, ავ, მხოლოდ კუდი მიშლის, გრძელია... ახლა შევწვი ორი ხოჭო, ზედ გავუკეთე პატარა ა-ა და მოვასხი ძაღლის ქონი, იცი, რა გემრიელია?.. თუ მოხვალ ჩემთან, დაგპატივებ... იქიდან კვლავ სიცილი ისმის. — ძიძას ეუბნება, ხოჭო შეჭამაო!..

მთელი დღე ტექსტების სწორებასა და შედარებას მოვუწოდებ. რომელი ჯობია — ძილს ვუხმობ თუ ძილი მინდა, ან იქნება... ვცდილობ დავიძინო... ყველა ფრაზას იგი თავისით აგნებს. ბოლოს ჩაეძინა, ძილ-ბურანში რაღაც სიტყვებს წარმოსთქვამს ხოლმე — რა ჰქვია იმ ბიჭს? მეფე სად არის, მეფე?..

— ღმერთო ჩემო, ძილშიაც კი სპექტაკლებს დგამს, — ამბობს ლილი.

ახლა იგი ნამდვილ დევს ჰგავს, რომელსაც ძალიან ეძინება, ზოგჯერ კი თავისი მოკლე შარვლით, კარლსონს...

— ვაიმე, ლილი, გადამინერე რა, მე თვითონ წავიკითხავ...
ლილი წერას იწყებს, უფრო სწორად აგრძელებს, რადგან იგი სულ მაგიდასთან ზის და წერს, წერს... ლილი სწორედ ასეთი დამამახსოვრდება. ბატონი რობიკო კი ფეხი ფეხზე შემოდებული ხან მობილურს ათამაშებს, ხან ამთქნარებს, — უცნაური შვილები მყავს, მე თუ არ დავურეკე, არ შემეხმიანებიან... ლილი ფოფხაძეც გავაგიჟე, რაღას არ ვლაპარაკობ ძილში... დიეტაზე ვარ, არ ვჭამ, დავიკელი ხუთი გრამი...

ლილი — ახლა დედაჩემის გაკეთებულ კატლეტს შევჭამდი, რა გემრიელად აკეთებდა.

— ყველა დედა გემრიელად აკეთებს კატლეტს... იცი, უნდა აღვწერო ყველა ის საშინელება, რაც თეატრში ხდება. თუ ქალი გიყვარს, ბოლომდე უნდა შეიცნო იგი და როცა შეიცნობ და კვლავაც გეყვარება, ესე იგი ნამდვილად გიყვარს. ასეა თეატრიც. ცოლქმრობის ინსტიტუტში შვილები და შვილიშვილები რომ არ იყოს, ოჯახები პანტაპუნტით დაინგრეოდა.

1 აგვისტო

ბატონი რობერტის დაბადების დღემ თეატრში ერთი დიდი დღესასწაულივით ჩაიარა, მან თავად დაუკრა როიალზე, სადღეგრძელოები შესვა და ყველას სიყვარულში გამოუტყდა...

დღეს კი თავის საჩუქრებს გვიჩვენებს,

პატარა, ძველებურ საათს ასეთივე პატარა გასაღებით, არაჩვეულებრივ მინანქრის ჯვარს, რომელზეც მინიატურული ასოები ამოტვიფრული,

— ვინ გაჩუქათ?

— ვაიმე, არ მახსოვს, 70 წლის რომ ვარ უკვე დამეტყო... მაგრამ მერე მაინც იხსენებს, გოგა გველესიანმა...

გვიჩვენებს ცხვირსახოცს, რომელზეც ინგლისურადაა ამოქარგული მონოგრამა — რობერტი!

— ვინმემ მოგიქარგათ?

— არა, სადღაც მოვიპარე, სასტუმროში ან რესტორანში, ზუსტად არ მახსოვს, ჰო, ალბათ რესტორნიდან წამოვიღე...

და ისევ მოგონება

— მამაჩემი ლამაზი კაცი იყო, მაგრამ სულ ამბობდა, უშნო ვარ, შავი ვარო, სტურუებში ყველაზე უშნო კი მე ვარ...

მუსიკას ლამაზი რუსის ქალი მასწავლიდა, მაგრამ სახაზავს ხელებზე მირტყამდა და დედაჩემს შეეჩვივლე. მე მგონი, იმ ქალს მამაჩემიც ვარშიყებოდა და დედაჩემმა სასწრაფოდ დაითხოვა. მერე ბებიაჩემის მომღერალ დასთან ვისწავლე ნოტები, თითქმის ერთი თვე თავაულებლად ვმეცადინებოდი, რომ დაკვრა მესწავლა. მერე მოდაში ჯაზი შემოვიდა, ჩვენი მეზობლის გოგო, ია ხიმშიაშვილი კარგად უკრავდა და ის მამეცადინებდა ხოლმე. ოდა, ერთხელ, ცემში დამპატიჟა, იქ კი არაყი დავლიე, ღორის ხორცი შევჭამე და... ბოტკინიც დამემართა. ისეთი საშინელი ტკივილები დამიტოვა, რომ სახლში დიდხე დიდი ლამფა გვექონდა, მამაჩემი ღამით რომ ხატავდა, იმით ინათებდა ხოლმე. აი, სწორედ იმ ღამფას ვიდებდი ნალველზე, რომ დამწვრობის ტკივილს ის ტკივილი გადაეფარა.

გავიდა წლები, ზუსტად 52 წელი, და კვლავ საშინლად ამტკივდა ნალველი, ხუთ-ხუთ ცალ ბარალგინს ვსვამდი. ასეთი ტკივილით ნავედი მოსკოვში, "ტ ჩეტერა"-ს გახსნაზე უკან დავბრუნდი და... რეპეტიციები დამეწყო, მაგრამ უკვე ისე მტკიოდა, რომ ჩემებმა ექიმებთან წამიყვანეს, გამსინჯეს, ნალვლის ბუშტში ქვიშა გაქვთ, სხვა არაფერიო... კარდიოგრამაც გადამიღეს და ისევ არაფერიო... ბათუმში ტკივილებით ნავედი, იქ კი უკვე სასწრაფო გამოიძახეს და იქაურმა ექიმმა, ახალგაზრდა გოგომ მითხრა, მე მგონი თქვენ გულის სერიოზული პრობლემა გაქვთ ან მალე გექნებათო. გადამიღეს კარდიოგრამა და... ინფარქტი გაქვთო! თბილისში კარდიომობილით წამომიყვანეს, ასეთი ტრამვით არასოდეს მიმგზავრია, ისე მაჯაყყაყა, ძლივს ჩამოვაღწიეთ...

2 აგვისტო

— ცხელ კვალზე, ლილი, ცხელ კვალზე დავწეროთ... თან თავის პატარა საკრავზე უკრავს — გუშინ ბეჟან ბოლქვაძის ქალიშვილმა დამირეკა, ლილიმ და მკითხა, რა მოგონებებს წერო? მე ვუპასუხე, ცხოვრების შეთხზვა თურმე ძალიან საინტერესო ყოფილა-მეთქი...

პატრიარქმა ღვთისმშობლის ხატი და ჯვარი მაჩუქა თავისი ძენკვით. მათეს თავის ქალას ვემთხვით და გამახსენდა "ომი და მშვიდობის" ის თავი, როდესაც მთვრალი პიერ ბეზუხოვი ფანჯრის რაფაზე დგას და ამ დროს შეატყობინებენ, რომ მამამისი კვდება, მიდის სახლში, სადაც ნათესავები ირევინ... ზუსტად ასეთი სიტუაცია იყო იქ, მღვდლები ირეოდნენ, თავად კი იჯდა და ძლივსძლიობით კითხულობდა სახარების ერთ თავს, ძალიან უჭირდა... იქვე ანდრია პირველწოდებულის ტილოში გახვეული ფეხის ძვალი იდო, რომელიც მას აჩუქეს. იატაკზე განრთხმული ორი მღვდელი ლოცულობდა, რაღაც მეუხერხულა და უკან დავიხიე...

ლილი ზუსტად იჭერს განწყობილებას, რომელიც ბატონ რობიკოს სურს და საუბრის ასაწყობად, თემის გასაშლელად სჭირდება. ზოგჯერ ბატონი რობიკო ძალიან სასაცილოა, მაგალითად დღეს ჩალისფერი ტილოს შარვალი აცვია, რომელიც ძლივს უფარავს უზარმაზარ მუცელს და ძველი ოპერაციის ჭრილობას უჩენს. თან განუწყვეტლივ მობილური უკავია ხელში, რომელიც თითქმის კომპიუტერია და თამაშობს, თამაშობს, რაღაცებს ეძებს, იჩხრიკება ინტერნეტში, ზოგ ზარს პასუხობს, ზოგს — არა...

— პატრიარქს საჩუქარი უნდა გავუგზავნო საიუბილეოდ... ჩემი ნახატი, ქართული ასოები... შევპირდი, მაგრამ მერიდება...

ერთი თვისება აქვს თეატრს, თუ ფეხი შედგი, იქ დარჩები, ეს ცნობილი ჭეშმარიტებაა და თუ დარჩი, გვერდით გახედვასაც არ გაპატიებს, ეჭვიანი ქალივითაა, მთლიანად შეგჭამს, სისხლს გამოგნოვს...

ლილი — ნელ-ნელა ჩაგითრევს, მაცდური ქალივითაა...

— ღალატს კი არა, გვერდით გახედვის უფლებას არ გაძლევს. სხვა თეატრში რომ მივდივარ ან საზღვარგარეთ სპექტაკლის დასაადგმელად, ვგრძნობ როგორ ვერ მიტანენ ჩვენი მსახიობები, ეჭვიანობენ და... მსიამოვნებს.

1959 წელს, ბატონმა მიმამ და ბატონმა დოდომ, ჯერ კიდევ სტუდენტი ჩამომიყვანეს თეატრში, მათი ასისტენტი ვიყავი და ერთ სცენას მაძლევდნენ გასაკეთებლად...

ეს რეჟისორის აღზრდის თავისებური მეთო-
დია... 1962 წლიდან კი, თეატრში ვარ, ჯერ
როგორც უბრალო რეჟისორი, მერე მთავარი
რეჟისორი და ბოლოს, სამხატვრო ხელმძ-
ღვანელი... ო, რა ფრთხილად უნდა იყოს აქ
ყველა... აქ ხომ სცენის მუშებიც არიან, მე-
მანქანეებიც და როცა მათ სადღაც ვხვდები,
ვამჩნევ თეატრზე ლაპარაკისას თვალზე
ცრემლი როგორ ადგებათ... ასეთ შემთხვევა-
ში ან ძალიან უბრალოდ უნდა ილაპარაკო ან
გადაპრანჭულად და... ამ დროს სიყვარულიც
მოდის... მაკა მახარაძის შვილიშვილი რომ
მოიყვანეს "თოლიაში" სათამაშოდ, დავუ-
ძახე და მკაცრად ვკითხე — რატომ მოხვედი
აქ, რა გინდა?... აქ ხომ სიძვის სახლია, გაფუ-
ჭდები!.. მაშინ პატარა იყო, 6-7 წლის, შეეშინ-
და და ტირილი დაიწყო, მსახიობებმა ძლივს
გამომგლიჯეს ხელიდან...

ო, როგორ მძულს თეატრი, მაყურებელი
ძლივს ავსებს დარბაზს, სცენაზე ტაკიმასხ-
არობენ, დარბაზში კი ზოგი ტირის, ზოგი
იციინის, ზოგიც იფურთხება და გადის...
მოდით, ყველაფერი საზიზღრობა ჩამოვთ-
ვალოთ...

თუ გინდათ რამეს გაჭმევთ, "სასისკი"
არ გინდათ? ცა მიწყალდება თვალებში, ისე
მშია...

—რა კარგად სთქვა, — მოსწონს ლილის.

—ბატონო რობიკო, თქვენს ბიბლიოთეკა-
ში ჩამწერეთ, რა?

პაუზა

—რა გინდა?

—რამე...

—აიღე... — და ფართხუნით გადის. რადიო
ხან ინსტრუმენტალურ მუსიკას უკრავს, ხან
ჯაზს.

—ჩემი ახალგაზრდობის მუსიკაა, ამბობს
ხვნეშით და თავზე ხელს ისვამს. — რითი
გამოირჩევა რეჟისორი მსახიობებისგან,
მხოლოდ ერთი წლით მეტი ისწავლა და ეს
უფლებას აძლევს, რომ მათზე ხმა აიმაღ-
ლოს...

ბატონი რობიკოს სახელოსნოში გვიან
სალამომდე ვრჩებით. მართალია, შემდეგ
მანქანას მივყევართ, მაგრამ 12 საათზე ადრე
არა. ლუკა შემფოთებული ეხმინება ხოლმე
ბებიას, ლილი ამშვიდებს, — არა, ბები, არა,
მანქანით მომიყვანენ, არ იდარდო... როგორი
მგრძნობიარე ბავშვია, ასაკისთვის შეუფერ-
ებელი.

—რატომ, სწორედ რომ მზრუნველი მა-
მაკაცია. — ამბობს სტურუა.

და ისინი კვლავ თეატრის საშინელებებზე
წერენ — რამე კარგიც თქვი, თორემ გული
გამისკდება, — ამბობს ლილი.

—არ მინდა, დაე, ასე დამთავრდეს, თუკი
ვინმე იტყვის, რომ მსახიობობა არ სურს, არ

დაუჯეროთ, იცოდეთ, რომ სტყუის...

ლილი — მე ვინ ვარ, მაყურებელს იშვიათ-
ად ვხვდები, მაგრამ ზოგჯერ აქედან გასულს
საოცარი ბედნიერება მეუფლება ხოლმე...

—ჩემთვის რეპეტიციაა ბედნიერება, მე იქ
ვმთავრდები, მსახიობები კი სპექტაკლისკენ
მიდიან და იქ ბედნიერდებიან.

—როგორ უხარია ხალხს, როცა ამბობენ
რობიკომ დამირეკაო, — ამბობს ლილი.

—ჰო, ისე ამბობენ, თითქოს სტალინმა
დაურეკა!

—მტრისას! — პირჯვარს იწერს ლილი.

4 აგვისტო

რეკავს რეზო ამაშუკელი.

—აქ არიან გოგოები, ნინო, მანანა, ლილი
ფოფხაძე... შენზე ამბობს, მაგან დაღუპა
ქართული თეატრიო, ეუბნება ლილის. შემდეგ
მუხრანში ხაზარაძის მიერ გადახდილი და-
ბადების დღის შესახებ ესაუბრება. — ეს იყო
ნამდვილი კულტ ლინოსტი! ხალხი, ხალხი
მონაა... Я наверно скоро умру, как жалко...
გოგა თავაძეს ბებია რომ გარდაეცვალა,
საშინელი სიცხე იყო, ვიდექი და ვფიქრობ-
დი, ნეტავ ვინ გამოიტანს მიცვალებულის
კუბოს-მეთქი და იქვე გავიფიქრე, ყოველთ-
ვის მოიძებნებიან ადამიანები, რომლებიც
გამოიტანენ შენს კუბოს... მერე დავუმატიე,
ყოველთვის მოიძებნებიან ადამიანები, რომ-
ლებიც სიხარულით გამოიტანენ შენს კუბოს!..
ამიტომაც ასე ძალიან მინდა გახდომა, მინდა,
რომ ჩემმა მეგობრებმა მსუბუქად წამიღონ...



...შევარდნაძის ნერილი მივიღე, მე მგონი ნასვამი იყო, მოლოცვა დამავიანდა, შემთხვევის ბრალი იყო...

გოგა ჩანადირის ფოტოალბომის თვალთვალისას პასტერნაკის ლექსის ნაწყვეტს კითხულობს, აქამდე მომწონს, მერე აღარ ვარგა, საბჭოთაო, ამბობს...

იტყვის ხოლმე —ახლა როგორ გავაკეთოთო და ყველანი თვალეში შევცქერით, დაფიქრდება და მერე — აბა, თავიდან წაიკითხე... ლილი კითხულობს. —მგონი მეტი აღარაფერი უნდა, თორემ იტყვიან მოსაწყენია, რატომ გამოეცითო და იცინის. —ვაი, დღეს ჩემ დას არ დავურეკე, დაბადების დღე აქვს... და ურეკავს. —მსახიობებთან ერთად დავლიე შენი სადღეგრძელო, ზეგ ელენიკოს დაბადების დღეა... ვაკოცებ ბევრს და ბედნიერებას ვისურვებ... პაკა... Видишь как я вру... вру... и потом начинаю сам верить и всё рассказываю другим...

სულ რამდენიმე დღეში საქართველოში ომი დაიწყო. საშინელი ომი, რომელშიც არ ვიცი ვინ გაიმარჯვა და ვინ დამარცხდა. ბატონი რობერტი განწირულმა სულისკვეთებამ გორში, ბრძოლის ველზე წაიყვანა, რა თქმა უნდა, მებრძოლად არა, უფრო დამკვირვებლად, შემფასებლად. გზიდან ლილის დაურეკა: ომში მივდივარ და არ ვიცი ცოცხალი დავბრუნდები თუ არაო. ლილიმ, რა თქმა უნდა, არ დაუჯერა და ბევრი იცინია... ბატონი რობერტო შემდეგ ამბობდა, —ღმერთო დიდებულო, დღესაც ვერ ვხვდები, იქ როგორ აღმოვჩნდიო... თბილისში, ღვთის წყალობით, მშვიდობით დაბრუნდა — ძალიან დაღლილი და სულის სიღრმემდე შეძრული, შემდეგ უარი განაცხადა რამდენიმე მნიშვნელოვან პროექტზე, რომელიც რუსეთს უკავშირდებოდა...

—რა უცნაური ხალხია ეს რუსები, ყოველნაირ საჭმელს ეფერებიან, ამბობენ -водочка, огурчики, помидорчики, хлебушка, сырок და ა. შ. ადამიანებს კი საშინლად ექცევიან, ამხელა ქვეყანა და ასეთი უბედური მოსახლეობა ჰყავს. როცა ამბობენ агурчики, ძალაუნებურად რუსული ჩასტუმკა მახსენდება და წაიძღერა, —огурчики, помидорчики, Сталин Кирова убил в коридорчике...

ავგისტოს ბოლოს დასრულდა მუშაობა ნიგნზე, რომელიც ჯერაც არ გამოცემულა.

P.S.

ახალი სეზონიდან რობერტ სტურუამ საბოლოოდ თავი დაანება რეი კუნის პიესის კეთებას და მაქს ფრიშის "ბიდერმანი და ცეცხლისნამკიდებლები" აირჩია. თარგმნას შეუდგენ, კარგად მაქვს მოფიქრებულიო...

ამჯერად ბატონი რობერტო კარგად გამოიყურება, დასვენებულია, აქტიური, მოფერიანებული და ენერგიით სავსე. ეშმაკურად ილიმება, თვალეშიც უცინის. ნეტავ, რას ამზადებს მისი კვიმატი შთავონება?..

—მაგარი ფარსი უნდა იყოს, ძალიან მაგარი... პიესას დავარქმევ არა "ბიდერმანსა და ცეცხლისნამკიდებლებს", არამედ "ბიდერმანსა და მხანძრეებს", ასე აჯობებს...

ლილი —კუნზე რატომ თქვი უარი?

—არ ვიცი, რალაცაა მაგ პიესაში ისეთი, რაც ჩვენი თეატრისა არ არის...

—ყოფითია?

—კი, რასაც თანდათან ვხსნიდი, სხვაგან გადაწყავდა, მაგრამ მაინც ვერ შევეგუე, იქნებ დროთა განმავლობაში მივუბრუნდე... თავიდან "დედილო კურაყის" ჩემი ვერსია მინდოდა დამედგა. ცნობილ არგენტინელ დრამატურგთან, რობერტო კოსასტან ერთად გადავაკეთე, მშვენივრად გამოვიდა, მოქმედება ლათინურ ამერიკაში გადავიტანეთ, მთავრობების გამუდმებული ცვლილებების პერიოდში, სამწუხაროდ არც მე და არც დრამატურგს ეს პიესა აღარ შეგვრჩა, დავკარგეთ...

უკვე მერამდენედ ახსენებს ამ პიესას.

—გუშინ "ფაიტონში" ვიქეიფეთ და ძალიან ბევრი დავლიე, დღეს წევა მაქვს, У меня картина давления наложена на пахмелъе... გარეთ, მზეზე დავსხედით, მირიანი, ვაგი, გულიაშვილი, უფლისაშვილი და მაგრად ვიქეიფეთ... ძალიან მიყვარს ქეიფი, ისე კი ამ ხალხმა გამაკოტრა, მობილურში ხომ ასეა, ბატარია თუ ბოლომდე არ დაიცალა, არ დაიტენება, მეც ზუსტად ამ დღეში ვარ, ბოლომდე დამცლიან ხოლმე...

ასე დამთავრდა 2008 წელი. ბატონი რობერტის შემოქმედებითი ლაბორატორია მუშაობას აგრძელებს, ახალ თეატრალურ ცდებს ატარებს. იგი ადამიანებს, მათ შინაგან სამყაროს გარე სამყაროსთან ურთიერთქმედებაში იკვლევს. ეს პროცესი მისთვის არახალია, ძველია. ჩემი არასრული ჩანაწერებით კი იქნებ თანამედროვეობის ამ დიდი ხელოვანის პორტრეტს რალაც საჭირო შტრიხები მაინც შევმატე, ვინ იცის...

მოამზადა მანანა თევზაძემ

„თეატრალურის კვარტეტი“



მათი უყუენადე

ჩვენადე, ღლადე ჩაჭვიან ბიძანი

„საქართველო მსოფლიო ხალხური მუსიკის დედაქალაქია.“ — ეს სიტყვები XX საუკუნის ხალხური მუსიკის გამოჩენილ მკვლევარს, მსოფლიოს მუსიკალური ფოლკლორის კოლექციონერს ალან ლომაქს ეკუთვნის. ხალხური მუსიკის დედაქალაქი დღესაც ქართული მრავალხმიანი სიმღერით ცოცხლობს. ჩვენდა საბედნიეროდ ახალგაზრდა თაობაც განსაკუთრებულ ინტერესს იჩენს წინაპრების მუსიკალური ტრადიციისადმი. ბოლო წლებში არა ერთი ახალგაზრდული ანსამბლი შეიქმნა. მათი მეშვეობით მრავალი მივიწყებული ხალხური თუ ქალაქური სიმღერა დაუბრუნდა მსმენელს.

ამჯერად ურნალის მკითხველს გვინდა

წარვუდგინოთ „თეატრალურის კვარტეტი“. მუსიკის მოყვარულთათვის ეს ანსამბლი უკვე კარგა ხანია გემოვნებიანად შესრულებულ ქალაქურ სიმღერებთან ასოცირდება. გასულ ზაფხულს მოზარდმაყურებელთა თეატრში მათ მიერ გამართული სოლო კონცერტი სიმღერის დაუფინყარ დღესასწაულად იქცა. კონცერტზე შესრულებული სიმღერების უმრავლესობა ავტორებმა უშუალოდ ამ კვარტეტისათვის შექმნეს. სიმღერა ხელახლა მაშინ იბადება, როდესაც მას კარგი შემსრულებელი მღერის. თეატრალური კვარტეტის შესრულებით ახალი სიმღერა მეტად ად-

კობა ჭეფხობიძე



ვილად ჰპოულობს გზას მსმენელამდე, ძველი კი ახლებურ ხმოვანებას იძენს. ამ კვარტეტს საკუთარი ხელწერა აქვს, რასაც არც ისე ხშირად წავაწყდებით დღევანდელ ქართულ მუსიკალურ რეალობაში.

კვარტეტი ექვსი წლის წინათ შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის კედლებში დაარსდა. სწორედ ამიტომაც მსმენლმა მას „თეატრალურის კვარტეტი“ შეარქვა. მისი სამი წევრი თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის კურსდამთავრებულია. ხელმძღვანელია ყველასათვის კარგად ცნობილი შემსრულებელი და სიმღერების ავტორი დავით არჩვაძე.

ქართული მრავალხმიანი მღერის კულ-



დავით არჩვაძე

მის თეატრის მსახიობი) ვოკალის გამოცდაზე სრულიად შემთხვევით აღმოაჩინა — „აუდიტორიიდან კარგი პირველი ხმა მომესმა, ცოტა ხნის შემდეგ კარი გაიღო და კობა გამოვიდა. კობას მანამდეც ვიცნობდი, საერთო ლექციებს ერთად ვესწრებოდი, მაგრამ არ ვიცოდი თუ მღეროდა.“ — ლ.კ. პირველად ერთად „საკელესიო მრავალხმიანი იმღერეს“. შემდეგ მათ ლაშასავე მეგობარი ოთო კოვზირიძე (თავისუფალი თეატრის მსახიობი) შეემატათ. ოთოს ქართული ხალხური სიმღერა ბავშვობაში პირველად ბაბუამ, ლოტ-



ლაშა კერვალიძე

ტურა დღემდე, რომ ცოცხალი ტრადიციაა ამას კვარტეტის შექმნის ისტორიაც გვიდასტურებს.

კვარტეტის დაარსების იდეა ლაშა კერვალიძეს ეკუთვნის (ბარიტონი; პროფესიით ხელოვნებათმცოდნე). ლაშა ბავშვობიდან მოყოლებული მღერის ქართულ ხალხურ სიმღერას. თეატრალურ უნივერსიტეტში ჩაბარების შემდეგ მან კვარტეტის წევრების ძიება დაიწყო. როგორც თავად მოგვითხრო კობა ჭეფხობე (I ტენორი; მუსიკისა და დრა-



ირაკლი აბუხანდაძე



ოთო კოვზირიძე

ბარ ოთარ კოვზირიძემ ასწავლა. კვარტეტის წევრებთან შეხვედრამდე ყოველთვის ზედა ხმებს ასრულებდა. ერთხელ სიმღერისას მობანე შემოაკლდათ, ოთომ თავისდაუნებურად მესამე ხმა შეუწყო, მას შემდეგ იგი კვარტეტის ბანია. ირაკლი აბუხანდაძეც სამეგობროდანვე მოიძიეს. ლაშა და ირაკლი ქუთაისის ფოლკლორის სასახლეში ერთად ეუფლებოდა ქართულ ხალხურ სიმღერას. ირაკლიც მუსიკალური ოჯახიდან გახლავთ, მისი ოჯახის ყველა წევრი მღერის.

„თეატრალურის კვარტეტი“



კვარტეტის ხელმძღვანელობა ანსამბლ „ქართული ხმების“ წევრს დავით არჩვაძეს სთხოვეს. როგორც თავად აღნიშნავენ, ანსამბლ „ქართული ხმების“ პირველმა თაობამ დიდი გავლენა იქონია მათი მუსიკალური გემოვნების ჩამოყალიბებაზე. ანსამბლის მეორე თაობასთან კი კვარტეტის წევრებს დიდი ხნის მეგობრობა აკავშირებთ. დათო სიამოვნებით დათანხმდა მათ შემოთავაზებას. ასე გახდნენ ხუთნი და მას შემდეგ მღერიან ერთად.

შემოქმედებით პროცესში ყველა თანაბრადაა ჩართული. რეპერტუარსაც ერთად ადგენენ. მათი რეპერტუარის ორიგინალურობას ისიც განაპირობებს, რომ დათო თავად წერს სიმღერებს.

ხშირად უწევთ გასტროლებზე ყოფნა, ამიტომ მათი რეპერტუარი არ შემოიფარგლება მხოლოდ ქართული სიმღერებით. უახლოეს მომავალში მსმენელს უკვე ხუთხმიანი a cappella სიმღერებსაც შესთავაზებენ.

კვარტეტის ოთხივე წევრი ფოლკორულ ანსამბლ „თეატრალეში“ მღერის (ხელმძღვანელი — გოგიტა ბუგინიშვილი). ისევე როგორც კვარტეტი, „თეატრალეში“-ც შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის არსებობის მანძილზე პირველი ფოლკლორული ანსამბლია.

ამდენად ეს ახალგაზრდა შემსრულებლები არც წინაპრის ტრადიციებს იზიწყებენ და თანამედროვე ავტორებთანაც თანამშრომლობენ.

ყოველი კარგი შემსრულებელი მსმენელის სიკარგეზე უფროა დამოკიდებული, ვიდრე საკუთარზე. „თეატრალურის კვარტეტის“ არსებობა იმის დასტურია, რომ საქართველოში დღესაც არსებობს კარგი მსმენელი.

ქართულ ტრადიციულ მრავალხმიანობას მსოფლიო უკვე კარგა ხანია იცნობს და აფასებს. ევროპასა და თვით ავსტრალიაშიც კი ქართული ხალხური სიმღერის არაერთი ანსამბლი არსებობს. საკუთარი დამწერლობის მხარდამხარ ქართველებს უნიკალური ქართული მუსიკალური ენაც გვაქვს. იქნებ სჯობდეს ჯერ საკუთარი ანბანი ვისწავლოთ და მერე ავლაპარაკდეთ „უცხო“ მუსიკალურ ენაზე.



ემირ ბურჯანაძე

ნათელა
არველაძე

„ ქახთვაცაბი ფახიბასყვაცაბი ვახით...“

ჩვენი სამეგობროს ბურჯი

სიყმანვილის ჟამს, როდესაც ერთად ყოფ-
ნა მარტო მოთხოვნილება კი არა, ცხოვრე-
ბის წესი იყო, ემირ ბურჯანაძეს ჩვენი სამე-
გობროს ყოჩად ვთვლიდით. ხმამაღლა არ
გამოგვითქვამს, ეს თავისთავად იგულისხმე-
ბოდა. იგი ჩვენს წინაპრებს ძალუმაღ ჩამოჰ-
გავდა მკვრივი აღნაგობით, კუნთმაგარი
ტორსით, გასხვიოსნებული სახით, კეთილი
ღიმილით, დარბაისლური იერით, ცხოვრების
ნირით, ბუნებასა და ადამიანებთან დამოკ-
იდებულებით, სამყაროს დაკვირვებული აღ-
ქმით. მიფიქრია კიდეც, ჩვენს პრაგმატულ
ეპოქაში განგებამ ემირი მოგვივლინა რაინ-
დული სულისკვეთების შესხენებისათვის,
მათ მიმართ მონინებისა და ნოსტალგიის

გამძაფრებისათვის. შესაძლოა, ამის მიზეზი-
თაც, მას ყოველთვის ჩვენზე მეტი მოეთხოვე-
ბოდა, ჩვენზე მეტი გამძლეობა, ვაჟკაცობა,
მზრუნველობა უნდა გამოეჩინა, იმიტომ კი
არა, ასაკით ჩვენზე უფროსი იყო, უბრალოდ,
გამორჩეული უნარი ჰქონდა ყოფილიყო
იქ და იმათ გვერდით, როცა ყველაზე მეტად
გახლდათ ეს აუცილებელი, განათლებულსა
და თავისი ხელობის უზადო მცოდნეს, ისიც
გამოარჩევს, რომ ტრადიციულ ქართულ, მა-
მა-პაპათაგან გადმოცემულ ცხოვრების წესს
საგანგებოდ ერთგულებს და იცავს. ადრი-
ანად დავაჟკაცებული, უხვი, მორჭმული და
გამგებიანი, ფარივით გვყავდა, შეუმჩნე-
ვლად გვიცავდა და გვპატრონობდა. დარბაი-
სელსა და მგრძნობიარეს, როცა სიფიცხე
შემოენთებოდა, მკვახე შეძახილიც იცოდა
და მკლავიც ერჩოდა. ჩვენი სამეგობრო რომ
შევიყრებოდით, აზრთა გამრიგე ემირი იყო.
მან ყველაზე უკეთ იცოდა სად შეიძლებოდა
ძველებური, ტრადიციული ნადიმი გაგვე-
მართა, სად უნდა გვეთამაშა ჭადრაკი, კა-
ლათბურთი, ფეხბურთი, სად იმართებოდა
გამოფენა, კონცერტი, რაიმე მნიშვნელოვანი
თავყრილობა. მერე დიდხანს ვმსჯელობდით
სხვადასხვა ჟურნალსა თუ გაზეთში გამო-
ქვეყნებულ საინტერესო წერილზე, ლექსზე,
პროზაზე, მწერლის, მხატვრისა თუ კომ-
პოზიტორის ქმნილებაზე, მსახიობებსა თუ
რეჟისორებზე, მოცეკვავეებსა თუ მუსიკოს
შემსრულებლებზე...

ჩვეულებად გვექცა მიგვედევნებინა თვა-
ლყური საზოგადოებრივი ცხოვრებისათ-
ვის, გაგვეცნობიერებინა მისი შიგა დინება,
დავფიქრებულიყავით სამყაროს წრებრუნ-
ვაზე, შეგნებულად შეგვეფასებინა ჩვენი
ყოფა, საქვეყნო მოვლენები, დაგვეცვა მამუ-
ლის, პიროვნული და ამქრული ღირსება.

ჩვენ მშობლის იავნანაზე, დედა-დიდედე-
ბის ნაამბობ ზღაპრებზე, ქართულ თქმულე-
ბებსა თუ ლეგენდებზე, რუსთაველის, ბა-
რათაშვილის,
ილიას, აკა-
კის, ვაჟასა
და გალაკ-
ტიონის პო-
ეზიაზე აღზ-
რდილი თაო-
ბა ვართ. ჩვენ
რუსთაველის
უკიდევანო
სიბრძნიდან
ღირსეული
ადამიანის,
ღირსეული
თაობის, ღირსეული მმართველის შეგონება
ამოვიკითხეთ და საზოგადოებრივი ყოფის
დინებასაც ასე ვხედავდით – ღირსეულნი




ღირსეულთა შორის. რეალობასა და ჩვენს მისწრაფებას შორის უფსკრული მთელის ძალით რომ შევიგრძენით, ისიც გავაცნობიერეთ, მკაცრი სინამდვილე ჩვენგან კომპრომისულ სვლებს რომ ითხოვდა, მხოლოდ სინდისთან გარიგების გზით რომ შეიძლებოდა იერარქიულ საფეხურებზე აღმასვლა. ჩვენ არ მივიღეთ საბჭოთა ეპოქის გამოწვევა, თვინიერად არ დავეყვით კატეგორიულ მოთხოვნას, არ გვისარგებლია კომპრო-

ის ვულკანიც ჩამცხრალია, მის სულში რომ ბოხოქრობდა და ამოფრქვევისთვის იკრებდა ძალას...

მხატვარ ემირ ბურჯანაძეს არ უცხოვრია კერძო პირის უღიმღამო, თვინიერი ყოფით, ხელობა გამდიდრებისა და განდიდებისათვის არ გამოუყენებია, ყოფაზე ამალღებულს სიმდიდრე და კეთილმოწყობა არ უძებნია. ერთადერთი განძი, რაც გააჩნია, საკუთარი შემოქმედების ნაყოფია, ქალღმერთს გადატანილი ხილვები, ფიქრი, ურვა და სიყვარულია. ცხოვრების ასეთი ნესი ოჯახიდან გამოჰყვა, მშობლებიც ასე ცხოვრობდნენ...

გვარი ბურჯანაძე XVI საუკუნიდან ჩანს საისტორიო წყაროებში. ცუცხვათის წმინდა გიორგის ხატის ასომთავრული წარწერა ბოლოვდება სიტყვებით: „...მოიჭედა დიანოზობასა შინა ზოსიმესა ბურჯანაძისაა“. ისინი საეკლესიო მრევლი ყოფილან, ეკლესიათამშენებლები. სიტყვის ფუძე – ბურჯი – იმის მანიშნებელია, უთუოდ, რომ ბურჯად ედგნენ სოფელს. ემირის მამა, ვალერიან ბურჯანაძე, სისპეტაკით, კეთილშობილებით, პროფესიული თვითშეგნებით გამორჩეული პიროვნება გახლდათ. უკომპრომისო ენოქიმიკოსი, გამორჩეული და ცნობილი სპეციალისტი იყო. მას პატივს მიაგებდნენ, აფასებდნენ, უყვარდათ და მისი ერიდებოდათ. მის სახელთანაა დაკავშირებული ყურძნის სამრეწველო ჯიშების ექსპერიმენტული გამოვლენა საქართველოში, წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა ცენტრალურ რესპუბლიკურ-ბიოქიმიურ ლაბორატორიას, რომლის ბაზაზეც შემდგომ შეიქმნა კვების მრეწველობის ინსტიტუტი. დედა, მარიამ ცხადაძე, მეუღლესავით თავდადებული, მაღალი რანგის სპეციალისტი, პედიატრი გახლდათ. უფროსი და, ლეილა და მისი მეუღლე, შოთა ლომსაძე, ასევე ცნობილი ისტორიკოსები არიან. პროფესიონალიზმის კულტი, თავგადაკლული გარჯა, პატიოსნება, ქვეყნის ერთგულება, მოყვასის სიყვარული და ხელგაშლილობა ამ ტრადიციული ჯალაბობის ნიშან-თვისება გახლდათ, რომელმაც ახალი ძალით იხარა იმ ოჯახურ ყოფაში, ემირმა და მისმა მეუღლემ, ფატი ჯაფარიძემ რომ შექმნეს.



მისული სვლებით, არ გვიძებნია პარტიული ჩინოვნიკების მხარდაჭერა, მათი ხელდასმით არ წამოვსკუპულვართ თანამდებობებზე, არ ჩავბმულვართ უღირს ფერხულში (ერთი მამლაყინა კარიერისტის გარდა!). ჩვენ ვოცნებობდით ჩვენი მამულის გამობრწყინებაზე, თავისუფლებაზე, ეროვნულ-სახელმწიფოებრიობის აღდგენაზე; მზად ვიყავით ამ ბრძოლის ველზე თავდადებისათვის. წლებმა ბევრი რამ შეცვალეს ჩვენს ირგვლივ, ჩვენშიც. არაერთი იდეა გაფერმკრთალდა, ღირებულებათა სისტემა მოირყა, მაგრამ გაუხუნარი აღმოჩნდა ჩვენი უმთავრესი მისწრაფება – გაბრწყინებული და ღირსეული სამშობლოს ხილვისა. ახლაც ამ მრწამსით, ვნებით, მისწრაფებითაა გათანგული ემირ ბურჯანაძე, ოღონდ ისაა, მის ნათელ პირისახეს სხივამდგარი თვალების გაელვება აღარ ამშვენებს,

მათი ოჯახის კარი დღენიდაგ ღიაა ნათესავ-მეგობრებისთვის, შეგირდებისთვის, ნაცნობებისა თუ უცხოელი სტუმრებისათვის. მათი ბინა არ იყოფა, ჩვეულებისამებრ, სასტუმრო, სასადილო, სამუშაო ოთახებად. მთელი სივრცე ემირის სამუშაო სამყოფელია – სახელოსნოც, სასადილო დიდი, განიერი მაგიდაც, ვინრო და გრძელი მაგიდაც, რომელსაც ზამთრობით მიუჯდება ხოლმე. ძველ ფარდაგადაფარებულ, რიკულებიან, ვინრო ტახტზე ჩამომჯდარი საა-


თობით ჩაკირკიტებს თავის ნამუშევარს. ასე მგონია, მინდორში, ზვარში, მთის ფერდობსა თუ კლდის ციცაბოზე რომ გაიყვანო, იქ მოიწყობს სამუშაო სამყოფელს, თავჩახრილი გაატარებს საათებს, დღეებს, თვეებს, წლებს. არა, იგიარ ცხოვრობს შავიბერის მარტილობით, სულერთიანად სამუშაოში დანთქმული არ იფარგლება განდეგილის მკაცრი ყოფით, მაგრამ განდეგილივით არაფერი სჭირდება სიმყუდროვის, სამუშაო მასალის, რიტუალის რანგში აზიდული ხატვის მეტი. ემირი, თავისი ბუნებით, მოღვანეა, ხატად ჰყავს სამშობლო, ხელოვნება, ნათესავ-მეგობრები; უყვარს ხმამალა ფიქრი, ახლად მომნიფებული იდეების განდობა, მსჯელობა, კარგი მოსაუბრეა, ჩინებული მსმენელია, ეტრფის პოეზიას, მუსიკას, გრძნობს სიტყვის მადლს; იგი მიელტვის ხალხმრავლობას, მეგობართა გარემოცვას; ძველებური, ქართული ნადიმის ტრფიალია, იცის სუფრის ყადრი, ღვინის მადლი, სადღეგრძელოს ფასი, სიმღერის ეშხი; განუკურნებლად გამიჯნურებულია მამულის ყოველ გოჯზე, ზღვის ნაფერებ კენჭზე, კლდიდან მოსხლეტილ ლოდზე, ცვრიან ბალახსა თუ ზეცად აჭრილ ხეზე, ფიქრიან მთებსა თუ მკლავგაშლილ ველზე, ტყუშულ ღობესა თუ კირით ნაგებ კოშკზე, ალიზიან ბანებსა თუ მოკირწყლულ ქუჩაბანდებს, მთვარესავით გაბადრულ დაირაზე თუ გაბმით მოსაუბრე დუდუკზე, იყალთოსა თუ ბაგრატის ტაძრის გალავანზე, თამარის ფრესკასა თუ ყინწვის ანგელოსზე, კახურ მრავალუამიერსა




სუროს, ჩახლართული ვაზის, აფეთქებული ყლორტის, მიმინოს გოროზი გამოსხედვის, როკვის ამაყი ილეთის, კრამიტის სიმწყობრის მსგავსი დახლართული, გადახვეული, დაკლაკნილი, სწორი, აზიდული, დახრილი, მიჯრით მინყობილი, წირით გამოყოფილი, ფაქიზად გამოყვანილი რკალები, ჯაჭვები, ხვეულები, უჯრედები, ზოლები, ხნულს რომ შეეტოლება ისეთი ხაზები, სარტყელივით მკვრივი მონასმები. ეს მხოლოდ ფუნჯის ან კალმის ნაცადი მონახაზი არ არის, ეს სულთქმაცაა, თავისი მამულის წყალ-ჭალასა, თავისი ქვეყნის კულტურასა და თავისი ერის ისტორიაზე უზომოდ შეყვარებული ხელოვანისა, თავისი სამშობლოს ანწყოთი თავზარდაცემული მოქალაქისა, ადამიანის შესაძლებლობებით აღფრთოვანებული პიროვნებისა. როცა ემირს ხაზები გამოჰყავს ქალაღზე, ასე მგონია მრავალუამიერს, ჩაკრულოს, ან სულაც ვაზის სადიდებელ ჰანგს, ნახატის სადარ სიმღერას გალობს შინაგანად, ან ლოცვას დუდუნებს მისი სული! ეს საკრალური ხმები, ბუნებრივი ფერები, ფიქრის ელვარება, ქართული როკვის სინატიფე და სიჩაუქე, ზეცად აჭრილი ფრთოსნის მოუხელთებელი ნავარდი, ლექსის თრთოღვა და ნაჭედობა ორგანულადაა ჩაქსოვილი ფურცელზე გავ-



თუ მწყობრად ნაგებ ფერხულზე... მერე თავდახრილს ფურცელზე გადააქვს ტანკენარი



ლებულ ხაზებსა და რკალებში, მათი ერთობლიობა კი მთლიანსა და დასრულებულ, სივრცეში გაჭრილ სურათს ქმნის. ემირ ბურჯანაძის გრაფიკა ფერადოვანია, როგორც ფერწერული ნახატი; მკვრივია, როგორც ჭედური ნაკეთობა; მრგვლოვანია, როგორც გამოქანდაკებული ფიგურა; მსუბუქი და ნატიფია, როგორც ქართული ჩუქურთმა. პენი და ლაზათი, სულიერი არისტოკრატიზმი და ცხოვრების დემოკრატიული ფორმა, მშვენიერისა და ამაღლებულის გონით-გრძნობადი აღქმა მისი ყოფისა და შემოქმედების თანამდევია, ის დვრიტაა ოჯახიდან რომ გამოჰყვა, ასე ბუნებრივად რომ ჩაიკირა მის ქცევასა,



ფიქრებსა, ურთიერთობებსა თუ ნახატებში. ოჯახიშვილობა ფასდაუდებელი განძია, ხელისხელ საგომანები ფესვებია, ის მყარი ბალავარია, რომელზეც მკვიდრად ნაგები ცხოვრება და ხელოვნება შემოქმედისა ლამაზად ამოიზრდება, ხარობს და ღვივის.

ნიჭი, ბიძიკო, ნიჭი

როცა ემირთან ხალხმრავლობა არ არის, როცა ნათესავ-მეგობართა ჟრიაბისა და გულუხვი მასპინძლობის ჟამი ჩაივლის, მის პირისპირ მოკალათებული, ახალშექმნილ ნამუშევრებს, ჯერ კიდევ დაუმუშავებელ ეტიუდებს ვათვალისწინებ. ის თავდახრილი მუშაობს. ჩემს სტატიას, ან რაიმე საგულისხმო წერილს ვუკითხავ, ან ჩვენთვის მნიშვნელოვან პრობლემებზე ვმსჯელობთ. ემირი სასიამოვნო მოუბარია:

„1952 წელს მამაჩემმა მიმიყვანა იმუამინდელ პიონერთა სასახლეში, გრიგოლ მესხთან, რომელმაც განსაზღვრა კიდევ ჩემი მომავალი ბედ-იღბალი. იქ შალვა კაპანაძეც გვასწავლიდა, რომელიც არტისტიზმით, მხურვალეობით გამოირჩეოდა, ბატონი გრიგოლის აკადემიურობისაგან. მათი ტანდემი ერთმანეთს ავსებდა. ისინი კი არ გვასწავლიდნენ, ისინი გვწვრთნიდნენ, ჩვენში კაცებს, პიროვნებებს აყალიბებდნენ, პროფესიონალიზმის კულტს ამკვიდრებდნენ. სწავლების სალონური ფორმა ინტიმურ-მოკრძალებულ განწყობას ქმნიდა და გულითად ურთიერთობებს ბადებდა. ჩვენ ვხვდებოდით იმ პერიოდის გამორჩეულ, კოლორიტულ ფიგურებს, ვისმენდით მათ ლამაზ ამბებს. აბა, წარმოიდგინე ჩვენმა მასწავლებლებმა ვის შეგვახვედრეს, ვის საუბრებს ვისმენდით: გალაკტიონი, დიმიტრი არაყიშვილი, იოსებ გრიშაშვილი, იოსებ იმედაშვილი, სანდრო მირიანაშვილი, უჩა ჯაფარიძე, ალექსანდრე ციმაკურიძე...

აზრის გამოთქმა თავისუფლად შეგვეძლო, რეპრესიების დრო გასული ჩანდა. ბევრს ვმუშაობდით, ყოველდღე უნდა გვეხატა. სადაც არ უნდა ვყოფილიყავით, განსაკუთრებით ზაფხულში, ქალაქად თუ სოფლად, ეტიუდი უნდა შეგვექმნა. ტილოზე განწყობის გადატანას დიდ ყურადღებას ვუთმობდით. რამდენიმე სეანსის შემდეგ ვმსჯელობდით თითოეულის ნამუშევარზე. ღამეებს ვათენებდით და ვწერვიულობდით ასეთი გარჩევების მოლოდინში. ასეთმა მომთხოვნამ, მაგრამ სათუთმა ურთიერთობამ ჩამოგვაყალიბა, როგორც მხატვრები და პიროვნებები: ჯიფსონ ხუნდაძე, გოგი თოთიბაძე, კოკი მახარაძე, რენო თურქია, ლევ ბოიახჩივი, გივი ვაშაკიძე, კაკი რამიშვილი, თაზო ხუციშვილი, ირაკლი ყიფშიძე, თამაზ ფერაძე, ზურაბ გოგოლაძე... აი, როგორი თაობა აღიზარდა ამ სალონურ-სამხატვრო სახელოსნოში. ერთი ჩემი ეტიუდი ძალზე მოეწონა ბატონ გრიგოლს და საკავშირო გამოფენაზე გააგზავნეს. ის სპეციალურად გაემგზავრა მოსკოვს, რომ ენახა როგორ გამოიყურებოდა ჩემი „სოფ-


ლის ხედი” მთლიან ექსპოზიციაში. წარმატებაც პირველად მისი ბარათით შევიტყვე. ამ მხრივ ძალზე გამიმართლა. სამხატვრო აკადემიაშიც ჩემი პედაგოგები იყვნენ ნამდვილი ოსტატები და ჩინებული პიროვნებები: ლადო გრიგოლია, ლადო ქუთათელაძე, ლადო კემელავა, პერიოდულად სერგო ქობულაძე, ვახტანგ ჯაფარიძე, დავით და სოსო გაბაშვილები.” ემირი ფიქრში იძირება...

მას შემდეგ ნახევარი საუკუნე გავიდა. ერთ დროს ემირი თავად გახდა მასწავლებელი, ხელმძღვანელობდა სამხატვრო აკადემიის ქართული შრიფტის სამეცნიერო-კვლევით ლაბორატორიას, ტექნიკურ უნივერსიტეტში კი წლების მანძილზე საინჟინრო გრაფიკისა და სამრეწველო დიზაინის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე იყო. ისედაც ხალხმრავალი მისი ოჯახი, გაზაფხულის მოახლოებასთან ერთად კიდევ უფრო „აჭიკჭიკდებოდა” ხოლმე დიპლომანტთა ხმებით. ემირი აქტიურადაა ჩაბმული მათ „ხელსაქმეში”, მათი გრაფიკული ნამუშევრები თავგადაკლული შრომის კვალს დაატარებენ, საუბრები კი გულითადი განდობის სახეობას. მემკვიდრეობითობის ნიმუშია ემირ ბურჯანაძისა და მისი სტუდენტების გულღია ურთიერთობანი...


ემირის ბინაში, მართლაც, ურიცხვი და უღვევი გრაფიკული ფურცელი ინახება. თითოეული მათგანი იტევს და ასხივებს ავტორის აზრებს, გრძნობებს, მსოფლგანცდას, ოსტატობას, ნიჭსა და ინტელექტს. მისი მრავალფეროვანი შემოქმედება, შესაძლოა, რამდენიმე ციკლით წარმოვაჩინოთ, პირობითად დავყოთ; საქართველოს თემა – ბუნება, ქალაქები, უბნები, უმთავრეს ქალაქთა გერბები, ვაზისა და ღვინის თემა, წმინდა გიორგისა და მარიამ ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყნის მოტივი; თბილისის თემა – გერბი, დროშა, გასაღები, ვარიანტები (მათ მხატვარმა 15 სულმოუთქმელი წელი შეაღია), ქალაქის სამახსოვრო ემბლემები, სხვადასხვა სახის სამახსოვრო ნიშნები; ქართული მითოლოგია, თქმულებები, ლეგენდები – ოქროს საწმისი, თქმულება სვეტიცხოველზე, კვართის მოტივი; ქართული ანბანის უსასრულო ვარიაციები; წიგნის გრაფიკა – ყველა კლასიკოსის, მარტო ვეფხისტყაოსნის ოთხი ვარიანტი; საფირმო და სასაქონლო ნიშნები და ემბლემები; გრაფიკული ციკლი – ქართული კარტი, სხვანი და სხვანი, ჯერ კიდევ დაუთვლელი და აღურიცხავი გრაფიკული ფურცლები.

ემირ ბურჯანაძე თბილისის სიმბოლიკის ავტორია: სხვით ამოზრწყინებული, შეკრული წრე სამყაროს მთლიანობის ხატებად აღიქმება, ბიბლიური შვიდი რიცხვი, შვიდი ვარსკვლავი ათინათივით ბრწყინავს

ცის კაბადონზე. ძლიერი, მკვრივი, გაშლილი და გალალეული ასო-ნიშანი „თანნი” აღმართულა შეკრული წრის გულისგულში. მისი ფრთის ქვეშ ამოტვიფრულია მრგვლოვანი წარწერა „თბილისი”. თანი ქმნის თალსაც, დედაბოდსაც, ფრთოსანსაც, რკალი გამოყოფს ფრინველის თავის კადნიერ პოზას, გრძნობ კიდევ უშიშრად გარინდული ფრთოსნის თვალთავან გამომკრთალ გოროზ



მზერას, პიროვნულ ღირსებას შეგნებულად რომ ასხივებს. ეს ღირსებით აღსავსე ფიგურაა, თავის კალთის ქვეშ რომ შეუფარებია ასოთნყობა, გამოხატულება სამყაროს იმ ნაწილისა, რომლის მეციხოვნედაც ქცეულა ეს ზვიადად გაყურებული ფრთოსანი. მიმინოს ტანი ძველი ქართული კრამიტის კლასიკური ნყობით მკვიდრად ნაგებ გალავანსაც, ციხე-კოშკსაც და ფარსაც ჩამოგავს. ასოციაციით ბუდესაც მოგაგონებს, სადაც მომავალში ასეთივე ღირსეულები იბარტყებენ. მუხის ფოთლოვანი, აყვავებული შტო რკალად ეხვევა ტანს, საუკუნეთა წრთობისა და გამძლეობის ნიშნად; მთლიანი კონტური საგულდაგულოდ დამუშავებული და გამოყვანილი. ნიუანსებით, ამალეებულ მშვენიერებასაც და მარადიულ განახლებასაც გამოხატავს. შავი და თეთრი ფერის შეხამება, კლასიკური გამოსახვის შემწეობით, დასრულებული, ამასთანავე, სივრცეში უსასრულო, თავისუფალი ნავარდის შესაძლებლობასაც გულისხმობს. ეს მართლაც,



კუთვნილებითი სიმბოლოა, მან იტვირთა და გამოხატა ყველა ღირსეული თაობისა და ადამიანის სულისკვეთებაც – ვახტანგ გორგასლის ხელდასმოდან მოყოლებული, დავით აღმაშენებლის ქართველობის მიერ გადახდილი დიდგორის ომისა თუ შემდგომ საუკუნეებში თბილისის გადარჩენისათვის თავდადებული ყოველი მებრძოლის გულისთქმას რომ შეგვაგრძნობინებს. ჩაგვესმის კიდეც ლაღიძისეული საგალობელის მუსიკალური ფრაზა: „თბილისო, მზის და ვარდების მხარეო“.

გერბის ერთი ვარიანტით ხოხობია გამოსახული გონიოთი ხელში. აქაც სიამაყე გამოკრთის ნახატში. თავისუფალი და ღირსეული ფრთოსანი ლაღად მოაბიჯებს. თითქოს, აღმშენებლობისთვის მზადყოფნას ამჟღავნებს. სემანტიკური ნიშანი გადადის საკრალურ-სიმბოლურ ნიშანში და ავლენს მოვლენის არსს. ემირს შეეძლო პოეტის სიტყვებით ეთქვა თბილისზე, რომ „სულთქმა ხარ ჩემი“.

თბილისზე საუბრისას ემირს სიტბო ეღვრება ხმაში: „ქალაქის შეგრძნება, ქალაქური ცხოვრების ყაიდაზე აწყობა, თბილისის ტრფიალი მამაჩემის დამსახურებაა. დღესასწაულებზე ან უქმე დღეებში გასეირნებას დიდუბის პანთეონით დავიწყებდით და მთაწმინდაზე ასვლით ვამთავრებდით. მისტიკაა თუ რაღაც საკრალური იდუმალეობა, მაგრამ პანთეონის შეგრძნება რაღაც გრძნეული ძალით მიპყრობს და მავსებს. აქ წინაპართა

ღვანლის გასააზრებლად ხარ დამუხტული. ქალაქის, ქვეყნის, სამყაროს შესაცნობად სიმაღლეს ექებ. აი, მამადავითის სიმაღლიდან გადახედავ თბილისს, ღრმა, უსაშველოდ მარტივი და ნათელი განცდა გეუფლება. თბილისი ჩამოყალიბებული ქალაქია. ჩვენი ბავშვობა, დავაუკაცება სრულიად სხვაგვარ ქალაქურ ყოფაში განვითარდა. თბილისს საკუთარი ფერი, რიტმი, ხმოვანება, პლასტიკა გააჩნდა, როგორც ძველ, ტრადიციულ ქალაქებს; გამჭვირვალე, მტრედისფერი დილა და ოქროსფერი საღამო, სიონის ტაძრის ერთდროულად მშფოთვარე და იდუმალი ზარის ტონი, მთაწმინდიდან მონაბერი შვების ნიავი, ძაღვანი მუხის საფარი, ზვიადად განოლილი დამცავი ქედი და მის ფერდობებზე მიწყობილი, ბუდეებით შეფენილი ბანიანი სახლები, გახსნილი ოჯახური ყოფა, საჯარო ცხოვრების კულტურა... ვორონცოვის კაბინეტიდან ხვრელი რომ გააკეთეს, თბილისის ხედი დაუახლოვეს საკუთარ თვალსანიერს. რუსისთვის მთა მარადიულად შეუცნობელია, უცხოა, მისთვის უჩვეულოა მთიანი პეიზაჟი, მისთვის ტრამალია ორგანული, ამიტომაც მისწორ-მოსწორეს ქალაქი, მოშალეს რიყე, გაკაფეს ბაღები, მოარღვიეს მუხის საფარი! მეტეხის კლდეს რა უყვეს! ეს უსახური ახალი უბნები! დრო გავიდა და, თითქოს, სხვა, უცხო ქალაქი შემომეფეთა...

უკვე ვიცი, რა არის ჰერალდიკა, მთელი თავისი წესით, წყობით, სისტემით. მირჩევნია ძველ-ქართულ, ეროვნულ ფესვებს მივდიო და ასე გამოვხატო ჩემი ქალაქის, ქვეყნის, ერის სახე. ძველი ორნამენტი, გრიფონი, ქვაში გამოყვანილი ჩუქურთმა... მაინც გახსნილი სივრცის, სიმაღლისკენ სწრაფვაა ჩვენთვის ორგანული, ამიტომაცაა მამადავითის განსაკუთრებული აღქმაც. ჩვენმა კულტურულმა წინაპრებმა შემოგვიინახეს მამადავითი, აქ დაავანეს რჩეულ მოღვაწეთა ნეშთი, რაღაც მიგვანიშნეს ამით. თბილისის, თბილისელების, ჩვენი ყოფის აღსაქმელად მამადავითის სიმაღლე არსებობს. იქ რაღაც შეიკრა და სინმინდედ გამოვლინდა, სამხრეთის კალთაა, ქანდაკებისეული აღქმის ნერტილია, ეს არის თავისთავადი სიმბოლო. მამადავითი მფარველია ქალაქის, მის კალთასაა შეფარებული ქალაქი, თავისი ბუნებრივი სარტყელით, განაშენიანებით, ადამიანებით. აკაკის ლექსი - „მთაწმინდა ჩაფიქრებულა, გასცქერის არე-მარესა...“ გაგაფრიალებს ეს უბრალოება და ამავდროულად ასეთი სიღრმისეული განცდა სიკვდილსიცოცხლის კავშირისა. თუნდაც ვაჟა გავიხსენოთ, საქართველოს მოდელში აქვს დანახული მთელი სამყარო, სიმაღლიდანაა დანახული სამყარო... საბრძოლო ნიშანი კი არა, საკრალური ფარია მთა, რაღაც ზეციური


ნიშანია: „მთლად მე მეკუთვნის ქვეყანა, მთაში მთა, ბარად-ბარია, ზღვა და ხმელეთი ერთიან, ცას ვარსკვლავების ჯარია...“ რა მოზაიკაა დახატული, მთელი ქვეყნიერებაა და-ნახული და შენ გხდის მის ბატონ-პატრონად, გჩუქნის ამ განცდას...“

ემირ ბურჯანაძე საქართველოს ისტორიის, მისი კულტურის ჩინებული მცოდნეა. გულისგულში აქვს გატარებული ქართველი ერის ტრაგიკული ბედის ტრიალი, გააზრებული აქვს მისი ძველთაძველი ისტორია, საუკუნეთა მანძილზე დაცემის ტკივილიცა და აღორძინების უმრწამესი სიამეც, უახლესი წარსულის წაღმა-უკულმა ტრიალის სიმძიმეცა და შინაგანი კრთომაც. უძველესი ერის არქეტიპულ სამყაროსაც იმიტომ უკვირდება, სწავლობს და აანალიზებს, რათა შემდგომ გვირისტად ნაგებ გრაფიკულ ფურცელზე გადაიტანოს მისი კულტურის მონაპოვარი, განიხილოს იგი ცივილიზაციის განვითარების კონტექსტით, რათა საგანგებოდ წარმოჩნდეს ქართველი ერის კუთვნილებითი არეალი, რათა მან დაიმკვიდროს კუთვნილი ადგილი მსოფლიო ერთა თანაცხოვრების ერთიან სისტემაში...

ემირი დიდის რუდუნებითა და კდემით უკვირდება ბიბლიურ სამყაროს, სახიერად წარმოსახავს გონით-გრძნობად შეგრძნებებს და ქმნის ამ სამყაროს საკრალურ გაელვებას გრაფიკული მონახაზით: მკვიდრად ნაგები გალავანის ქონგურებიდან ამოზრდილი ანბანი ნაჭედის შთაბეჭდილებას ქმნის. ამ ფუძისეული სიმყარისა და ახლა ამოზრდილია მხედრულისა და ასომთავრულის ვარიაციით გამოყვანილი ასოები. არა, ეს არ არის მხოლოდ ასოთა თანამიმდევრობა, ანბანის სივრცეში განფენილობა. აქ ასო-ნიშანთა

ღირსეული სიმწყობრეა, მხედრული ძალ-მოსილებაა გამოსახული. თითოეული ასო-ნიშანი კვირტითაა დამშვენებული, მათი ერთობლიობა გაზაფხულზე აფეთქებულ შტოსაც მოგაგონებს, და, ამასთანავე, თითოეულს საკუთარი პლასტიკა გამოარჩევს, ერთად კი ქართველთა სულთქმეა, მრავალ-ჟამიერივით ზეცისკენ გატყორცნილი, სიცოცხლის სადიდებელი დითირამბია, საწყისისა და სასრულის მდგრადობის, სამყაროს ურყევობის ნიშანიცაა. ქურციკის სიჩაუქე, ქათიბის სიღბო, ყლორტის სინორჩე, მტრედისფერი სივრცე, ფერხულის რიტმი და... მაინც საყრდენი ფუძე ციხე-კოშკის სიმკვრივეს გამოხატავს. ამ გალავანს თალივით ადგას ოქროსფერი სხივით გამოყვანილი ქრისტეს ხატი, ხოლო ამ ორი მოვლენის დამაკავშირებელი სახეა ჯვარივით აღმართული ასო-ნიშანი ქანი, წვართე მონასმით შესრულებული მაღლივი წარწერა „ქრისტე“, შიგ ჩაქსოვილი, მსხვერპლად დატანებული იესო, რომელიც ამ სიმკვრივეს, ამ მდგრადობას შიგნიდან მკრთალი იისფერით აძლიერებს და მთლიანობის განცდას მასშტაბს ჰმატებს. ურყევ ბალავარზე კი, როგორც ქვაში ნაკვეთი ჩუქურთმა, ისეა გამოყვანილი უფლისა მიმართ ლოცვა: „მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა, წმინდა იყავნ სახელი შენი“. აქ, თითქოს, ყოველი ასო-ნიშანი ერთმანეთში ჩახვეულა, აზრი და ვნება ჩაკირულამათში. ეს ერთობლიობა, სილაზათე, ფიქრის, სასოების, იღუმალეების თრთოლასთან ერთად, სიმტკიცისა და განუყოფლობის შთაბეჭდილებასაც ქმნის, საკრალურ მნიშვნელობას ანიჭებს ჩანახატს. მხატვრის კომენტარები ძალზე საინტერესოა:

„ღირებულია მოვლენების მთელი ჯაჭვი, განვითარების ინიციალური გაფორმება, დამოუკიდებელი გრაფემა, მთელი სისტემის თანამონაწილეობა, როცა სახეს ვეძებ. სახიერად, ფერით, ფორმით გამოწყავს ჩემი სათქმელი, მწერლისა და მეცნიერისაგან განსხვავებით. ამიტომაც, ძნელია სიტყვა მიუსადაგო ნახატს, მაგრამ მაინც პირველად იყო სიტყვა, ამიტომაცაა ურთულესი გამოითქვას რატომ, რისგან, როგორ იშვა ესა თუ ის სახიერება... აქ გამოყენებულია სამი ნიშანი – უე, ჯანი და ღანი. ძირითადია „უე“ ხმოვანი, რომელსაც რიცხვითი ნიშანი არ გააჩნია, მაგრამ საწყისია. ეს არის გამოყენებული ამ ნახატში, ტიმპანის ნყოფის ფორმით. ქრისტეს სახეც ვარძიის ტიმპანიდან მაქვს გადმოღებული. ჯვარცმა იესო ქრისტესი და აღდგომა, ახალი საწყისი, კაცობრიობის აზროვნების ახალი საწყისი... ქრისტემ, მართლაც, ბევრი რამ შეცვალა ადამიანის აზროვნებაში, კაცობრიობის განვითარებაში. მან, თითქოს, ახალი სასიცოცხლო სივრცე აღმოაჩინა. აქ





ერთმანეთის
გამომრიცხავი,
ამავე დროს,
შინაგანი გაერ-
თიანებაა მინიმ-
ნებული. ზოგა-
დად ქრისტე
მზეა, მზის დაბ-
ნელების მო-
მენტი - ჯვარც-
მაა და ქრისტეს
ამობრწყინება,
კონტრასტი და

კავშირი გამძაფრებულია... მუდმივობაში
გადასული ფორმა. სული არის კვამლის-
ფერი... სხვადასხვა რაკურსით, ფორმით გამ-
ოიკვეთა, უფრო ზუსტად - იქმნა ტაძარი.
ქრისტიანული ტაძრის კონტურში შევიტანე
მკრთალი იასამნისფერი, სულის ფერი... აქე-
დან, ამ ტალიდან ამოდის, როგორც მზე,
ოქროსფერი, ჩალისფერი ქრისტეს ხატება,
ამონათა, თითქოს. მაცხოვარი ჩვენი, იესო
ქრისტე, სანყისი და სასრულია..." და მაინც
ყველგან, მის ყოველ ნახატში და ყველაფერ-
ში ჩანს განგების ხელდასმა - ნიჭი! ანუ,
როგორც გალაკტიონი ამბობდა: „ნიჭი, ბი-
ძიკო, ნიჭი..."

სამთა კავშირის ძალა და ხიბლი

ჩვენ ამ სამთა კავშირს ეროვნუ-
ლობის, მემკვიდრეობითობის, სახელმწი-
ფოებრივი აზროვნებისა და მოქმედებისა,
ამასთანავე, სიბრძნის გამოხატულებად ვთ-
ვლიდით. მათს სახელებსა და იდეებს განსა-
კუთრებული ძალით ვერთგულობთ ახლაც:
დავით აღმაშენებელი, რუსთაველი, ილია.
ამ სამებას თვალსაჩინო ადგილი განეკუთ-
ვნება ემირ ბურჯანაძის შემოქმედებაში.
მონივნება, სიყვარული და თაყვანისცემაა ის
მთავარი მუხტი, მათს სახელთან დაკავშირე-
ბულ გრაფიკულ ნახატებს რომ გამოარჩევს.
დავით აღმაშენებლის მოტივს, მის ღირსეულ
განსხეულებას უდიდესი პერსპექტივა აქვს
და ეს თემა, მნამს, სამომავლოდ კიდევ უფრო
დახვეწილი და გამოკვეთილი ფორმით,
დაამშვენებს და დაავგირგვინებს მხატვრის
ძიებებს. რუსთაველის თემა კი, მართლაც,
საგოგმანებელი გამხდარა ემირისათვის. რად
ღირს, თუნდაც, ვეფხისტყაოსნის შრიფტით
წარმოდგენის ოთხი ვარიანტი, სადაც სრუ-
ლად წარმოჩნდა მხატვრის თვალსაჩინო,
მისი ტრფიალი და გატაცება ამ დიდებული
მოვლენის, ხელთუქმნელი პოემის მიმართ. ეს
ცალკე მსჯელობას ითხოვს, ეს თემა ცალკე
ანალიზს საჭიროებს. ილიას სახე კი...

ნიგნის ყდა ემირმა ქართული ბარე-
ლიეფის ფორმით გადაწყვიტა. საერთოდ
ნიგნის გრაფიკა ძალზე გამორჩეული ასპექ-
ტია მისი შემოქმედებისა. თითოეულ ნახატში
მწერლის მსოფლგანცდა, ინდივიდუალობა

ადეკვატური ხილვებითაა გადატანილი. აქ
მხოლოდ ფაქტი კი არ ქმნის მხატვრული
გააზრების იმპულსს, არამედ გრაფიკო-
სის ხედვის არეალშია მოხვედრილი, აზრის
ენაზეა შეფასებული და განცდის ენაზეა გად-
ადნობილი არსი თავად სიტყვაკაზმულობისა,
როლი და მასშტაბი თავად მწერლის უკიდე-
განო გონით-გრძნობადი ნააზრევისა, მისი
ადგილი და მნიშვნელობა ქართველთა სუ-
ლიერების, მრავალსაუკუნოვანი და მრავალ-
ტანჯული სახცოვრისის გადარჩენისათვის.
ხაზის პლასტიკური მოცულობიდან იკითხე-
ბა მეორე მოცემულობა - ავტორის მთლიანი
და მასშტაბური ფიგურის ძალოვანება. კონ-
ტურის სიზუსტე, სიმკვრივე, გრადაცია, რე-
ლიეფური განსხეულება გარეგნული სიძარ-
ბისლისა და სულიერი აღმატებულებისა,
კლასიკური ბარელიეფის ფორმითაა წარ-
მოსახული: „შეინარჩუნე ბოლნისის ტაძრის
ბარელიეფის მოტივი, ილიას მონოგრამა და
ფაქსიმილია” - განმარტავს ემირი და „სიბრ-
ტყეზე” გამოსახული ილიას პროფილი სივრ-
ცის ნაწილად ორგანულად აღიქმება...

შვიდმა ვარსკვლავმა კამარა შეჰ-
კრა და ათინათივით შემოადგა ილიას თავს.
კუნთმაგარი, ძლევაშოსილი, მიუდგომელი,
ჩაფიქრებული და მკაცრი ფიგურა მოკრძა-
ლებისა და, იმავდროულად, გამაოგნებლად
ახლობლობის განწყობას ქმნის. შუბლმალალ
სახეზე ფიქრისა და ჭმუნვის ნაიარევია აღბე-
ჭდილი. წინ წანეული, გამოკვეთილი ნიკაპი
და ღრმად ჩამჯდარი ყვრიმალევი შინაგანი
სიძლიერისა და სისპეტაკის მიმანიშნებელია,
ყველაფერი ერთად კი პიროვნულ სიდიადეს,
სწრაფვას, გონიერებას გამოჰკვეთს და ერთი
განცდისაკენ გიბიძგებს: აქ, თითქოს, ქვაზე
ამოტვიფრულიაარამარტოძლიერიპიროვნე-
ბა, არამედ თავად წინასწარმეტყველება და
შორსმჭვრეტელობა. არაერთგზის შეუდარე-
ბიათ ილია ბიბლიური მოსესათვის, ეს აზრი-
ცაა ჩაკირული სურათში და მაინც საქართ-
ველოს მარადიულად თანამდევი სულიცაა
აღბეჭდილი ამ ბარელიეფზე, რომელიც
ნიგნის ყდისთვისაა გამიზნული. მხატვარი,
თითქოს, საქართველოზე მლოცველ მკითხ-
ველს ესიტყვება და მას ილიას ნაკვალევზე
იმედიანად უხმობს. ილიას პროფილი ძლიერ,
სახიერ, ეროვნული ჩუქურთმის ფესვებზეა
წამომართული,

ამ კვარცხ-
ლებეკზეა შე-
მართული
საქართველოს
უგვირგვინო
მეფე, მამულის
უპირველეს
ჭირისუფალთა
შორის ჩამდ-
გარი, ქართ-
ველთა გადარ-
ჩენისათვის ღე-





თის წარმოგზავნილი სიმბოლო!..
 ფურცელზე კვლავინდებურად თავ-
 დამხობილი ემირი ერთ ხაზს ჩაჰკირკიტებს
 და ახლა ფერმეტყველებაზე მსჯელობს: —
 „ქართველები ფერმეტყველები ვართ. ფერი
 ყველგან და ყველაფერშია, გვარებიც კია
 ფერებზე აგებული. იმ შვიდი კლასიკური
 ფერის ვარიაციებია, გრადაციებია უთვალა-
 ვი: წითელი, ძონისფერი, მენამული, ალის-
 ფერი; ანდა უნაბისფერი; ქმედების, მოძრაო-
 ბის, ბრძოლის, რაინდობის ფერი, ორდენთა
 ფერები, მოგვთა ინსტიტუტის, ქურუმთა
 ინსტიტუტის ფერები, სხვანი და სხვანი... და
 მაინც შავი და თეთრია განსაცვიფრებლად
 დატვირთული, დაშიფრული, ღრმა მნიშ-
 ვნელობითი ფერები...
 შავი — მგრძობელობის, ყველაზე
 ღრმა, იდუმალი ფერია, ბრძენთა ფერად
 იწოდებოდა. იაპონიის ერგონომიკის კვლე-
 ვის ცენტრმა შავი ალიარა მგრძობელო-
 ბის ფერად, აქედანაა გლოვის სიმბოლოდ
 შაოსანთა მიჩნევა. იგი ჭირთათმენის ფერია
 და ბუნებრივად მოხდა მგლოვიარე ქალები
 შავით რომ იმოსებიან. ცოდნისა და განცდის
 ფერია. შუასაუკუნეებში იმერეთის სამეფოს
 დროშა იყო თეთრ ზენარზე შავი ჯვარი. თე-
 თრი — სინათლე, სისპეტაკე, მისწრაფება, ცხ-
 ოვრება; თეთრი ამრეკლავი, დამცავი, ყველა
 ჭირისა და სიხარულის მზიდველი ფერია.
 ფერწერის ყველა გრადაცია ამ ორი ფერით
 იკვრება... ფიროსმანის ფერწერა მხოლოდ
 ფერთა ჰარმონია, შეხამება, ფერმეტყველება
 როდია, ეს მსოფლგაგებაცაა. კაცი გამოდის
 შავიდან და მიისწრაფის თეთრისკენ, ელ-
 გრეკო, რემბრანდტი... ფერწერა შავიდან
 გამოდის. ფერმეტყველება რუსთაველთან
 კლასიკური ფორმითაა განცდილი: შავი ცხ-
 ენი სადავითა, შავ ცხენზე ამხედრებული
 ტარიელი ვეფხვთან და ლომთან შებმა, შავი
 რიდე; მწვანით მოსილი ნესტან-დარეჯანი,
 მწვანე — იმედის ფერი; სინმინდის, სისპეტა-
 კის ნიშანია მარგალიტის მძივს რომ ატანს
 თინათინი ავთანდილს... უდიდესი მოვლე-
 ნაა რუსთაველი, ეს დაშიფრული ტექსტი
 უთვალავ, გამოუთქმელ, ჯერ კიდევ მიუკვ-
 ლეველ საიდუმლოთა მტვირთველია. არა და,

როგორი მარტივი და მოარულია მისი ამბავი,
 პირველი ფენა!..

ყველა ღირებული ნაწარმოები სემან-
 ტიკური მნიშვნელობით არის დატვირთუ-
 ლი. ნელან რომ ვისაუბრეთ ჯვარცმაზე და
 ქრისტეს სახებაზე: გონის ნიშანი, ი-იესო;
 ქრისტე-ჯვრის გამოსახულება. მზის დაბ-
 ნელების ნიშანი — შავი წრე, იქვეა სხივი,
 რომლითაც იკვეთება ხმლის მტევანი. ესაა
 ნიშანი ხელდასმისა, წინასწარჭვრეტისა.
 ანდა გავიხსენოთ გერბებზე აღნიშნული მზე,
 დატვირთული მზე, მცხუნვარე მზე — გო-
 ნის ფილოსოფიაა მოცემული; ზღვა არცაა
 მინიშნებული, მაგრამ ნაპირია ნაგრძნობი,
 აქ იგულისხმება წიალი... ანდა გავიხსენოთ
 გენიოსი ვაჟა: „ნისლი ფიქრია მთებისა“ — ეს
 სულის ნიშანია, სულის ანალოგია; ნისლი
 კვამლისფრად, გამჭვირვალედ გამოისახება
 ხოლმე...“

ემირ ბურჯანაძის გრაფიკულ ფურ-
 ცლებზე აღბეჭდილი ხაზებითა თუ კლაკნი-
 ლი რკალებით, შავი და თეთრი ფერის გრა-
 დაციით, უეცრად გამკრთალი ოქროსფერით,
 მიმქრალი იასამნისფერით, ზურმუხტისა თუ
 ფირუზისფერით — მჭერმეტყველი მხატვრ-
 ის ფიგურა ილანდება, ფერმეტყველების ზღ-
 ვარდაუდები შესაძლებლობები იგრძნობა და
 აღმტაცვი პოლიფონიურობა უღერს.

ქართველი ერი ძველი დამწერლობის
 შემქმნელია

ქართული შრიფტი, მისი ვარიაციების
 დამუშავება, სელექციონერით ახალი „ჯი-
 მის“ გამოყვანა — გრაფიკოსთა „საჯილდაო
 კოჭია“. ემირ ბურჯანაძე ამ ტრადიციის ღირ-
 სეული დამცველია, გამგრძელებელი და მისი
 მიღწევების ერთგულია. ამ განცდის, მრავალ-
 ნლიანი ფიქრისა და რუდუნების შედეგია ის
 მდიდარი, მრავალგვარი და მრავალფეროვანი
 ჩანახატები, ქართულ დამწერლობას რომ



ედღენება. ემირი ქართულ ენაზე, ქართულ ანბანზე, ქართულ ასო-ნიშნებზე რაინდით შეყვარებულია, მათი რაინდულად დამცველი და პოეტით მესობტეა. ამ თემაზე მას მთელი ტრაქტატის შექმნა ძალუძს, ამიტომაც საუბრობს ალტკინებულნი: „ქართველი ერი ძველი დამწერლობის, უნიკალური დამწერლობის შემქმნელია, თანაც სამი სრულყოფილი ვარიანტისა. ჩვენში ესთეტიკურ ნორმად იქცა დამწერლობა. იგი ყველაფრის გამოსახვაში მონაწილეობს: სიგელი, ნიშანდება, ბეჭედი, ტაძარი, სხვადასხვა ნაგებობა“. ჩვენში ღირსებისა და გამორჩეულობის სხვა სახეობა არ იყო, გარდა სიგელ-გუჯრისა. ღირსების გამოხატველი და აღმნიშვნელი დამწერლობითი ტრადიცია შეიქმნა. კუთვნილების გამოხატულება, წერილობითი დასტური მრავლისმანიშნებელია. გრაფიკულ მხარეს როცა ვეძებ, ამ ტრადიციას ხელიდან ვერ გავუშვებ. მონუმენტურ ნაგებობას და მცირე ზომის ქმნილებასაც სამკაულებრივად, აუცილებლად ახლავს დამწერლობითი ნიშნები. ეს ტრადიციის უსასრულო ძაფია, პროპორციისა და მასშტაბის ნიშნადაც გვევლინება, ინფორმაციასთან ერთად მასშტაბის აღმნიშვნელიცაა. ქართული დამწერლობის ნიშნებით უდიდესი გამოთქმები შეეძლოთ აღენიშნათ...

ქართული დამწერლობის მთელი კონ-



სტრუქცია, სახე, ცხრეულის კარკასზეა დასტავებული. ამას გამოხატავს ერთეულები, ასეულები, ათასეულები: ორი ნიშნის საწყისისა და დალაგების მეთოდი, სრულ სახეს ქმნის ქართული შრიფტის ანალიზისათვის. 38 ასო-ნიშანი, ხუთი ამოგდებული. მათ ყოველთვის ვიყენებ, ფერშიც გამოვყოფ, საერთოდ ქართულ ანბანს საკრალური ფუნქციაც აქვს... მაგალითად, ციფრი ორი განსაკუთრებული მნიშვნელობისაა, განყენებული მოვლენაა ციფრულ სისტემაში, მისი თავის თავთან ჯამი და ნამრავლი ერთი და იგივეა. მერე ვითარდება 22, 2 X 22, განსაკუთრებული კოდია. რიცხვის უქონელი ნიშანი კოცდამეორე ადგილზე დევს. ეს ყველა მნიშვნელობით ამომავალი და ჩამავალი მზის ნიშანია, საწყისიც არის და უსასრულობაც, ამდენად მეტად საინტერესო ნიშანია. დამწერლობა აზროვნების ნაყოფია, მისი ხასიათი სპირალური და სივრცობრივია, „დაკიდებულია“, როგორც არ უნდა შემოატრიალო, ასო-ნიშანი ორნამენტია, რაც მის სრულყოფილებაზეც მეტყველებს. 22-ის სტატისტიკური მნიშვნელობაც აღსანიშნავია. ნებისმიერი თვის 22-ში ახალი ზოდიაქო იწყება... აი ია – ლამაზი ხმოვანებაა, სურნელოვანია, სიახლის მიმანიშნებელია, გაზაფხულის მაუწყებელია. აი ია – 11 და 11, ოცდაორია ჯამით, ესეც განახლების სიმბოლოა. იდენტური ნიშნების მთელი ზოდი აქალღური სისტემაა ნაჩვენები და გამოსახული, ამასთანავე, აფთიაქალური სიზუსტითაა გაკეთებული ყოველი სვლა, ყოველი კავშირი და მონაცვლეობა. რა მასშტაბის მოაზროვნე და შემოქმედი უნდა ყოფილიყო ადამიანი, ეს ყოველივე რომ ჩაეტია ამ კოდურ ნიშნებში. თუ შეიძლება რაიმე გაიაზრო ან გამოსახო, აქ, ანბანში დევს. გაოცებას იწვევს ქართული დამწერლობის საკრალური მნიშვნელობის ციკლი, თანაც სამი კლასიკური სახე. ამხელა შესაძლებლობების ფონი გვაქვს ინტერპრეტაციისათვის...” ემირი ისევ ჩაჰკირკიტებს ნახატს.

ქართული შრიფტის ვარიაციები, ქართული დამწერლობითი კულტურის ფენომენი, ასო-ნიშანთა ნყოფა, მართლაც უთვალავი ფერითაა აღბეჭდილი ემირის მიერ. მან არსებული მდიდარი ტრადიცია მთელის არსებით, გონისა და გრძნობის ერთიანობით შეისისხლხორცა, შეიმეცნა და საკუთარი მსოფლშეგრძნებით დადუღებული, სათუთად ჩამოქნა გრაფიკულ ფურცელზე.

ზოგჯერ ისეა შეფენილი ასო-ნიშნები ფურცელზე, როგორც ბურსაჭირის ფერდობზე ცხვრის ფარა, ნელა და მწყობრად მიედინება მათში აზრი და ვნება; ზოგჯერ ძველქართულ ფარდაგს მოგაგონებს ასო-ნიშანთა რიკულებიანი მწკრივი, გინდა კიდევ გაინავარდო იმ გაშლილ ველზე, ხასხასა ფერებით რომ შემოგციცინებს ასომთავრულით გამოყვანილი რიგი; ზოგჯერ ზაგალოს გადასასვლელზე ყელმოდერებულ ნაირფერ

მინდვრის ყვავილებს ჩამოგავს ქართული



ანბანთწყობა, მთის სილაღესა და მიუნვდომლობას რომ მიანიშნებს; ზოგან იმერეთის პეიზაჟივით პენიანია, ზოგან მთის ქარაფზე გადმომდგარ ჯიხვს გაგონებს, ზოგან კენტავრის სრბოლას გახსენებს სივრცეში გაჭრილი ნუსხური, ან კიდევ ფერხულის მწყობრსა და მარდ იღეთს ჩამოგავს, ხანაც მრავალჟამიერივით ვერ ეტევა ფურცელზე, სივრცეს კვეთს და მაღლა-მაღლა, ზეცისკენ მიიწევს; ზოგჯერ, სულაც, ცის კაბადონზე მონავარდე ფრთოსანს გაგონებს; ზოგჯერ ქვაში გალაგანზე მწყობრად გამოყვანილი მხედრული ანბანი ლომის დაქადნებას შეგაგრძნობინებს, ან კიდევ მახვილივითაა ჩამჯდარი და პოეტის სტროფი ჩამესმის: „თორემ ისეთ დღეს დაგაყრით...“ ყოველ ასონიშანს, შემდეგ კი სიტყვათწყობას თავისი პლასტიკა გამოარჩევს, ერთად კი ქართულ რითმიან რეკავს და სულის სიღრმიდან ამოხეთქილ სადიდებელ ოდას ეტოლება. ემირს ისე გამოჰყავს თითოეული ასონიშანი, როგორც ხუროთმოძღვარს მკვიდრად ნაგები გალაგანი თუ ნავისებრი თალი; იგი თითქოს, ბუნებას დაესესხა და ისეთივე ოსტატობით შექმნა სუროსავით შემოვლებული ჩუქურთმა, რომელშიც ღვივის და ფეთქავს ქართული სიტყვის ეშხი და მაღლი. მართლაც, პირველად იყო სიტყვა, რომ ადამიანს პირველქმნილი უშუალობით გამოეთქვა: ღმერთი, სამშობლო, თავისუფლება, სიყვარული, სიკეთე... შეიქმნა კიდევ ისეთი დამწერლობა, რომელმაც თავისი აღნაგობით, სილაზათითა და სილამაზით სრულად დაიტია, გამოხატა და აღმოაცენა ქართველთა სულიერება, მისწრაფება, ცხოვრების ნირი, აზროვნების წყობა...

ემირი ისევ თავდახრილი მუშაობს. მეჩვენება, რომ რაღაც გრძნეული ძალითაა დამუხტული მისი სხეული, მწვიდი და ფიქრიანი მზერა. რამდენიმე საათია ერთ რკალს ჩაჰკირკიტებს, თითქოს, ლოცულობს და იღუმალ რიტუალს აღავლენს; მეჩვენება,

რომ ახლა ქედდადრეკილია, ასეთი იშვიათად არის, მხოლოდ მაშინ, როცა საკრალურ თემას ამუშავებს...

ემირი მიკროქირურგის ფრთხილი და ფაქიზი მოძრაობებით ავლებს ხაზს, ქარგავს, თითქოს, ხალიჩის, ანდა მაქმანის სიმსუბუქე და სინატიფე გამოჰყავს ფურცელზე, თვალი კი რკალს მიღმა, ფურცლის იქით იხედება... ახლა რკალმა, თითქოს, კამარა შეჰკრა და მაღლა, სულ ზევით და ზევით მიიწევს... გლეხკაცის, მევენახის გარჯას თუ შეეტოლება მისი თავდაუზოგავი ჯაფა. ისიც გლეხკაცივით ოცდათხუთმეტჯერ მაინც ჩაიმუხლებს ყოველ ძირთან, სულის მართლას დაატანს გამარგვლის რიტუალს, განვრთნილი მოძრაობებით აახვევს შტოს, დინჯად ჩაუყვება ზვარს, ისევ ჩაიმუხლებს თავის ვაზთან, ისევ გაფურჩქენა, ახვევა, გასხვლა, გათოხნა, მონამვლა, მორწყვა... ისევ და ისევ ჩაიმუხლებს თითოეულ ძირთან, ზვარს ჩააყოლებს გამჭრიახ, გამომცდელ მზერას, ლოცვად დაყუდებული ჩუმად დუღუნებს, თითქოს, „შენ ხარ ვენახი...“ ეს დიდებული სურათია, ხელთუქმნელი იდუმალების გაელვებაა, საკუთარ თავთან დაზავების მშვენიერებაა, გუმანისა და ცნობიერის შეწყვილების სიხარულია... გლეხკაცის ოსტატობითა და გარჯის კულტურით, ნატყვი და დაჯერებული მოძრაობებით ავლებს თავის ხნულს ფურცელზე, სწორედ ისეთს, როგორაც ჩაიფიქრა და იმპროვიზაციით შეასრულა, დახვეწა და „ჩააგვირისტა“. მერე ხმამაღლა გამოსთქვა ათასჯერ ნაფიქრი, გულწრფელად და მკაფიოდ მეტყველებს ემირი: „ახლა ისევ ქართულ ჰერალდიკას დასტრიალებს ჩემი ფიქრი, ეროვნული დროშის სიმბოლიკა არ მასვენებს. იაკობ ნიკოლაძის მიგნება ღრმა და მრავლისდამტყვიია, ასე რომ არ იყოს, არც ივანე ჯავახიშვილი და არც ექვთიმე თაყაიშვილი არ დაუჭირდნენ მას მხარს. მაინც ის სამი ფერი უნდა იყოს ამოსავალი, ამ ტრადიციის ხელყოფა არ არის სწორი. ახლა ჩემს ვერსიაზე ვმუშაობ. შენგან პირველ შეფასებას ველი. საერთოდ შენს კრიტიკულ აზრს, ხომ იცი როგორ ველოდები“ – ამბობს ემირი და გრაფიკულ ფურცელს მანვდის. ჩვეულებისამებრ გველიმება, უთქმელად ვუგებთ ერთმანეთს, შევეჩვიეთ პირუთვნელად ვუთხრათ ერთმანეთს სიმართლეს. ჩვენ მხოლოდ ერთხელ წაკვამათდით, ახლა მგონია სამშობლოს სიყვარული ვერ გავიყავით.

ემირს რკალი გამოჰყავს ფურცელზე, ამსხვილებს ხაზს, რუდუნებით ასწორებს მონახაზს... დუმს, მისი დუმილიც მეტყველია... ნახატზე ამოქნილია სამფეროვანი ალამი, უწინარესად კი მასში ჩაქსოვილია სამშობლოს სიყვარული, სამყაროს უსასრულობის განცდა, და მაინც სამშობლოს გრძნობა გასაკვირველი...



ილიჯო სუხიშვილი, ნინო ხამიშვილი, თენგიზ სუხიშვილი და ანსამბლის მოცეკვავეები სტუმრად ლეგენდაჲელ ფეხბუხთელთან ჰედესთან ქ.სანტოსი, ბიხილია, 1968წ.

ფოტო თენგიზ უთმელიძის, ხისტვისაყ დიდ მადლობას მოვასხენებთ

ვისთვისაც ძვირფასია ჟურნალი „ლიტერატურა და ხელოვნება“ გთხოვთ, შეგვენიოთ!

ყურადღება!

ჟურნალ „ლიტერატურა და ხელოვნების“ გამოწერა შეიძლება:
სს „მაცნეს“ პუნქტებში, გამსახურდიას 42 – ტელ: 37-61-53, 37-59-62, 37-77-89;
„ელვასერვისი“, იოსებობის 49 – ტელ: 38-26-74, 38-26-73; 38-80-02; „ჯეომედია“ – ტელ: 93-
64-72, 99-01-37 და „საქპრესა“ – ტელ: 51-60-04; 51-57-43
6 თვით 18ლ.

„ლიტერატურა და ხელოვნების“ წინა ნომრების შეძენა შეგიძლიათ რედაქციაში.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

დიზაინერ-დამკაბადონებელი
ლექსო ოთარაშვილი

ოპერატორი:

თამარ ტყაბლაძე

ნინო ნეკერიშვილი

რედაქციის მისამართი:

ნუცუბობის III მკრ. შესახვევი; მხატვრის ქ. №4
ტელ: (+995 32) 32 73 62; 31 70 47; (+995 99) 25 60 14.

Web: www.litandart.com.ge

litandart@yahoo.com
vaja.otarashvili@yahoo.com

ჟურნალი დაიბეჭდა შპს „ეროვნული მწერლობის“ სტამბაში



ქობი

ემირ ბურჯანაძე




ქობი და მისი მეგობრები



Գոհնամէ ԴՅոսկն ինքն Տըրնմոյիս Տիպտոս Կոռնելիս
*

3-



Երկու Բրտմոսն Նիկոնոս, Տիպտոս, Տիպտոս Երկուս